კვირის პალიტრა

ფიფა

N9(142) 27/II.-5/III ... ფასი 60 ...

63

1468
2003

21-ე საუკუნე უთმო მამაკაცების იქნება?!

რით გააკვირვა ნანიკო ხაზარაძე თიკა კანდელაკმა მოსკოვში

იოსებ ნონეშვილის უცნაური დაოჯახება

ბიძინა ბარათაშვილი:

„მე არ მოვსწრებივარ იმ დროს, როცა დედაჩემი, მედიკო ძიძიგური არ იყო პოპულარული... ჩემთვის, ბაბუაჩემს, მაგალითად ყოველთვის თავისი ძმა — აკადემიკოსი შოთა ძიძიგური მოჰყავდა...“

გვ. 17

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲐ
№9 (142)
27 თებერვალი –
5 მარტი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
წინ დემოკრატიული არჩევნებია ანუ ტალახი თუ ნაგავი? 3
ერთი კითხვა 4
ჭრელი სამყარო 6
თემა
ძველი ხალხური სიბრძნე ახალ პოლიტიკურ რეალობაში ანუ ᲧᲐᲜᲡᲐᲦ ᲡᲮᲔᲣᲚᲨᲘ ᲧᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲡᲣᲚᲘᲐ?! 7
მემორიალი
დაფუძნდა ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმი 10
სახე
თბილისში მოულოდნელად ჩამოსულ ნანიკო ხაზარაძეს თავი ქვისგულიანი არსება ჰგონია 11
კრიმინალი
● თავდიების დედა პატიმარი შვილების დახოცვაში ოᲧᲐᲮᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ 13
● პოლიციელი ყაჩაღებთან ბრძოლას შეეწირა 16
კოლეგა
„შთამომავლობით დირექტორი“ ბიძინა ბარათაშვილი „ტელე-იმედს“ სასტარტოდ ამგზავრებს 17
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 19
იმიჯი
არის თუ არა თავგადაპარსული მამაკაცი ყველაზე სექსუალური? 20
ტკივილი
ტრაგედია, რომელმაც სიყვარულით სავსე ოᲧᲐᲮᲘᲡ შვილი დაობლა 22
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
მამები და შვილები
ობლობაში გატარებული ბავშვობა, პორტუგალიის პრეზიდენტის სტუმრობა და გვიად გამსახურდიას საიდუმლო ვიზიტი 24
კულისები
თოლორაიების ოᲧᲐᲮᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ თეატრალურმა გენმა იმძლავრა 27
მოგონება
მე-20 საუკუნის გახმაურებული და გაუხმაურებელი სასამართლო პროცესები (დასასრული) 28

ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲞᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ?

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ, ᲒᲝᲠᲓᲝᲜ ᲒᲔᲚᲔᲞᲡ ᲗᲣ ᲓᲐᲕᲣᲯᲔᲠᲔᲑᲗ (ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲡ ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲗ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ), ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲮᲨᲘᲠᲔ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲞᲐᲠᲡᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ, ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ...

20

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲜᲐᲜᲘᲙᲝ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲕᲔᲓᲘ, ᲗᲘᲙᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲡ ᲓᲐᲕᲣᲠᲔᲙᲔ. ᲧᲣᲠᲛᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲐᲘᲦᲝ. ᲕᲗᲮᲝᲕᲔ, ᲗᲘᲙᲐᲡ ᲓᲐᲣᲫᲐᲮᲔᲗ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ. – ᲛᲔ ᲕᲐᲠᲝ, – ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲔ. ᲩᲔᲛᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ, ᲗᲘᲙᲐᲛ ᲛᲗᲮᲝᲕᲐ: ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲛᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲝ...

11

ᲗᲐᲕᲓᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲝᲪᲕᲐᲨᲘ ᲝᲧᲐᲮᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ



№5 ᲡᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲨᲘ, 21 ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ, ᲫᲛᲔᲑᲘ – ᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲑᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲗᲐᲫᲔᲔᲑᲘ, ᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔᲢᲘᲗ ᲩᲐᲪᲮᲠᲘᲚᲔᲡ. ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲛᲙᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲛᲐ – ᲖᲕᲘᲐᲓ ᲡᲐᲮᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲐ. ᲛᲐᲗ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲓᲐ.

13

ᲝᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ... ᲓᲐ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲐᲛᲘᲮᲡᲔᲜᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲮᲐᲠ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ? – ᲨᲔᲜ ᲠᲐ ᲒᲔᲜᲐᲦᲕᲚᲔᲑᲐᲝ?! – ᲛᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲜᲝᲓᲐ. ᲗᲐᲕᲐᲓ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲕᲘᲗ ᲣᲮᲐᲠᲝᲓᲐ, ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲛᲘ ᲡᲣᲚ ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ.

24

საოჯახო ფსიქოლოგია
- თქვენი ოჯახის გადამრჩენი, თქვენივე სილამაზეა 32
- კონფლიქტი, რომელშიც გამარჯვებული არ არსებობს 33

ტაძარი
რატომ უნდა ვეგზიაროთ ქრისტეს სისხლსა და ხორცს? 34

მსახიობი
კეთილი მეგზაპრის არაგზაპრული ამბები 35

ფავორიტები
ანდრე აგასი: „მტეფის ყველაგე ტკბილი ტუჩები აქვს“ 38

სპორტული მოზაიკა 41

რომანი
რუსუდან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი
ბრუკ შილდსი – ჰოლივუდის ამოუხსნელი საიდუმლო 46

ბომონდი 48

ავტო 50

მოგზაურის დღიურები
ამერიკაში ახალ მოგზაურობათა მოლოდინში... 52

შოუბიზნესი 12, 55

ჯანმრთელობა
- დაკარგული ვიტამინების ძიებაში 56
- რკინის ადამიანი 56
- როცა თავბრუ გესვევა 58
- სოია სასარგებლო პროდუქტია 59
- მედიცინის სიახლეები 59

რჩევები
წყალი – ქალის მშობლიური სტიქია 60

სანვორდი 61

ჰოროსკოპი
კვირის (3-9 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი
იცნობთ თუ არა საწინააღმდეგო სქესის ფსიქოლოგიას? 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მე-20 საუკუნის გასმაურებული და გაუსმაურებელი სასამართლო პროცესები

კატა ახალგაზრდა ბიჭი იყო, ტყიბულელი. მის ჯგუფში ბევრი ბანდიტი „მოღვაწეობდა“. ერთხელ, ამ ბანდის წევრები ნუღლას დაესხნენ თავს. ნუღლა წვერს იპარსავდა, თავზე რომ დაადგნენ იარაღით. ისე, რომ პარსვა არ შეუწყვეტია, უთხრა: აგერ დევს ფული და წაიღეთო...

28

ბრუკ შილდსი – ჰოლივუდის ამოუხსნელი საიდუმლო



შეიძლება ითქვას, რომ მას პიროვნების გაორება აქვს. ერთხელ განაცხადა, რომ მას ძალზედ ხიბლავს სექსუალური თავგადასავლები: „მიმაჩნია, რომ ყოველთვის უნდა აკეთო ის, რაც გინდა. თუ ლამაზი და სექსუალური ხარ და გსურს, რომ ღამე მამაკაცთან ან ქალთან გაატარო, უნდა გააკეთო ეს“.

46

ამერიკაში ახალ მოგზაურობათა მოლოდინში...



რამდენიმე წუთში სუფრა გაიშალა, რომლის ფინალური აკორდი საგანგებოდ შეფუთული ბოთლების გახსნა გახლდათ. მაგიდაზე ქართულ-ინგლისური წარწერებით დამშვენებული „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“ გაჩნდა – ორ-ორი ბოთლი!

52

ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები

– დიახ... თქვენ ვინ ბრძანდებით?.. ნამდვილად ვერ გიცანით... – დაიბნა მარი.

– არცაა საჭირო... ყურადღებით მომისმინე: ბავშვი ჩვენთანაა. იცოდე, პოლიციას არაფერი შეატყობინოთ, თორემ ცოცხალს ვეღარ ნახავთ!

42

წინ დემოკრატიული არჩევნებია
ანუ ტალახი თუ ნაგავი?

სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო! – ნათქვამია, მაგრამ მგონი, ეს სიბრძნე იმ დროსაა ნათქვამი, სულ რომ არ იცოდა ხალხმა, კურკიანი ხილი იყო დემოკრატია, თუ უკურკო. ღმერთმა გაახაროს მისი მომგონი! – უკურკო ყოფილა, გადაყლაპავ თურმე და რაც გინდა, იმას იტყვი, ვისაც გინდა, იმას გალანძღავ, აგინებ, აფურთხებ და აი, დარდი, თუ არ ჩამოირეცხს. მით უმეტეს, თუ „ოფიციალური პროვოკატორი“ ხარ, მთლად გახსნილი გაქვს ხელ-ფეხი. არადა, ის დალოცვილებიც, „ზემოთ“ რომ სხედან, ულევად მაძლევენ და მაძლევენ მასალას და როგორ არ ვწერო?! ჰოდა, ვწერ კიდეც, სანამ სანთელი ბოლომდე არ დაიწვება, ან ლამპაში კონტრაბანდული ნავთი არ ამოშრება.

განსაკუთრებით თანამედროვე პოლიტიკურ ტერმინოლოგიაზე მიყვარს წერა. ნეტავ, თვითონ თუ იციან, რას ნიშნავს ის სიტყვები, ასე უხვად რომ იყენებენ თავიანთ ორატორულ გამოსვლებში? ისე კი, ხალხი რომ აზრზე არ არის, კარგი ჰგონია და ტაშს უაზროდ უკრავს, ეს ნაღდია. მაგალითად: გამოვა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, რომელიმე რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი, ახლაც რომ აცხია ღაბაბზე წინა არჩევნებში გამარჯვებით ნათქვლეფის წვეთები და ამომრჩევლების წინაშე დასცხებს „რეჩს“:

– პერმანენტული პროგრესირების ამ ინტეგრაციულ პლაცდარმზე პოლიტიკური კონიუნქტურა კონცეპტუალურად კაზუსურია და სუბორდინაციულად კონსოლიდირებულ ძალთა პლურალიზმს ითხოვს. ამიტომ, ძირს კორუმპირებული პოპულიზმი, გაუმარჯოს ხელოვნურად დისკრედიტირებულ გამჭვირვალეობას!!!

ამ დროს კი, ხალხი, რომ იტყვიან, „ბალზეა და ტყემალს ჭამს“, ერთადერთი, რაც გაიგო და დაიმახსოვრა, პარტიის ნომერია, რომელიც ბიულეტენში უნდა შემოხაზოს. შემოხაზავს კიდეც და ოთხი წლით კიდევ გააგრძელებს „ბალზე ჯდომასა და მჟავე ტყემლის ჭამას“. რას იზამ? დემოკრატია ასეთი ხილი ყოფილა...

მაგრამ ჩვენდა გასახარად, საამაყოდ და შეიძლება ითქვას, „საკაიფოდაც“, პოლიტიკურ არენაზე ისეთებიც დაკუნტრუშებენ, „ახალგაზრდა რეფორმატორები“ რომ ჰქვიათ მოფერებით და სულაც არ ცდილობენ, გაუგებარი ტერმინებით მოთაფლონ და გააბრიყვონ ხალხი. პირიქით: ამ „უმადურმა“ „ბატოოებმა“ ანგარიში არ გაუწიეს იმას, თუ როგორ ზრდიდა და აფრთიანებდა მათ ბაბუ, როგორ უმზადებდა სამომავლოდ სავარძლებს, როგორ ახარებდა ცხვირსახოცში გამონასკვული პენსიით: ამით, ბაბუ, „კანფეთი“ იყიდეთო, – და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ მშობელ-გამზრდელ „მოქკავშირს“. მივიდა „ნაციონალი“ სააკაშვილი მთავრობის სხდომაზე, წიხლით შეაღო კარი და ხალხისათვის გასაგები ერთი სიტყვით ახსნა ყველაფერი: შევარდნაძე და მისი ხელისუფლება ნაგავია და უნდა გადავყაროთო...

ა, კაცი! არც „კონიუნქტურა“ უხსენებია და არც „კონცეფცია“ თუ „ერექცია“ (ზუსტად აღარ მახსოვს, რომელი: სულ მერევა ეს ორი სიტყვა ერთმანეთში). აი, ასეთი გამჭვირვალე უნდა იყოს პოლიტიკური სპექტრი.

არც საპასუხო რეაქციამ დააყოვნა: დემოკრატია თუ სიტყვისა და ენის ტლიკინის თავისუფლებაა, მე გიჩვენებ სეირსო! – იყვირა ირაკლი გოგავამ, გადაშალა „ბანძურ სიტყვათა ლექსიკონი“, შესაფერისი ვარიანტიც იპოვა და ტალახად შერაცხა ჟვანია-სააკაშვილის სკამი-სკამ ნაგოგმანები რეპუტაცია და მათი ნაციონალ(ისტ)ურ-დემოკრატიული მოღვაწეობა.

არადა, კაი ბიჭები არიან ჩვენი ზურა და მიშა! ჩვენ თვალწინ არ გაიზარდნენ? ხან წითელი „კომსომოლები“ იყვნენ და ხან ბუნების „მწვანე“ ქომაგები, ხან პარლამენტარები და ხან სპიკერ-მინისტრები. ცოდვაა მათი ტალახთან შედარება! წვიმა რომ მოვა, ხომ წარეცხს ამ ტალახს? სად ვეძებოთ მერე?! მაგრამ გოგავაცა და მისი თანაპარტიელებიც რომ კაი ბიჭები არიან! მათი ნაგავთან გაიგივებაც გულს მითუთქავს! ნაგავს ხომ ჰყრიან, იქ კი ღორებს მიუშვებენ ხოლმე გასასუქებლად; არ ვარგა ასე, მარა არ ასვენებთ გამჩენი და რა ვუყო?! თუ მმართველი პარტია და მისი ოპოზიციის ავანგარდი, ნაგავი და ტალახი არიან, შედარებით პასიურ პარტიებს რაღა დავარქვათ?

ესაა ჩვენი ნაქები დემოკრატია? გვეგონა, სულ ოქროები შევუშვით პარლამენტში, მთლად ბაჯაღლოებს მინისტრობა ჩავაბარეთ, მთავარი ბრილიანტი პრეზიდენტად დავსვით, მმართველ პარტიად საფირონ-მარგალიტები შემოვუწყვეთ ირგვლივ და ჩვენი „ტკბჰესქ“ შედევრით ბედნიერებმა ტაშიც შემოვკარით! სინამდვილეში კი გამოდის, რომ მიახლოებულ არჩევნებში ბაჯაღლო-ბრილიანტები კი არა, ბიულეტენზე საარჩევნო „მენიუ“ ასეთი სახის იქნება:

1. ნაგავი.
2. ტალახი.
3. ნეხვი.

ბიჭი ხარ და შემოხაზე რომელიმე, ამ სამში ერთი!..

P.S. სტუდენტი თბილისიდან სოფელში ჩადის და ბაბუას ეუბნება:

– ერთი კარგი ამბავი ჩამოგიტანე, ერთიც – ცუდი.

– ჯერ ცუდი თქვი, ბაბუ.

– ისე გაჭირდება ცხოვრება, ხალხი ნეხვისა და ნაგვის ჭამას დაიწყებს.

– ახლა კარგი ამბითაც გამახარე!

– ადგილი ვიცი – ყელამდეა ნეხვიცა და ნაგავიც!..

პროვოკატორი

„მოქალაქეთა კავშირთან“ გაერთიანების მსურველი ბევრია...“

— „მოქალაქეთა კავშირის“ მთავარმა საბჭომ საარჩევნო შტაბი უკვე ჩამოაყალიბა. რომელ პოლიტიკურ ძალებთან გაერთიანდებიან „მოქალაქეები“?

ვიტალი ხაზარაძე, „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო ლიდერი:

— გადაწყდა, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ბლოკის სახით წარდგება. ასევე, უკვე გადაწყვეტილია, სოციალისტურ პარტიასთან და „ავღანელთა კავშირთან“ გაერთიანება. ზოგიერთების გასაკვირად, „მოქალაქეთა კავშირთან“ გაერთიანების მსურველი ბევრია, თუმცა, ეს სამომავლოდ გადასაწყვეტი საკითხია და ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით... ■

„აბაშიძემ თავისი ხმები შევარდნაძეს გადაულოცა...“

„აღორძინება“ შევარდნაძე-ჟვანიასაკაშვილის ალიანსზე ალაპარაკდა და თანამშრომლობა „ლეიბორისტებსა“ და „ახალ მემარჯვენეებს“ შესთავაზა, „გაერთიანებულ დემოკრატებსა“ და „ნაციონალებს“ კი, უნდობლობა გამოუცხადა. ამას ხსენებული პარტიების განრისხება და ურთიერთბრალდებები მოჰყვა. საპარლამენტო არჩევნების წინ, ძალზედ მნიშვნელოვანი გახდა იმის გარკვევა, თუ ვინ არის ნამდვილი ოპოზიციონერი და ვინ — არა. ამის შესახებ პოზიციების დაფიქსირება „ნაციონალ“ კობა დავითაშვილსა და „აღორძინების“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ცოტნე ბაკურიას ვთხოვეთ.

კობა დავითაშვილი:

— ერთ ამბავს გავიხსენებ და თვითონ განსაჯეთ. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში „აღორძინების“ ბლოკი ერთიანად გამოდიოდა და „მოქალაქეთა კავშირს“ უპირისპირდებოდა. ყველა ის ხმა, რომელიც „მოქალაქეების“ საწინააღმდეგო იყო, „აღორძინებას“ ემატებოდა... რა მოხდა მერე? 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ყველა მოელოდა, რომ ეს დიდი ოპოზიციური გაერთიანება თავის კანდიდატურას წამოაყენებდა. ასეც მოხდა: თავიდან, ორი კანდიდატი იყრიდა კენჭს — ასლან აბაშიძე და ჯუმბერ პატიაშვილი. მაგრამ აბაშიძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა. ოპოზიციიდან დარჩა პატიაშვილი, ხელისუფლებიდან კი — ედუარდ შევარდნაძე. ასლან აბაშიძემ კრიტიკულ მომენტში მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაშინ, ოპოზიციის ერთიანობის და პატიაშვილის მხარდაჭერის დრო არ იყო და მთელი თავისი ხმები, ფაქტობრივად, შევარდნაძეს გადაულოცა. აი, აქედან გამომდინარე, ვაცხადებ, რომ აბაშიძე და „აღორძინება“ სანდო ძალა არ არის! სწორედ ამიტომაც არ ვთავაზობთ „აღორძინებას“ საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, ალიანსს. არავისთვის აღარ არის გასაკვირი, რომ „აღორძინების“ პოზიციები ხშირად ემთხვევა ხოლმე შევარდნაძის პოზიციას და ამის შემდეგ, როგორღა შეიძლება, მას ოპოზიციური პოლიტიკური ძალა ვუწოდოთ?

ცოტნე ბაკურია:

— „ახალ მემარჯვენეებთან“ და „ლეიბორისტებთან“ გაერთიანება გამორიცხული არ არის. იმის თქმა კი, უბრალოდ, სასაცილოდ მეჩვენება, რომ ოდესმე, ასლან აბაშიძე საქართველოს პრეზიდენტთან ალიანსში მოიაზრებოდა. მაშინ, „მოქალაქეთა კავშირი“ ყველა ღონეს ხმარობდა, რომ „აღორძინებას“, როგორც ერთადერთ ოპოზიციურ ბლოკს, წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა არ მიეღო. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ქვეყანა რეალურად დადგა სისხლის ღვრის საფრთხის წინაშე. აბაშიძემ კი, მაშინ, რაციონალური გადაწყვეტილება მიიღო — მოხსნა თავისი კანდიდატურა! ამიტომ ვართ არასანდო ძალა?!. ■

ვისი მტრობა დაღუპავს საქართველოს?

— ბათუმსა და თბილისს შორის შუამავლის როლს რატომ კისრულობთ და ასეთი მონდომებით რატომ იღვწით ამ ორი სახელისუფლებო პარტიის გაერთიანებისთვის?

ვახტანგ რჩეულიშვილი, სოციალისტური პარტიის ლიდერი:

— გაერთიანება ალბათ არ მოხდება, მაგრამ სახელისუფლებო პარტიებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობა უნდა დამყარდეს. თანამშრომლობაში ის იგულისხმება, რომ ქვეყნის მოწყობის პრობლემა გადაწყდეს, ეს კი, დაკარგულ ტერიტორიებსაც დაგვიბრუნებს. სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი სწორედ ამ ორმა ძალამ უნდა შეიმუშაოს. მაგრამ რად გინდა? — არავის უნდა იმის გაგონება, რომ პოლიტიკური ძალები ერთმანეთის ოპონენტები უნდა იყვნენ. ესენი პირიქით — ერთმანეთს ცივ ომს უცხადებენ! უახლოეს დღეებში, ბათუმში ჩასვლას ვაპირებ. მინდა, ამ პარტიების წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს და ჩემი ჩასვლის მთავარი მიზანიც სწორედ ამ შეხვედრის მომზადებაა. „მოქალაქეებისა“ და „აღორძინების“ ასეთი დამოკიდებულება საქართველოსთვის დამღუპველი იქნება! ■

სადილი ყველას

3 მარტს, დედის დღეს, 12-დან 17 საათამდე, „კათარზისი“ კვლავ უმასპინძლებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს, ადგილზე გემრიელად დაპურდეს.

ამჯერად თქვენი მასპინძელი იქნება „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“, თბილისის ორგანიზაცია.

დარეკეთ 11-დან 17 სთ-მდე: 95-16-46. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №121.

„არ არის გამორიცხული, რომ პანკისში სიტუაცია კვლავ დაიძაბოს...“

— პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული სპეცოპერაციის მეორე ეტაპი იწყება. რას მოიცავს ეს ღონისძიება და ადასტურებთ თუ არა გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ხეობაში ტერორისტები რუსეთიდან მოხვდნენ, მათ შორის კი, თითქოს, რუსლან გელაევის 50-კაციანი დაჯგუფებაც არის?

***ვალერი ხაბურძანია**, უშიშროების მინისტრი:*

— მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რათა არ მოხდეს ხეობაში ბოევიკების ხელახალი შემოდინება. ჯერჯერობით ნაადრევია პანკისის ხეობის სრულ გაწმენდაზე საუბარი. ეს პრობლემა მანამდე იარსებებს, ვიდრე რუსეთი ჩეჩნეთში იქნება. ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად, გელაევი ჩეჩნეთში იმყოფება. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს ხანში, სიტუაცია კვლავ დაიძაბოს, თუმცა, ხეობაში ჩატარებულ ანტიტერორისტულ-ანტიკრიმინალურ ოპერაციას მაინც წარმატებულად მივიჩნევ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პანკისის ხეობაში რუსული წარმოშობის იარაღი შედიოდა. ეს იარაღი კი, იქ

ქვეყნის უკონტროლო რეგიონებიდან და ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებიდან ხვდებოდა! აბა, სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ჩეჩენი ბოევიკების ხელში ისეთი იარაღის მოხვედრა, როგორიცაა კომპლექსები — „შმელი“ და „იგლა“?! ეს იარაღი პანკისში აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან შეჰქონდათ... ■

„აფხაზები მუდმივად ვერ ამოეფარებიან რუსებს...“

— საქართველოს ხელისუფლებამ რუს სამშვიდობოებს აფხაზეთში მანდატი გაუგრძელა, რასაც პოლიტიკოსთა არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. თქვენ რას ფიქრობთ რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელების თაობაზე?

***გიორგი ბარამიძე**, „გაერთიანებული დემოკრატები“:*

— ყველაზე მთავარი პრობლემა ის არის, რომ რუსების გაყვანის შემდეგ, მოსალოდნელი პროვოკაციების აღკვეთა დღევანდელ ხელისუფლებას არ ძალუძს! გასაგებია ხელისუფლების არგუმენტი, რომ რუსების გაყვანის შემთხვევაში, შესაძლოა, დაინტერესებულმა მხარემ მორიგ კონფლიქტში ჩაგვითრიოს. ამ საფრთხის გასანეიტრალებლად კი, იმის თავი არა გვაქვს, რომ ძალოვანი სტრუქტურები და სპეცსამსახურები შესაბამისად უზრუნველყოთ. რასაკვირველია, აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება, რის შედეგადაც აფხაზები მუდმივად ვერ ამოეფარებიან რუსებს. ამ ნაბიჯს ექნება ეკონომიკური მნიშვნელობაც, რადგანაც ენგურის მთელ პერიმეტრზე აფხაზთა განლაგება იმდენად ხარჯიანი იქნება, რომ მათი ბიუჯეტისთვის რომელიც სულ 8 მილიონს შეადგენს, უდიდესი დარტყმა აღმოჩნდება!

***შალვა ნათელაშვილი**, ლეიბორისტული პარტია:*

— წლების მანძილზე, ერთი და იგივე მეორდება: ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერ რუსებისთვის აფხაზეთში მანდატის შეწყვეტას მოითხოვენ, მერე კი, ჩამოვა თუ არა რეკომენდაცია ვაშინგტონიდან ან მოსკოვიდან, რუსები ისევ რჩებიან კონფლიქტის ზონაში. მე თუ მკითხავთ, აფხაზეთში რუსი სამშვიდობოები საერთოდ არ უნდა შეეყვანათ! დარწმუნებული ვარ, რომ შევარდნაძის მმართველობის ბოლომდე, რუსებს მანდატი კვლავაც გაუგრძელდებათ... ■

„მთავრობას არ სჯერა, რომ ცეცხლს ეთამაშება!“

— რა არის, ბოლო ხანს, თბილისის სრული ჩაბნელების მიზეზი და რატომ აპირებს „ეი-ი-ეს თელასი“ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილს?

***ირაკლი მელაშვილი**, „ეი-ი-ეს თელასის“ ლობისტი:*

— მიზეზი ძალიან მარტივია. „კავკასიონი“ უმიზეზოდ არასდროს ითიშება — ან ფიზიკური დაზიანება უნდა მოხდეს, ან ძალიან დიდი დატვირთვა. არსებობს დაცვითი სისტემები. ერთ-ერთი სისტემით, როდესაც ბლოკი გადატვირთულია, 10 წუთში ის ხმამაღალ სიგნალს იძლევა. ასეთ დროს, სისტემიდან ზედმეტი მომხმარებელი უნდა გამოირთოს და სრულ ჩაბნელებას თავიდან ავიცილებთ. „ზედმეტში“ მოსახლეობას კი არა, ელექტროენერგიის მსხვილ მომხმარებლებს ვგულისხმობ, რომლებიც არ იხდიან დენის საფასურს! ჩვენ რა ვქნათ? მოთხოვნილ ელექტროენერგიას არ გვაძლევენ და მერე ჯოხი ისევ „ეი-ი-ეს თელასზე“ ტყდება. „ენერგომამების“ ტყუილები კი, უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება. ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საერთაშორისო არბიტრაჟში შევიტანოთ სარჩელი. მიმდინარეობს კონსულტაციები იურისტებთან, თუმცა, იმედი მაქვს, რომ საქმე სასამართლომდე არ მივა. მგონი, მთავრობას არ სჯერა, რომ ცეცხლს ეთამაშება. „ეი-ი-ესს“ პრობლემები პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც ჰქონდა და იცით, რა მოხდა ყაზახეთში, კომპანიას საქმე რომ გაუჭირეს? — „ეი-ი-ესმა“ ქვეყანას არბიტრაჟის საშუალებით, მშვიდად მოუგო 250 მილიონი დოლარი!.. მოკლედ, თუ ქართული მხარე სასამართლო პროცესს წააგებს, ხოლო „ეი-ი-ესი“ საქართველოდან წასვლას დააპირებს, შეუძლია, რომ მის მიერ ჩადებული მთელი თანხა უკან მოითხოვოს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნება ეს ჩვენი ქვეყნისათვის?! ■

იოგა მშვიდობისათვის იბრძვის

ფრანგი ფაკირი, ჯოელ ბათონი მსოფლიოს გარშემო უპრეცედენტო მოგზაურობაში იმყოფება, რომელსაც მშვიდობისათვის ბრძოლას უძღვნის. ის თან დაატარებს სპეციალურ, ლურსმნებიან საწოლს (ნამდვილი, პატივსაცემი იოგასათვის სავსებით ლოგიკური გადაწყვეტილებაა) და ყველა მსურველს უჩვენებს, თუ რაოდენ მოსახერხებელია ლურსმნებზე წოლა. გზად ჯოელი მშვიდობის მომხრეთა ხელმოწერებსა და ცოტაოდენ ფულსაც აგროვებს, მოგზაურობის წვრილმანი ხარჯების დასაფარავად. ფაკირმა სტარტი აიღო პარიზში, 1999 წლის მაისში და მოგზაურობას მანამდე გააგრძელებს, სანამ დასახულ პროგრამას არ შეასრულებს (მისი ვარაუდით, ეს 2007 წელს მოხდება). აქციის ფინალი ვაშინგტონში აქვს დაგეგმილი: ჯოელის სურვილია, რომ აშშ-ის პრეზიდენტს შეხვდეს და მისი ავტოგრაფიც მიიღოს. ■

ბუში შეიძლება, ბინ ლადენით გაიჭრას...

ამერიკელებს ახალი გატაცება გაუჩნდათ: საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა თამაშმა, რომელსაც ნდურინგ რეედომ ჰქვია. 45 კარტზე გამოსახულნი არიან თანამედროვე მსოფლიოს ლიდერები და ჩამოთვლილია მათი ძირითადი ბიოგრაფიული მონაცემები. ტუზებად ითვლება ჯორჯ ბუშის, სადამ ჰუსეინის, ტონი ბლერისა და ბინ ლადენის სურათებით დამშვენებული კარტები. პოლიტიკოსთა გამოსახულებიანი კარტის დასტები უკვე მრავალმილიონიანი ტირაჟით გაიყიდა და კვლავაც დიდი მოთხოვნით სარგებლობს ყველა ასაკის ადამიანებში.

მაგალითი პოლიტიკოსებისთვის

რას არ მოიგონებენ ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატების მიღწევა სურთ!.. სწორედ ამ მიზნით, უჩვეულო ხერხს მიმართა ერთმა საზრიანმა, ახალგაზრდა ამერიკელმა: მან ფსევდონიმად სახელგანთქმული კაცის სახელი – ელვის პრესლი აიღო და რომ იტყვიან, „ათიანში გაარტყა“. ვისკონსინის შტატის ქალაქ ფილიპსის თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს არჩევნების პირველ ტურში გერი კერონმა გამარჯვებას ვერ მიაღწია და მაშინ მიხვდა, რომ მისი სახელი ამომრჩევლებისთვის არაფრისმთქმელი იყო, ამიტომაც, მეორე ტურზე, მათ უკვე ელვის პრესლიდ მოევლინა. წარმატებამაც არ დააყოვნა: პოლიტიკურ ანალიტიკოსთა აზრით, სწორედ ელვის პრესლის საყოველთაოდ ცნობილმა სახელმა და აგრეთვე, „როკის მეფის“ ექსტრავაგანტურმა კოსტიუმებმა განაპირობა კერონის დიდი უპირატესობით გამარჯვება არჩევნებში. ■

საკუთარ ბედს ვერ გაექცევი...

ყველაზე მძიმე ადამიანი პლანეტაზე, დალასში 1959 წელს დაბადებული ბასტერ სიმკუსი გახლავთ. 36 წლის ასაკისათვის, მისმა წონამ 1141 კგ-ს მიაღწია!.. როცა ბასტერი ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა, გადაწყვიტა გამხდარიყო და დიეტოლოგიურ კლინიკაში ტონაზე ცოტა მეტიც კი ჩამოყარა. მაგრამ შემდეგ, სხვა კლინიკაში მოუხდა წასვლა, რადგან პლასტიკური ოპერაცია დასჭირდა: იმ მომენტისათვის, სიმკუსი სულ 105 კგ-ს იწონიდა, 22 კგ კი, მხოლოდ მისი ზედმეტი კანის წონა იყო. სწორედ ამ კანის მოცილების აუცილებლობამ მოახვედრა სიმკუსი საოპერაციო მაგიდაზე.

ვინაიდან საკმაოდ ანგარიშიანი კაცია, ბასტერმა გადაწყვიტა, რომ ამ „განძის“ გადაგდება უგუნურება იქნებოდა და თავისი 22-კილოიანი კანი გამოსაყვანად, სპეციალურ სახელოსნოში მიიტანა, შემდეგ კი, მკერავს მისგან საწვიმარი და ხელთათმანები შეაკერვინა...

ვაგლახ, რომ ბასტერმა დიდხანს ვერ იგუა მსუბუქი წონა, კვლავ გასუქდა და თავისი წინანდელი, ყველა რეკორდიც მოხსნა. ■

ბრძენი ხალხი ვართ ქართველები, აფორიზმები გვიყვარს ძალიან. გამოთქმაშიც მაგრები ვართ და შესრულებაში ხომ ვართ და ვართ!..

თუნდაც, „ძმა ძმისთვისაო — შავი დღისთვისაო“ ავიღოთ: რამდენი სიბრძნე და ცხოვრებისეული ცოდნაა ჩადებული ამ ოთხ უბრალო სიტყვაში! ვასრულებთ კიდეც: სანამ ჩვენს ძმას, ქართველს შავ დღეში არ ჩავაგდებთ, არ მოვისვენებთ.

ძველი ხალხური სიბრძნე ახალ პოლიტიკურ ჰეალობაში ანუ

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია?!

ავთო მარგველაშვილი

გნებავთ, „დღევანდელი კვერცხი მარჩენია ხვალინდელ ქათამსაო“ გავიხსენოთ. რა, ზუსტად ასე არ არის? უცადე ახლა, როდის გამოიჩეკება და გაიზრდება ის ქათამი, ან გამოიჩეკება თუ არა საერთოდ... ასეა ცხოვრებაშიც: ხვალ, იქნები თუ არა მაგ თანამდებობაზე, ღმერთმა უწყის, ამიტომ — დღესვე უნდა ჭამო, რასაც შეძლებ. რასაც ვერ შეძლებ, ისე უნდა გააფუჭო, რომ სხვის საჭმელადაც აღარ ივარგოს...

„ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“ — ხომ ზუსტად ჩვენზეა ზედგამოჭრილი. მიკვირს კიდეც, რატომ არ არის ეს სიტყვები შეტანილი ჩვენს ჰიმნში!.. ჩვენ ხომ ზუსტად იმას ვაწინაურებთ, ვინც ვერ ივარგა: იქნებ, პასუხისმგებლობა იგრძნოს, წახალისდეს და გამოსწორდესო, ვფიქრობთ, მაგრამ „არ გათეთრდების ყორანიო“ — ესეც ქართველის ნათქვამი არ არის?!

ერთი ქართული ანდაზა მომწონს კიდევ ნამეტანი: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. ამ ანდაზის გაგონებისას სულ ჩვენი პარლამენტარები მიდგანან ხოლმე თვალწინ, უმოწყალოდ რომ უთვლიან ნეკნებს ერთმანეთს. ვის უბედავენ მაგენი? სად გვყავს ჩვენ პარლამენტარების გასალახი პარლამენტარები?!. შეხედავ და გული გავინათდება — ერთმანეთზე უკეთესები არიან ყველანი: წარმოსადეგნი, სიმპათიურები, სოლიდურები, ელეგანტურ-ექსტრავაგანტურები და რა ვიცი, კიდევ რა... ჰოდა, ასეთ ჯანსაღ სხეულში სულიც ხომ ჯანსაღი უნდა იყოს, იმ ანდაზისა არ იყოს?!

ზუსტად ეს კითხვა ამეკვიატა დასაწერად და გადავწყვიტე, რამდენიმე მათგანს გავსაუბრებოდი. ჯერ სწორედ იმ დეპუტატებზე შევაჩერე არჩევანი, კირილე მიმინოშვილივით რომ იქნევენ ხელებს ყველაზე ხშირად, მაგრამ მერე მივხვდი, რომ შეიძლებოდა, ინტერვიუს ნაცვლად, მეც მუშტი მიმელო. არადა, კიდევ ერთი ნაცემი ჟურნალისტი რომ დაემატოს ჩემი სახით, ჩვენს ისედაც იმოჯშელახულ დემოკრატიას ხომ მთლად მოგვეჭრა თავი მსოფლიოს წინაშე! (ახლა ჟურნალისტის ცემა უფრო დიდ სკანდალს იწვევს, ვიდრე პარლამენტარისა). ამიტომაც ბოლოს, არჩევანი შევცვალე და იმ დეპუტატებს დავუკავშირდი, გაცილებით „დეპუტატურად“ რომ უჭირავთ თავი და არც გამლახავის როლში უნახავს ვინმეს და არც გალახულის.

დემურ გიორხელიძე:

— „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დევს“ — ეს ინტეგრაციულად სწორი ნათქვამია, თუმცა, დაკონკრეტებასაც მოითხოვს, თუ რას ნიშნავს „ჯანსაღი სხეული“...

— ჰოდა, დავაკონკრეტოთ...

— აი, სხეულში რომ ყველაფერი თავის ადგილზეა...

— ორგანიზმის სიჯანსაღეს სპორტი უწყობს ხელს. თქვენ თუ დადიოდით ბავშვობაში სპორტის რომელიმე სახეობაზე?

დემურ გიორხელიძე

— გავლილი მაქვს სულიკო თორთლაძის საკალათბურთო სკოლა, ვიყავი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრიც. ეს არ არის უბრალოდ სკოლა. მან ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

— ამჟამად თუ ვარჯიშობთ ხოლმე?

— იცით, ველარ ვვარჯიშობ, მიუხედავად დიდი სურვილისა. ქუჩაში რომ სირბილი დავიწყო, ალბათ ხალხი მომაძახებს: რა გარბენინებს? — ქვეყანა იქცევაო...

— სხვები ხომ დარბიან?

— მერწმუნეთ — თუ თავს უფლება მიეცი, მოსულიყავი პოლიტიკაში, მაშინ კეთილი უნდა ინებო და ამ საქმისთვის ისე უნდა დაიხარჯო, როგორც ამას შენი მოვალეობა მოითხოვს. მაშინ კი, მენდეთ, სავარჯიშო დრო ნამდვილად აღარ დაგრჩება. სამაგიეროდ, ვცდილობ, ყოველდღე ფეხით ვიარო სახლიდან პარლამენტამდე და პარლამენტიდან სახლამდე.

— მოდით, ისევ ბავშვობას დავუბრუნდეთ: საბჭოთა ბაზარზე იშვიათად შემოდიოდა უცხოური ფილმი, მით უმეტეს — „ბოევიკი“, რომელსაც ბავშვები უმალვე აიტაცებდნენ ხოლმე და ახალი თამაშიც შემოდიოდა მოდაში...

— მე 50-იანი წლების ბავშვი ვიყავი და როგორც ომის შემდგომი წლების თაობის

წარმომადგენელს, სავსებით ფართომასშტაბიანი „ომები“ მაქვს გადატანილი ბავშვობაში: დესანტი, თავდასხმა, შტაბი, ტრავმები, თავში ქვის მოხვედრა და ა.შ. თითოეულ ახალ ფილმს ყველა ნახულობდა — არადა, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი საკმაოდ იაფი ღირდა, ყოველდღიური საშუალება ამისა მაინც არ გვქონდა. ამიტომ ბევრი ფილმი მაქვს ნანახი საზაფხულო დარბაზში — ხის ტოტებიდან. ჩამოვარდნილიც ვარ რამდენჯერმე.

— საკმაოდ მძიმე ბავშვობა გქონიათ, ბატონო დემურ!

— მე ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში გავიზარდე, ახლაც იქ ვცხოვრობ. ძალიან საინტერესო ბავშვობა მქონდა: მუდმივად ჩამოდიოდნენ უცხოელები ქარხანაში და მეც სულ ვკონტაქტობდი ფრანგებთან, გერმანელებთან, არგენტინელებთან. მათთან ვიზრდებოდი და ძალიან ბევრი რამ შევიძინე. ბავშვობიდანვე ვიცოდი, რა იყო დასავლური ცხოვრების წესი, დასავლური მუსიკა და ისიც ვიცოდი, რომ ეს გაცილებით კარგი რამ იყო. ოდესმე, დავწერ კიდეც 50-იანი წლების ქუთაისის შესახებ.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ პოლიტიკოსიც მუდმივ სპორტულ ფორმაში უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ იმ დაპირისპირებებს, რომელიც ხშირად ხელჩართულ ჩხუბში გადადის ხოლმე?

— ალბათ უნდა იყოს. სერიოზულად რომ გითხრათ, თუ აკეთებ იმ საქმეს, რომელიც გავალია, კვირის ბოლოს, ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარზე ხარ. აი, ახლაც, ღამის 11 საათია და კაბინეტში ვარ და ვმუშაობ. ფორმაში უნდა იყო, მაგრამ არა იმისათვის, რომ იჩხუბო, არამედ იმისათვის, რომ დატვირთვას გაუძლო. დღის განმავლობაში, მრავალჯერ გიწევს შენი განწყობის შეცვლა და სხვადასხვა ამპლუაში ყოფნა — სტუმრებთან, კოლეგებთან, ჟურნალისტებთან, რომლებსაც ნაკლებად აინტერესებთ შენი განწყობა და ხალხისათვის საინტერესო პასუხებს ელიან.

— დემურ გიორხელიძეს საზოგადოება საკმაოდ გაწონასწორებულ კაცად იცნობს. ალბათ ამის გამო, კოლეგებიც ყოველთვის უფრო მოკრძალებულად გეპყრობიან. და მაინც — არის თუ არა თქვენში ზღვარი უსამართლობისა და შეურაცხყოფის მოთმენისა, რომლის შემდეგაც იძულებული ხართ, მუშტიც გაიქნიოთ?

— ისეთ რამეს შეეხეთ, რასაც საოცრად ვაფასებ ყველა ადამიანში — გაწონასწორებულობას. ეს თვისება არ უნდა დაკარგო, რადგან ხალხი ხვდება, რა გამოძრავებს — საქმე თუ პირადი ინტერესები და შენც ამის შესაბამისად გეპყრობიან. ამიტომ, მუდამ ვუფრთხილდები ჩემს ყველა ნაბიჯს, სიტყვას. წინ ყოველთვის საქმის ინტერესებს ვაყენებ და არ გამოვდივარ მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურიდან. რაც პარლამენტში ხდება, ამ ჩხუბებს საშინლად განვიცდი. ეს არის ე.წ. нервный срыв და ძალიან მეცოდებიან. აქ ნამდვილად არ ზის უჭკუო ხალხი. სავსებით ნორმალური პარლამენტია, რომელმაც ბევრი რამ აიღო საკუთარ თავზე საიმისოდ, რომ დაპირისპირება ქუჩაში არ გასულიყო. ყველა ცდილობს, ეს დაპირისპირება პარლამენტის შიგნით ჩაკეტოს, მაგრამ ხანდახან ხდება ემოციების ვერშეკავება და მათი წრეგადასული გამოხატვა.

— ხომ არ არის საჭირო პარლამენტის შენობაში სპორტული სექციების გახსნა — ვთქვათ, კრივის, ჭიდაობის, კარატესი?

— ვფიქრობ, ასეც ხდება. ოღონდ, იმ კრივის სავარჯიშო „მსხლის“ როლში ხშირად, პოლიტიკური ოპონენტები არიან. პლენარული სხდომა მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც პარლამენტის ცხოვრება ჰქვია. საკომიტეტო მოსმენებზე, დერეფნებსა და კულუარებში ზოგჯერ უარესიც ხდება. ასე რომ, პარლამენტში ყველა „სპორტული სექცია“ ფუნქციონირებს...

თედო პაატაშვილი:

— ძალიან ბევრია ჯანსაღსულიანი ადამიანი, ჯანსაღი სხეულით, მაგრამ პირიქითაც ხშირად ხდება: გვხვდებიან ჯანსაღი სხეულისა და მახინჯი სულის ადამიანები.

— რამდენად სპორტული წარსული გაქვთ?

— ყოველთვის ვთამაშობდით ფეხბურთს გოგებაშვილის ქუჩაზე, ჩემი სახლის წინ, რაც ახლა შეუძლებელია. დავდიოდი ცურვაზე, 8 წელი — კალათბურთზე, სკოლის ნაკრების წევრიც ვიყავი. ასე რომ, სპორტი ჩემი ბავშვობის წლების ნაწილია.

— ახლა როგორ გაქვთ მოგვარებული ეს საკითხი?

— ახლაც ვახერხებ ხოლმე ცურვით გართობასა და ჩოგბურთის თამაშს. აუცილებლად უნდა შევიძინო მაგიდა, რომ მაგიდის ჩოგბურთიც გავიხსენო: ბავშვობაში ძალიან მიყვარდა.

თედო პაატაშვილი

— „ტარზანობანა“ და „ჩინგაჩგუკობანა“ არ გითამაშიათ?

— „ტარზანობანა“ ჩემი წინა თაობის თამაში იყო და ვიცი, რომ ბავშვები ხეებიდან პანტაპუნტით ცვიოდნენ და იმტვრეოდნენ კიდეც. რაც შეეხება „ჩინგაჩგუკობანას“, „ვინეტუობანასა“ და სხვა „ინდიელობანას“ — სულ ვთამაშობდით. დანების მაგივრად, ფანქრები გვეჭირა ხელში და ახლაც მაქვს ამის ნაკვალევი. საოცრად ვერ ვიტან სვირინგებს და ჩემი ძმის წყალობით, ფეხზე დღემდე შემომრჩა ქიმიური ფანქრის ჩანარჭობი, ლურჯი წერტილი. ეს იმ „ჩინგაჩგუკობანას“ „წყალობაა“ სწორედ.

— თუ გიჩხუბიათ ძმაკაცის ან გოგონას გულისთვის? უბანში საქმეებს თუ არჩევდით ხოლმე?

— ძალიან ბევრჯერ, მაგრამ არ გვეშინოდა, რადგან ვიცოდით, რომ საქმე გაირჩეოდა და სიმართლე გაიმარჯვებდა. დღეს კი, ასეთი ჩხუბი გაცილებით საშიშია, რადგან იმძლავრა აგრესიამ და ყოველ მეორეს იარაღი უდევს ჯიბეში — ე.ი. იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია და არა მართალი. ადრე კი, მუშტი იყო და არა იარაღი. ისიც ყველამ იცოდა, რომ ძლიერი არ შეიძლებოდა ყოველთვის მართალი ყოფილიყო.

— რომ დაინახოთ — ქუჩაში ახალგაზრდები ვინმეს ჩაგრავენ ან გოგონას აყენებენ შეურაცხყოფას, რამდენად აქტიურად ჩაერევით?

— ვერ გეტყვით, ხშირად ვხვდები ასეთ ექსცესს-მეთქი, მაგრამ როცა დამინახავს, გვერდი არასოდეს ამივლია. შეიძლება, რაიმე გამოუსწორებელი მოხდეს.

— პარლამენტარების სპორტული მომზადების საკითხს —

რომ კარგად ნავარჯიშები შეხვდნენ მორიგ ჩხუბს — როგორ შეაფასებდით?

— მზადყოფნაში თუ იქნებიან, ეს კარგია, მაგრამ მარტო სპორტულ ფორმაში ყოფნა და ფიზიკური ვარჯიში არავის უშველის: პიროვნება უნდა იყოს ისეთი, რომ ზედმეტი არავინ აკადროს.

— თქვენ თუ შეგიძლიათ ჩხუბი, თუ მოთმინების ფიალა აგევსოთ?

— ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი... ჯანის უქონლობას არც ახლა ვუჩივი და ჩხუბიც შემიძლია, მაგრამ კარგი რა არის ამაში?! პარლამენტშიც არასოდეს მიჩხუბია, ერთი შემთხვევის გარდა: ამ მოწვევის წინის წინა პარლამენტში МВД რომ შემოიჭრა...

— ზეიკიძეს გულისხმობთ?

— დიახ, მაშინ მქონდა კოლეგებთან ფიზიკურად შეხების პრეცედენტი... ის აგრესიულობა, რაც დღეს ჩვენთან თანდათან აშკარად ჩანს, უკეთესი იქნებოდა, გარეშე მტრისკენ მიგვემართა, ნაცვლად ერთმანეთის ჭამისა, ამ ოკუპაციის პირობებში. დღეს ისეა საქმე, რომ ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შინ რეგისტრირებული იარაღი, რადგან ნებისმიერი მცირე, სეპარატისტული თუ ვითომ არასეპარატისტული დაჯგუფება უფრო შეიარაღებულია, ვიდრე წესრიგის დამცველები და საზოგადოება — განსაკუთრებით საზღვრისპირა რეგიონებში...

— ბატონო თედო, ხომ არ აჯობებს, ხელჩართული ბრძოლის კურსები ჩაგვეტარებინა იმ დეპუტატებისთვის, ვისაც ეს სჭირდება?

— მე ვამჯობინებ, რომ წელიწადში თითო თვე მაინც დაწესდეს საიმისოდ, რომ ჯერ მთავრობამ, მერე პარლამენტმა გაიაროს საბრძოლო პრაქტიკა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, რადგან ასიათასობით დევნილი გვყავს. მათ აქვთ უფლება, მოითხოვონ მშობლიურ მხარეში დაბრუნება, თუნდაც, ძალისმიერი მეთოდით და მერწმუნეთ, მაშინ, უფრო დამთმობი გახდება რუსიც, აფხაზიც და სხვაც...

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

— არიან უზნეო ლამაზებიც და ზნეობრივად ლამაზი მახინჯებიც, მაგრამ მახინჯ სხეულში რომ მახინჯი სულია, ასეთი უფრო ხშირად გვხვდება.

— ამბობენ, ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულთან ერთად, ბავშვობიდანვე ყალიბდებაო. თქვენი სხეულის სიჯანსაღე სპორტის რომელ სახეობაში ყალიბდებოდა, ბატონო ჰამლეტ?

— საკმაოდ პროფესიონალურ დონეზე ვფარიკაობდი და ვთამაშობდი ფეხბურთს, რომელსაც 23-25 წლის ასაკში დავანებე თავი. მერე კულტურიზმმა გამიტაცა. 60-იან წლებში ეს აკრძალული იყო — „კაპიტალიზმის გადმონაშთს“ ეძახდნენ, მაგრამ მეგობრები მაინც ვვარჯიშობდით ჩუმ-ჩუმად.

— რომელი ძალოვანი თამაშები იყო მოდაში თქვენი ბავშვობის წლებში?

— იყო „ლახტი“, „გრძელი ვირი“, „Два удара“. ჩვენც სულ ვთამაშობდით. ასევე კინოფილმების, თამაშად შემოღება ვიცოდით. ზაფხულობით, ოზურგეთში ჩავდიოდი ხოლმე და „ტარზანი“ რომ გამოვიდა, კივილითა და ლიანებზე ქანაობით, ხიდან ხეზე ხტომით ვბაძავდით ვაისმიულერს.

— დღეს როგორ სპორტულ ფორმაში ხართ?

— დღესაც, ყოველდღილით ვვარჯიშობ. სირბილის დრო აღარ მაქვს, მაგრამ შვიდის ნახევარზე ვიღვიძებ და შინ ვვარჯიშობ ხოლმე საათ-ნახევრის განმავლობაში. ბევრი ამტკიცებს, რომ დილით არ შეიძლება ორგანიზმის ასეთი დატვირთვა, მაგრამ მე არანორმირებული სამუშაო დღე მაქვს, ამიტომ საღამოს ვარჯიშის იმედი არა მაქვს და როგორც წესი, დილით ვაკეთებ ამას.

— ქუჩაში ჩხუბი რომ დაგინახავთ, თუ ჩარეულხართ?

— რა თქმა უნდა!.. როცა ამას კაცი აკეთებს, შედეგზე აღარ ფიქრობს — ამ დროს, გონება „გეკეტება“ და აკეთებ იმას, რასაც საჭიროდ თვლი. ხშირად, გამშველებელს მეტი ხვდება, მაგრამ მაინც ვერევი...

— პარლამენტშიც კისრულობთ ხოლმე გამშველებლის ფუნქციას?

— პარლამენტში ნამდვილად არ ვცდილობ გაშველებას, იმიტომ, რომ აქ არავისა აქვს უფლება, იგინოს და მუშტები იქნიოს. როგორც კაკო ასათიანმა თქვა — ჩხუბი მე დამავიწყდა 20 წლის ასაკშიო...

ჰამლეტ ჭიპაშვილი

— მაგრამ რეალური საჭიროება მოითხოვს, რომ პარლამენტარებიც მუდმივ სპორტულ მზადყოფნაში იყვნენ...

— სპორტულ ფორმაში პარლამენტარებიც უნდა იყვნენ და თუნდაც, უმუშევრებიც. თქვენ იცით, რომ ჩვენს ოფისში (აჭარის წარმომადგენლობას ვგულისხმობ), არავითარი დაცვა არ არის. მიუხედავად მომხდარი თავდასხმებისა, კარის დაწვისა, ჩხუბისა, არ გამჩენია შიში და სურვილი დაცვის დაყენებისა. ეს დისკომფორტს შემიქმნის.

— აბა, შეურაცხყოფას ხომ უნდა უპასუხოთ!

— კაცი უნდა ეცადო, არ ჩაიყენო თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ შეურაცხყოფა მოგაყენონ. თუმცა, უსამართლო ლანძღვაც ჩემი მისამართით მომისმენია ტელევიზიითაც, პრესაშიც წამიკითხავს, მაგრამ ამას ისევ იმათ შეუგნებლობასა და უზრდელობას მივაწერ ხოლმე... ხოლო თუ ბოლოს და ბოლოს, მართლა გამომიყვანენ წონასწორობიდან, ხელის გაქნევაც კარგად შემიძლია.

— ...მაგრამ ვისაც არ შეუძლია, მათთვის ხომ არ გაგვეხსნა მანდვე, პარლამენტის შენობაში, დარბაზი, სადაც სხვადასხვა ძალოვან სახეობაში მოემზადებოდნენ?

— თავ-პირი კარგად რომ დაამტვრიონ ერთმანეთს?.. ცნობილია იაპონური წესი: დიდ კორპორაციებში არსებობს სპეციალური ადგილები, სადაც დგას ხელმძღვანელების ფიტულები და ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია, ამ ფიტულზე იყაროს ჯავრი. ალბათ ჩვენთან, პარლამენტში, 200-ზე მეტი ფიტული უნდა დავაყენოთ...

— როგორ ფიქრობთ — ვისი ფიტული იქნება „ცვეტში“?

— არ დავაკონკრეტებ, მაგრამ ბევრ დეპუტატს ხშირად მოუწევდა საკუთარი ფიტულის განახლება.

P.S. გადასარევი აზრია ფიტულების შემოღება, მაგრამ ჩვენი პარლამენტარების ამბავი რომ ვიცი, ახლა, ბევრი, სიის ამოკითხვის დროისთვის მაინც მოდის ხოლმე და ფიტულები თუ დაიდგა, დარბაზში შეიძლება, ერთი ცოცხალი დეპუტატიც აღარ გამოჩნდეს და მხოლოდ ფიტულების „კვორუმია“ შეგვრჩება...

■

დაფუძნდა ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმი

27 თებერვალს, ბრწყინვალე ქართველი მოცეკვავისა და ბალეტმეისტერის ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 93 წელი შესრულდა. სწორედ ამ დღისთვის დასრულდა გამოჩენილი ხელოვნის სახლ-მუზეუმის ოფიციალური დაფუძნება.

დავით ჯანგველაძე, სახლ-მუზეუმის დირექტორი:

— ვახტანგ ჭაბუკიანი განსაკუთრებული მოვლენა იყო მსოფლიო ბალეტის ისტორიაში. მან დაამკვიდრა ახალი მიმართულების გმირული მამაკაცური ბალეტი. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ საყოველთაო აღიარებისა და ავტორიტეტის მქონე ჭაბუკიანმა უარი თქვა უცხოეთიდან მიღებულ ბევრ მიწვევაზე, მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მშობლიურ ქვეყანასა და მშობლიურ თეატრს მოახმარა. ჭაბუკიანი იყო პირველი, ვინც მსოფლიოს გააცნო ქართული საბალეტო ხელოვნების შედევრები, სადაც მისი ყველა გამოსვლა ანშლაგით მიმდინარეობდა.

სახლ-მუზეუმის საბოლოოდ დაფუძნების შედეგად, ბატონი ვახტანგის შემოქმედების თაყვანისმცემლებს საშუალება მიეცემათ, გაეცნონ მის სახელოვან გზას. ამჟამად მუზეუმში მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები მისი კუთვნილი ნივთებისა, რომელიც მუზეუმს დაუტოვა ჭაბუკიანის დისშვილმა, თამარ გორდონმა.

საბიუჯეტო სახსრებით ვერ ხერხდება ჭაბუკიანის შემოქმედების ამსახველი დიდი დარბაზის გახსნა, ამიტომ ჯერ, მხოლოდ ორი მემორიალური ოთახი გაიხსნება. ეს ცეკვის საერთაშორისო დღისთვის — 29 აპრილისთვის გვაქვს დაგეგმილი.

აქვე მინდა ვთქვა, რომ საქართველომ მსოფლიოს საბალეტო ხელოვნებას მისცა ორი უდიდესი ხელოვანი, საბალეტო ხელოვნების ორი რეფორმატორი: ვახტანგ ჭაბუკიანი — ქართული ეროვნული ბალეტის ფუძემდებელი და ჯორჯ ბალანჩინი — ამერიკის შეერთებული შტატების ბალეტის ფუძემდებელი. ამერიკელებმა ყველაფერი გააკეთეს ჯორჯ ბალანჩინის სახელის უკვდავსაყოფად. ჩვენ ბატონი ვახტანგი თეატრიდან გულნატკენი გავუშვით... დღეს საშუალება გვეძლევა, რომ ნაწილობრივ მაინც გამოვასწოროთ საკუთარი დაუდევრობა და უყურადღებობა.

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთ ღონისძიებებში ხელისუფლებასთან ერთად, მთელი საზოგადოება მონაწილეობს, განსაკუთრებით — მეწარმეთა წრე. სამუშაოს მოცულობა მნიშვნელოვანია, მოსაძიებელია, შესაძენია მისი პირადი ნივთები, მსოფლიოში გაბნეული მასალები, კინოფირები, ფოტოსურათები და მრავალი სხვა... ■

ნანიკო ხაზარაძის მორიგი რეისი მოსკოვიდან თბილისისკენ ნათესავებისა და მეგობრების მონატრებითაა გამოწვეული. მისი ბოლო ჩამოსვლის შესახებ არავინ იცოდა. პოპულარულ ტელეწამყვანს ძალიან უყვარს სიურპრიზები. ჩვეულებას ამჯერადაც არ ულალატა და დედაქალაქში უჩუმრად „ჩამოიპარა“. „ქუჩაში რომ არ გამოვსულიყავი და მეგობრებისთვის არ დამერეკა, ვერავინ გაიგებდა, რომ ჩამოვფრინდი“, — მითხრა მან. ასევე უჩუმრად მოხდა ნანიკოს დაქორწინებაც. მას მოჰბეზრდა მორიდებული ქართველი ქალის ამპლუაში ყოფნა და საყვარელ მამაკაცს მოსკოვში ესტუმრა ანუ, უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ — გათხოვდა.

როგორ ცხოვრობს ნანიკო ხაზარაძე მოსკოვში? ვინ არის მისი მეუღლე? ამ და სხვა საინტერესო შეკითხვებზე პასუხებს ტელეწამყვანის ინტერვიუდან შეიტყობთ.

თბილისში მოულოდნელად ჩამოსულ ნანიკო ხაზარაძეს თავი ქვისგულიანი არსება ჰქგონია

ნინო მურღულია

— ლევანიკო ნუცუბიძე — ანუ ჩემი მეუღლე — ქობულეთში გავიცანი 4 წლის წინ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ყველაფერი იქ დაიწყო. ლევანი მოსკოვში ცხოვრობდა და მუშაობდა, თბილისში თითო კვირით ჩამოდიოდა ზაფხულსა და ზამთარში. ასე რომ, ჩვენი ურთიერთობა, ძირითადად, ტელეფონის საშუალებით გრძელდებოდა. მაშინ „ჯეოსელში“ ვმუშაობდი და მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ამ ორგანიზაციას გაწეული დახმარებისთვის!..

— ნანუკა, მოსკოვში გამგზავრებამდე საკმაოდ პოპულარული ტელეწამყვანი იყავი. შემაწუხებელი ხომ არ არის, განუწყვეტლივ თაყვანისმცემლების ყურადღების ცენტრში ყოფნა?

— არა, ამას არასოდეს გავუღიზიანებივარ. პირიქით, ძალიან სასიამოვნოა, როცა გცნობენ. ჩემი ტელეფონი დღემდე არ ჩერდება, გამუდმებით მირეკავენ თაყვანისმცემლები. იცი, თბილისში განსხვავებული, დადებითი ენერგია და მუხტი მავსებს. ქუჩაში გავლისას მცნობენ, მიღიმიან. აქ ვგრძნობ, რომ ვიღაცას ვჭირდები. თავს უფლებას არ ვაძლევ, რომ მოუწესრიგებელი გამოვიდე შინიდან. მოსკოვში არავინ ხარ, ქუჩაში გამოდიხარ და ხვდები, რომ არავის არაფერში სჭირდები. არავის აინტერესებს, რა გაცვია, როგორი ფერის თმა გაქვს. უზარმაზარ მასაში იკარგები, სრულიად შეუმჩნეველი ხარ.

— რას საქმიანობთ მოსკოვში შენ და შენი მეუღლე?

— მე არ ვმუშაობ. ლევანიკო საქმიანობს მოსკოვურ ორგანიზაციაში „Face Fashion“. ის გარკვეულწილად, ითავსებს პროდიუსერის ფუნქციებს — უკავშირდება დიჯეებსა და მათ პროდიუსერებს, სააგენტოებისთვის გოგონებს არჩევს. „Face Fashion“ აწყობს ფესტივალებსა და კონცერტებს. ეს შემოსავლიანი სამსახურია. ლევანიკო ფოტორომანზეც მუშაობს ჟურნალ „Молоток“-ში. მთლიანობაში, მისი ხელფასი გვყოფნის, თუმცა, ჩემი მეუღლის შემოსავლით თბილისში უზრუნველად ვიცხოვრებდით. მოსკოვში ნაგირავებ ბინაში ვცხოვრობთ. მუშაობის დაწყება მეც ვცადე — ტელეარხზე „ჩთჩ“. ერთ-ერთი გადაცემისთვის იუმორისტული სიუჟეტების მომზადება დამავალეს, მაგრამ ძალიან რთულია ქართველისთვის რუსული იუმორის კეთება. ამიტომ, წამოვედი სამსახურიდან და ახლა შინ ვზივარ. ჰოდა, სტუმრები მოდიან ჩემთან ან მე მივდივარ მათთან. ეს არის ჩემი ძირითადი საქმიანობა.

— ალბათ რუსი მეგობრებიც გყავს. მათთან ურთიერთობისას რაიმე სირთულეს ხომ არ წააწყდი?

— არანაირი ბარიერი არ ყოფილა ურთიერთობისას. ერთადერთი, ენაა განსხვავებული. ქართველებსა და რუსებს ერთმანეთთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ. ხალხი ისეთი გაფაციცებით არ უყურებს საინფორმაციო გადაცემებს, რომ ქართველების წინააღმდეგ დაწყებული კამპანიით მოიწამლოს. მოსკოველები დიდი სიამოვნებით დადიან რობერტ სტურუას სპექტაკლებზე, „სუხიშვილების“ კონცერტებიც სულ ანშლაგებით მიმდინარეობს ხოლმე. იქ ყველასთვის სათაყვანებელი ქართველები მოღვაწეობენ.

— იქაურ ქართველებთან თუ გაქვს ხშირი კონტაქტი?

— რასაკვირველია. სხვათა შორის, მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო. მოსკოვში რომ ჩავედი, თიკა კანდელაკს დავურეკე. ყურმილი რუსმა ქალმა აიღო. ვთხოვე, თიკას დაუძახეთ-მეთქი. — მე ვარო,— მიპასუხა. მექანიკურად საუბარი ქართულად განვაგრძე. ჩემდა გასაოცრად, თიკამ თთხოვა: თუ შეიძლება, რუსულად მელაპარაკე, დიდი ხანია, რუსულ გარემოში ვცხოვრობ და ქართული დამავიწყდა, ამის გამო ბევრი მეგობარი დავკარგეო... ძალიან გამიკვირდა.

— შენი წასვლა ტელევიზიიდან და საქართველოდანაც ძალიან მოულოდნელად მოხდა...

— სანამ ვიზა არ მივიღე და ბილეთი არ ვიყიდე, არავისთვის მითქვამს, რომ წასვლას ვაპირებდი. ორი კვირით ადრე შევატყობინე ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას; მათაც ძალიან გაუკვირდათ. არავინ მიჯერებდა, ბოლოს კი აეროპორტში მოვიდნენ და გამაცილეს. ბილეთი მხოლოდ მოსკოვის მიმართულებით მქონდა ნაყიდი. რამდენიმე ხნის შემდეგ, მამუკა ღლონტმა უკან დასაბრუნებელი ბილეთი გამომიგზავნა და ასე ჩამოვედი თბილისში. უმალ ეთერში მიკრეს თავი (იცინის). მერე ისევ გავემგზავრე.

— „მაესტროში“ თუ აპირებ დაბრუნებას?

თავლიების დედა პაპიმარი შვილების დასოცვაში ოჯახის ახლობელსაც აღანაშაულებს

2002 წლის 22 ნოემბერს, თბილისის №5 საპყრობილის ერთ-ერთ საკანში, 21 პატიმრის თვალწინ, ძმები – ილია და კობა მიქელთაძეები, პისტოლეტით ჩაცხრილეს. პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობა ასევე პატიმარმა – ზვიად სახამბერიძემ ჩაიდინა. სახამბერიძესა და მიქელთაძეებს უზენაესი სასამართლო იმ პერიოდში ერთად ასამართლებდა.

22 ნოემბერს, პარასკევს, სასამართლო სხდომა განსასჯელთა ადვოკატების გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. ბადრაგის თანამშრომლებმა პატიმრები – მიქელთაძეები, სახამბერიძე და კიდევ ერთი განსასჯელი – ავთანდილ კერვალიშვილი (მას ამ უკანასკნელებთან ერთად ასამართლებდნენ), №5 საპყრობილეში საღამოს 6 საათისთვის მიიყვანეს. დაახლოებით ორ საათში, საკანში მყოფ პატიმრებს შორის საქმის გარჩევა მოხდა. როგორც ამბობენ, სწორედ ამ დროს, სახამბერიძემ მიქელთაძეებს პისტოლეტიდან ესროლა.

კობა მიქელთაძე ადგილზევე გარდაიცვალა, მისმა ძმამ – ილიამ კი, ციხის საავადმყოფოში მხოლოდ რამდენიმე დღე იცოცხლა. ზვიად სახამბერიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მასთან ერთად ციხის იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხიც წამოჭრა, რომელთაც შემთხვევის დღეს საპყრობილეში წესრიგის დამყარება და სიტუაციის გაკონტროლება ევალებოდათ. პროკურატურის ინფორმაციით, სახამბერიძემ მკვლელობა აღიარა, თუმცა დანაშაულის მოტივთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დაუზუსტებელი რამდენიმე ვერსია არსებობს.

ილია და კობა მიქელთაძეებს თავლიებს ეძახდნენ. ისინი რამდენჯერმე იყვნენ ნასამართლევები. შემჩნეულები გახლდნენ სხვადასხვა დანაშაულში, თუმცა ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, ძირითადად, ყაჩაღობდნენ. როგორც ამბობენ, შავ სამყაროში მათ, როგორც მეტად თავზეხელაღებულ დამნაშავეებს, ისე იცნობდნენ და მეტსახელი – თავლიებიც ამიტომ შეარქვეს. ამ

ინფორმაციას მიქელთაძეების ნათესავები არ ადასტურებენ. მათი თქმით, მეტსახელის მიზეზი ის იყო, რომ ილიას თავზე ოპერაცია გაუკეთეს, თავის ქალის ერთ ნაწილში პლასტმასი ჩაუდგეს და თავღიაც ამის გამო უწოდეს, შემდეგ კი, ამ სახელით მის ძმას – კობასაც მიმართავდენ.

ერთ-ერთი ვერსიით, ძმების მკვლელობის განკარგულება ციხეში ქურდებმა გასცეს. სხვა ინფორმაციით, ზვიად სახამბერიძეს მიქელთაძეებმა თავიანთი მეგობრის, ასევე პატიმრის – ავთანდილ კერვალიშვილის (მეტსახელად ნიკელას) მოკვლა დაავალეს. თუ სახამბერიძე ამ დავალებას არ შეასრულებდა, მაშინ ძმები მუქარას განახორციელებდნენ და თავად მას გაანადგურებდნენ. ნიკელას მოსაკლავად სახამბერიძეს იარაღი თავად მისცეს. ეს უკანასკნელი ნიკელასთან მეგობრობდა, ერთ საკანში ცხოვრობდნენ და სახამბერიძემ ამის გამო, მისი მოკვლა ვერ შეძლო. მიქელთაძეებთან ერთად შემუშავებული გეგმის ნაცვლად, ძმებს თავის საკანში უხმო (იქვე იყო ნიკელაც) და პისტოლეტით თავად ისინი ჩაცხრილა.

გარდაცვლილების დედას – ნუნუ მიქელთაძეს ამ ვერსიების ნაკლებად სჯერა. ის სამართალდამცავებისგან სიმართლის დადგენას მოითხოვს, პირველ რიგში კი, აინტერესებს გაირკვეს – საიდან მოხვდა ციხეში პისტოლეტი და ვის ეკუთვნოდა ის?

ნუნუ მიქელთაძე:

„ილია 32 წლის იყო, კობა – 30-ის. იმ დღეს თუ რამე დაემართებოდათ, ვერაფრით ვიფიქრებდი. სასამართლოში სხდომა რომ გადაიდო, ბადრაგმა სხვა პატიმრებთან ერთად, ჩემი შვილებიც ციხეში წაიყვანა. მიყვანიდან რამდენიმე წუთში, ილიას და კობას მეც შევხვდი, პაემანი მქონდა მათთან ციხეში, ოფიციალურად. ოჯახის წევრების გარდა, სხვა ნათესავებიც მახლდნენ, ყველანი ერთად ვიყავით მათ სანახავად მისულები. გამოვიდნენ. განსაკუთრებულად კარგ ხასიათზე იყვნენ, ძალიან თბილად მეპყრობოდნენ. ხან ერთი მიჯდებოდა კალთაში პატარა ბავშვივით, ხან – მეორე. კანფეტებს საკუთარი ხელით მაჭმევდნენ და მეფერებოდნენ. არც აფორიაქება, არც უცნაური გამომეტყველება ან დაძაბულობა არ შემინიშნავს მათთვის. საღამოს 8 საათისთვის, უკვე შინ დავბრუნდი. ცოტა ხანში ტელეფონმა დარეკა და მითხრეს, ილია ცუდადაა და ციხის საავადმყოფოშია გადაყვანილიო. რა თქმა უნდა, მაშინვე შვილის სანახავად წავედი. როცა მივედი, სისხლის გადასხმებს უკეთებდნენ, მეუბნებოდნენ – პატიმართან შელაპარაკება მოუხდა და ცეცხლსასროლი იარაღითაა დაჭრილი, არ ინერვიულოთ, საშიში არაფერიაო. მეორე შვილი – კობა რომ მოვიკითხე, მითხრეს – ის „კრიტშია“ გადაყვანილიო. მომატყუეს, თურმე უკვე მკვდარი ყოფილა. ასე მოტყუებით შინ წამიყვანეს. მხოლოდ მაშინ მითხრეს სიმართლე. თერთმეტი დღის შემდეგ, ილიაც გარდაიცვალა...“

ილია მიქელთაძე ქალაქ სამტრედიაში ცხოვრობდა. მას ცოლი და ორი შვილი დარჩა. ოფიციალურად არსად არ მუშაობდა, იყო საშუალო განათლების მქონე. ჰქონდა რამდენიმე ნასამართლეობა – ყაჩაღობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გაქცევისათვის. ბოლოს ციხიდან, ქალაქ ქუთაისის №2 საპყრობილიდან ის სწორედ ზვიად სახამბერიძესთან ერთად გაიქცა.

კობა მიქელთაძეც ასევე ცოლშვილიანი და წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი გახლდათ. ისიც სამტრედიაში ცხოვრობდა. რაც შეეხება, ზვიად სახამბერიძეს, ის ქუთაისელია. პროკურატურა არაერთხელ ნასამართლევ სახამბერიძეს, მიქელთაძეებთან ერთად ჩადენილი ყაჩაღობის გარდა, ნარკოტიკების შეძენაში, შენახვასა და ექიმის დანიშნულების გარეშე მათ მოხმარებაშიც ადანაშაულებს.

1958 წელს დაბადებული ავთანდილ კერვალიშვილი, ზემოთ ხსენებული პირების მსგავსად, ასევე რამდენჯერმეა ნასამართლევი. ცოლშვილიანია და დაპატიმრებამდე ქუთაისში ცხოვრობდა. კერვალიშვილს, იმავე ნიკელას, პროკურატურა ამჯერად პოლიციის თანამშრომლის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ – განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში ადანაშაულებს. აღსანიშნავია, რომ იმავე პოლიციელის მკვლელობაში სამართალდამცავებმა ილია მიქელთაძეც დაადანაშაულეს. ნიკელასა და ძმებ მიქელთაძეებს, როგორც დღეს ამ უკანასკნელთა ნათესავები აღნიშნავენ, ერთმანეთთან განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. *„ნიკელას კობას ბავშვი უნდა მოენათლა. ისე იყვნენ დაახლოებულები, რომ დანათესავებაც კი გადაწყვიტეს, არ მესმის, ამის შემდეგ მათ შორის რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ერთმანეთი მოსაკლავად რომ გაემეტებინათ,“* – დასძინა ჩვენთან საუბრისას მოკლულების დედამ – ნუნუ მიქელთაძემ. რაც შეეხება გარდაცვლილი ილია მიქელთაძის ქვრივს – თამარ ზამთარაძეს, მას თავდაპირველად ნიკელას მიმართ განსაკუთრებული ეჭვები ჰქონდა და აცხადებდა, რომ ქმარი და მაზლი მას, შესაძლოა, სწორედ მან მოუკლა. მოგვიანებით, თამარ ზამთარაძემ დასძინა, რომ ამაში დარწმუნებული არ არის. *„ეჭვი ყველაზე მაქვს, ვინც იმ დღეს საკანში იყო. ნიკელაზე ასე იმიტომ ვიფიქრე, რომ მკვლელობის წინა დღეს ტელეფონით მესაუბრა და ილიაზე გაბრაზება შევატყვე. კონკრეტული ჩემთვის ნიკელას არაფერი უთქვამს, მაგრამ მასთან საუბრისას მივხვდი, რომ ჩემს ქმარზე ნაწყენი იყო“*, – აღნიშნა თამარ ზამთარაძემ.

ნუნუ მიქელთაძე:

„ზვიად სახამბერიძე ჩემი შვილების მოკვლას მარტო ვერ გაბედავდა. ცხადია, ამ საშინელი განზრახვის განხორციელებაში მას ნიკელამაც დაუჭირა მხარი. მასაც იგივე რომ არ ჰქონოდა ჩაფიქრებული, მაშინ სახამბერიძეს ხელს აუცილებლად შეუშლიდა, მკვლელობის მომენტში იქ იყო და რამეს მოახერხებდა. ამ საშინელებას კამერაში 21 კაცი ესწრებოდა და როგორ მოხდა ისე, რომ ვერც ერთმა ვერ შეძლო ჩემი შვილების მკვლელისთვის ხელის შეშლა? დღეს გამწარებული დედა ვარ, ორივე შვილი მომიკლეს და შურისძიების მეტი არაფერი დამრჩენია“.

ძმები მიქელთაძეების მკვლელობის გამო, უზენაეს სასამართლოში, კერვალიშვილისა და სახამბერიძის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა დროებით შეჩერდა. ამჟამად სასამართლო კოლეგიის წინაშე, განსასჯელის სკამზე მხოლოდ ავთანდილ კერვალიშვილი ზის. მიქელთაძეების ნათესავების ეჭვებს მისი მხრიდან ძმების მკვლელობის ხელშეწყობის შესახებ, ის კატეგორიულად უარყოფს. ხოლო რაც შეეხება იმ ბრალდებას, რისთვისაც მას ამჟამად უზენაესი სასამართლო ასამართლებს, ამის თაობაზე ჯერჯერობით ჩვენება არ მიუცია. თუმცა, სასამართლო სხდომაზე უკვე არაერთხელ წამოიძახა, რომ პოლიციელისთვის მას არ უსვრია. პროკურატურამ მკვლელობის მუხლი კერვალიშვილსაც მიუყენა, თუმცა საბრალდებო დასკვნაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ პოლიციელს ილია მიქელთაძემ ესროლა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გამოძიებით დაუდგენელ დროს, ილია და კობა მიქელთაძეები ავთანდილ კერვალიშვილს დაუკავშირდნენ. 2001 წლის 10 ივნისს კერვალიშვილმა ისინი ქალაქ სამტრედიაში მცხოვრებ თავის ნათესავთან – გურამ გაგუასთან მიიყვანა სტუმრად. მიქელთაძეებმა და კერვალიშვილმა, გაგუებისაგან ფარულად, ოჯახში ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები მიიტანეს და შეინახეს. მესამე დღეს, მათი გაგუების საცხოვრებელ სახლში ყოფნის შესახებ პოლიციის თანამშრომლებმა შეიტყვეს და დაახლოებით საღამოს 5 საათზე, მათ დასაკავებლად სპეცრაზმელების თანხლებით გამოცხადდნენ.

დაახლოებით 15 წუთში, გაგუების სახლის ეზოში ჩასაფრებულმა პოლიციელებმა შემთხვევით გარეთ გამოსული კობა მიქელთაძე დააკავეს. სახლში მყოფმა ჯანიკო, მაკა და მამუკა გაგუებმა, ავთანდილ კერვალიშვილმა, ილია მიქელთაძემ და მისმა მეუღლემ თამარმა შენიშნეს, რომ პოლიციელთა ალყაში იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, მათ მეზობლის ეზოში – თევზაძეების საცხოვრებელ სახლში გადასვლა და იქ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა მოახერხეს. ამ მომენტში ილია მიქელთაძე ავტომატიდან უმისამართოდ ისროდა. ამის გამო, პოლიციელებმა მათი დაკავება ვერ შეძლეს. მიქელთაძე და მასთან ერთად მყოფი პირები თევზაძეების სახლში გადავიდ-

განსასჯელი ავთანდილ კერვალიშვილი და მისი ადვოკატები

ნენ, მაგრამ მათ იქ პოლიციის ორი თანამშრომელი – შალვა ჯღამაძე და ვლადიმერ ბოლქვაძე დახვდათ.

პოლიციელებმა, როცა ნახეს, რომ მიქელთაძე ავტომატიდან ისროდა, თევზაძეების სახლიდან გაქცევა დააპირეს. ჯღამაძე ეზოში გავარდა, ბოლქვაძემ კი იფიქრა, რომ მიქელთაძემ ის ვერ შენიშნა და სახლის უკანა კარისკენ გაიქცა. სწორედ ამ მომენტში ილიამ მას ავტომატიდან ზურგში ესროლა და სასიკვდილოდ დაჭრა. ბოლქვაძე იქვე, კართან წაიქცა. მიქელთაძემ და კერვალიშვილმა დაჭრილი აღარ გაუშვეს. მათ ასევე მძევლად აიყვანეს თევზაძეების ოჯახის წევრებიც – ცოლ-ქმარი თამაზ და ვენერა თევზაძეები და მათი მცირეწლოვანი შვილიშვილი – გიორგი. მძევალთა გათავისუფლების სანაცვლოდ, ისინი პოლიციელებისგან ხელშეუხებლობას მოითხოვდნენ.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, დაჭრილ ბოლქვაძეს ილია მიქელთაძე და ავთანდილ კერვალიშვილი მთელი საათ-ნახევრის მანძილზე განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ. ამ ხნის განმავლობაში, პოლიციელები მათთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, ბოლოს, შემთხვევის ადგილას მიქელთაძეების დედა მიიყვანეს და სთხოვეს, შვილისთვის ერჩია, პოლიციას დანებებოდა. ნუნუ მიქელთაძემ, როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ეს მოახერხა. ილია მიქელთაძემ და ავთანდილ კერვალიშვილმა დაჭრილი პოლიციელი გაათავისუფლეს. ვლადიმერ ბოლქვაძე მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა სამედიცინო დახმარების მიუხედავად, ის 14 ივნისს, ღამით გარდაიცვალა.

საბრალდებო დასკვნაში მოყვანილ დეტალებს ილია მიქელთაძის ქვრივი – **თამარ ზამთარაძე** არ ადასტურებს: *„შემთხვევის ადგილას მეც ვიყავი და ყველაფერს კარგად ვხედავდი. ილიას, პოლიციელების მისამართით ერთხელაც არ გაუსვრია, ის ყოველთვის მაღლა, ცაში ისროდა.*

იმ დილით, სახლიდან პირველი კობა გავიდა. პოლიციელების მოსვლის შესახებ მან არაფერი იცოდა. უბრალოდ, გარეთ გასვლა მოუნდა და თქვა – ეზოს გადავხედავო. მე დავინახე, კობა როგორ დაიჭირეს, მაშინვე ვუთხარი ჩემს ქმარს – ეზოში პოლიციაა-მეთქი. – შენ რა იცი? – მკითხა. შევხედე, ალყაში ვართ, ეზოში არიან ჩამსხდრები-მეთქი, – ვუპასუხე. კობას დაკავების შესახებ არაფერი მითქვამს, რადგან ბავშვიც იქვე მყავდა, ეძინა და შემეშინდა, ილიას პირდაპირ იქიდან არ დაეწყო სროლა. მძინარე ბავშვს ხელი ვტაცე და მაშინვე დანარჩენებთან ერთად, თევზაძეების ოჯახში გადავედი. ილიაც და ნიკელაც ისროდნენ. ჩემი ქმარი ზემოთ, ნიკელა კი – პოლიციელების მიმართულებით. სროლები მაქსიმუმ ხუთ წუთს გაგრძელდა.

ჩემს ქმარს თუ ბოლქვაძის განზრახ მკვლელობაში ედებოდა ბრალი, საქმის სასამართლო განხილვის დაწყებამდე არ ვიცოდი. პროკურატურის არც ერთ თანამშრომელს ჩემთვის არ მოუკითხავს და არ უთხოვია – შენ შემთხვევის ადგილას იყავი და რა მოხდა იქ, გვითხარიო. ამიტომაც გამოძიებას ჩემი ჩვენება არ ჰქონია. არც ილიას უთქვამს ჩემთვის ამის შესახებ რაიმე. ციხეში ვხვდებოდი მას, მაგრამ ყოველთვის ბავშვები მახლდნენ, მათი თანდასწრებით კი ამ თემაზე საერთოდ არ ვსაუბრობდით“.

განსასჯელი ავთანდილ კერვალიშვილი (ნიკელა)

თამარ ზამთარაძემ და ნუნუ მიქელთაძემ საქმეში ილია მიქელთაძის რეაბილიტაცია მოითხოვეს და ამჟამად, უზენაესი სასამართლო აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით მის ბრალეულობასაც განიხილავს. ილია მიქელთაძის ინტერესების დამცველი ადვოკატის თქმით, გამოძიებას გარკვეული არა აქვს ზუსტად, რომელი ავტომატიდან გასროლის შედეგად დაიღუპა ავთანდილ ბოლქვაძე. „არც ისაა დადგენილი, საერთოდ რამდენი იარაღი ჰქონდათ მათ იქ და რომელს რომელი ავტომატი ეჭირა ხელში. ამასთან დაკავშირებით კი, სათანადო დასკვნა სასამართლომ უნდა გააკეთოს“, – აღნიშნა ადვოკატმა.

სასამართლო პროცესზე ამჟამად მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს. სხდომებს მიქელთაძეების დედაც ესწრება. როგორც გვითხრა, ამის ერთადერთი მიზეზი ნიკელაა. „ჩემი შვილების მკვლელობის საქმიდან თავს იძვრენს და არ მინდა, ამ საქმეშიც იგივე მოხდეს“, – გვითხრა მან.

■



გრიპმა
რომ ვერ შეგვაშინოს

პოლიციელი ყაჩაღებთან ბრძოლას შეეწირა

2001 წლის 11 დეკემბერს, საღამოს 8 საათისთვის, ქარელის რაიონის სოფელ რუისთან, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, პისტოლეტითა და თოფით შეიარაღებული ორი პიროვნება ქუთაისი-თბილისის მარშრუტის მიკროავტობუსს დაესხა თავს. მათი მიზანი მგზავრებისთვის ნივთების წართმევა იყო. დაყაჩაღების დროს, გადაჭრილლულიანი თოფით შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა მიკროავტობუსში მყოფი, ქუთაისის რეგიონული სატრანსპორტო პოლიციის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი, ლეიტენანტი – ნესტორ (ნუკრი) სანიკიძე მოკლა.

ნუკრი სანიკიძე იმ დღეს აღნიშნული მიკროავტობუსით მგზავრობდა. მას ფორმა არ ეცვა და არც ბოროტმოქმედებმა იცოდნენ, პოლიციელი თუ იყო. თავდამსხმელთა დასაშინებლად სანიკიძემ, მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემული ტაბელური, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო და ბოროტმოქმედებს ურჩია, განზრახვაზე ხელი აეღოთ. როცა ამ უკანასკნელებმა დანაშაულის ჩადენა მაინც განაგრძეს, სანიკიძემ პისტოლეტიდან გაისროლა. ტყვიამ ერთ-ერთი დამნაშავე ფეხში დაჭრა. მაშინ მეორემ, სანიკიძეს თოფი დაუმიზნა და ახლო მანძილიდან ესროლა. ტყვია პოლიციელს გულმკერდის არეში მოხვდა. ამის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა მგზავრები გაძარცვეს, სანიკიძის პისტოლეტსაც დაეუფლნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დაჭრილი პოლიციელი ყაჩაღების გაქცევის შემდეგ საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ის მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

საქმე კარგა ხანს გაუხსნელი იყო. მოგვიანებით, ერთ-ერთი დამნაშავის ვინაობა დაადგინეს. ის სხვა დანაშაულისთვის ძებნილი – ამირან ბუზიაშვილი აღმოჩნდა. რაც შეეხება მეორე ბოროტმოქმედს, პროკურატურის ინფორმაციით, ის ქალაქ ხაშურში მცხოვრები, 1972 წელს დაბადებული გიორგი ჩადუნელია. იგი ადრე, უზენაესი სასამართლოს მიერ იყო გასამართლებული, მისჯილა 5 წელი, თუმცა ვადამდე გათავისუფლდა. ჩადუნელი და ბუზიაშვილი ნათესავები არიან.

საქმის მასალების მიხედვით, 2001 წლის 11 დეკემბერს, ორივენი ზემოთ აღნიშნულ მიკროავტობუსში ჩასხდნენ, ცოტა ხანში კი, ბუზიაშვილმა მძღოლს – ავთანდილ მარაქველიძეს სთხოვა, ავტომანქანა გაჩერებინა. ამის შემდეგ, ის მიკროავტობუსს წინ გადაუდგა, „მაკაროვის“ სისტემის იარაღი ამოიღო და მძღოლი მუქარით აიძულა ავტობუსიდან გადასულიყო, მგზავრებს კი, ფული და ძვირფასი ნივთები მოსთხოვა. ამასობაში, გიორგი ჩადუნელმაც ამოიღო თავისი გადაჭრილლულიანი თოფი და მგზავრებს დაემუქრა. სწორედ ამ დროს გაისროლა პისტოლეტიდან მგზავრებს შორის მყოფმა სანიკიძემ. ჩადუნელმა ძირს დავარდნილი ბუზიაშვილი რომ დაინახა, სანიკიძის მოკვლა განიზრახა და მას ტყვია ესროლა.

გიორგი ჩადუნელმა სანიკიძის განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ ცნო, თუმცა აღნიშნა, – მას მხოლოდ იმის შიშით ვესროლე, რომ ჩემთვისაც არ ესროლაო. სახელმწიფო ბრალმდებელმა ჩადუნელისთვის 25 წლით, ხოლო ბუზიაშვილისათვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

ჩადუნელის ინტერესების დამცველი ადვოკატი მიიჩნევს, რომ 25 წლის მანძილზე ციხეში ვდღომა მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის მეტისმეტად მძიმე სასჯელი იქნება. სასამართლოს კოლეგიას მან სთხოვა, ჩადუნელს 109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) 108-ით (განზრახ მკვლელობა) გადაუკვალიფიციროს, რის შედეგადაც, სასჯელიც შეუმსუბუქდება. ადვოკატის თქმით, საამისო საფუძველი საქმის მასალებში ნამდვილად მოიპოვება. ■

გორში ყაჩაღური ბანდის წევრები დააკავეს

25 თებერვალს, შიდა ქართლის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთ-ერთი კრიმინალური ბანდის სამი წევრი დააკავეს. ბანდა ადგილობრივ მოსახლეობაზე ყაჩაღურ თავდასხმებშია შემჩნეული. იოსებ ქუმარიტოვი, ავთანდილ მომცემლიძე და ირაკლი გაგნიძე, სამართალდამცავთა ცნობით, სწორედ ამ კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან. პროკურატურის ინფორმაციით, ისინი ერთ-ერთმა დაზარალებულმა ამოიცნო. როგორც ამბობენ, ზემოთ ხსენებული პირები მოქალაქეებს შებინდებისას ესხმოდნენ თავს და მათ ფულს და პირად ნივთებს სძალავდნენ.

ავთანდილ მომცემლიძესა და იოსებ ქუმარიტოვს გორის რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა. რაც შეეხება ირაკლი გაგნიძეს, ის არასრულწლოვანია და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. ■

პანკისში 42 წლის „ნარკობარონი“ დააკავეს

რამდენიმე დღის წინ, შს კახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, პანკისის ხეობის სოფელ ღუისში, 42 წლის ადამ თათიაშვილი დააკავეს. სამართალდამცავთა ცნობით, თათიაშვილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციაშია ეჭვმიტანილი. დაკავებულის მიერ ჩადენილ დანაშაულს ამჟამად უშიშროების საგამოძიებო განყოფილებაში არკვევენ, თუმცა, როგორც ამბობენ, ის ერთადერთი არ არის და პანკისის ხეობაში ნარკოტიკებით ვაჭრობას ბევრი სხვა დამნაშავეც თავისუფლად ახერხებს. ■

ამბობენ, რომ სულ ცოტა ხანში, თბილისში კიდევ ორი ტელეკომპანია ამუშავდება. ესენია: „ტელე-იმედი“, რომლის ხმაურიანი პრეზენტაცია ჯერ კიდევ შარშან გაიმართა და განახლებული „იბერვიზია“. საინტერესოა, რომ ჩვენი დღევანდელი რესპონდენტის ჟურნალისტური ბიოგრაფია ორივე მათგანთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, პროფესიით ხელოვნებათმცოდნე, ბიძინა ბარათაშვილის ოჯახში ტელევიზიის დირექტორობაც არ არის უცხო: მისი ბაბუა — აკაკი ძიძიგური საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებელი და წლების მანძილზე, მისი დირექტორი იყო. სხვათა შორის, ბატონი აკაკი კინოსტუდიასაც ხელმძღვანელობდა. „მე რაღაცნაირად, ვაგრძელებ ბაბუაჩემის ხაზს — იმიტომ, რომ ტელევიზიის გენერალური დირექტორი ვარ და თანაც, ტერიტორიულად კინოსტუდიაში ვზივარ“, — ამბობს ბატონი ბიძინა. როგორც მისგან შევიტყვეთ, ახალი არხის გახსნას მარტის დასაწყისში უნდა ველოდოთ.

„უთავოთავლობით დირექტორი“

ბიძინა ბარათაშვილი „ტელე-იმედს“ სასტარტოდ ამზადებს

ნათია თენიეშვილი

— რა ეტაპზეა ამჟამად „ტელე-იმედის“ სამზადისი და რით იქნება განსხვავებული ეს ტელეკომპანია, საქართველოში არსებული სხვა ტელევიზიებისაგან?

— ტელევიზიაში მიმდინარეობს ე.წ. შიდაეთერი — ანუ ყველა ის პროგრამა და გადაცემა, რომელიც მომავალში, „ტელე-იმედის“ ეთერში გავა, ახლაც მზადდება იმავე რეჟიმით, რაც მერე იქნება. რა თქმა უნდა, ეს არ არის სრულფასოვანი ეთერი. ზოგ შემთხვევაში, გადაცემა იწერება დეკორაციების გარეშე, ან კოსტიუმები არა აქვთ შერჩეული ან უბრალოდ, სათანადოდ არ აცვიათ წამყვანებს... ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. ყველაფერი მზადდება იმ გრაფიკით, რომელიც თავიდანვე გვქონდა დაგეგმილი. რაც შეეხება განსხვავებას — განსხვავებული უნდა იყოს მიდგომა და დამოკიდებულება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარმატებას მივაღწევთ იმ შემთხვევაში, თუ ეს ტელევიზია „იმედიანი“ იქნება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ტყუილად უნდა დაიმედო იმ საკითხში, სადაც იმედის საფუძველი არ არის, მაგრამ ყრუ პესიმიზმში გადავარდნაც არ შეიძლება. მე მინდა, რომ ჩვენ ცოტა უფრო თბილები ვიყოთ, ვიდრე სხვა ტელეკომპანიები. თორემ ის, რომ საინფორმაციო სამსახური მიმდინარე პროცესებს რეალურად უნდა ასახავდეს და ოპერატიულად აშუქებდეს — სადავო არ არის.

— რა ტიპის პროგრამები და გადაცემები იქნება ამ არხზე?

— ყველანაირი — საინფორმაციოც, სპორტულიც და გასართობიც. იქნება ტოკ-შოუ, თამაშები, ფილმები, სერიალები და ა.შ. ამჟამად, ჩვენი დაკვეთით ქართველი რეჟისორები იღებენ ორ სერიალს, რომელსაც მაყურებელი ჩვენს არხზე იხილავს.

ეტყობა, გენეტიკა მაინც თავისას შვრება

— რა სერიალებია და ვინ არიან რეჟისორები?

— ერთს ჰქვია „ცხელი ძაღლი“, არის მძაფრსიუჟეტიანი და იღებენ რეჟისორები ზაზა ურუშაძე და ერეკლე ბადურაშვილი; მეორე სერიალს — „მგლების ხორუმი“ — ზაზა ხალვაში. გარდა ამისა, გვაქვს კიდევ სამი პროექტი. ამჟამად სცენარები იწერება. აქედანვე ვიცით, თუ კონკრეტულად ვინ და რა თანამიმდევრობით გადაიღებს ფილმებს. როგორც იცით, გადაღების პროცესი საკმაოდ რთულია. სამწუხაროდ, არ გვექნება იმის საშუალება, რომ ყოველდღე გავუშვათ სერიალები, ამიტომ კვირაში ერთი სერია, ერთ კონკრეტულ დღეს იქნება ნაჩვენები... საბოლოო ჯამში, ჩვენს არხზე მაყურებელი ალბათ ყველანაირ პროდუქციას იხილავს. ჩვენს ეთერში იქნება ყველაფერი ის, რაც უნდა იყოს ნაჩვენები ნორმალური, თანამედროვე ტელევიზიით.

— თქვენ მუშაობდით „იბერვიზიაში“, სახელმწიფო ტელევიზიის „პირველ არხზე“, „მეორე არხზე“. თავიდან როგორ მოხვდით ტელევიზიაში?

— თავიდანვე, წინადადება „პირველი არხიდან“ მივიღე, მაგრამ მაშინ არ ვაპირებდი ტელევიზიაში მუშაობას და უარი ვთქვი. 1992 წელს, როცა ძმებს — გია და შოთა გოგიბერიძეებს „იბერვიზიის“ გახსნის იდეა მოუვიდათ და ზაზა შენგელიასა და ნუკრი ჯინჭარაძეს ანდეს ამის რეალიზება, მე ზაზამ მიმიწვია. ამ დროს, მქონდა ჩემი გაზეთი — „რვანახევარი“ და ზაზამ მითხრა: იქნებ, შენ

მედეა და აკაკი ძიძიგურები ბიძინასთან ერთად

და მთელი შენი რედაქცია წამოხვიდეთო. ჩავთვალე, რომ ეს საკმაოდ საინტერესო „ავანტიურა“ იყო და დავთანხმდი. ჩაგვაბარეს კინოპროგრამების რედაქცია. მერე აღმოჩნდა, რომ არხზე სპორტული პროგრამებიც არ ჰქონდათ და ამ ორივე სფეროს მოვკიდეთ ხელი. ვიმუშავე პირველი დღიდან, „იბერვიზიის“ დახურვის დღემდე. პირველი საცდელი გადაცემა – „ოსკარი“ მე და რეჟისორმა ირაკლი მახარაძემ მოვამზადეთ. როცა „იბერვიზიამ“ მაუწყებლობა შეწყვიტა, რამდენიმე თვე მაინც დავდიოდით სამსახურში: ველოდებოდით – იქნებ, აღდგეს-თქო. იქიდან ბოლოს, „იბერვიზიის“ ტექნიკური დირექტორი, თემურ ხუბულავა წამოვიდა. ის ახლა „ტელე-იმედის“ ტექნიკური დირექტორია. მერე, „მეორე არხის“ მაშინდელი გენერალური დირექტორის, ზაზა დარასელის შემოთავაზება მივიღე – „მეორე არხის“ შემეცნებით-გასართობი, სპორტული და საბავშვო პროგრამების მთავარი რედაქტორი გავმხდარიყავი. 1999 წელს, კიდევ ერთ „ავანტიურას“ დავთანხმდი და 2000 წლის ჩათვლით, „პირველ არხზე“ კინოპროგრამა „ილუზიონი“ მიმყავდა.

— წელიწად-ნახევარი, კულტურის მინისტრის მოადგილედაც მუშაობდით. ამბობენ, ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში წასვლა ადვილია, მაგრამ უკან დაბრუნება — ძნელიო; თქვენ არ გაგიჭირდათ?

– თუ დიდი ხნით დარჩები პოლიტიკაში, ალბათ ძნელია. მე შევეცადე, რომ დიდი ხანი არ დავრჩენილიყავი. თანაც მთლად იმ საქმეს აღარ ვაკეთებ, რასაც ადრე ვაკეთებდი – ახლა, გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციები დამემატა. თავიდან, ამ ტელეკომპანიაში სპორტული პროგრამების პროდიუსერად მოვედი. მერე დამევალა, მეწარმოებინა მზა პროდუქციის შესყიდვა. შემდეგ გენერალური დირექტორი გავხდი და ახლა, ძალიან ბევრი ფუნქციის შეთავსება მიწევს. შრომატევადი, მაგრამ ძალიან საინტერესო სამუშაოა.

— როგორც ვიცი, ლექციებსაც კითხულობდით უნივერსიტეტში. ახლა, ალბათ ამის დრო აღარ გექნებათ...

– უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე, მერე – ასპირანტურა. 1987-დან 1995 წლამდე ვკითხულობდი ლექციებს ჩემი სპეციალობით. იმავდროულად, ვმუშაობდი ტელევიზიებში და ვუშვებდი გაზეთებს. ფაქტობრივად, მიჩვეული ვარ არანორმირებულ სამუშაო დღეს და ამასთან შეგუება არასდროს მიჭირდა. მაგრამ როცა მივხვდი, რომ არჩევანი უნდა გამეკეთებინა – თავი დავანებე უნივერსიტეტს, თუმცა ლექციების კითხვა ძალიან მიყვარდა: ამ დროს, პირდაპირი კონტაქტი გაქვს აუდიტორიასთან და თვალნათლივ ხედავ შენი შრომის შედეგს.

— როცა თქვენ დაიბადეთ, ქალბატონი მედეა (ბიძინას დედა, მომღერალი მედეა ძიძიგურია) უკვე პოპულარული იყო. ცნობილი ადამიანების შვილები ხშირად ამბობენ, რომ მშობლების პოპულარობა მათ ხელს უშლის. თქვენც გიშლიდათ ეს ხელს თუ პირიქით — გეხმარებოდათ?

– მე არ მოვსწრებივარ იმ დროს, როცა მედიკო არ იყო პოპულარული. რაც შეეხება შეკითხვას – თქვენ მიერ დასახელებული ორივე მომენტი, რა თქმა უნდა, მოქმედებს: იმის გამო, რომ ცნობილი ადამიანის შვილი ხარ, ვალდებული ხარ, უფრო კარგად აკონტროლებდე საკუთარ საქციელს. ეს ერთი მხრივ, გირთულებს მდგომარეობას და რაღაც დოზით, თავისუფლებას გაკარგვინებს. მეორე მხრივ კი, რაღაცას გასწავლის – მაგალითად, თავის სწორად დაჭერას, რისი წყალობითაც, უფრო ადვილად პოულობ გამოსავალს ბევრი სიტუაციიდან... მე ძალიან თავისუფალი აზროვნების მქონე ადამიანების გარემოცვაში ვიზრდებოდი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მანებივრებდნენ. მქონდა იმდენი თავისუფლება, რამდენიც უნდა მქონოდა. არასდროს არავინ მეუბნებოდა, რომ განსაკუთრებული მშობლების შვილი ან ვიღაცის შვილიშვილი ვიყავი...

— ქალბატონი მედეა მკაცრი დედა იყო?

– ჩვენ დედა-შვილის ურთიერთობა არ გვქონია – ჩვენ ვმეგობრობდით. მას ისეთ რაღაცებს ვუყვებოდი, რასაც, როგორც წესი, 25 წლის ბიჭები დედებს არ უყვებიან ხოლმე... ახლა, არ იფიქროთ, თითქოს „დედიკოს ბიჭი“ ვიყავი – უბრალოდ, მას სწორად ესმოდა ყველაფერი და ძალიან დიდ თავისუფლებას მაძლევდა ბევრ რაღაცაში. არასდროს არავის დავუსჯივარ და არ ვუცემივარ. ვგულისხმობ – ოჯახში, თორემ ქუჩაში კი მომხვედრია... არავინ არაფერს მაძალებდა. ფიზკულტურაზე არ დავდიოდი და „სამიანი“ გამომყვა. მერე ჩემს ატესტატში ეს „სამიანი“ ჩათვლად გადაკეთდა: ასეთი კომბინაციაც მომხდარა ჩემს ცხოვრებაში... გარდა ამისა, „სამები“ მყავდა ქიმიასა და ხაზვაში. ქიმიას ორგანულად ვერ ვიტანდი და ვერც დამრიგებელს, რომელიც ქიმიას მასწავლიდა. წასულებზე ცუდს არ ამბობენ, მაგრამ არ მიყვარდა – რა ვქნა?!. სხვათა შორის, იმასაც ასევე არ ვუყვარდი, თუმცა – რას მერჩოდა, არ ვიცი.

— როცა ჟურნალისტურ საქმიანობას მიჰყავით ხელი, ალბათ ბატონი კაკო კმაყოფილი იყო ამით.

– ბაბუაჩემს დამთავრებული ჰქონდა: კონსერვატორია. ფილოლოგიური, მათემატიკური და ფილოსოფიური ფაკულტეტები. ენციკლოპედიური განათლების მქონე კაცი იყო. ჩემთვის ის სწორედ იმით იყო საინტერესო, რომ თავისი ცხოვრების მანძილზე ყველაფერს გაუსინჯა გემო. მას უნდოდა, რომ მეცნიერებას გავყოლოდი: იმ პერიოდში, ეს სტაბილური ცხოვრების გარანტია იყო. უნივერსიტეტში, ჩემით ჩავაბარე იმ სპეციალობაზე, რომელიც მაინტერესებდა. დავამთავრე ასპირანტურა, მაგრამ არ დავიცავი დისერტაცია – არადა, ნაშრომის

ორი მესამედი უკვე დაწერილი მქონდა. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ცოტა ხნის წინ, დიდი სიამოვნებით გადავყარე ის ორი მესამედიც... როცა უმაღლესი დავამთავრე, წითელი დიპლომი და ასპირანტურის დამთავრების ცნობა მივუტანე ბაბუაჩემს და ვუთხარი: ახლა, საკუთარი თავის ძიება უნდა დავიწყო-მეთქი... 1987 წლიდან დავიწყე წერა გაზეთებში. ეს ჩემი ოჯახის არც ერთი წევრის სურვილს არ ემთხვევოდა... ჩემთვის, ბაბუაჩემს, მაგალითად ყოველთვის თავისი ძმა – აკადემიკოსი შოთა ძიძიგური მოჰყავდა, რომელიც მართლა ფანტასტიკური პიროვნება იყო. აკადემიკოსს მაშინ 800 მანეთი ჰქონდა ხელფასი. ეს ძალზედ სოლიდური თანხა იყო იმ დროს. ბაბუაჩემი სულ მეუბნებოდა: არაფერიც რომ არ გააკეთოს შოთამ აწი ცხოვრებაში, ხელიც რომ არ გაანძრიოს, 800 მანეთი მაინც ექნებაო. მისი მძღოლი, რაჩიკა ტონიკიანი იმ წუთში დააყოლებდა ხოლმე: ეგ ხელი რომ არ გაანძრიოს და რომ გაანძრიოს – წარმოიდგინე, რამდენი ექნებაო... აქედან გამომდინარე, ოჯახში დიდად არ გახარებიათ, როცა გაზეთის რედაქტორი გავხდი. თან ის გაზეთიც ხომ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ არ იყო... ეტყობა, გენეტიკა მაინც თავისას შვრება: არ შემიძლია, ერთი საქმის დიდხანს კეთება. მიყვარს მრავალფეროვნება.

— ახლა, თქვენი ოჯახიც გაგვაცანით.

– მყავს 16 წლის ქალიშვილი – ელენე და მეუღლე – ნანა გუგუშვილი. ნანა უფრო ახლოსაა იმ სტანდარტებთან, რომელიც ბაბუაჩემს იზიდავდა: ის გაჰყვა მეცნიერებას, დაიცვა დისერტაცია და ახლა, სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს – საქართველოს ისტორიის კათედრაზე კითხულობს ლექციებს. არის კარგად ორგანიზებული და სტაბილური ადამიანი. რაც შეეხება ელენეს – ის ხასიათით ძალიან მგავს, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, კარგად იცის მათემატიკა და ტექნიკური საგნებიც უყვარს. მისი ასაკისა და თაობისათვის ძალზედ განათლებულია, რაც საოცრად მახარებს. კარგად სწავლობს და ეს ცოტა მიკვირს კიდეც. როგორც გითხარით, მე თვითონ სკოლაში კარგად არ ვსწავლობდი. შეიძლება არ უნდა ვამბობდე – ეს არაპედაგოგიურია – მაგრამ მივესალმები იმას, როცა ბავშვი ზოგჯერ „შატალოზე“ მიდის, სკოლას აცდენს: ამით ვრწმუნდები, რომ სრულფასოვანი ბავშვია...

— როგორც აღნიშნეთ, მრავალფეროვნება გიყვართ, თანაც სამსახურიც ბევრჯერ გამოგიცვლიათ. როგორ ფიქრობთ — ეს თანამდებობაც მოგბეზრდებათ?

– ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. ვისურვებდი, რომ რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე აქ. მე და ჩემს თანამშრომლებს გვიხარია სამსახურში მოსვლა, რაც საერთოდ, იშვიათობაა. ვაკეთებთ იმ საქმეს, რომელიც გვიყვარს, გვაქვს ყველა საშუალება იმისა, რომ ეს საქმე გავაკეთოთ კარგად და გვერდზე გვყავს ის ხალხი, ვისთან ერთადაც გვიხარია ამ საქმის კეთება. ალბათ ამაზე მეტზე, ოცნებაც კი ძნელია...

■

ბიძინა ბარათაშვილი მეუღლესთან და მვილთან ერთად

ტესტი ერუდიციაზე

1. მსოფლიოში პირველად სად დაიწყეს შაქრის წარმოება?

ა) ინდოეთში;
ბ) ჩინეთში;
გ) იაპონიაში.

2. გასა ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი — სამივე თბილისის „დინამოში“ ათნომრიანი მაისურით თამაშობდა. კიდევ რა საერთო ჰქონდათ მათ?

ა) ერთსა და იმავე რიცხვში იყვნენ დაბადებულნი;
ბ) სამივე ტრაგიკულად – ავტოკატასტროფაში დაიღუპა;
გ) ცაციები იყვნენ.

3. რა მეტსახელითაა ცნობილი მოკრივე მაიკ ტაისონი?

ა) მანიაკი;
ბ) რკინის მაიკი;
გ) ყურის მკვნეტელი.

4. „10.000 დოლარზე ნაკლები გასამრჯელოსთვის ლოგინიდანაც კი არ ავდგები“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

ა) სინდი კროუფორდს;
ბ) ლინდა ევანგელისტას;
გ) ნაომი კემპბელს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ეროს თუ ეროს თავგადასავალი მამაკაცი ყველაზე სექსუალური?

ამერიკელ მეცნიერს, გორდონ გელეპს თუ დავუჯერებთ (გამოკვლევებზე დაყრდნობით გამოტანილ დასკვნებს ვგულისხმობთ, რასაკვირველია), თურმე სქესობრივი კავშირის სიხშირე, თავის გადაპარსვის შემდგომ, საგრძნობლად მატულობს... ბევრ სხვა მედიკოსსა თუ ფსიქოლოგს გამოუთქვამს აზრი, რომ ე.წ. „პოსლიკები“ გაძლიერებული სექსუალურობით, მოზღვავებული ენერგიით გამოირჩევიან და თუმცა არგუმენტაცია საკმაოდ მყიფეა, ბევრს ამისი სჯერა კიდეც. თუ ისტორიულ მაგალითებს გადავხედავთ, ორი მათგანი მაინც დაგვიდასტურებს ამ ვარაუდს: საბჭოთა დროში დახურულ თემად ქცეული, „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის“ ვლადიმირ ლენინის ენერგიულობა, რომელიც ათაშანგით დასნეულებად დაუჯდა, და ყოვლისშემძლე ლავრენტი ბერიას აღვირახსნილი ცხოვრება, რომელმაც უამრავი მითიც კი წარმოშვა მისი სექსუალური შესაძლებლობების შესახებ.

მაგრამ მოდით, მოვეშვათ ისტორიულ პიროვნებათა ლანდებს და ჩვენს დღევანდელობას დავუბრუნდეთ — აქვე, ჩვენ გვერდით, ჩვენ თვალწინ ხომ უამრავი თავგადაპარსული მამაკაცია, რომელმაც ამ ნიშნითაც მოიპოვა პოპულარობა.

მაია კახიძე

ჯონდი ბაღათურია

— ბატონო ჯონდი, გამარჯობათ. ხომ არ გეწყინებათ თავზე რომ გაგესაუბროთ?

— მაინც, რა გაინტერესებთ?

— მოგწონთ თქვენი თავი?

— ვფიქრობ, რომ ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. სხვათა შორის, კმაყოფილი ვარ ჩემი თავით. ისე, ქოჩრიანი ბიჭი რომ ვიყავი, მაშინაც მომწონდა ჯონდი ბაღათურიას თავი, მაგრამ ჩემი დღევანდელი იმიჯიც მომწონს და მშვენივრად ვგრძნობ თავს. ბაბუაჩემიც თავგადაპარსული დადიოდა, ბაბუის მამაც და ჩემი ძმაც თავგადაპარსული დადის.

— როგორ ფიქრობთ — თავგადაპარსული მამაკაცი მართლა უფრო სექსუალურია, როგორც ამას ზოგიერთი ამტკიცებს?

— რა გითხრათ?! ჩემი აზრით, ქალებს უნდა ჰკითხოთ.

— რამდენ ხანში ერთხელ იპარსავთ და რა მოწყობილობას იყენებთ?

— თავს 2-3 დღეში ერთხელ ვიპარსავ. უკვე მივეჩვიე. ჯერ ავიქაფებ ხოლმე „ჟილეტით“ (ნამდვილ „ჟილეტს“ ვხმარობ) და მერე სამართებლით ვიპარსავ.

— არ გეშინიათ, ვთქვათ, რომ გაიჭრათ თქვენი ძვირფასი თავი?

— არა, მე რაც ვიცი და რასაც ვაკეთებ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებ. ამიტომ... პრინციპში, თმით და უთმოდ, ჩემი ცხოვრება უკმაყოფილოდ არ გამივლია. მიმიხვდით, ხომ *(იცინის)*?!

დათო გომართელი

რაც მართალია — მართალია, დათო გომართელის სიმღერები განსაკუთრებული ტემპერამენტით გამოირჩევა. ორი აზრი არ არსებობს — ტყუილად ნამდვილად არ გადაუპარსავს თავი...

— დათო, როგორ გრძნობთ თავს თავგადაპარსული?

— როგორ და — მშვენივრად; რა ხანია, მივეჩვიე. საერთოდ, საკუთარი სურვილის გარეშე, ხომ არაფერი ხდება?! ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი სურვილით გადავიპარსე 5-6 წლის წინ.

— რაო, რას გეუბნებიან ხოლმე — თავგადაპარსული უფრო სექსუალური ხარო?

— ეგ ქალებს ჰკითხეთ. ისე, თავის ფორმასაც გააჩნია. ამბობენ, რომ კარგი ფორმის თავი მაქვს... რა ვიცი — ალბათ გადაპარსული თავი უფრო სექსუალურია...

— თქვენი აზრით, რატომ მისცა ღმერთმა ადამიანს თმა?

— საჭირო რომ არ იყოს, ხომ არ მისცემდა?!

— მიუხედავად ამისა, მაინც გადაიპარსეთ...

— მე ხომ საკმაო ხანს ვიარე თმით და ნუთუ, რამე დავაშავე, როცა გადავიპარსე? არა მგონია... ერთ სიტყვით, მე მომწონს დათო გომართელის თავი...

დავით თევზაძე

თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის მოხელეობა, მით უმეტეს — ამ, „არაპროფილურ“ საკითხზე სასაუბროდ, დიდ სირთულეს წარმოადგენდა, მაგრამ პარლამენტში ორი წუთით (შეიძლება წუთნახევრითაც) მაინც მოვიხელთე და რამდენიმე კითხვაზე მისთვის ჩვეული, მოკლე პასუხებიც მივიღე.

— ბატონო დავით, აი, კვლავ აცივდა. ჰოდა, არ გცივათ, გადაპარსული თავით რომ დაიარებით?

— არა.

— დიდი ხანია, რაც თავი

გადაიპარსეთ?

— დიდი ხანია.

— **თმის გადანერგვას დღეს თბილისშიც შესანიშნავად ახერხებენ. ამის სურვილი არასოდეს გაგჩენიათ?**

— არა.

— **ამბობენ, თავგადაპარსული მამაკაცები უფრო ყოჩაღად გრძნობენ თავს მანდილოსნებთან ურთიერთობისასო. რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

— ვერაფერს...

ზურა კობეშავიძე

ზურა კობეშავიძემ იმდენი „იარა“ — ხან „რიო-დე-ჟანეიროში“, ხან — „ვერა-ვაკეში“ და იმდენ ლამაზ ქალს უმღერა, რომ ამასობაში, თმა ნელ-ნელა შეუთხელდა და ბოლოს, სულ გადაიპარსა.

— **ამერიკელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ თავგადაპარსული მამაკაცები უფრო სექსუალურები არიან. შენ რას ფიქრობ ამის შესახებ?**

— ვეთანხმები, რა თქმა უნდა. არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით — საერთოდაც, სასიამოვნო საყურებელია გადაპარსული თავი.

— **საინტერესოა, რატომ?**

— აბა, ის არის ესთეტიკური (გვარს არ დავასახელებ), უკან რომ აქვს კაცს ერთი მუჭა გაზრდილი და წინ გადმოწეული, შეთხელებული თმის ღერები?! საშინელებაა, მით უმეტეს — ქარში... გადაპარსული თავი უფრო სპორტული და სექსუალურია. ადრე ყოველთვის მომწონდა თავგადაპარსული, უცხოელი ფეხბურთელები და კალათბურთელები. ბოლოს და ბოლოს, ავისრულე წადილი და მეც გადავიპარსე. თავიდან, გადაწყვეტილება რომ მივიღე, მეუღლეს ვუთხარი. გადაირია: თუ გადაიპარსავ, გაგეყრებიო, — მითხრა, მაგრამ ახლა ძალიან მოსწონს და რომ დავაკვირდი, უფრო მეტად მეფერება...

— **ესე იგი, კომფორტულად გრძნობ თავს?**

— აბა, რა! არანაირი დისკომფორტი — პირიქით... ჯერ ერთი, როდესაც ცხელა, არაჩვეულებრივია ასეთი თავი: არ მიცხიმიანდება, არ მაწუხებს ქერტლი. ზამთარშიც, არასდროს ვხდები ავად. რატომღაც, გრიპიც არ მეკარება...

— **შენს გადაპარსულ თავს რომ ვუყურებ, მე მცივა შენ მაგივრად...**

— რაც ასეთ „პრიჩოსკას“ ვატარებ — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — საერთოდ არ შემყრია გრიპი.

— **ძნელია ასეთი თავის მოვლა?**

— 2-3 დღეში ერთხელ ვიპარსავ, ზოგჯერ შეიძლება ცოტა მეტი დროც გავიდეს — სიტუაციას გააჩნია. იცით, კარგა ხნის წინ, სკოლაში რომ ვსწავლობდი, მე-9 კლასში, ერთ-ერთმა მასწავლებელმა გვითხრა: 21-ე საუკუნეში, პლანეტის მოსახლეთა 50% უთმოდ ივლის — თმა გასცვივდებათ ადამიანებსო... რა, ეგრე არ არის?! ისე აგიცხადდეთ ყველაფერი კარგი, როგორც იმ ჩემი მასწავლებლის ნათქვამი აცხადდა: გამოსხივება, მობილური ტელეფონი, ტელევიზორი, კომპიუტერი... ყველაფერს აქვს ადამიანზე გავლენა.

რომან რცხილაძე

ყველაზე მძიმეწონიანი თავგადაპარსული ვინ არის თბილისში? ვინ და — რომან რცხილაძე, მეტსახელად სპილო.

— **რომა, პრინციპში, არც ნამდვილი სპილო გამოირჩევა თმიანობით და არც — თქვენ. კარგად გრძნობთ თავს გადაპარსული?**

— მშვენივრად ვგრძნობ თავს, მომწონს საკუთარი თავი. რაც მთავარია — ძალიან „მელოდიური“ თავი მაქვს...

— **ხელს არაფერში გიშლით უთმობა?**

— არასოდეს არაფერში შეუშლია ხელი, პირიქით. რა, ვინმეს ჰგონია, რომ ცუდია?!

— **არა, სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ თავგადაპარსული მამაკაცები გამოირჩევიან სექსუალურობით. ეთანხმებით მათ აზრს?**

— საერთოდ, პროფესიონალებს უნდა დაეთანხმო, არა?..

მალხაზ ქვრივიშვილი

რაც შეეხება მალხაზ ქვრივიშვილს — „ტუსოვკებზე“, ერთიორჯერ მთლად „გაპრიალებული“ თავით ვერ მივიდა (ყოველთვის ხომ არ არის ადამიანი პარსვის გუნებაზე?) და ოდნავ ეტყობოდა კიდეც, მაგრამ რა ბედენაა — უმეტესად ხომ, კოხტად გადაპარსული თავით წარმოგვიდგება ხოლმე! თან, ტელესერიალში — „ძილის წინ“ — გამუდმებით მის სექსუალურ თავზე აკეთებდა აქცენტს ლელა დეკანოსიძე და მაყურებელიც მიეჩვია მალხაზის „სექსუალურ“ თავს.

— **რას იტყვით თავგადაპარსული მამაკაცის სექსუალურობაზე?**

— რა ვიცი, ნახევარი თბილისი თავგადაპარსული დადის და თუ სპეციალისტებიც ამას ამბობენ, არ ყოფილა ცუდად ჩვენი საქმე...

— **იმიჯის შეცვლას ხომ არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით არა, ალბათ — არა. მე მომწონს ჩემი თავი...

ჯერჯერობით აქ დავასრულებთ გადაპარსულთა თავებზე თხრობას. მომავალში კი, ალბათ უფრო მოგვიმრავლდებიან და ამ თემაზე სალაპარაკოც მეტი გვექნება.

როგორც ამბობენ, 21-ე საუკუნე თავგადაპარსული მამაკაცების საუკუნე იქნება...

■

ტრაგედია,

რომელმაც სიყვარულით სავსე ოჯახის შვილი დააობლა

ამ ოჯახში დატრიალებული ტრაგედია ნებისმიერ ადამიანს შეძრავს. ბედისწერამ, რომ იტყვიან, ყველა უბედურება მას დაატეხა თავს. ნიკა და ნინო (ჩვენი რესპონდენტის თხოვნით, მის მონათხრობში ნახსენები ყველა ადამიანის სახელი შეცვლილია) სულ 4 წლის დაქორწინებულნი იყვნენ, როდესაც უცნობი ადამიანის ხელით მოსულმა სიკვდილმა ისინი ერთმანეთს დააშორა. რამდენიმე თვის შემდეგ, კი მათი შვილი — პატარა ელენე დედითაც დაობლდა და ახლა, ბებიის და ზრდის. დამნაშავე სასჯელს იხდის, რომლის დაკავებასა და ამოცნობაში პატარა პუდელმა — ჯინამ შეასრულა დიდი როლი...

მარი ჯაფარიძე

ქალბატონი ნელი:

— ნიკა ჩემი დისშვილი იყო. მისთვის დედასავით ვიყავი. ჩემი და საკმაოდ სოლიდურ ასაკში გათხოვდა. შვილი რომ შეეძინა, უკვე 48 წლის იყო. მშობიარობის შემდეგ, ჯანმრთელობა გაუუარესდა. სწორედ ამის გამო, პატარა ნიკას მე ვუვლიდი. გაუთხოვარი ვარ, ამიტომ მთელი სულითა და გულით ვუვლიდი, ძალიან შემიყვარდა ეს ბავშვი. სხვა არც არავინ მყავდა, ვინც მასზე უფრო ძვირფასი იქნებოდა ჩემთვის. ჩემი და ხაშურში იყო გათხოვილი. როდესაც ბავშვი შეეძინათ, სიძეც და დაც ჩემთან, თბილისში გადმოვიყვანე და ყურადღებას არ ვაკლებდი... ჩემი საწყალი და მაშინ გარდაიცვალა, როცა ნიკა 8 წლის გახდა. სიძემ ერთი წელი დაყო ჩემთან და შემდეგ, თავის სახლში დაბრუნდა. ბავშვი მე ჩამაბარა და მითხრა: არავინ მეგულება შენ გარდა, ვინც ნიკას მიმიხედავს, ამიტომ ჩათვალე, რომ ჩემს სულსა და გულს გიტოვებ და შენ იცი, როგორ მოუვლიო. სოფლიდან სურსათ-სანოვაგეს გვიგზავნიდა, ნიკას ხშირად ნახულობდა, ყურადღებას არ აკლებდა. ჩემი დის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ცოლი მოიყვანა, მაგრამ მასთან შვილები არ ჰყავდა. ნიკას დედინაცვალი კარგი ქალია. სულ მეხვეწებოდნენ: წავიყვანთ ბავშვს და კარგად მოვუვლითო, — მაგრამ ვერ შეველიე, თვითონაც არ ინდომა უჩემოდ ყოფნა. ენა რომ აიდგა, იმ დღიდან სულ დედას მეძახდა. მე ნელი დედა ვიყავი, ჩემი და კი — თინა დედა. მოკლედ, მე და ნიკა ისევ ერთად დავრჩით. ზრდილობიანი ბიჭი იყო, სკოლა მედალზე დაამთავრა. 1985 წელს, ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩააბარა და კარგ სტუდენტადაც ითვლებოდა. შემდეგ ცხოვრება აირია. მის სამეგობრო წრეში ისეთი ბიჭები შევნიშნე, რომ არ მომეწონა და ჩემი აზრი ნიკასაც გავუზიარე. ნელი დედა, ახლა ისეთი ცხოვრებაა, ყველანაირი ამხანაგი თუ არ გყავს, თავს ვერ გაიტანო, — მითხრა. ნელანელა მაჩვევდა იმ აზრსაც, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, ციხეშიც მოხვედრილიყო... თუ დამიჭირეს, არ დაგინახო პოლიციაში მოსულიო, — მეუბნებოდა. სულ ვჩხუბობდით ამის გამო, მედავებოდა: შენი კონტროლი არ მჭირდება, კუდში ნუ დამდევო. მე მაინც არ ვეპუებოდი. ხან სად მოვძებნიდი და დავადგებოდი თავზე, ხან — სად. ხშირად, ბარში გვიანობამდე შემორჩენილს, გარეთ ვდარაჯობდი ხოლმე. რომ გამოვიდოდა და კართან ატუზულს დამინახავდა, მსაყვედურობდა: კარგი, რა, ნელი დედა, უკვე დიდი ბიჭი ვარ და იქნებ, ქალებში წასვლა მინდა, შენ კი მარტო ვერ გაგიშვებ და ახლა მეც შინ უნდა წამოვიდეო...

— გაამართლა თუ არა თქვენმა შიშმა იმასთან დაკავშირებით, რომ ნიკა ციხეში შეიძლებოდა მოხვედრილიყო?

— არა, შვილო. მიუხედავად იმისა, რომ შავ სამყაროში ტრიალებდა, ძველი ბიჭის სახელი ჰქონდა და ავტორიტეტადაც ითვლებოდა, ციხეში არასოდეს მჯდარა. იშვიათად ლამაზი გარეგნობა ჰქონდა, უზადო აღნაგობა და კარგი ნაკვთები. ქალები ბუზებივით ეხვეოდნენ. მაგრამ სულ ბედის სამდურავს ამბობდა ხოლმე: ნეტავ, გამაგებინა, სიყვარული რა არის; რატომ არავინ შემიყვარდა? — ბედი არ მწყალობსო... 27 წლის იყო ჩემი ნიკუშა, როცა ნინო შეუყვარდა. ის ჯერ სულ ბავშვი იყო, 18 წლის. ძალიან ლამაზი და თვინიერი გოგონა იყო. ნიკა უცებ შეიცვალა, სევდიანი გახდა. როდესაც მიზეზი ვკითხე, გული გადამიშალა: სულ ვწუწუნებდი — არავინ მიყვარდებამეთქი, ახლა კი, როგორც იქნა, სიყვარული მეწვია, მე კი ვერ ვუმხელ: არ ვიცი, როგორ მოვიქცეო. თურმე ასაკობრივი სხვაობის გამო იკავებდა თავს და ნინოს, გულის წადილს ვერ უმხელდა. დავამშვიდე, რჩევა მივეცი და ვთხოვე, ჩემთვის გაეცნო. არასოდეს დამავიწყდება, როგორ ვუხსნიდი სიყვარულს, ნიკას მაგივრად. ვუყვებოდი მისი განცდებისა და გრძნობების შესახებ. ნინომ მისმინა, შემდეგ კი თავისი გულისნადები გამიმხილა. აღმოჩნდა, რომ მასაც თავდავიწყებით უყვარდა ჩემი ნიკუშა... სულ მალე შეუღლდნენ და ქორწილიც გადავიხადეთ. ულამაზესი წყვილი იყო. ქუჩაში ყველა, თვალს აყოლებდა ხოლმე, შევხაროდი მათ ბედნიერებას. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ორივე ჩემი დასატირებელი გახდებოდა...

— თუ იცით მიზეზი, რომლის გამოც მოკლეს ნიკა?

— არა, ნიკუშას მკვლელობა დღემდე გაუხსნელია. ნინო 5 თვის ფეხმძიმე იყო. ზაფხული იდგა. ნიკუშამ საირმეში წაგვიყვანა, დაგვბინავა და გვითხრა: რაღაც საქმეები მაქვს, მოვაგვარებ და ერთ კვირაში ჩამოგაკითხავთო. ყოველდღე გვირეკავდა. ნინოს მობილურზე საათობით ელაპარაკებოდა, შორიდან ეფერებოდა და მალე გინახულებო, ჰპირდებოდა. მეხუთე დღეს, აღარ დარეკა. ნინო ცდილობდა დაკავშირებას, მაგრამ ამაოდ. მეექვსე დღეს, ნიკას მამამ დაგვირეკა და სასწრაფოდ ჩამოდითო, გვითხრა. წინა დღეს ნიკასთან ულაპარაკია და — მამა, მომენატრე და ხვალ ჩამოდიო, — უთქვამს. შინ მისულს კი კარი ღია დახვედრია. რომ შესულა, ბინა ცარიელი იყო, არც ის ეტყობოდა, რომ ვინმეს გაექურდა. უფიქრია — ეტყობა, აქვე, ახლოსაა გასული და მალე დაბრუნდებაო. ცოტა ხნის შემდეგ, საპირფარეშოში შესულა და იქ საშინელი სურათი დახვედრია: ნიკუშას უსულო სხეული აბაზანის კიდეზე იყო გადაკიდებული. ჩვეულებრივად იყო ჩაცმული. ტყვია პირდაპირ შუბლში ჰქონდა ნასროლი. ფეხები იატაკზე დასთრევდა, წელს ზემოთ კი, აბაზანაში იყო გადაწოლილი. აბაზანა სისხლით იყო სავსე. გენო (ნიკას მამა) ბღავილით გამოვარდნილა გარეთ, მიშველე-

თო! – ყვიროდა... ჩვენ მეორე დღეს დავბრუნდით. უბედურებისგან გონზე ვერ მოვდიოდით. ნინო ადამიანად აღარ ვარგოდა. კუბოს თავს ახლიდა და წარამარა გული მისდიოდა. ყველას უკვირდა, ასეთი ნერვიულობის შემდეგ, ბავშვი როგორ შერჩაო. ნინო კი მოუთმენლად ელოდა შვილის გაჩენას. ძალიან უნდოდა, რომ ბიჭი დაბადებულიყო, ნიკას დავარქმევო, – ამბობდა... ნოემბერში, პატარა ელენე დაიბადა. ყველას გვიხაროდა, ნიკუშას სიკვდილსაც თითქოს ხელახლა განვიცდიდით... ნინომ დილით, 7 საათზე იმშობიარა. იმ ღამით, გვიან, სამშობიაროდან გაპარულა და სასაფლაოზე ტაქსით ასულა. ექიმმა დამირეკა: თქვენი რძალი არსად ჩანს, ვეძებეთ და ვერ მივაგენით, შინ ხომ არ მოსულაო? მე და გენო იმწუთსვე სასაფლაოზე გავქანდით. იქ მისულებს კი, ასეთი სურათი დაგვხვდა: ნინო საფლავზე იწვა, პირქვე დამხობილი და ეძინა. სახე ტალახით ჰქონდა მოსვრილი – როგორც ჩანს, ნამტირალევმა, ცრემლიან სახეზე მიწიანი ხელი მოისვა და ამიტომ. ტანზე თხელი, პირსახოცის ხალათი ეცვა. სულ მთლად კანკალებდა. სამშობიაროში დავბრუნეთ და გულგახეთქილები ველოდით, რომ მის ჯანმრთელობას საფრთხე დამუქრებოდა, მაგრამ მაშინ გადავრჩით...

— ბავშვს ვინმეს სახელი ხომ არ დაარქვით?

– ერთ ღამეს, ასეთი სიზმარი ვნახე: ნიკამ მითხრა – ნელი დედა, ჩემს გოგოს ელენე დაარქვითო... დილით, ნინო ჩემს ლოგინში გადმოწვა, ჩამეხუტა და ტირილით მიამბო ზუსტად იგივე სიზმარი, რაც მე ვნახე. გავიდა რამდენიმე საათი და გენომ დარეკა ხაშურიდან: ნიკა დამესიზმრა; გოგო მეყოლება და ელენე დაარქვითო, – მითხრა... აი, ასე, სამ ადამიანს ერთი და იგივე ხილვა გვქონდა. ბავშვს სახელი მისმა გარდაცვლილმა მამამ დაარქვა...

— ელენეს დაბადება გულისტკივილს ოდნავ მაინც შეგიმსუბუქებდათ...

– სწორი ბრძანდებით. ბავშვზე ზრუნვამ ცოტა აზრზე მოგვიყვანა. ნინოს, მშობლები ეხვეწებოდნენ: ჩვენთან გადმოდი საცხოვრებლად, ყველანაირად ხელს შეგიწყობთო, – მაგრამ ნინომ უარი უთხრა: სადაც ჩემი ქმარი ცხოვრობდა, იმ კედლებს ვერ მივატოვებო. ელენე თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა... ერთხელ, ხიფათსაც შემთხვევით გადაურჩა. 7 თვის იყო. ტახტზე დავსვით, აქეთ-იქიდან ბალიშები შემოვულაგეთ და სათამაშოები დავუყარეთ. ნინო აბაზანაში იყო შესული, მე – სამზარეულოში. ბავშვი ტახტის კიდესთან მიცოცებულიყო და ნახევარი ტანით გადაწეული, თავდაყირა ეკიდა, მის ქვემოთ კი, ჩართული ელექტროქურა იდგა. შინ ნიკუშას საყვარელი პუდელი გვყავს, ჯინას ვეძახით. მას უგრძნია ხიფათი, ტახტზე ამხტარა და ბავშვისთვის მაისურში ჩაუვლია კბილები. ამოთრევით, ვერ ამოუთრევია, მაგრამ ჩავარდნის საშუალებასაც არ აძლევდა. ვეღარც იყეფებოდა და მხოლოდ ყრუდ იღრინებოდა. შევედი ოთახში და ელდა მეცა. ფაქტობრივად, ჯინამ სიკვდილს გადაარჩინა ჩვენი ელენე...

— ვიცი, რომ ძალიან გიმძიმთ, მაგრამ იქნებ, ნინოს მკვლელობის შესახებაც გვიამბოთ?

– უკეთილშობილესი გოგონა იყო – ერთგული მეუღლე, კარგი დედა და ნამუსიანი ქვრივი... 22 წლის იყო, როდესაც ნიკუშა ხელიდან გამოგვეცალა, წლისა და რვა თვის შემდეგ კი, თავადაც სამუდამო სამყოფელში გადასახლდა... აპრილი იდგა. ელენე წლისა და ოთხი თვის გახლდათ. ნინომ ბავშვს აჭამა და დააძინა. ცოტა მოგვიანებით, ასე, საღამოს ათი საათი იქნებოდა, ჯინამ კარზე ფხაჭუნი დაიწყო, გარეთ გასვლა უნდოდა. ნინომ ჟაკეტი მოიცვა და ძაღლი ეზოში ჩაიყვანა. ჩვენს სახლთან ახლოს პატარა სკვერია და იქ გასულა. ერთი საათის შემდეგ, კართან ძაღლის წკმუტუნი და ყეფა გავიგონე. კარი რომ გავაღე, მარტო ჯინა იდგა. ცხვირ-პირი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. კიბეზე დაეშვა, შემდეგ ისევ ამობრუნდა. გულმა ცუდი მიგრძნო. ძაღლს მივყევი. სკვერში მისულს ხალხის ჩოჩქოლმა მუხლები მომკვეთა. ჩემი ნინო უსულოდ იწვა მიწაზე. დანით მოუკლავთ. მუცელში 11 ჭრილობა ჰქონდა, ორი კი – გულში. კინაღამ ჭკუიდან შევიშალე... პოლიციამ დაიწყო ამ საქმის გამოძიება, რამდენიმე მოწმეც გამოჩნდა... ჯინას კი, იმ დღიდან, ერთი უცნაურობა დასჩემდა: მთვრალ ადამიანს ვერ იტანდა, სასმლის სუნს იგრძნობდა თუ არა, მზად იყო, კბილებით დაეგლიჯა ქალი თუ კაცი. თანაც – ნაცნობ ადამიანებს ექცეოდა ასე, უცნობებს არ ერჩოდა... როდესაც გამომძიებელი ჩემთან მოვიდა, მოვუყევი ჯინას უცნაურობის შესახებ. ამის შემდეგ, უფრო გაუადვილდათ ამ საქმის გახსნა... ბოლოს აღმოჩნდა, რომ მკვლელი, ჩვენს უბანში მცხოვრები, ნიკუშას ნაცნობი იყო...

— რით ახსნა მკვლელმა ჩადენილი დანაშაული?

– თვითონ არაფერი უთქვამს, მაგრამ როგორც მოწმეები ამბობდნენ, ის ნასვამი ყოფილა, ნინოს წინ გადასდგომია და უთქვამს: შენ ნიკუშას ცოლი არა ხარ? ამ შუაღამისას გარეთ რა გინდა, ხომ არ გაბოზდიო?!. ნინოს გაულანძღავს: ამას როგორ მიბედავო?! იმას დედა შეუგინებია, შემდეგ კი ხელჩართული ბრძოლა გაუმართავთ. მოწმე, ახალგაზრდა, ფეხმძიმე ქალი იყო და თვითონ ვერ გაუბედავს მისაშველებლად მისვლა. სანამ მან მშველელს დაუძახა, ნინო უკვე დაღუპული იყო... ჯინა სწორედ ამიტომ ვერ იტანდა მთვრალ, ნაცნობ ადამიანებს. ერთხელ, მკვლელის დაჭერამდე, ბავშვს სუფთა ჰაერზე ვასეირნებდი და ჯინაც გვახლდა. ნინოს მკვლელს ჩაუვლია – აბა, ჩვენ რა ვიცოდით? – ძაღლი გაგიჟდა: დაეტაკა, ფეხში კბილები ჩაასო და ძლივს გავაგდებინეთ პირიდან. ხელში რომ ავიყვანე, ისევ გადახტა და ისევ დაეტაკა. ის იქვე მდგარ მანქანაში ჩახტა, ჯინა კი მანქანას ვერაფრით მოვაშორეთ – ორ ფეხზე დგებოდა, ფანჯარას ფხოჭნიდა, ყმუოდა, მერე საბარგულზე ახტა და უკანა მინას მიაწყდა. მანქანა რომ დაიძრა, გაეკიდა. რამდენიმე საათის შემდეგ, არაქათგამოცლილი დაბრუნდა შინ...

— ეი. ძაღლმა მკვლელი ამოიცნო?

– ასე გამოდის. ძიების დროს, 6 კაცი დააყენეს ოთახში კედელთან და ჯინა შეუშვეს. გამწარებული ძაღლი სწორედ იმ ბიჭს დაეტაკა და ძლივსღა მოაშორეს პოლიციელებმა.

— ახლა ელენე რა ხნისაა?

– 2 წლის და 7 თვის. დედისა და მამის სურათებს შეხედავს და ამბობს: „ცემი დედა და მამა ანგელოზები არიან! ნელი ბებო, ქო ალიან ანგელოზები?“ ამას წინათ, ბავშვს მივეფერე – ჩემი ანგელოზი ხარ-მეთქი... მომიბრუნდა და მითხრა: სიზმარში მამა ვნახე და იმანაც ასე მითხრა, ჩემი ანგელოზი ხარო...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. შეუბუმბლავ ბარტყს ღვლიაპი ჰქვია.
2. მაცუე ქალაქი-ნავსადგურია იაპონიაში.
3. ქაღალდს ჩვრების მასისგანაც ამზადებენ.
4. აჭარულ და მესხურ გუდასტვირს ჭიბონი ჰქვია.
5. ყონაღი სტუმრობით დამეგობრებულ პირს ნიშნავს.
6. მუშაობის დროს, ონორე დე ბალზაკს ბერის სამოსელი ეცვა ხოლმე.
7. წყნარ ოკეანეს სახელი მაგელანის თანამგზავრებმა შეარქვეს.
8. სარეცხის სატყეპელ, სახელურიან პატარა ფიცარს ტაბუცი ჰქვია.
9. ქართული წერა-კითხვა ილია ჭავჭავაძეს სოფლის დიაკვანმა ასწავლა.
10. როდენი სამჯერ აბარებდა ნატიფი ხელოვნების აკადემიაში და სამჯერვე არ მიიღეს.
11. ხობის ეკლესიის უძველეს ფრესკაზე ცოტნე დადიანი მშობლებთან ერთად არის გამოსახული.
12. სასყიდელს, რომელსაც აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში საქმრო საცოლის მშობლებს უხდის, ყალიმი ჰქვია.
13. სნაიპერის შაშხანას რუსები „პლიოტკას“ ეძახიან. სროლის დროს, ეს იარაღი შოლტის ტკაცუნის ხმას გამოსცემს.



14. თრაკიული ტომი, რომელიც ახლანდელი ტრანსილვანიის ტერიტორიაზე (რუმინეთი) ცხოვრობდა, დაკებად იწოდებოდა. დაკების მთავარ ქალაქს სარმიზეგეტუზა ერქვა.
15. „მის შემოქმედებაში მკაფიოდ ჩანს იდეური რეაქციულობა და ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესებისათვის ნავარაუდევი სპეკულაცია პოლიტიკურ და რელიგიურ თემებზე“, — წერია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ესპანელი მხატვრის, სალვადორ დალის შესახებ.
16. ჩერნობილის ავარიის შემდეგ, მეზობელ რაიონებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გარდაცვლილთა რიცხვი 1000%-ით გაიზარდა.
17. პლინიუსის თქმით, სამი რამ იყო ესქილეს სიკვდილის მიზეზი: მელოტი თავი, კუ და არწივი: არწივმა დაიჭირა კუ, აიტაცა ჰაერში, რათა ზემოდან გადმოეგდო და ქვაზე დაემსხვრია მისი ბაკანი. ხოლო ის, რაც მან ქვად მიიღო, ესქილეს მელოტი თავი აღმოჩნდა.
18. პეკინესის ჯიშის ძაღლი რამდენიმე

იოსებ ნონეშვილი

ობლობაში გატარებული ბავშვობა, პორტუგალიის პრეზიდენტის სტუმრობა და ზვიად გამსახურდიას საიდუმლო ვიზიტი

ლელა ჭანკოტაძე

პოეტ იოსებ ნონეშვილის დაბადების წელი ყველა გამოცემასა და კალენდარში, მათ შორის ენციკლოპედიაშიც სხვადასხვანაირადაა აღნიშნული. ზოგან მითითებულია 1915 წელი, ზოგან — 1918, 1919 და ა.შ. თუ რატომ არის დაბადების წელი არაზუსტი და როგორ რეაგირებდა ამაზე თავად იოსებ ნონეშვილი, შევეცადეთ, მის ვაჟთან — სანდრო ნონეშვილთან გაგვერკვია. ბატონი სანდრო საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობათა საქართველოს ცენტრის დირექტორია.

სანდრო ნონეშვილი

— ბატონო სანდრო, რომელ წელს დაიბადა იოსებ ნონეშვილი?

— მისი გარდაცვალების შემდეგ, სპეციალურად შევისწავლე ეს საკითხი. სიცოცხლეში რომ ვეკითხებოდი: ამიხსენი, როდის ხარ დაბადებული-მეთქი? — შენ რა გენაღვლებაო?! — მპასუხობდა და იცინოდა. თავად პატარა ბავშვივით უხაროდა, ხუთი წლის განმავლობაში სულ გაუთავებელი მილოცვები და საიუბილეო საღამოები რომ იმართებოდა. მაგრამ მე პროფესიით ისტორიკოსი ვარ და ასეთ გაურკვევლობას ვერ შევეგუე. იოსებ ნონეშვილი დაიბადა კახეთში, სიღნაღის მაზრის სოფელ კარდენახში. მეექვსე კლასიდან, თბილისში ცხოვრობდა. სწავლობდა ვაჟთა მე-18 სკოლაში (ფილარმონიის პირდაპირ, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლა, სადაც ამჟამად გახსნილია იოსებ ნონეშვილის სასკოლო მუზეუმი). ორი წლის იყო, მამა რომ დაეღუპა, VIII კლასში კი, დედაც გარდაეცვალა. დარჩა მხოლოდ მოხუცი ანა ბებია — ჩიხტიკოპიანი, სანდომიანი ქალი, რომელიც სოფლიდან ნობათებს უგზავნიდა ხოლმე. პატარა იოსებ ნონეშვილის მოვლა-პატრონობა და მეურვეობა მისმა პედაგოგებმა იკისრეს, რომელთა შორის იყო ვარო ვარდიაშვილი. მან, ფაქტობრივად, დედა შეუცვალა იოსებ ნონეშვილს. სკოლაში „ნონეშვილის სიაც“ კი არსებობდა: ცოტ-ცოტა ფულს უგროვებდნენ, რომ თავი გაეტანა... ვარო ვარდიაშვილმა აუღო ყალბი ცნობა. ორი წლით „დააბერა“, რათა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, სტამბის მუშად მოეწყო. ეს საკითხი საარქივო მასალებზე დაყრდნობით შევისწავლე. ახლა მინდა ვაცნობო ყველა გამოცემას, გაზეთსა და იმ პირებს, რომლებიც ქართული კალენდრების გამოცემით არიან დაკავებულნი: იოსებ ნონეშვილი დაიბადა 1920 წლის 19 აპრილს და გარდაიცვალა 1980 წლის 6 ოქტომბერს... იოსებ ნონეშვილმა თავის ქართული ენისა და ლიტერატურის მას-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

წავლებელს მიუძღვნა ცნობილი ლექსი „მასწავლებელი“, რომელიც მართლაც განსაკუთრებული ლექსია.

— შემდეგ როგორ აეწყო მისი ცხოვრება?

— მამას ჰქონდა ერთი გასაოცარი უპირატესობა — არამიწიერი პოეტური ნიჭი. ამ ნიჭმა მას თავად გაუკვალა გზა. სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. სტუდენტობის წლებში, პირველი პატარა კრებული გამოუშვა. შემდეგ, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ბუნებრივია, იოსებ ნონეშვილი, ფარავჯაში გამოწყობილი, კავკასიას იცავდა. სხვათა შორის, ისე გარდაიცვალა, რომ არავითარი ჯილდო (გარდა საბრძოლო ჯილდოებისა) არ ჰქონია, რადგან ის ანტაგონისტურად იყო განწყობილი ტოტალიტარიზმის მიმართ. ტოტალიტარიზმი და პოეზია შეუთავსებელი ცნებებია. როცა 60 წელი შეუსრულდა, დამირეკეს მოსკოვიდან, „Литературная газета“-ს რედაქციიდან, — საიუბილეო მასალას ვამზადებთ, ჯილდოები და პრემიები ჩამოგვითვალეთო. მე ვუთხარი, რომ ჰქონდა სტალინის დროს მიღებული, „შრომის წითელი დროშის ორდენი“ და საბრძოლო ჯილდოები. მეტი არავითარი ჯილდო და პრემია არა აქვს-მეთქი, — რომ ვუთხარი, ტელეფონში ყვირილი გაისმა: სწრაფად, ახალგაზრდავ, სხვა პრემიებიც დამისახელეთ, ამდენი დრო არა მაქვსო. ავუხსენი, რომ მართლა არ ჰქონდა სხვა პრემია. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ბოდიში მომიხადა და ყურმილი დამიკიდა... მახსოვს, მამა წავიდა მოსკოვში, რადგან სახელმწიფო პრემიაზე იყო წარდგენილი. ამ დროს, გარდაიცვალა ბორის პასტერნაკი. გაზეთში გამოქვეყნდა მცირე განცხადება: Умер член Литфонда Борис Пастернак. გასვენებაში, რამდენიმე ახალგაზრდა პოეტისა და უცხოელი ჟურნალისტების გარდა, არავინ ყოფილა. ამის შემდეგ, სხვადასხვა დროს დაიბეჭდა სტატიები, სადაც ჟენია ევტუშენკო და ანდრეი ვოზნესენსკი წერდნენ: ჩვენ შევიცანით ქართული პოეზია იმ უზარმაზარ, თეთრი ვარდების თაიგულში, რომელიც იოსებ ნონეშვილმა პასტერნაკს მიართვაო... რა თქმა უნდა, სახელმწიფო პრემია აღარ მისცეს...

— ოდესმე თუ გამოუთქვამს ამის გამო გულისტკივილი?

— პირიქით. საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა და ამის გამო, სულ ხითხითებდა. 1977 წელი იყო. ბრატისლავაში ვიყავით, სლოვაკეთის კულტურის მინისტრის, ვალეკის მიპატიჟებით. იქ იყო სერგეი მიხალკოვიც, ნიკიტა მიხალკოვის მამა. ვესტიბიულში რომ ჩამოვედით, მამამ უთხრა: Сергей, сними эти твои ордена... სერგეიმ ვერ გაიგო, რატომ უნდა მოეხსნა „სოციალისტური შრომის გმირის“ ოქროს ვარსკვლავი და უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშანი. უცბად, სასტუმროს ვესტიბიულში შემოვარდა 50-მდე ბავშვი, ბღუჯაში სამკერდე ნიშნებით და დაიწყო ყვირილი: „ჩეინჯ, ჩეინჯ!“ — სერგეის ეხვეწებოდნენ, „შრომის გმირის“ ვარსკვლავში გაგვიცვალეო...

— როგორ დაოჯახდა იოსებ ნონეშვილი?

— ძალიან საინტერესო ამბავია. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი წლების მანძილზე, ბორის ნანიტაშვილი გახლდათ. მისი მეუღლე, ქალბატონი ლილი დედაჩემის დეიდაშვილია. დედა ბათუმელია. ჩემი ბებია და დედა ბათუმიდან ხშირად ჩამოსაუკუნის წინ, ჩინეთის იმპერატორს მიართვეს. შემდგომში, ამ ჯიშის ძაღლების ფლობა მხოლოდ საიმპერატორო პრივილეგია იყო. იმპერატორები მათ თავიანთ ქვეშევრდომებზე მეტ პატივს მიაგებდნენ. ცნობილია ფაქტი, როდესაც ერთ-ერთი მათგანი გარდასახულ ბუდად გამოაცხადეს. ევროპელთაგან ეს ძაღლი პირველად, ინგლისელებმა 1860 წელს ნახეს, როდესაც პეკინში იმპერატორის რეზიდენცია აიღეს.

19. ერთი რაბინი ამბობდა: „წარმოიდგინეთ ორი ბავშვი, რომელიც დახუჭობანას თამაშობს. ერთი იმალება, ხოლო მეორეს არ სურს მისი ძებნა. წარმოიდგინეთ, როგორ განიცდის ამას პირველი“. რაბინს ღმერთი და ადამიანი ჰყავდა მხედველობაში: ღმერთი იმალება, ადამიანს კი არ სურს ეძებოს იგი.

20. გუდანის ჯვარი სამი ძირითადი საგვარეულო-სათემო გაერთიანების — საარაბულოს, საჭინჭარაულოსა და საგოგოჭუროს — მთავარ ღვთაებად და მთელი ხევსურეთის საკულტო ცენტრად ითვლებოდა. გუდანის ჯვრის კულტი, ხევსურეთის გარდა, თუშეთში, ჩაჩნეთსა და ინგუშეთშიც იყო გავრცელებული.

21. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელები ლონდონს „ფაუ 1“ და „ფაუ 2“-ის ტიპის ჭურვებით ბომბავდნენ.

22. დავით სოსლანი თამარ მეფის მამიდის, რუსუდანის აღზრდილი იყო. P.S. თამარმა და დავითმა დიდუბის სასახლეში იქორწინეს.

23. გროგი კონიაკისა და ცხელი, შაქრიანი წყლისაგან მზადდება. საუკეთესო გროგის მოხარშვა ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკს ერთი ძველი მეზღვაურისაგან ჰქონდა ნასწავლი.

24. ლექსის ფორმას, რომლის სტრიქონში შემავალი ყველა სიტყვა გარითმულია, პანტორიმი ეწოდება. P.S. ერთხელ, როცა რესტორან „ვენაში“ შესულმა პოეტმა პოტიომკინმა მაგიდასთან მჯდომი ორი ქალიშვილი დაინახა, ასეთი ლექსი გამოაცხო ექსპრომტად: „ვ ვენე დვე დევიცი, ვენი, ვიდი ვიცი“.

25. რასულ გამზათოვისთვის არაერთხელ შეუთავაზებიათ საცხოვრებელი ბინა მოსკოვის პრესტიჟულ რაიონში, გოგოლის ქუჩაზე, ტოლსტოის ქუჩაზე, მაგრამ ის ყოველთვის უარს ამბობდა. თავისი მოტივაცია მან ერთხელ ხუმრობით ასე ახსნა: „როცა მოკვდები, ჩემს პატივსაცემად ქუჩას სახელს არ გადაარქმევენ“. ■

მეღვა, იოსებ და სანდრო ნონეშვილები

სანდრო ნონეშვილი მეუღლესთან და პოეტ ფრიდონ ხალვაშთან ერთად

დიოდნენ ნანიტაშვილების ოჯახში. ბორისი და მამაჩემი კი, კარგი მეგობრები იყვნენ. ხშირად, ერთად სადილობდნენ. სწორედ ერთ-ერთი სადილის დროს, იოსებ ნონეშვილს დედაჩემი, ქალბატონი მედეა გააცნეს. დედას „ყელსაბამი“ უმღერია. მამას ის დანახვისთანავე შეჰყვარებია. რამდენიმე დღის შემდეგ, მთელ თბილისში მეხივით გავარდა იოსებ ნონეშვილის დაოჯახების ამბავი. მაშინ დედა 15 წლის იყო. კარლო კალაძემ დიდ წვეულებაზე, რომელიც ამ ქორწინების აღსანიშნავად გაიმართა, გამოაცხადა: жена, но не შვილი...

— ვინ იყვნენ მამის მეგობრები? იქნებ, გაიხსენოთ რამდენიმე მათგანი?

— იოსებ ნონეშვილს ჰქონდა ერთი საოცარი თვისება — უდიდესი კაცთმოყვარეობა. ის ორგზის გახლდათ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის საარჩევნო ოლქიდან. მისდამი უზომო სიყვარულს და სითბოს იჩენდა აფხაზეთის მოსახლეობა. შეკვეთით ასეთი სიყვარულის გამოვლენა შეუძლებელია. მამა, აფხაზი და ოსი პოეტების უდიდესი მეგობარიც იყო. გარდაცვალების წინ, საავადმყოფოდან, რეანიმაციული განყოფილებიდან ავთანდილ საყვარელიძეს წერილი მისწერა: ავათხარას მინერალური წყალი ჩამომიტანეო... მისი უახლოესი მეგობარი იყო ჟიული შარტავა. კიდევ კარგი, რომ მამა დღეს ცოცხალი აღარ არის...

— ქართველი პოეტებიდან განსაკუთრებით ვისთან მეგობრობდა?

— მამა გალაკტიონ ტაბიძესთან მეგობრობდა. მოგეხსენებათ, გალაკტიონი როგორი არამიწიერი კაცი იყო. მასთან მეგობრობა ძალიან უჭირდათ. იშვიათ გამონაკლისს მამაჩემი წარმოადგენდა. ჩვენთან სახლში ხშირად მოდიოდა. მაშინ გოგებაშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით. როგორც კი შებინდებოდა, გალაკტიონი მოვიდოდა. გრძელი წვერის გამო, თოვლის პაპასთან მყავდა გაიგივებული; როგორც კი მოვიდოდა, ვეცემოდი და ვეკითხებოდი: რა მომიტანე-მეთქი? ამის გამო მამა მტუქსავდა... მამას მეგობრებთან დაკავშირებით ერთი რამ მახსენდება: დაბადების დღე მქონდა. როგორც წესი, თამადა გოგლა ლეონიძე იყო. დამპირდა — სახანძრო მანქანას მოგიტანო, მაგრამ რატომღაც დააგვიანდა. გავიდა ნახევარი საათი, ერთი საათი, ის კი არ გამოჩნდა. მე მოუთმენლად ველოდი. უფროსებიც ელოდნენ, რადგან მის გარეშე, სუფრას ვერ მიუსხდებოდნენ. ძალიან რომ დაიგვიანა, თამადად კარლო კალაძე დანიშნეს. ბოლოს და ბოლოს, გოგლაც მოვიდა. დედას კარიდანვე დაუძახა: „პატარძალო, ვინ არის თამადა?“ დედამ უპასუხა: ბევრი გელოდეთ და ახლა, კარლოა კალაძეო. კარლოც არაჩვეულებრივი თამადა იყო. აუჰ, რა „პრავიზია“ გაგიფუჭებიათო! — შეიცხადა გოგლამ...

— რაიმე უცნაურობა თუ სჭირდა იოსებ ნონეშვილს?

— კაბინეტში, ნორმალურ პირობებში ლექსი არასდროს დაუწერია. მას ყველა ლექსი სამზარეულოში აქვს დაწერილი. არც ვინმეს მიერ მოდუღებული ჩაი დაულევია. ყველანაირი ჩაი ჰქონდა. ნებისმიერი ქვეყნიდან, სადაც კი მოხვდებოდა, ჩაი ჩამოჰქონდა. მაგიდის კუთხეში, ფანჯარასთან დაჯდებოდა, მაგიდაზე დადგამდა დიდ კათხას, წყალს და პურს. ამ რიტუალს რომ შეასრულებდა, ვიცოდით — ლექსს წერდა. მისთვის ყველაზე დიდი დელიკატესი, რუხი, კახური დედას პური და წყალი იყო. ჯიუტი კაციც იყო. დასვენება არ შეეძლო. სასტუმროში ვერ ჩერდებოდა. მისი დასვენება, საზღვარგარეთ წასვლა იყო. სხვათა შორის, მამაჩემი ავანგარდისტი გახლდათ. ბობ დილანთან და სხვა ავანგარდისტ პოეტებთან მეგობრობდა. ყოველთვის ბოლო მოდაზე ეცვა. მამაჩემზე კარგი ჩაცმული თბილისში არავინ დადიოდა. მე საშუალება მქონდა, შესანიშნავ ინგლისურენოვან ლიტერატურას გავცნობოდი, რომელიც მამას უცხოეთიდან ჩამოჰქონდა. მინდა გავიხსენო ჩვენს ოჯახში გამართული ერთ-ერთი წვეულება. ნადიმი პორტუგალიის პრეზიდენტის, გენერალ კოშტა გომეშის პატივსაცემად იყო გამართული. ბუნებრივია, ჩვენს ოჯახში მისი სტუმრობა გამოწვეული იყო იმით, რომ ბატონი გომეში ცნობილი პოეტიც ბრძანდებოდა. სტუმრებს შორის გახლდათ აგრეთვე მოსკოვში აშშ-ის საელჩოს მაშინდელი კულტურის ატაშე, ვილის სატერი. ყველასათვის მოულოდნელად, სტუმრებს შემოუერთდა ზვიად გამსახურდია. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ბატონი ზვიადი მამაჩემთან შეუთანხმებლად, მით უმეტეს — ასეთი რანგის ნადიმზე არ მოვიდოდა... ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ზვიად გამსახურდიამ ჩემს ოთახში, ჩემ თვალწინ ამერიკელ დიპლომატს, ბატონ სატერს რაღაც ქაღალდების შეკვრა გადასცა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მთელ საბჭოთა კავშირში მეხივით გავარდა ამბავი იმის შესახებ, რომ ამერიკაში გამოჩნდა ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოშვებული ხელნაწერი ჟურნალი — „ოქროს საწმისი“. საბჭოთა კავშირის უშიშროება დიდხანს იკვლევდა, თუ საიდან მოხვდა ეს ჟურნალი ამერიკაში... ალბათ მკითხველს გაუჩნდება შეკითხვა, თუ იმ დროს, უცხო სახელმწიფოს მეთაურის სტუმრობის პირობებში, როგორ მოახერხა ზვიად გამსახურდიამ ჩვენს ოჯახში თავისუფლად შემოსვლა ან იქიდან გასვლა? მე ამაზე ბევრი მიფიქრია და მხოლოდ ერთადერთ ახსნას ვპოულობ: რომ უშიშროების თანამშრომლები, რომლებსაც იმ საღამოს ჩვენი ოჯახის მისასვლელების მეთვალყურეობა ევალებოდათ, ქართველები იყვნენ...

— იქნებ, იოსებ ნონეშვილის ბოლო დღეებიც გაიხსენოთ?

— გულდაწყვეტილი წავიდა. მისთვის ლენინის პრემია არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ რუსთაველის პრემიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა... მახსოვს, მის საიუბილეო საღამოზე, ძალიან ბევრი სტუმარი ჩამოვიდა. იუბილე რუსთაველის თეატრში გადაუხადეს. ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, ედუარდ შევარდნაძემ, იოსებ ნონეშვილის დიდი ღვაწლისა და საიუბილეო დღეების გათვალისწინებით, ასეთი მოსაზრება გამოთქვა: პირდაპირ, კენჭისყრის გარეშე მივანიჭოთ იოსებს რუსთაველის პრემიაო. არქიტექტურის დარგში იყო ერთი თავისუფალი პრემია... მაგრამ შევარდნაძის სიტყვა არ შესრულდა. მამამ კი, ორიოდე კვირის შემდეგ, მთელი მსოფლიოდან უამრავი მისალოცი მიიღო... ■

ბოლოსიანების ოჯახში კვლავ ბეღურა-ყრის გენმა იმძლავრა

კინომსახიობთა თეატრში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და დროებით დახურულია. ამის გამო, მიხეილ თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლები, მარჯანიშვილისა და „თავისუფალი“ თეატრების სცენებზე იმართება. „მეთორმეტე ღამე“ მიხეილ თუმანიშვილმა 12 წლის წინ დადგა და მას შემდეგ, სპექტაკლი სცენიდან არ ჩამოსულა. მარჯანიშვილის თეატრის საგრიმიოროში მსახიობ თაზო თოლორაიას მაშინ ვესტუმრე, როცა ის ამ სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად, სცენაზე გასასვლელად ემზადებოდა.

ნათია თენიეშვილი



თაზო თოლორაია საგრიმიოროში

— ბატონო თაზო, როგორ გრძნობთ თავს ამ საგრიმიოროში? თქვენი თეატრი არ გენატრებათ?

— ჩვენი თეატრის დიდი მონატრება გვაქვს ყველას. ის საკუთარი სახლივით არის, მაგრამ სარემონტო სამუშაოების დამთავრებამდე ცოტაღა დარჩა: შემოდგომაზე უკვე გაიხსნება და მომავალ სეზონში, უკვე მშობლიურ თეატრში ვიქნებით.

— თქვენი თეატრი მოცულობით საკმაოდ განსხვავდება ამ თეატრისგან. ალბათ ეს ბევრ სირთულეს გიქმნით.

— ბატონ მიშას უნდოდა პატარა დარბაზი და ჩვენ იმას ვართ მიჩვეულები. აქ სულ მგონია, რომ მაყურებელს ჩემი ხმა ისე არ ესმის, როგორც საჭიროა და ძალაუნებურად ვყვირი ხოლმე... ჩვენს თეატრში მაყურებელი სცენიდან ორ მეტრში ზის. აქ კი უზარმაზარი დარბაზია. როცა რაღაც ფრაზა უნდა ვთქვა ხმადაბლა, ორმაგად ხმამაღლა ვამბობ. სულ იმის შიში მაქვს, რომ ჩემი ხმა არ ისმის. მხოლოდ ეს არის პრობლემა — სხვა არაფერი.

— ეი. უცხო სცენაზე შიშის გრძნობა არა გაქვთ?

— თუკი საქართველოში ვინმე დიდი მსახიობი იყო, ყველა ამ სცენაზე იდგა. იმ სცენაზე დგომა, სადაც ის ბუმბერაზები იდგნენ, ცოტა კი გაშინებს. ფიქრობ: ვაიმე, აქ გოძიაშვილი, შავგულიძე, აბაშიძე, კვანტალიანი, ჟორჟოლიანი და სხვები გამოდიოდნენ; მათ შემდეგ, მე როგორ უნდა მოვხიბლო მაყურებელი? — აი, ეს გრძნობა მეუფლება ხოლმე.

— თუ დღის განმავლობაში რაიმე უსიამოვნება შეგემთხვევათ და იმ დღეს კომედია უნდა ითამაშოთ ან პირიქით, რაიმე ძალიან გიხარიათ და ტრაგედია გაქვთ სათამაშო, მაშინ რას შვრებით? მოქმედებს ეს თქვენზე?

— დღის განმავლობაში რაც არ უნდა მოხდეს — უსიამოვნება შეგემთხვევა, იჩხუბებ თუ გულნატკენი ხარ, — როცა სცენაზე გადიხარ, ყველაფერი გავიწყდება და გეხსნება. უფრო მეტიც — კბილის ტკივილისგან კედლებზე რომ გადიხარ — სცენა ამასაც გავიწყებს...

— ბატონო თაზო, თქვენი შვილები თუ ესწრებიან ხოლმე თქვენს სპექტაკლებს?

— კი, ესწრებიან. ჩემი უფროსი გოგონა — რუსიკო ნახულობს ხოლმე, მაგრამ მაინცდამაინც კრიტიკული ვერ არის; ალბათ იმიტომ, რომ მამა ვარ და ჩემი ყველაფერი მოსწონს. ამას წინათ მითხრა: „ღიმილის ბიჭებს“ ვუყურე და რომ გკლავენ, იმ მომენტში ტირილი ამივარდაო...

— თქვენი მშობლები მსახიობები არიან, თქვენც მათ გზას გაჰყევით. შვილებს დაუშალეთ მსახიობობა თუ თვითონ გააკეთეს არჩევანი?

— ჩემი უმცროსი შვილი — თაკო 6 წლიდან იდგა ჩვენი თეატრის სცენაზე. ბატონმა მიშამ ჩვენს თეატრში, ხუთ სპექტაკლში ათამაშა, თანაც — საკმაოდ მოზრდილი როლები. დარწმუნებულები ვიყავით, რომ მსახიობი გახდებოდა, მაგრამ უცებ, უარი თქვა ამაზე და ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩაბარა მისაღები გამოცდები. რაც შეეხება ჩემს უფროს ქალიშვილს — იმას არც არასდროს მოუნდომებია მსახიობობა. სამხატვრო აკადემია დაამთავრა, გობელენის განხრით. ჰყავს ორი შვილი — 12 წლის დიმიტრი და 5 წლის ნინო და იმათ ზრდის. 20 წლის ვიყავი, როცა რუსიკოს დედა მოვიყვანე ცოლად. მერე ისე მოხდა, რომ ცხოვრებამ გაგვყარა, მაგრამ ის ჩემი პირველი შვილი და პირველი სიხარულია. რაც შეეხება შვილიშვილებს — გოგონა ჯერ ძალიან პატარაა, ბიჭი კი სულ ამბობდა, მსახიობი უნდა გამოვიდეო. ორი წლის წინ კი, უცებ გამოგვიცხადა — რეჟისორობა მინდაო. ესე იგი, თეატრალურმა გენმა მაინც იმძლავრა...

თაზო თოლორაიას უამრავი როლი აქვს შესრულებული — თეატრშიც და კინოშიც. მიუხედავად ამისა, ყველაზე დიდი პოპულარობა „ღიმილის ბიჭებში“ შესრულებულმა, ლევანის როლმა მოუტანა. „უკვე 52 წლის ვარ, მაგრამ მაინც ბიჭი ვარ, ღიმილის ბიჭი...“ — მითხრა ბატონმა თაზომ და სცენაზე გავიდა... ■

რუსიკო თოლორაია შვილებთან — ნინოსა და დიმიტრისთან ერთად

მე-20 საუკუნის გახმაურებული და გაუხმაურებელი სასამართლო პროცესები

ექსგენპროკურორის ექსკლუზიური ინტერვიუ

მაია კახიძე

ყოფილი გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, როგორც კომუნისტური ეპოქის დროინდელ სამართალდამცავ ორგანოებში, ისე დამოუკიდებელი სახელმწიფოს გენერალურ პროკურატურაში, მაღალ თანამდებობებზე მოღვაწეობდა. ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის ყველა წარჩინებულ თუ უბრალოდ, ცნობილ წარმომადგენელთან. ხანგრძლივი ბიოგრაფიის მანძილზე კი, დანაშაულებრივი სამყაროს საფუძვლიანად გაცნობის საშუალებაც მიეცა და მოსაგონარიც ბევრი აქვს. მისი ვრცელი ინტერვიუს პირველი ნაწილი „გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ. დღეს ამ ინტერვიუს მეორე, დასკვნით ნაწილს წარმოგიდგენთ.

— ბატონო ვახტანგ, მსმენია, რომ ბევრ სასამართლო პროცესზე თავჩაქინდრული იჯექით ხოლმე. რატომ?

— ხშირად ვგრძნობდი უხერხულობას... სხვათა შორის, ყოველთვის დახვრეტის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ზოგი ისეთი საქმე იყო... გადამეტებული სასჯელი არასოდეს მყვარებია. ერთ ამბავს გავიხსენებ: რუსთავის მექანიკური ქარხნის დირექტორი, კობახიძე რომ დაიჭირეს, პროცესზე 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოვითხოვე. მოსამართლემ იმატრაკვეცა და დახვრეტა გამოუტანა. გეფიცებით — თავი მოვიკალი, სანამ იმ განაჩენის გაუქმებას არ მივაღწიე. ჩემი ღრმა რწმენით, დახვრეტა არ ეკუთვნოდა და დიახაც, რომ მისი სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძოლე... მახსოვს, ნუღლას (სიღნაღის ღვინის ქარხნის ყოფილი დირექტორი) პროცესი რომ დამთავრდა, მთავარ ინჟინერს — მჭედლიშვილს დახვრეტა განუსაზღვრეს. მაშინ რესპუბლიკის პროკურორი ვიყავი. ჩემთან მჭედლიშვილის მოხუცი დედა მოვიდა. შევიტანე პროტესტი და 15-წლიანი პატიმრობით შევაცვლევინე... იცით, თბილისის პროკურორი რომ ვიყავი, ბერძენიშვილის ქუჩაზე, 57-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ცხოვრობდა, გვარად — ჟორჟოლიანი. მისი ქმარი, დოლიძე კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე გახლდათ. კვირა დღეს, როდესაც ქალბატონი შინ იყო, კარზე დაუკაკუნეს, გააღო და... სომეხი ეროვნების რუსთაველი ახალგაზრდა დაესხა თავს. თავდამსხმელი გვარად ადამიანი იყო. აი, ამ ადამიანმა დაახრჩო ქალი და სახლიდან ყველაფერი წაიღო. იმდენად გავმწარდი — ორ კვირაში დავამთავრე გამოძიება, ერთი თვის თავზე კი, პროცესი გაიმართა. ჩემი პრინციპის მიუხედავად, სასჯელის უმაღლესი ზომა მოვითხოვე. პროცესზე ბოროტმოქმედის მამა ადგა და სიტყვა ითხოვა. სამი შვილი მყავს, ეს მკვლელი გამიზრდია, ვეთანხმები პროკურორს და მეც რომ მაგებინოთ პასუხი — მზად ვარო, — თქვა...

— მართალია, რომ ამბობენ — ქალაქკომის პირველი მდივნის, მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობამდე, ქუთაისში იმიტომ ჩავიდა ვახტანგ რაზმაძე, რომ ჯუმბერ პატიაშვილმა გააგზავნაო?

— პატიაშვილის თქმა რად მინდოდა? — ჩემი მოვალეობა ყოველთვის კარგად ვიცოდი. მაგრამ ეს ტყუილია — არ ვყოფილვარ. მაშინ ქუთაისში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მუშაობდნენ. იძიებდნენ ქალაქის ვაჭრობისა და საზკვების სამმართველოში აღმოჩენილი დანაკლისის საქმეს. მაშინდელი სამმართველოს ხელმძღვანელების — კლდიაშვილისა და სოხაძის ბრალდების საქმის გამოძიების პროცესში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და მექრთამეობაში მხილებულ იქნა ქალაქკომის განყოფილების გამგე ამირანაშვილი. ასლანიკაშვილი ძალიან განიცდიდა, უკიდურესად შეშფოთებული იყო ამირანაშვილის დაპატიმრების გამო. ამირანაშვილმა და კლდიაშვილმა წინასწარი გამოძიების პროცესში მისცეს ჩვენება, სადაც აღნიშნავდნენ, თითქოს მათ სისტემატურად მიჰქონდათ ასლანიკაშვილთან სხვადასხვა ტანსაცმელი, რომლის ღირებულებას ის არ იხდიდა; გარდა ამისა, ამირანაშვილის ჩვენებით, მას ასლანიკაშვილმა ორჯერ გამოართვა სესხად 2.000-2.000 მანეთი, რომელიც არ დაუბრუნებია... მამუკას კარგად ვიცნობდი, პატივს ვცემდი. ბევრი რამ ვურჩიე და რაც არ გაითვალისწინა, ძვირად დაუჯდა. თვითმკვლელობა რომ მოხდა, მეორე დღეს, ბიუროს სხდომა უნდა ჩაეტარებინა. საერთოდ, იმ საბედისწერო დღეს გავარდნილ ტყვიას ბევრი მოვლენა უძღოდა წინ. ვინც ქალაქში წესრიგის დაცვაზე აგებდა პასუხს და ვინც მამუკას გარშემო ტრიალებდა, იგივე ადამიანები აგროვებდნენ მასალებს მის წინააღმდეგ და აგზავნიდნენ დედაქალაქში; შემდეგ ეს ინფორმაცია გამოყენებულ იქნა, როცა კლდიაშვილისა და ამირანაშვილისაგან მამხილებელი ჩვენებები მიიღეს... მამუკა ასლანიკაშვილს ცოტა მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება რომ ჰქონოდა და სხვებისთვისაც რაღაც დაეჯერებინა, ასე ადვილად არ წამოეგებოდა ავანტიურისტთა ანკესზე. ერთხელ მითხრა კიდეც ამის შესახებ: ბატონო ვახტანგ, ბოდიშს გიხდით — თავის დროზე არ დაგიჯერეთ და დღეს ჩემთვის ყველაფერი ნათელია: გამყიდეს იმ ადამიანებმა, ვისაც ყველაზე მეტად მჯეროდაო...

— თქვენი მუშაობის დროს, ხშირად თუ ხდებოდა შეკვეთილი მკვლელობა და ყველაზე სწრაფად რომელი გახსენით?

— არა, მაშინ ხშირად არ ხდებოდა, მაგრამ ასეთ დანაშაულს მაინც ჰქონდა ადგილი. ლილოში, №2 რკინაბეტონის ქარხნის დირექტორი გურამ ბახტაძე გახლდათ, საამქროს უფროსი — ოგანეზ განდელიანი. ისინი სამუშაოს ყალბ განაწესებს ადგენდნენ და თანხებს ითვისებდნენ. ქარხნის მთავარი ბუღალტერი, სკვორცოვა სისტემატურად აგზავნიდა წერილებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, ატყობინებდა, რომ ქარხანაში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ქონების დატაცებას. თან ანონიმურად კი არ აგზავნიდა — ხელს აწერდა! რა თქმა უნდა, ამ წერილებზე რეაგირება ხდებოდა — ქარხანას ამოწმებდნენ, მაგრამ ბახტაძე და განდელიანი ყველაფერს აკვარახჭინებდნენ. რა არ იღონეს, რათა სკვორცოვას წერილების წერა შეეწყვიტა: შესთავაზეს ფული, ბინა (ქალი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა), მაგრამ არაფერი გამოუვიდათ —

წერილების წერა გააგრძელა. ჰოდა, გადაწყვიტეს – მოეკლათ. დაიქირავეს ოთხი კაცი, სოლიდური თანხა გადაუხადეს და სკვორცოვა მოაკვლევინეს... გამოძიება მოსკოვში იყო აყვანილი კონტროლზე. სიმართლე გითხრათ, ამ საქმის გამო იმდენი ნერვიულობა გადავიტანეთ... როგორია? – საქართველოში მოკლეს რუსი ეროვნების მოქალაქე, რომელიც სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს ამხელდა!.. საქმის გახსნა გაძნელდა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც გავხსენით. გამომძიებელმა ირაკლი კობიაშვილმა და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ, აწ განსვენებულმა ტარიელ თავართქილაძემ ძალ-ღონე არ დაიშურეს საამისოდ. ოთხივე მკვლელი, აგრეთვე – ბახტაძე და განდელიანი ამხილეს და დააპატიმრეს.

— როგორი სასჯელი მიესაჯათ?

– ორ მკვლელს – ბახტაძესა და განდელიანს, სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიესაჯა, ორს კიდევ სხვადასხვა სასჯელი შეეფარდა.

— საინტერესოა, რომელი დამნაშავე ქალი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

– მარო ბიბილაშვილი. ეს ქალბატონი მრავალი წელი მუშაობდა შამპანური ღვინოების ქარხანაში საწყობის გამგედ. აფორმებდა ყალბ დოკუმენტებს – თითქოს მაღაზიებიდან ცარიელი ბოთლები შეისყიდა, მერე ვითომ დაიმსხვრა და ჩამოიწერა. ე.წ. უსაქონლო ოპერაციებს აწარმოებდა, მაღაზიების გამგეებს ზედდებულების მიხედვით, უხდიდა გარკვეულ პროცენტს, დანარჩენს კი, თვითონ ივჯიბავდა. მარო ბიბილაშვილი 51 წლის იყო, როცა დავაპატიმრეთ. მისი ოჯახი გლდანში ცხოვრობდა – შესანიშნავი ორსართულიანი სახლი ჰქონდათ. საოცარი ის იყო, რომ ვიცოდით – ბევრი ფული ჰქონდა დაგროვილი, მაგრამ ვერ ვპოულობდით. დიდი წვალების შემდეგ, სოფელ ნორიოში, მისი ნათესავის ოჯახში მივაკვლიეთ მარო ბიბილაშვილის ქონებას. ფულით გატენილი ჩემოდნები ტახტში ჰქონდათ ჩაწყობილი – სულ 762.000 მანეთი ნაღდი ფული, 450.000-ის ღირებულების ბრილიანტები, ოქრო და შემნახველი სალაროს რამდენიმე წიგნაკი... იცით, მანამდე, საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში, არც ერთი დამნაშავისგან ამდენი ნაღდი ფული არ ამოუღიათ... ამ საქმეზე ბევრი სასურსათო მაღაზიის გამგე ჩავარდა, რამდენიმე ათეული კაცი იქნა პასუხისგებაში მიცემული. მარო ბიბილაშვილს 15 წელი მიესაჯა. მას, სხვათა შორის, ქმარიც ეხმარებოდა და ისიც დავიჭირეთ. სახლი ჩამოერთვათ და გაიყიდა, მოხდა პირადი ქონების კონფისკაციაც. რამდენიმე წლის შემდეგ, ბიბილაშვილი ციხეში გარდაიცვალა...

— რომელიმე კანონიერ ქურდს ხომ არ გაიხსენებთ?

– თბილისის პროკურორად ვმუშაობდი, როდესაც ე.წ. კანონიერმა ქურდმა ხაჩატუროვმა – მეტსახელად ბუივოლამ მილიციის ორი თანამშრომელი მოკლა ავლაბარში. მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. მილიციის თანამშრომლები შემთხვევით გადაეყარნენ, როდესაც ერთ-ერთი სახლიდან გამოვიდა. ხაჩატუროვს ლაბადა ეცვა და ორივე ხელი ჯიბეში ედო. თურმე გამზადებული, შეყენებული ჰქონდა იარაღი. პირდაპირ ჯიბიდან, ხელის ამოუღებლად ესროლა. ხაჩატუროვიც დაჭრეს, მაგრამ ორივე თანამშრომელი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამწუხაროდ, იმ ბიჭების გვარები აღარ მახსოვს. ხაჩატუროვი ციხის საავადმყოფოში გადავიყვანეთ. ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს და გადაარჩინეს. უდიდესი ავტორიტეტი იყო, მეფესავით ცხოვრობდა ციხეში... ამასობაში მისი ბანდის წევრებიც დავიჭირეთ, მათ შორის ყველაზე ცნობილი, კანონიერი ქურდი, ერაძე გახლდათ – თუმცა, ისიც ეროვნებით სომეხი იყო. ერაძეს ადრე, სხვა დანაშაულისთვის დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ მოსკოვში, ფსიქიატრიის ინსტიტუტში ჩააწყვეს საქმე და ცნობა მისცეს, რომ შეურაცხადი იყო. მაშინ, ასეთი ცნობა კოლოსალური თანხა ჯდებოდა. მოსკოველი სპეციალისტების ცნობის საფუძველზე, ერაძე გათავისუფლდა. ამის მერე, მან კვლავ ჩაიდინა მკვლელობა და მხოლოდ შემდეგ მოხერხდა მისი დაპატიმრება. შეურაცხადობის ცნობის გამო, ისევ შეგვექმნა პრობლემა. მივმართეთ ავლიპ ზურაბაშვილს – ვთხოვეთ, პირადად გამოეკვლია ერაძე. მან მოგვცა დასკვნა, რომ ერაძე შერაცხადი იყო. სამართლომდე რომ მივიდა საქმე, ერაძის ადვოკატებმა მოსკოვიდან ჩამოიყვანეს საკმაოდ ცნობილი სპეციალისტები, მაგრამ როცა პროცესზე ავლიპ ზურაბაშვილი გამოვიძახეთ და მათ პირადად ნახეს ჩვენი დიდებული მეცნიერი, თან მისი სიტყვაც მოისმინეს, სადაც მან მეცნიერულად დაასაბუთა ერაძის შერაცხადობა, იმ ორმა მოსკოველმა ფსიქიატრმა ხმა ჩაიკმინდა...

— ყველაზე ცნობილი ბანდიტური ჯგუფის შესახებაც ხომ არ გვიამბობთ?

– ასეთი ბანდიტური ჯგუფის ხელმძღვანელი, გვარად ბრეგაძე გახლდათ, მეტსახელად – კატა. ისინი მთელ საქართველოში დათარეშობდნენ. კატა ახალგაზრდა ბიჭი იყო, ტყიბულელი. მის ჯგუფში ბევრი ბანდიტი „მოღვაწეობდა“. ერთხელ, ამ ბანდის წევრები ზურაბ ბაკაშვილს (ნუღლას) დაესხნენ თავს. ნუღლა წვერს იპარსავდა, თავზე რომ დაადგნენ იარაღით. ისე, რომ პარსვა არ შეუწყვეტია, უთხრა: აგერ დევს ფული და წაიღეთო... მაშინდელი თავდასხმა მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ საერთოდ, იმდენ საშინელებას სჩადიოდნენ... ხალხს აყაჩაღებდნენ, ფულის გამოძალვის მიზნით იტაცებდნენ, აწამებდნენ კიდეც, თუმცა, მკვლელობა არ ჩაუდენიათ. კატას ბანდაში მოღვაწეობდა საკმაოდ ცნობილი ქუთაისელი ავტორიტეტი – ანზორ ხუციშვილიც. საბოლოო ჯამში, ყველა ბანდიტი შევიპყარით. მაშინ რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ვიყავი და გამოძიებას პირადად ვხელმძღვანელობდი. 10 თუ 12 კაცი გავასამართლეთ და 15-წლიანი სასჯელი განესაზღვრათ.

— დურუ ხურცილავაზე შეთხზულმა ლეგენდებმა დღემდე მოაღწია...

ვახტანგ რაზმაძე ზურაბ წერეთელთან ერთად

— როცა დურუ ხურცილავა დაიჭირეს, იმხანად, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი ვიყავი. მაშინ დურუმ სოხუმელი, ე.წ. კანონიერი ქურდი შარიქაძე მოკლა. მათ შორის დაპირისპირება ერთი კონკრეტული შემთხვევის გამო მოხდა: დურუმ ერთ ოჯახში გოგო გააუპატიურა. მისი მშობლები შარიქაძის ახლობლები აღმოჩნდნენ. შარიქაძე დიდი ავტორიტეტი იყო და, ცხადია, დურუს შეხვდა. შელაპარაკება კი სისხლის ღვრით დამთავრდა, უფრო სწორად — არაადამიანური ანგარიშსწორებით. დურუმ უთხრა: ამას შენ არავინ გკითხავს და ვერაფერსაც ვერ მიზამო. შარიქაძემ კი — წავიდეთ და გიჩვენებ, რასაც დაგმართებო... სოხუმის სასაფლაოსკენ გაემართნენ. დურუ ხურცილავამ შარიქაძე მოკლა, და შემდეგ, იქვე, სასაფლაოზე დაწვა. მიუხედავად ამისა, შარიქაძის გვამი, ექსპერტიზის შედეგად ამოიცნეს... საერთოდ, დურუმ ბევრი ადამიანის ცოდვა დაიდო... არაადამიანური ძალის პატრონი იყო. ჩადენილი ჰქონდა მრავალი ძარცვა, მკვლელობა, ყაჩაღობა... ციხის ადმინისტრაცია ისეთ დღეში ჰყავდა, სულ თავის ჭკუაზე დაატარებდა. გამოძიების პროცესში მოთავსებული იყო თბილისის იზოლატორში, მაგრამ იზოლატორის ადმინისტრაციამ და შს სამინისტროს ხელმძღვანელობამ ვერ მოუარეს და ფოთში გადაიყვანეს.

— მსმენია, რომ ამ არაადამიანური ძალის პატრონმა, საკნის კარიც კი, საკუთარი მხრებით გაიტანა. მართალია?

— მართალია. შარიქაძის მკვლელობის საქმეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, გივი ეხვაია იძიებდა. დურუს დასაკითხად რომ მიდიოდა, თან 2-3 ძიუდოისტი და გაწვრთნილი ძაღლები მიჰყავდა, რადგან ხურცილავა ისეთი ამოუცნობი პიროვნება გახლდათ, რა წუთში რას მოიმოქმედებდა, არავინ უწყოდა. მაგალითად, ერთხელ, სასეირნოდ გაიყვანეს საკნიდან, ის კი ადგა და ყველას თვალწინ საკუთარი სათესლე ჯირკვლები (კანი, რასაკვირველია) დაილურსმა. იცით, რა ამბავი ატყდა?! ეხვეწებოდნენ, ამოეძრო დაჭედებული ლურმსნები... ფოთში რომ გადაიყვანეს, იქაური ადმინისტრაციაც ისე აიყვანა ხელში... წარმოიდგინეთ — ყველა საკნის გასაღები ჰქონდა, მათ შორის — ქალებისაც. რამდენიმე პატიმარი ქალი გააუპატიურა... ერთ დღეს კი, ციხის უფროსს წაართვა იარაღი — ქალაქში უნდა წავიდეო. როცა მოესურვებოდა, ყოველთვის გამოდიოდა სასეირნოდ და საქეიფოდ. ჰოდა, ისე ჰყავდა დაშინებული ხალხი, რომ ერთხელაც, წავიდა და წავიდა...

— სასამართლო პროცესზე ალბათ საგანგებო გალიაში გყავდათ მოთავსებული, არა?

— მაშინ გალიები არ იყო და დურუს დაოკება სასამართლოზეც ძალიან გაჭირდა: ილანძღებოდა, იგინებოდა, იმუქრებოდა... ძლივს აკავებდნენ. უკანასკნელ პროცესზე კი, ზურგი შეაქცია მოსამართლეებს — მთელი პროცესის განმავლობაში, კედლისკენ შებრუნებული იჯდა.

— ამბობენ, პირველად 13-14 წლის დურუ, ყველის ქურდობისთვის გაუსამართლებიათ. იქნებ, სწორედ ეს არ უნდა მომხდარიყო?

— დურუ ძალიან ცუდ ატმოსფეროში გაიზარდა. მამამისი — იასონიც საშინელი კაცი იყო. საოცარია, მაგრამ დურუ და მისი ავკაცობა უფრო ახსოვთ საქართველოში — არადა, მამამისი და მისი ძმა — დიმიტრი, დურუზე საშიშნი იყვნენ. დურუს ძმაც რამდენჯერმე დაიჭირეს. მაგრამ ჩემი აზრით, დურუ მაინც, მარტოხელა მგელი იყო. მას ავტორიტეტული ქურდებიც ვერაფერს უბედავდნენ. რკინის კაცი იყო დურუ ხურცილავა. სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს.

— ბატონო ვახტანგ, თქვენთან საუბრისას, პოლიტიკას ვერ გავექცევით... ხალხში დღემდე, ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიები დადის ერთ ამბავზე: მართლა გადმოგცათ თუ არა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთა სია, რომლებიც მისი დავალებით უნდა დაგეპატიმრებინათ?

— კი. მაგრამ მე უარით ვუპასუხე. რის საფუძველზე უნდა დამედო ბრალი ამ ადამიანებისთვის? იმიტომაც გადავდექი გენერალური პროკურორის თანამდებობიდან. ზვიადმა კი, მტრად გამომაცხადა. უდანაშაულო ხალხს ვერ დავაპატიმრებდი, გადადგომა ვარჩიე. ჩემს სიცოცხლეში უკანონოდ არც ერთი დამნაშავე არ გამიშვია ციხეში... ზვიადი შეურიგებელი მტერი იყო კომუნისტური წყობისა, რის გამოც მას დიდ ადამიანად ვთვლი. მისი მოღვაწეობის პირველი ნაწილი თუ დასაფასებელია, როცა მან ნამდვილად შეძლო ხალხის მობილიზება და საქართველოში კომუნისტური წყობილების უსისხლოდ დამარცხება, რასაც მას ვერასოდეს დაუკარგავ, მეორე ნაწილი, ხალხის მოტყუება აღმოჩნდა. შეიძლება, ძალიან ხმამაღლა ნათქვამი იყოს, მაგრამ ზვიად გამსახურდია არ იყო სახელმწიფოს დიდი პატრიოტი — იგი საკუთარი თავის პატრიოტი უფრო გახლდათ, მხოლოდ ის საქართველო უყვარდა, რომლის პრეზიდენტიც თვითონ იქნებოდა. უმრავლეს შემთხვევაში, სხვის აზრს არ ითვალისწინებდა, უგულებელყოფდა და უშვებდა ქვეყნის მართვაში უხეშ შეცდომებს. ეს ძალზედ უარყოფითი და დამღუპველი თვისება „წითელ ზოლად“ გასდევს ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას პრეზიდენტის პოსტზე და ამან განაპირობა მისი ხელისუფლების დამხობა. მერწმუნეთ — არანაირი სუბიექტური მომენტები არ მალაპარაკებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ. მას თავისი ღირსებებიც ჰქონდა...

— უამრავ ადამიანს დღემდე აწუხებს კითხვა: თავი მოიკლა ზვიად გამსახურდიამ თუ მოღალატეებმა მოკლეს? ვისი ბრალია, რომ იმ საბედისწერო მოვლენებს ნათელი არა და არ მოეფინა?

— ვისი ბრალია და ამ ხელისუფლების. მათ იმის სურვილიც არ გამოუმჟღავნებიათ, რომ სიმართლე დაედგინათ. გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლ-

ევაც არ ჩაატარეს — სხვა რა შეიძლება იფიქრო?! ზვიადის მეუღლეს არ უნდოდა ექსპერტიზის ჩატარებაო, — გაიძახიან. იმით თავის მართლება, რომ მანანა არჩვაძემ არ დართო ექსპერტიზის ჩატარების უფლება, დიდი უსუსურობაა. ვინ ჰკითხავდა მანანა არჩვაძეს, როცა საქმე ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ეხებოდა?! მაგრამ ექსპერტიზა რომ ჩატარებულიყო, ცხადია, დაადგენდნენ ტყვიის მიმართულებას და ამ მიმართულების მიხედვით, დასკვნაც გაკეთდებოდა — თვითმკვლელობა იყო ეს, თუ მკვლელობა...

— პირადად თქვენ, როგორც პროფესიონალი, რას გვეტყვით — შეეძლო თუ არა ზვიად გამსახურდიას თავის მოკვლა?

— რამდენადაც ზვიად გამსახურდიას ვიცნობდი, ის თავს არ მოიკლავდა...

— მერაბ კოსტავას დაღუპვაზე რას იტყვით?

— მერაბ კოსტავა ავტოსაგზაო კატასტროფის შედეგად დაიღუპა 1989 წლის 13 ოქტომბერს, სოფელ ბორითში (ხარაგაულის რაიონი). საქმეზე ჩატარებული გამოძიებით, ეს ფაქტი უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ კოსტავას სიკვდილის მიზეზი სხვა რამ არ იყო.

— საინტერესოა, რა აზრის ბრძანდებით აკაკი ელიავას ლიკვიდაციაზე?

— ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა არასოდეს გამიმართლებია. ახლა, როცა ქვეყანაში გაუქმებულია სასჯელის უმაღლესი ზომა, ყოველი ოპერაციის ჩატარებას სიფრთხილე სჭირდება. სასიკვდილოდ კაცი ასე ადვილად არ უნდა გაიმეტო. მაგრამ თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩვენი ძალოვნები აღწერდნენ, მაშინ ცოტა ძნელია, პოლიცია რამეში დაადანაშაულო. ერთი კი უდავოა: ელიავა არავითარ შემთხვევაში, ზესტაფონში არ უნდა მოეკლათ. ეს ძალოვნების დიდი შეცდომა იყო. აკაკი ელიავა ბუნებით ყაჩაღი არ ყოფილა, ცხოვრების სწორ მიზანს ასცდა იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ შეაფასა პოლიტიკური პროცესები. ამიტომაც აღმოჩნდა გაურკვეველ მდგომარეობაში.

— მართალია თუ არა, რომ ასლან აბაშიძის საქმესაც თქვენ იძიებდით?

— დიახ, მართალია. მკითხველს შევახსენებ, რომ მასთან კაბინეტში ნოდარ იმნაძე შევარდა და მოკვლას უპირებდა, მაგრამ თავად მოკლეს. ის გადაწყვეტილებაც მე მივიღე, რომ იმნაძის წინააღმდეგ იარაღის გამოყენება, ასლან აბაშიძის და მისი გარემოცვის მხრიდან მართლზომიერი გახლდათ. იმნაძე გამსახურდიასთან დაახლოებული პიროვნება იყო, ძალიან აფასებდა და მიაჩნდა, რომ ავტონომიური წარმონაქმნების მიმართ პოლიტიკა აჭარაში მას უნდა განეხორციელებინა... გამსახურდიამ ძალიან განიცადა იმნაძის სიკვდილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას სჯეროდა, რომ მე სწორ გადაწყვეტილებას მივიღებდი.

— დედაქალაქში ასლან აბაშიძის ჩამოუსვლელობის თემა პერიოდულად, ყურადღების ცენტრში ექცევა...

— ასლან აბაშიძე ძალიან საინტერესო პიროვნებაა. მას არც ვაჟკაცობა აკლია და არც გაგების უნარი. მას იმ დროიდან ვიცნობ, როცა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, ზვიადის დროს. რა თქმა უნდა, თბილისში და სხვა რაიონებში ასლან აბაშიძის ჩამოუსვლელობა უარყოფითად აღიქმება საქართველოს მოსახლეობის მიერ. ეს ყველასთვის ადვილი გასაგები არ არის. თავად ასლანს აქვს იმის საშუალება, რომ თავისი უსაფრთხოება უზრუნველყოს, მაგრამ ცენტრმაც ხომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა?! ასლანს მეც ვეთანხმები იმაში, რომ მასზე ტერაქტის განხორციელებას ყოველთვის ეცდებიან. რაც შემეხება მე — ჩემზე ვერავინ იტყვის, კარიერისტიაო. ბატონი ასლანის ბანაკში იმიტომ აღმოვჩნდი, რომ მინდოდა, იმ გარდაქმნებში მიმეღო მონაწილეობა, რომელიც ხალხის სასიკეთო იქნებოდა.

რაც შემეხება მე — ჩემზე ვერავინ იტყვის, კარიერისტიაო. ბატონი ასლანის ბანაკში იმიტომ აღმოვჩნდი, რომ ...

— იქნებ, ნუგზარ საჯაიას ბურუსით მოცულ თვითმკვლელობაზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა?

— ორი წელი, ნუგზარის მოადგილედ ვმუშაობდი ცეკაში. ორგანიზებული პიროვნება იყო, ჩამოყალიბებული, ობიექტური და შევარდნაძის დავალებების პედანტურად შემსრულებელი. ჯერ კიდევ 1998 წელს, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა, გიგლა ბარამიძემ იქაური პოლიციის უფროსის, ახალკაცის გათავისუფლება ითხოვა. ახალკაცმა განაცხადა: ბარამიძემ მითხრა — იმ პედერასტმა დამავალაო... ეს რომელიღაც გაზეთში დაიბეჭდა. ნუგზარმა მითხრა: სეიფში მიდევს გაზეთი; ისეთ დღეში ჩავვარდი, თავის მოკვლა მინდოდაო... ჩემს შვილიშვილებს ვფიცავ — ზუსტად ასე იყო... ძალიან დამენანა ნუგზარი; მისი დაღუპვა რომ გავიგე, ცრემლები შეუჩერებლივ მდიოდა... კაცს ასე ძლიერ როგორ უნდა ატკინო გული, რომ თვითმკვლელობამდე მიიყვანო?!

— ბატონო ვახტანგ, თქვენ ოთხი ხელისუფლება გამოიცვალეთ, პარლამენტის წევრიც ბრძანდებოდით. რა უფრო რთულია — პარლამენტარობა თუ პროკურორობა?

— ჩემი აზრით, ორივე რთულია, ოღონდ — თუ ქართული პარლამენტის ცხოვრებას გავითვალისწინებთ, მაშინ პარლამენტარობა ყველაზე იოლი გახლავთ...

P.S. ახლახან, ბატონმა ვახტანგ რაზმაძემ 630-გვერდიანი წიგნი გამოსცა სახელწოდებით — „რაც მითქვამს და დამიწერია“. ერთ, თუნდაც ვრცელ ინტერვიუში, რა თქმა უნდა, ყველაფრის თავმოყრა შეუძლებელია, მაგრამ საქართველოს ექსგენპროკურორის წიგნი საქართველოს უახლესი ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან კითხვაზე გაგცემთ პასუხს... ■

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ოჯახური უსიამოვნებებისა და ზოგიერთ შემთხვევაში გაყრის მიზეზადაც კი, შეიძლება ერთი შეხედვით, ძალზედ ყოფითი, უმნიშვნელო დეტალი მოგვევლინოს. „მე დავქორწინდი სექსუალურად მიმზიდველ, მომხიბლავი გარეგნობის გოგონაზე, მაგრამ დროთა განმავლობაში ვეღარ ვცნობ მას, — ჩივის გულგატეხილი ქმარი. — ჩემს ბინაში ვიღაც უცხო ქალი დადის ფლანელის ხალათსა და ქუსლჩაკეცილ ჩუსტებში გამოწყობილი. თავზეც რაღაც სულელური ბიგუდი უკეთია...“ უდავოა, რომ თავის მხრივ, ქალებსაც უამრავი პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ ქმრებთან...

თქვენი სიყვარულის გაღვივებენელი, თქვენივე სიღალვაზეა

იმ შემთხვევაშიც, როცა თქვენი ურთიერთობა მამაკაცთან საკმაოდ მდგრად ფაზაშია შესული, საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა არ უნდა დაივიწყოთ

შინ ესეც გამოდგება

არსებობს ქალების კატეგორია, რომელთათვისაც სამყარო ორ ნაწილად იყოფა — საშინაოდ და საგარეოდ. ეს იმ თვალსაზრისით, რომ ისინი გარეთ მთელი თავიანთი მომხიბვლელობის წარმოჩენაზე ზრუნავენ: იმოსებიან საუკეთესო ტანსაცმლით და მაკიაჟსაც სათანადოდ იკეთებენ. სამაგიეროდ, ივივე ქალბატონები საკუთარ „ბუდეში“ სრულიად წარმოუდგენელი ძონძებით დადიან და თმის დავარცხნითაც კი არ იწუხებენ თავს. ქორწინებამდე, ვიდრე რომანტიკული შეხვედრებისა და ფლირტის პროცესი გრძელდება, მათ საკუთარი მოვლილი გარეგნობითა და ჩაცმულობით, სულ თავისუფლად შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ თვით კინოვარსკვლავებსაც კი, მაგრამ როგორც კი მამაკაცს თავიანთ საკუთრებად დაიგულებენ, ისინი ასე ვთქვათ, დუნდებიან, ვინაიდან, ხელმძღვანელობენ სრულიად უბრალო პრინციპით: ახლა ხომ იგი ჩემია, რაღაში მჭირდება საკუთარი სილამაზით მისი მოხიბვლა?! უფრო მეტიც, დაუდევარ გარეგნულ იერს ისინი ოჯახური სიმყუდროვის ერთერთ აუცილებელ თვისებად მიიჩნევენ. ეს სრულიად მიუღებელი წარმოდგენა „ოჯახურ სიმყუდროვესა და ბედნიერებაზე“, რაც შინ პეწდაკარგული ხალათითა და გაცვეთილი ჩუსტებით სიარულში გამოიხატება, ჩვენს საზოგადოებაში ძალზედ ფესვგადგმული აღმოჩნდა.

მამაკაცებს „თვალებით უყვართ“

რაღა თქმა უნდა, თქვენთვის უსიამოვნოა, როცა მამაკაცი მშვენიერ ყმაწვილ გოგონებს ქუჩაში მზერას აყოლებს, შიშველი ლამაზმანების ფოტოებიან ჟურნალებს ათვალიერებს, ან ინტერესით უყურებს პორნოფილმებს. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები თავიანთი ბუნებით პოლიგამები არიან, საქმე მხოლოდ ეს როდია: უბრალოდ, ჩვენგან განსხვავებით (ვისაც „ყურებით გვიყვარს“), მამაკაცებს „თვალებით უყვართ“. ასეთია მათი ფსიქოლოგიური თავისებურება — მამაკაცზე, პირველ რიგში, სწორედ ვიზუალური გამღიზიანებლები მოქმედებს. თუ თქვენ დარწმუნებული ხართ თქვენი პარტნიორის სიყვარულში, მაშინ გვერდზე გაპარებულ მზერას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს მზერა, ზემოთ ხსენებული ჟურნალებისა და ფილმებისადმი გამოვლენილი ინტერესი, შესაძლოა, აღმოჩნდეს იმის სიგნალი, რომ უნდა დაფიქრდეთ, თქვენი პარტნიორისათვის რამდენად მიმზიდველად გამოიყურებით.

ეცადეთ, ყოველთვის სათანადოდ გამოიყურებოდეთ

თუ გვერდზე გაპარებული მზერა პირველი ნიშანია, მეორე და უფრო საგანგაშო ნიშნად, უნდა მიიჩნიოთ თქვენთან სექსუალურ სიახლოვეზე უარის თქმის გახშირებული შემთხვევები. შეხედეთ საკუთარ თავს გვერდიდან. რა გაცვიათ და როგორ ვარცხნილობას ატარებთ შინ? როგორი სუნი აგდით სხეულზე? როგორ თეთრეულს ატარებთ? ნუ აჩქარდებით და ნუ გამოიტანთ ისეთ დასკვნას, თითქოს სამზარეულოში საღამოს შავ კაბასა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილმა უნდა იტრიალოთ და ფრანგული სუნამოს მძაფრი არომატიც აფრქვიოთ, მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ დაკეშილი, გახუნებული სპორტული კოსტიუმი, რომელიც შრომის ოფლის სუნითაა გაჟღენთილი მეორე და, არცთუ ისე სასიამოვნო უკიდურესობაა. ლამაზი, მაქმანებიანი თეთრეუ-

მონათა აჯანყების მეთაური ძველ რომში	დიდი ქვა	...-ეკალი	თოფი, ხმალი და ა.შ. (ზოგადად)	საზღვაო სიგრძის საზომი ერთეული	ოთახის ავეჯი	დიდი სინი
						
სიმკაცრით გამორჩეული ქალაქი ანტიკურ საბერძნეთში	დიალექტი ანუ ...	ალჟირის ფულის ერთეული	უარყოფითი პასუხი	„... ბიჭი ვიყავი ბეჭზე არწივი მეხატა“	კომპოზიტორი ... სენ-სანსი	ფეხბურთის შედეგი

ლიც მხოლოდ ექიმთან ვიზიტისათვის არ არის განკუთვნილი. თუ თქვენი მეუღლე ყოველდღიურად გაცვეთილ ბიუსტჰალტერსა და გასული საუკუნის 40-იანი წლების ტრუსების ნიშუში გამოწყობილს გხედავთ, უდავოა, რომ თქვენდამი ყოველგვარ სექსუალურ ინტერესს დაკარგავს და საწყის ეტაპზე, მაქმანებიან თეთრეულში გამოწყობილი გოგონების ფოტოსურათებიანი ჟურნალებით შეიქცევს თავს. თქვენ ფიქრობთ, რომ ოჯახური ცხოვრება — ეს ერთია, რომანტიკული შეხვედრა — სრულიად სხვა? ცდებით! მართალია, მამაკაცებს უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ლამაზი და განუმეორებელი სულის გამო ვუყვარვართ, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ არც ჩვენი, მაქმანებიან თეთრეულში გამოწყობილი სურნელოვანი სხეულია მათთვის მეორეხარისხოვანი?!

სასარგებლო რჩევა

არ ღირს, მამაკაცებმა ჩვენი კოსმეტიკური პროცედურების დეტალები იცოდნენ. სულაც არ არის აუცილებელი, ნახონ, თუ როგორ იპარსავთ ფეხებს ან იღლიებს, პემზით იხეხთ ქუსლებს თუ არცთუ ისე მომხიბლავი გრიმასით იღებავთ წამწამებს. ხოლო კოსმეტიკური თიხითა თუ ნიღბით დაფარული ქალის სახეს, არცთუ ისე მგრძნობიარე მამაკაცების შეძვრაც კი შეუძლია. სჯობს, „სილამაზის მომტანი" პროცესი მათგან საიდუმლოდ შეინახოთ და მხოლოდ მისი რეზულტატის დემონსტრირება მოახდინოთ. ■

ჟონგლირებენ, რომელიც გაჭარჯვებული არ არსებობს!

სამკუთხედს, „ბებია-შვილიშვილი-მშობლები" არანაკლებ მახვილი კუთხეები აქვს, ვიდრე სასიყვარულოს. აშკარაა, რომ ამ სიტუაციაში ყველაზე მეტად თქვენი ჰატარა ზარალდება

ცნობილია, რომ ახალგამომცხვარ მშობლებსა და ბებიებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტები იშვიათობას სულაც არ წარმოადგენს. ახალგაზრდები დარწმუნებულნი არიან, რომ უფროსი თაობა ზედმეტად ანებივრებს და აფუჭებს შვილიშვილებს. ბებიებიც, თავის მხრივ, ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ მათ იციან, როგორ აღზარდონ ბავშვი. ამის ნიადაგზე, ხშირ შემთხვევაში, ოჯახში ნამდვილი ვნებათაღელვა იწყება. თუმცა შესაძლოა, რომ ჩხუბი სულ იოლად ავიცილოთ თავიდან.

გაარკვიეთ უსიამოვნების მიზეზი

მშობლებმა უნდა გაცნობიერონ, რომ თუკი ოჯახში არსებობს კონფლიქტი, იგი ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე წარმოიშვა. სავარაუდოა, რომ ახალდაქორწინებულმა წყვილმა, დედამთილს ან სიდედრს, თავის დროზე მისცა იმის უფლება, რომ მის საქმეებში აქტიურად ჩარეულიყო. ამის შედეგად, ისინი დარწმუნებულნი არიან თქვენს უუნარობაში. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ უფროსი თაობა ბავშვის აღზრდის პროცესში საკუთარ პრეტენზიებს გიყენებთ. მაგრამ თავის დროზე, „ყოვლისმცოდნე" ბებიებიც ისეთივეები იყვნენ, როგორებიც თქვენ ახლა ხართ. ამიტომ უფროსი თაობის ადგილას წარმოიდგინეთ თავი და საკუთარი ქცევის კორექტირებას შეეცადეთ.

გააანალიზეთ საკუთარი ქცევა

ბებიებისათვის. არ გირჩევთ ზედმეტი ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენას. ეცადეთ, საწყის ეტაპზევე გაარკვიოთ უსიამოვნების მიზეზი. არავითარ შემთხვევაში არ მიუთითოთ ვაჟიშვილს ან ქალიშვილს (რძალს ან სიძეს), თუ როგორ უნდა მოექცნენ ბავშვს! შვილიშვილისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას ერთპიროვნულად ნუ შეეცდებით! არ დაივიწყოთ, რომ ბავშვის ჯანმრთელობასა და ბედნიერებაზე, უპირველეს ყოვლისა, მისი მშობლები აგებენ პასუხს. ბავშვის მშობლების ესა თუ ის საქციელი, არასოდეს განიკითხოთ პატარას თანდასწრებით.

მშობლებისათვის. უკუაგდეთ ემოციები, დაწყნარდით და რაც შეიძლება სწრაფად გაარკვიეთ თქვენი პოზიციები. ბავშვის აღზრდის ყველა ძირითად საკითხს წყვეტთ თქვენ. მოისმინეთ რჩევა და თუ მიიჩნევთ, რომ ეს თქვენი შვილისათვის სასარგებლო იქნება, მიიღეთ, თუ არა და, ეს აუცილებელი სულაც არ არის. მიიღეთ და დააფასეთ უფროსი თაობის მიერ გაწეული დახმარება.

ჯიდევ ერთი რჩევა

ნუ მოაკლებთ საკუთარ შვილს ოჯახის სხვა წევრებთან ურთიერთობის სიამოვნებას. ნუ შეზღუდავთ ბავშვს ურთიერთობაში, უბრალოდ შეეცადეთ, რომ მას მკაფიო წარმოდგენა შეუქმნათ ოჯახური იერარქიის თაობაზე: თავდაპირველად — დედამამა, მერე — ოჯახის ყველა დანარჩენი წევრი თავ-თავისი სტატუსით. ეს დაგეხმარებათ დაიცვათ ბავშვი გადაჭარბებული მეურვეობისაგან და ოჯახში თბილი და მყუდრო გარემოს შექმნასაც შეუწყობს ხელს. ■



„... შეიქმს სიყვარულსა..."	ერთგვარი სისტემის რევოლვერი	სკანდინავიელთა ღმერთი	ნუშისებური ჯირკვლების ანთება	პერსონაჟი რომანისა „მე ვხედავ მზეს"	ბულგარული არაყი	ხერხემლის ნაწილი	
...ის	... საქმეთა სამინისტრო	ჩიყვის გამომწვევი ქიმიური ელემენტი	რეპტილია	მხატვრის ნამუშევარი (ზოგადად)	იგავი ანუ ...	მეფის მხლებლები	

რატომ უნდა ვეზიაროთ ქრისტეს სისხლსა და ხორცს?

იმ შვიდ საიდუმლოთაგან, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია აღიარებს, ერთ-ერთია ზიარების საიდუმლო, რომელიც „ახალი აღთქმის“ მიხედვით, უფალმა იესო ქრისტემ თავის ვნებისა და ჯვარცმის წინა დღეს, კერძოდ, საიდუმლო სერობის დროს დააწესა. საიდუმლო სერობის დროს, მაცხოვარმა აიღო პური, აკურთხა, გატეხა, მისცა მოციქულებს და უთხრა: „აიღეთ, ჭამეთ, ეს ჩემი სხეულია“ (მათე 26-26); შემდეგ აიღო სასმელი, აკურთხა, გადასცა მოციქულებს და უთხრა: „ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს ჩემი სისხლია“ (მათე 26-28); საიდუმლო სერობის დროს, მაცხოვარმა მოციქულებს ასევე დაავალა, რომ ზიარების ეს წესი ყოველთვის შეესრულებინათ: „ამას იქმოდეთ მოსახსენებლად ჩემდა...“ (ლუკა 22,19-1); ...უფლის მცნების თანახმად, მოციქულები ზიარების საიდუმლოს ყოველთვის აღასრულებდნენ... ზიარების საიდუმლოსთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესო კითხვების განმარტება, ქვემო ბეთლემის ტაძრის დეკანოზს, მამა ალექსანდრე გოლძვაძეს ვთხოვეთ.

მორენა მერკვილაძე

— მაცხოვარი ბრძანებს: „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და ჰსუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგომილ არს და მე მის თანა“. ე.ი. წმინდა ზიარების მიღებით, ადამიანი თვით უფალ იესო ქრისტეს უერთდება. ზიარების გარეშე კი, ღვთის თანადგომის გარეშე დავრჩებით. ზიარება ადამიანში აღანთებს მაცხოვრის სიყვარულს და მასში სათნოებას ამკვიდრებს. ერთ-ერთ წმინდა მამას ჰკითხეს: რისი ეშინია ეშმაკს ყველაზე მეტადო? — ზიარებისო, — უპასუხა მან. აქედან გამომდინარე, ნაზიარევი ადამიანი ბნელი ძალების ზემოქმედებისგანაა დაცული და, რაც მთავარია, მაზიარებელი ადამიანი იესო ქრისტეს იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც უერთდება და ცათა სასუფეველშიც დაივანებს. უფალი ბრძანებს: „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და ჰსუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნო“ (იოანე 6,54).

— აქედან გამომდინარე, ზიარების სანაცვლოდ, ადამიანი სრულ გამარჯვებას მოიპოვებს ეშმაკსა და სიკვდილზე. კურნავს თუ არა ზიარება ხორციელ დაავადებებს, თუ მხოლოდ სულიერი საზრდო და მკურნალია?

— როდესაც ღვთისმსახური ზიარების საიდუმლოს აღასრულებს, მაზიარებელს ეუბნება: „საკურნებლად სულისა და ხორცისა“. ამიტომ ზიარება, როგორც სულიერ, ასევე ხორციელ დაავადებებსაც კურნავს. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ზიარებით ადამიანი უკურნებელი სენისგანაც განკურნებულა.

— ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროს, ზიარებისთვის საჭირო ნივთიერებანი — პური და ღვინო, სასწაულებრივად გარდაიქმნება ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად, რაც ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია. კონკრეტულად საღმრთო ლიტურგიის რომელ ნაწილში ხდება პურისა და ღვინის ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად გადაქცევა და როგორ აღესრულება თვით ეს საიდუმლო?

— საღმრთო ლიტურგიის დროს, არის ევქარისტიული კანონი, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: „ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით, მოხედენ წმინდასა ამას შესაწირავსა მშვიდობით შეწირვაცცა...“ დასასრულს კი, მღვდელი საკურთხეველში კითხულობს სპეციალურ ლოცვებს, რომლის დროსაც ღვთისმსახური ჯერ პურზე, შემდეგ კი ღვინოზე ხელით გამოსახავს ჯვარს. ამის შემდეგ იკითხება კიდევ ერთი ლოცვა და პურზე და ღვინოზე კიდევ ერთხელ სრულდება ხელით ჯვრის გამოსახვა, რომლის დროსაც უხილავად გადმოდის სულიწმიდის მადლი, რაც პურსა და ღვინოს ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად აქცევს.

— როგორი უნდა იყოს პური და ღვინო, რომელიც ზიარებისთვის გამოიყენება?

— პური, რომელიც ზიარებისთვის გამოიყენება, უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან გამომცხვარი, კარგად აფუებული და გამომშრალი. ზიარებისთვის გამოსაყენებელი პურის, ანუ სეფისკვერის ცომი არ შეიძლება ჩვეულებრივი საფუვრისგან იყოს აფუებული. სეფისკვერის ასაფუებლად საჭიროა ამჟავებული ცომის გამოყენება. ადრე სეფისკვერს მამაკაცები აცხობდნენ. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეეძლო სეფისკვერის გამოცხობა ხნიერ ქალს. რაც შეეხება ღვინოს — უნდა იყოს აუცილებლად წითელი და სუფთა ყურძნის წვენისგან დამზადებული.

— რა აუცილებლობას წარმოადგენს, ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროს, ღვინოში წყლის გარევა?

— ღვინოში წყალს ურევენ იმის სამახსოვროდ, რომ ჯვარცმული მაცხოვრის გვერდიდან გადმოვიდა სისხლი და წყალი, როდესაც ერთ-ერთმა მხედართთაგანმა ლახვარი ჩასცა.

— მოციქულთა შემდგომ, ზიარების საიდუმლოს ღვთისმსახურები აღასრულებენ. აქვს თუ არა ყველა ღვთისმსახურს ზიარების საიდუმლოს აღსრულების უფლება?

— მღვდელი ზიარების საიდუმლოს ეპისკოპოსის კურთხევით აღასრულებს. ამიტომ, ეპისკოპოსის კურთხევის შემთხვევაში, მისი აღსრულების უფლება ნებისმიერ ღვთისმსახურს აქვს.

— იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის სიკვდილის საშიშროება დგას, საერო პირს შეუძლია, სპეციალური ფორმულით მონათლოს მომაკვდავი. ადამიანის სიკვდილის საფრთხის შემთხვევაში, აქვს თუ არა საერო პირს მომაკვდავი ადამიანის ზიარების უფლება?

— საერო პირს ზიარების შესრულების უფლება არანაირ შემთხვევაში არა აქვს.

— როდესაც ადამიანი ზიარებისთვის ემზადება და ჰყავს მომდურავი, აუცილებელია თუ არა მასთან შერიგება? შეიძლება თუ არა ვეზიაროთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მცდელობის მიუხედავად, უარს გვეუბნებიან შერიგებაზე?

— მომდურავს უპირველესად, გულით უნდა ვაპატიოთ და გულით უნდა შევურიგდეთ. თუ მომდურავი უარს გვეუბნება შერიგებაზე, ეს უკვე მისი პრობლემა და თუ ზიარებისთვის დამბრკოლებელი სხვა მიზეზი არ გვაქვს, შეგვიძლია ვეზიაროთ.

— აუცილებელია თუ არა აღსარების ჩაბარება ყველა ზიარების წინ?

— ზიარების წინ აღსარების თქმა სასურველია, მაგრამ ზოგიერთ მოძღვარს, რომელსაც ძალიან დიდი მრევლი ჰყავს და ყოველ კვირას 300-ზე მეტ ადამიანს აზიარებს, ბუნებრივია, ყოველი ზიარების წინ 300 ადამიანისგან აღსარების მიღება გაუჭირდება. ამიტომ ყველა ზიარების წინ აღსარების თქმა აუცილებელი არ არის. საერთოდ, მორწმუნემ ეს საკითხი სულიერ მოძღვართან პირადად უნდა გადაწყვიტოს.

— უშუალოდ მორწმუნეთა ზიარება, საღმრთო ლიტურგიის მესამე ნაწილს, კერძოდ, მართალთა ლიტურგიის დროს აღესრულება. როგორ უნდა მიეახლოს ადამიანი წმინდა ძღვენს?

— ადამიანს, რომელიც წმინდა ზიარების მისაღებად დგას, უპირველესად გააზრებული უნდა ჰქონდეს, თუ რას ეზიარება. ზიარების წინ მღვდელი ამბობს: „შიშითა ღმრთისათა და სარწმუნოებით მოვედი“. ამ სიტყვებით კი, პირდაპირ ამზადებს მორწმუნეებს, რომ წმინდა ზიარებას მხოლოდ და მხოლოდ ღმრთის შიშით უნდა მივეახლოთ.

შეიძლება თუ არა, ზიარების შემდეგ ბარძიმის, ხატების და სხვა სიწმინდეების ამბორყოფა? ზიარებიდან რამდენი ხნის შემდეგ შეიძლება საკვების მიღება? რამდენ ხანში ერთხელ უნდა ვეზიაროთ? შეიძლება თუ არა, სულიერად დაავადებული ადამიანის ზიარება? რა შემთხვევაში შეიძლება განაყენოს მოძღვარმა ადამიანი ზიარებისგან? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხებს „გზის“ მომდევნო ნომერში გაგცემთ.

■

კეთილი მეზღაპრე ანაზღაურების გარეშე



შვილიშვილთან ერთად

„მე ვარ მეზღაპრე კეთილი, თქვენთან განგებ მოვლენილი, იქეცით სმენად – გიამბობთ ზღაპარს: იყო და არა იყო რა...“

იყო ერთი კეთილი მეზღაპრე, რომელიც საღამოობით გვსტუმრობდა და ჯადოსნურ ქვეყანაში გაგვამგზავრებდა ხოლმე — ქვეყანაში, სადაც ბოროტი დევები და კეთილი ფერიები სახლობენ. გახსოვთ სოფელი ფაფა? — იქ ისეთი ზარმაცი ადამიანები ცხოვრობენ, ჭამაც კი ეზარებათ.

...საბავშვო ტელეგადაცემა „ზღაპრის გუდა“ ოცი წლის წინ დაიბადა და ხუთ წელზე მეტხანს იარსება. ეს იყო ნამდვილი თეატრალური წარმოდგენა — სპექტაკლები ქართული ზღაპრების მიხედვით, სადაც უფროსებთან ერთად ბავშვებიც მონაწილეობდნენ.

დღეს მინდა წარმოგიდგინოთ სწორედ ამ გადაცემის წამყვანი („კეთილი მეზღაპრე“) — მსახიობი **გიზო სიხარულიძე**, *რომელიც მრავალი წლის შემდეგ, „თქვენთან განგებ მოვლენილა“ და კვლავ ჯადოსნურ ქვეყანაში გეპატიჟებათ.*

ელენე ხირსელი

— ბატონო გიზო, თქვენი მრავალფეროვანი სამსახიობო მოღვაწეობის მიუხედავად, ჩემთვის მუდამ „კეთილი მეზღაპრე“ ხართ და ასე მგონია, ბევრი იმ ადამიანისთვისაც, რომლის ბავშვობაც იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ტელეეკრანზე საოცრად ლამაზი და კეთილი გადაცემა — „ზღაპრის გუდა“ გადიოდა.

— „ზღაპრის გუდა“ არსებობდა მანამ, სანამ არ გამოჩნდა „ბასტი-ბუბუ“ და არ დაჩუტა გუდა... ამ გადაცემაზე მუშაობა ჩემთვის ძალზედ სასიამოვნო და საინტერესო იყო. სხვათა შორის, ის პატარა გოგონა, რომელიც გადაცემის „ქუდში“ ჩემთან ხელიხელჩაკიდებული მოდიოდა და მღეროდა: როცა დიდი გავიზრდები, იწილო და ბიწილოო... — ჩემი შვილიშვილია, რომელიც ახლა უკვე 23 წლისაა. ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ: დღემდე, ძალიან მიყვარს ზღაპრები!

— ახლაც კითხულობთ ზღაპრებს?

— რა თქმა უნდა. ზღაპარი საოცარი ფენომენია! შემიძლია უსასრულოდ ვიკითხო. ეს მხოლოდ ლამაზი ფანტაზია როდია — აქ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი, უკიდეგანო ხალხური სიბრძნე დევს. განსაკუთრებით ქართული ზღაპრები მიყვარს. ჩავჯდები ადამოს სავარძელში, ავიღებ ხელში ძველი ზღაპრების წიგნს და უმალ, მშვენიერ და უცხო სამყაროში ვიძირები. ამ დროს, წიგნის ყვითელი, გაცრეცილი ფურცლების შრიალიც სიამოვნებას მანიჭებს.

— ზღაპრებზე საუბრისას უპრიანი იქნება, ბავშვობაც გაიხსენოთ.

— ჩვენი ოჯახი ოზურგეთში ცხოვრობდა (დავიბადე იქვე, 1929 წელს). დედა დიასახლისი იყო, მამა — რევიზორ-ბუღალტერი. ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა თეატრის მსახიობი ირა ზურაბიშვილი, რომელიც საღამოობით გადმოდიოდა ხოლმე ჩვენთან და საოცარი აღტაცებითა და ემოციებით ჰყვებოდა თეატრზე. ის თეატრზე უზომოდ იყო შეყვარებული. მე კი — პატარა ბავშვი — სულგანაბული ვუსმენდი ამ ქალს, რომელიც ასე ხატოვნად ჰყვებოდა ჩემთვის უცხო სამყაროზე. ის დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მიზიდავდა. აი, სწორედ მაშინ ჩაისახა ჩემში სურვილი, იმ ჯადოსნური სამყაროს ნაწილი გავმხდარიყავი.

— როგორ სწავლობდით?

— 1936 წელს, საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით. დაბალ კლასებში კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მეშვიდე კლასიდან უკვე გავცუღლუტდი. პირველი „შატალისტი“ ვიყავი ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლაში. სკოლის დირექტორმა „კიროვის ბაღის დირექტორიც“ კი შემარქვა, რადგან სულ იქ

გავხსენი და ხელში უზარმაზარი ზომის, გრძელი და ფართოტოტებიანი ქალის ნიფხავი შემრჩა!

ვიყავი. თუმცა, საბედნიეროდ, კლასში არასდროს ჩავრჩენილვარ. თავიდან, გოგონები და ბიჭები ერთად ვსწავლობდით, შემდეგ დაგვაშორეს. ქალთა სკოლა ჩვენი სკოლის უკან იყო და ჩვენი ფანჯრები ერთმანეთისას უყურებდა. გოგო-ბიჭები ერთმანეთს შორიდან ვუმზერდით, თუმცა რომანების გაბმას მაინც ვახერხებდით. მე სულ შეყვარებული ვიყავი, ყოველთვის ვიღაც მიყვარდა... სკოლა 1948 წელს დავამთავრე და იმავე წელს, თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავრიცხე. დამთავრებისთანავე, მთელი ჯგუფი ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატულ თეატრში გაგზავნეს. შემდეგ იყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, რუსთაველის თეატრი და, ბოლოს — ისევ მარჯანიშვილის თეატრი, სადაც დღემდე ვმოღვაწეობ. ამჟამად დაკავებული ვარ სამ სპექტაკლში: „საპოვნელა", „პროვინციული ამბავი", „სახლის ანგელოზები".

— თეატრში განსაკუთრებული ამპლუა გქონდათ თუ ყველანაირ როლებს ასრულებდით?

— ყველანაირს: დრამატულს, კომიკურს — ვთამაშობდი ახალგაზრდებს, მოხუცებს, ქალიც კი ვითამაშე ერთხელ. ეს იყო სოფიკო ჭიაურელის სპექტაკლ „ვირილაში" (80-იანი წლების დასაწყისში), სადაც ბებიის როლს თამაშობდა ვერიკო ანჯაფარიძე. მე ვერიკოს დუბლიორი ვიყავი! ამ სპექტაკლში ხან ვერიკო თამაშობდა, ხან — მე.

— ძნელი იყო ქალის როლის შესრულება?

— არ გამჭირვებია. ძალიან კარგად მოვერგე როლს. ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზიც გამახსენდა. თეატრში წესად გვქონდა 8 მარტს ქალებისთვის საჩუქრების მირთმევა. იმ წელს მეც არ დამივიწყეს და მიბოძეს ლამაზ ქაღალდში შეფუთული, გაფორმებული საჩუქარი. ნეტავ, რა უნდა იყოს-მეთქი? — ვიფიქრე, გავხსენი და ხელში უზარმაზარი ზომის, გრძელი და ფართოტოტებიანი ქალის ნიფხავი შემრჩა! თეატრში ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა, გეგონებოდა, კედლები ზანზარებსო.

— უფროსი თაობის თეატრალებისგან გამიგონია, რომ ერთხანს, უზომოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსთავის თეატრი...

— ამას მთელი ისტორია აქვს. 70-იან წლებში, მარჯანიშვილის თეატრში განხეთქილება მოხდა. ეს იყო დაპირისპირება, ფაქტობრივად, თაობებს შორის. თეატრიდან მსახიობების ერთი ნაწილი წავიდა — ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ფეხმოკიდებული მსახიობები: ოთარ მელვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, ირაკლი უჩანეიშვილი, გივი ბერიკაშვილი, თენგიზ არჩვაძე, ზაზა ლებანიძე... სხვათა შორის, ახალგაზრდებს მიემხრო, უკვე ხანში შესული აკაკი ვასაძე. თეატრში დარჩნენ ძველი თაობის წარმომადგენლები: ვახტანგ ნინუა, სანდრო ჟორჟოლიანი, ვასო გოძიაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, მათთან ერთად — სოფიკო ჭიაურელიც... წამოსულმა მსახიობებმა, გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, რუსთავის დრამატული თეატრი ჩამოაყალიბეს. ახალი თეატრის წარმოდგენებზე ტევა არ იყო, დაცვაც კი გვყავდა. თბილისიდან სპეციალური რეისები დაინიშნა — უამრავი ხალხი მოდიოდა ავტობუსებით. მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრს მაყურებელი აღარ ჰყავდა. ღამის 2-3 საათზე ვბრუნდებოდით ხოლმე თბილისში და ვიკრიბებოდით ჩემთან. შინ ავევჯი არ გვქონდა, ჩემი მეუღლე ჩამოურიგებდა სტუმრებს გაზეთებს და ისინიც იატაკზე მოკალათდებოდნენ ხოლმე. გავდიოდით რეპეტიციებს, იმართებოდა პოეზიის საღამოები, ვუსმენდით მუსიკას და ასე ვათენებდით ღამეებს. მოდიოდნენ მწერლებიც (ნოდარ დუმბაძე და სხვები), ჟურნალისტებიც. ჩვენი ბინიდან ისეთი ხმაური გამოდიოდა, მეზობლებს ეგონათ, ჩხუბობენო. სხვათა შორის, საქართველოში თეატრებიდან პირველი, რუსთავის თეატრი გავიდა გასტროლებზე საზღვარგარეთ. ეს იყო ჩვენთვის უბედნიერესი ხანა.

— თქვენ ძალიან ბევრ ტელე და რადიოსპექტაკლში მიგიღიათ მონაწილეობა. არ მახსოვს ისეთი რადიოსპექტაკლი, სადაც თქვენი ხმა არ ჟღერდეს.

— ბევრი მიმუშავია გახმოვანებაზეც. მრავალი უცხოური და რუსული ფილმის დუბლაჟში ვმონაწილეობდი. ვახმოვანებდი ქართველ მსახიობებსაც. მაგალითად, „ცისფერ მთებში", „ძველი ტანკისტის" როლის შემსრულებელს — მსახიობ ვასო კახნიაშვილს ვახმოვანებ, რომელიც სულ „გრენლანდიის" თაობაზე წუხს და გამუდმებით გაიძახის — გაიტანეთ, გაიტანეთო!.. როგორც რეჟისორს, დადგმული მაქვს სპექტაკლი თამაზ ჭილაძის პიესის — „სურათები საოჯახო ალბომიდან" მიხედვით, სადაც მთავარ როლს აკაკი ვასაძე ასრულებდა. ერთი სცენა იყო (აკაკი არ მონაწილეობდა), სადაც ჭორიკანა მოხუცი ქალები სამზარეულოში ლოტოს თამაშობდნენ; ამ სცენაში ჩემი მეუღლე, ეთერ სიხარულიძეც მონაწილეობდა. წარმოიდგინეთ, აკაკის ეს სცენა ისე მოსწონდა, არც ერთხელ არ გამოუტოვებია — ყოველი სპექტაკლის დროს (100-ჯერ მაინც გავიდა), დამიძახებდა ხოლმე: „შვილო, მომეცი სკამი", დავდებოდა კულისებში და ტკბებოდა ამ სცენით... ყველაზე მეტად მაინც თეატრი მიყვარს — მას ვერ შემიცვლის ვერც კინო, ვერც ტელევიზია.

— რას იტყოდით თქვენ მეუღლის სამსახიობო მოღვაწეობაზე?

— ეთერი შარშან გარდაიცვალა, ინფარქტით. სიცოცხლის ბოლომდე, რუსთავის თეატრში მუშაობდა. სიკვდილამდე ორიოდე დღით ადრე, სპექტაკლშიც ითამაშა. ძნელია საკუთარი მეუღლის წარმატებებზე საუბარი. მას რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება ჰქონდა, განასახიერა უამრავი როლი — ყველაფერს რა ჩამოთვლის... ძალიან ლამაზი, კოხტა, პატარა ტანის ქალი იყო და საოცრად ჰგავდა იაპონელს. ერთხელ მოსკოვში, ლიფტში იაპონელები შეხვდნენ, ეთერი თავისიანი ეგონათ და იაპონურად დაუწყეს ლაპარაკი... მოსკოვში, კრემლის თეატრის სპექტაკლ „წეროებში" ეთერმა იაპონელი გოგონა, სადაკო განასახიერა. ეს იყო შესანიშნავი დადგმა, სადაც გამოყენებული იყო ბალეტის ელემენტებიც. ეთერი იმდენად ელასტიკური იყო, რომ ორ თვეში შეისწავლა საბალეტო ცეკვის ელემენტები. სპექტაკლის ბოლოს კი, პატარა იაპონელი გოგონას მიერ გამოჭრილი, ქაღალდის წეროები დარბაზში ცვიოდა და მაყურებელი კრეფდა. ეს მართლაც მშვენიერი სანახაობა იყო. ამ სპექტაკლისთვის ჩემმა მეუღლემ ლაურეატის წოდება მიიღო... ეთერი ხშირად თამაშობდა ბიჭებს. მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლში — „ნევის შევარდენი" — მან 9 წლის ბიჭუნა განასახიერა. ერთხელ, ამ სპექტაკლს კომკავ-

შირის ცეკას მაშინდელი მდივანი, თემო ბადურაშვილი ესწრებოდა. წარმოდგენის დროს, მან ეთერზე იკითხა: რომელი სკოლიდან არის ეს ბავშვიო? – ბავშვი არ არის, ქალიაო, – უპასუხეს. არაფრით არ დაიჯერა. სპექტაკლი რომ დამთავრდა, ეთერი, უკვე კაბაში გამოწყობილი მივიდა მასთან და უთხრა: ის ბიჭი მე ვარო (35 წლის იყო მაშინ...). თემო სულ დაიბნა, ნუ მაშაყირებთო, – ამბობდა. ამის გამო, მან ნაძლევიც წააგო – დიდი პურმარილი რესტორანში... ამგვარი როლებისთვის ჩემი მეუღლე სკოლის ბავშვებს თანატოლი ეგონათ ხოლმე და წერილებს უგზავნიდნენ, სადაც გაცნობასა და დამეგობრებას სთხოვდნენ.

— ბატონო გიზო, ასე მგონია, კურიოზები ყველაზე ხშირად, მსახიობების ცხოვრებაში ხდება...

– მეც ასე მგონია. რამდენიმე კურიოზს მეც გავიხსენებ. ერთ დღეს (80-იანი წლების დასაწყისი იყო) რუსთავის თეატრი თბილისში, მსახიობის სახლის სცენაზე „საბრალდებო დასკვნას“ წარმოადგენდა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ოთარ მეღვინეთუხუცესი (ლიმონა), აკაკი ვასაძე (ისიდორე), ზაზა ლებანიძე (ექთანი), სოსო გოგიჩაიშვილი (ზედამხედველი), ასევე – მალხაზ გორგილაძე, თენგიზ მაისურაძე, თამარ სხირტლაძე, ბებურიშვილის როლს კი, თქვენი მონა-მორჩილი – გიზო სიხარულიძე ასრულებდა... იმ დღეს, იქვე ახლოს, რესტორან „დურუჯში“ დიდი ქეიფი გველოდა. თეატრის მსახიობებმა, რომლებიც სპექტაკლში არ მონაწილეობდნენ, ადრე დაიწყეს ქეიფი (ნოდარ მგალობლიშვილმა, ლეო ანთაძემ და სხვებმა). მათ დამიბარეს: პირველი განყოფილების შემდეგ შემოგვიერთდიო (მეორე განყოფილებაში აღარ ვმონაწილეობდი). ასე რომ, სპექტაკლში დაკავებულ სხვა მსახიობებზე ადრე მიწევდა პურმარილზე მისვლა. ჰოდა, მათ ჩემი ეს უპირატესობა შეშურდათ, ამიტომ ჩემს წინააღმდეგ შეიკრნენ და ნამდვილი შეთქმულება მომიწყვეს. საერთოდ, სცენარის მიხედვით ასეა: მეორე მოქმედება იწყება თუ არა, შემოდის ზედამხედველი და აცხადებს: Бебуришвили, с вещами! მე ვტოვებ სცენას და ამის შემდეგ, სცენაზე აღარ ვჩნდები. და აი, გაიხსნა ფარდა; ვწევარ ნარზე, შემოვიდა ზედამხედველი და იმის მაგივრად, რომ გამოაცხადოს ის, რასაც სულმოუთქმელად ველი, სცენაზე გაიარ-გამოიარა და... უკან გაბრუნდა. გავოცდი – ეს რა ხდება? ალბათ სოსო გოგიჩაიშვილს ტექსტი დაავიწყდა, ახლა გაახსენდება და დაბრუნდება-მეთქი, – დავიმშვიდე გული... იმ დღეს, ისე ველოდი „გათავისუფლებას“, რომ ალბათ ნამდვილი პატიმარიც კი არ ელის ასე მოუთმენლად. თავი მართლა ციხეში მეგონა... ვწევარ და ვწევარ, „ზედამხედველი“ კი, არა და არ ჩანს. აღარ ვიცი, რა ვქნა. ხან ერთ მხარზე გადავბრუნდები, ხან – მეორეზე. თან იგრძნობა, რომ სცენაზე უკვე აშკარად ზედმეტი ვარ, მსახიობები კი ფხუკუნებენ, ლამის სიცილი წასკდეთ, ძლივს იკავებენ თავს: მათ ხომ ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი ჰქონდათ... როგორც იქნა, დამთავრდა სპექტაკლი და მასთან ერთად, ჩემი ტანჯვაც. რესტორანში რომ ჩავედით, ჩვენი კოლეგები უკვე კარგა გვარიანად შეზარხოშებულები იყვნენ...

— საგასტროლო მოგზაურობის დროსაც ბევრი უჩვეულო ამბავი შეგემთხვეოდათ...

– მართალია. რუსთავის თეატრი ხშირად დადიოდა გასტროლებზე რაიონებში. ერთ-ერთი ასეთი, გასვლითი სპექტაკლის დროს, ერთი მაყურებელი – შუახნის მამაკაცი თავს დამესხა, საცემრად იწევდა: შე ასეთო და ისეთო, როგორ წაართვი მეგობარს ცოლიო (სიუჟეტის მიხედვით, ჩემს გმირს მეგობრის მეუღლე შეუყვარდება)?!. ძლივს აკავებდნენ, ვერაფრით დაარწმუნეს, რომ ეს მხოლოდ თამაში იყო... დაბოლოს – არ შემიძლია არ გიამბოთ ერთი, ძალზედ მხიარული ამბავიც. ჩვენი თეატრის საკმაოდ ცნობილი მსახიობები ავტობუსით ვმგზავრობდით. შუაღამე იყო. კარგა მაგრად შეზარხოშებულებს, გასეირნება მოგვინდა. ავტობუსი გავაჩერეთ და ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში (სოლოლაკში) უმიზეზოდ შევბორიალდით. ამ სახლის მცხოვრებს – ასაკოვან ქალბატონს – საკმაოდ უცნაურად მოეჩვენა ასეთი სურათი: სახლის წინ გვიან ღამით გაჩერდა ავტობუსი, საიდანაც უცხო ადამიანები გადმოვიდნენ და დაიწყო და რა დაიწყო... გაუთავებელი სვლა „რეისით“ – ავტობუსი-სადარბაზო, სადარბაზო-ავტობუსი. „საეჭვო პირები“ შედი-გადიოდნენ სადარბაზოში და უკან... შეშინებული ქალბატონი არ დაიბნა და ოპერატიულად დარეკა შესაბამის ორგანოებში: არიქა, გვიშველეთ, ტერორისტები (მაშინ ეს ახალი სიტყვა იყო) დაგვესხნენო!.. მილიციაც უმალ დანაშაულის ადგილას გაჩნდა. სირენების ხმამ არემარე გააყრუა. მანქანებიდან შეიარაღებული, კანონის დამცველები გადმოცვივდნენ და ყველანი „ჩორნი ვორონებში“ (ასე ეძახდნენ მილიციის შავ, დახურულ მანქანებს) ჩაგვყარეს. ის ღამე საკანში გავათენეთ. საქმემ ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ ცეკას პირველ მდივნამდეც (შევარდნაძემდე) კი მივიდა: მას „ტერორისტების“ სია წარუდგინეს (შევარდნაძე ყველა ჩვენგანს სტუდენტობის პერიოდიდან პირადად გვიცნობდა)... ცნობილი მსახიობების გვარები რომ ამოიკითხა, იყვირა: ხომ არ გადაირიეთ?! – ახლავე გამოუშვით ეს ხალხიო! – და სულ ნაფლეთებად აქცია კურიოზული დოკუმენტი.

ძალიან ლამაზი, კოხტა, პატარა ტანის ქალი იყო და საოცრად ჰგავდა იაპონელს

იმ დღეს, ისე ველოდი „გათავისუფლებას“, რომ ალბათ ნამდვილი პატიმარიც კი არ ელის ასე მოუთმენლად

— თქვენ თქვით, რომ შევარდნაძე პირადად გიცნობდათ. საიდან იწყება თქვენი ნაცნობობა?

– ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როგორც გითხარით, სამუშაოდ ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში გაგვანაწილეს. ვცხოვრობდით საერთო საცხოვრებელში. ედუარდი, რომელიც მაშინ ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტში მუშაობდა, ჩემ გვერდით ოთახში ცხოვრობდა. საერთო კედელი გვყოფდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ახლო ურთიერთობებია საერთოდ საერთო საცხოვრებელში? ჰოდა, სულ ერთად ვიყავით: ედუარდი დადიოდა ჩვენს სპექტაკლებზე, თამაშობდა ჩვენთან ერთად ნარდს, ერთად ვჭამდით, ერთად ვსვამდით... ჩვენთან ცხოვრობდა მსახიობი რეზო ბოხუა, განთქმული თავისი ოხუნჯობითა და იუმორით. ედუარდი სერიოზული ყმაწვილი იყო, რეზო კი სულ აშაყირებდა მას, ისეთ ოინებს უწყობდა – აგიჟებდა. ედუარდი თავიდან ბრაზდებოდა, მერე კი, თვითონაც აჰყვა...

■

ანდრე აგასი: შტეფის ყველაზე ტკბილი ტუჩები აქვს

დოსიე:

დაბადების თარიღი: 1970 წლის 29 აპრილი
დაბადების ადგილი: ლას-ვეგასი
რეზიდენცია: ლას-ვეგასი
სიმაღლე: 180 სმ
წონა: 77 კგ
თამაშობს: მარჯვენა ხელით
პროფესიონალის სტატუსი: 1986 წლიდან
მწვრთნელი: ბრედ უილბერტი

ამას წინათ დასრულებული Siebel Open-ის ფინალში, რომელიც სან-ხოსეში გაიმართა, 32 წლის ანდრე აგასიმ დამაჯერებლად დაამარცხა იტალიელი დავიდ სანგინეტი და ჰონორარის სახით 52.000 დოლარი მიიღო. ლას-ვეგასელმა ჩოგბურთის ვარსკვლავმა უკვე მეხუთედ მოიგო Siebel Open-ის ტურნირი და ამით ჯონ მაკინროის მიღწევა გაიმეორა. ამასთანავე, აღნიშნული შეჯიბრების ფინალში გამარჯვების შემდეგ, ანდრეს საჩოგბურთო კარიერაში მოგებული მატჩების საერთო რაოდენობამ 750-ს მიაღწია (ამერიკელ ვარსკვლავს 231 შეხვედრა აქვს წაგებული). სულ კი, აგასის 56 ტურნირი აქვს მოგებული. აღსანიშნავია ისიც, რომ წელს ანდრე აგასიმ ზედიზედ 12 მატჩი მოიგო და უკვე ორი ტურნირი დაასრულა გამარჯვებით. ეს მაჩვენებელი საუკეთესოა ჩოგბურთელის კარიერაში 1995 წლის შემდეგ, როდესაც ანდრემ ზედიზედ 15 მატჩში შეძლო გამარჯვება. აგასიზე მეტი ტურნირი კი, მხოლოდ წარსულში ცნობილ რუმინელ ჩოგბურთელს, ილიე ნასტასეს აქვს მოგებული: მან 57 შეჯიბრებაში შეძლო გამარჯვების მიღწევა.

ბავშვობაში ანდრე აგასის საჩოგბურთო კერპები ბიორნ ბორგი, ილიე ნასტასე და ჰაროლდ სოლომონი იყვნენ. ანდრე, მაიკ აგასის ოჯახში მეოთხე, ყველაზე უმცროსი ბავშვი იყო. ჩოგბურთის თამაში მომავალ ვარსკვლავს სწორედ მამის სურვილით დაუწყია, რომელიც ახალგაზრდობაში კრივს მისდევდა და 1952 წლის ოლიმპიადაშიც მონაწილეობდა. მას შემდეგ, რაც 1986 წლიდან ანდრემ სახელგანთქმულ ნიკ ბოლეტერის საჩოგბურთო სკოლაში (ერთ დროს ამ სკოლაში ეუფლებოდნენ ჩოგბურთს ჯიმ კურიე, პიტ სამპრასი, ანა კურნიკოვა და სხვა ცნობილი სპორტსმენები) დაიწყო ვარჯიში, მის საქმეებს ძმა – ფილიპ აგასი განაგებს. „ადამიანებს ადვილად ვერ ვენდობი, – ამბობს ანდრე, – ამისათვის საჭიროა, რომ ისინი კარგად გავიცნო და საქმეში გამოვცადო. ბიზნესში მხოლოდ მეგობრებს ვენდობი. ჩემთან ერთად მუშაობს ჩემი ნამდვილი მეგობარი, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობ. ჩემს საქმეებს დღემდე, ჩემი ძმა განაგებს. ეს ის ადამიანია, რომლის იმედიც ყოველთვის მაქვს. ნიკ ბოლეტერის, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ და რომელზეც ერთ დროს ძალზედ ვიყავი დამოკიდებული, ჩემთვის გაცილებით ნაკლები აქვს გაკეთებული, ვიდრე სხვებს ჰგონიათ. მიუხედავად ამისა, მასთან ერთად ვრჩებოდი, ვიდრე თავად არ წავიდა. ეს ჩემთვის პირველი დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა იყო. დრომ დაამტკიცა, რომ ამჟამად უფრო კარგად ვთამაშობ, ვიდრე მაშინ, როდესაც ნიკი ჩემ გვერდით იყო. მან უბრალოდ, ის მაჩვენა, თუ რა დაუნდობელია ცხოვრება, რადგან სწორედ იმ ადამიანებმა შეიძლება გიღალატონ, ვისაც ყველაზე მეტად ენდობი. ასეთ შემთხვევაში, ან ცინიკოსი ხდები, ან ადამიანებს გაურბიხარ. ყველაზე ძნელი ჩემთვის იმ კრიტერიუმების მოძებნა იყო, რომლის მიხედვითაც ადამიანების შესახებ დასკვნები უნდა გამეკეთებინა. ამას დღემდე ვსწავლობ“.

პროფესიონალური კარიერის პირველ წლებში, ანდრე აგასის, ნევადის უნივერსიტეტის ყოფილი მწვრთნელი, გილ რაისი ავარჯიშებდა. შემდგომში კი, იგი ბრედ ჟილბერტმა შეცვალა. „ჟილი არა მარტო ჩემი მწვრთნელია, არამედ მეგობარიცაა“, – ამბობს ჩოგბურთის სუპერვარსკვლავი, რომელსაც პროფესიონალური ჩოგბურთის მესვეურებმა სერიოზული ყურადღება პირველად 1987 წელს მიაქციეს. მაშინ ანდრე აგასიმ Stratton Mountain-ისა და Basel-ის ტურნირების ნახევარფინალებამდე მიაღწია. იმავე წელს, მან პირველი ტურნირი – Itaparica – მოიგო, სადაც Wildcard-ის პრივილეგია (ტურნირზე საკვალიფიკაციო მატჩის ჩატარების გარეშე მონაწილეობა) მიენიჭა. 1987 წლის ბოლოს, აგასი მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგში უკვე 25-ე ადგილზე იმყოფებოდა. მომდევნო წელმა კი, ჩოგბურთელს ვარსკვლავის სტატუსი შესძინა. აგასიმ ჩოგბურთის მოთამაშეთა ასოციაციის 6 ტურნირი მოიგო (Memphis, Charieston, Forest Hills, Stuttgard, Strat-

ton Mountain, Livingston), მაგრამ მეშვიდეს – Seoul-ის ფინალში გამარჯვება ვერ შეძლო. ამასთან ერთად, დევისის თასზე აშშ-ის ნაკრების სახელით სადებიუტო გამოსვლისას, შესანიშნავი შედეგი უჩვენა (3 მოგება, არც ერთი წაგება), რის შედეგადაც რეიტინგში უკვე მე-3 ადგილზე აღმოჩნდა. ასე დაიწყო ანდრე აგასის აღმასვლა დიდ ჩოგბურთში, რომელშიც მან არაერთი უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა შეძლო.

ჩოგბურთის მოყვარულებიცა და მასმედიის წარმომადგენლებიც ყოველთვის იყვნენ დაინტერესებულნი არა მარტო ანდრე აგასის სპორტული კარიერით, არამედ მისი პირადი ცხოვრებითაც. პირველად ლას-ვეგასელი ჩოგბურთის ვარსკვლავი „ყვითელი პრესის“ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში 1997 წლის აპრილში მოექცა – მას შემდეგ, რაც მან ჰოლივუდის კინოვარსკვლავზე – ბრუკ შილდსზე იქორწინა (ყოფილი ცოლ-ქმრის ცხოვრების ამსახველი წერილები საგანგებოდ მოვაქციეთ „გზის“ ერთ ნომერში). მაშინ ეს ქორწინება ბევრს ძალიან ეუცნაურა, რისი მთავარი მიზეზიც პირველ რიგში, შილდსი იყო, რომელსაც ერთი მხრივ, რომ იტყვიან, ბევრ ცნობილ ადამიანზე გათხოვების შანსი ჰქონდა (მათ შესახებ კინოვარსკვლავზე გამოქვეყნებული წერილიდან შეიტყობთ), მეორე მხრივ კი იმის გამო, რომ ბრუკს, როგორც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ქალბატონს, ისე წარმოაჩენდნენ ბევრ გამოცემაში...

ანდრე და ბრუკი ჯერ კიდევ ახალი შეუღლებულები იყვნენ, მაგრამ უკვე იგრძნობოდა, რომ მათ შორის არ არსებობდა ის ცეცხლოვანი ვნება, რომელიც ახალდაქორწინებულ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც – ქორწილიდან ცოტა ხნის შემდეგ, ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში შილდსმა დაუფარავად განაცხადა, რომ ანდრეს ნატურა მის გემოვნებაში საერთოდ არ ჯდებოდა... 90-იანი წლების მეორე ნახევარში, ბრუკ შილდსის კინოკარიერა არცთუ ისე სახარბიელოდ წარიმართა. გარდა ამისა, მსახიობს ზედმეტი წონა აწუხებდა, რის გამოც საზოგადოებაში გამოჩენას ერიდებოდა და მხოლოდ მეუღლის საჩოგბურთო მატჩებს თუ ესწრებოდა ხოლმე. სწორედ კორტზე ყოფნისას, იგი მეგობრებს ეუბნებოდა, რომ ჩოგბურთს საერთოდ ვერ იტანდა და ბავშვის გაჩენა სურდა, მაგრამ ანდრე ამის წინააღმდეგი იყო და მემკვიდრის ყოლას მხოლოდ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ აპირებდა.

ანდრესა და ბრუკს შორის ურთიერთობის დაძაბვას კინოვარსკვლავის დედამ, ტერი შილდსმაც შეუწყო ხელი. აგასიმ სიდედრი თავიდანვე აითვალწუნა და მოითხოვდა, რომ ამ ქალს მისი ოჯახისაგან შორს დაეჭირა თავი... ბრუკი და ანდრე და-ძმას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოლ-ქმარს, რის გამოც სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტები ჩოგბურთელის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე ალაპარაკდნენ, რასაც თავად ანდრეს საქციელმაც შეუწყო ხელი. „თავს უკეთესად ვგრძნობ, ვიდრე წყალქვეშა ნავის ჯგუფში მოხვედრილი ჰომოსექსუალისტი“, – ამგვარად გამოხატა აგასიმ საკუთარი შეგრძნებები 1992 წელს, როდესაც საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში გავიდა. სხვა დროს კი, ჩოგბურთის ვარსკვლავ ჯონ მაკინროისთან თავის ურთიერთობაზე საუბრისას, „ხუმრობით“ აღნიშნა, რომ მას „სექსუალური ხასიათი აქვს“... ბევრს ლაპარაკობდნენ იმის თაობაზეც, რომ ბრუკ შილდსთან დაახლოებამდე, ანდრეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ლესბოსელ, ბარბრა სტრაიზანდთან.

გარდა ამისა, საზოგადოებაშიც, აგასი ყოველთვის მამაკაცთა გარემოცვაში ჩნდებოდა ხოლმე. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ვინმე ჯილი – ჩოგბურთელის პირადი მცველი, რომელმაც მის გვერდით მთელი 15 წელი გაატარა. ის ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ბრუკ შილდსს, მაგრამ ანდრე არ ითვალისწინებდა მეუღლის თხოვნას და გვერდიდან არ იშორებდა პირად მცველს.

ქორწინებიდან ორი წელიც არ იყო გასული, რომ ანდრე და ბრუკი ერთმანეთს გაეყარნენ, რის შემდეგაც კინოვარსკვლავმა სკანდალური ინტერვიუ მისცა ჰომოსექსუალისტებისათვის განკუთვნილ ამერიკულ ჟურნალ „ადვოკატს“. „მხოლოდ ახლა ვხვდები იმას, თუ რა მსურს, – განაცხადა შილდსმა თავისი ინტიმური ცხოვრების შესახებ საუბრისას, – ერთი მხრივ, ისევე, როგორც ყველა ნორმალურ ქალს, მეც ქმარ-შვილის ყოლა მსურს, მეორე მხრივ კი... გარშემო ხომ ამდენი ლამაზი ქალია, რომელიც ძალიან მიზიდავს. სამწუხაროდ, საზოგადოება ჯერ კიდევ არ ასულა იმ დონემდე, რომ გაგებით მოეკიდოს ასეთ კავშირებს...“

ბრუკ შილდსთან განშორების შემდეგ, არანაკლები ინტერესი გამოიწვია ანდრე აგასის რომანმა შტეფი გრაფთან. საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ჩოგბურთის ორი ვარსკვლავი თავისი ინტიმური ცხოვრების გამოაშკარავებისაგან თავს იკავებდა, მაგრამ დადგა ის დრო, როდესაც დასამალი აღარაფერი იყო. რამდენიმე წლის წინ, ამერიკულ გამოცემა Maxim-ში დაიბეჭდა ანდრე აგასის მონოლოგი სათაურით: „შტეფისადმი ჩემი

სიყვარულის ათი მიზეზი“. აი, ისიც: 1. შტეფის კეთილშობილური ხასიათი: ექვსთვიანი თანაცხოვრების მანძილზე (მონოლოგის გამოქვეყნების მომენტისათვის), მათ არათუ უჩხუბიათ, არამედ ერთმანეთის მიმართ ხმაც კი არ აუმაღლებიათ; 2. შტეფი ძალიან მოსიყვარულეა, რითიც საგრძნობლად განსხვავდება ბრუკ შილდსისაგან, რომელსაც ვნებიანს ნამდვილად ვერ უწოდებ; 3. შტეფის არაჩვეულებრივად სექსუალური ფეხები აქვს; ამ საკითხში კი, აგასი ორიგინალური ნამდვილად არ ყოფილა: ბევრი ჟურნალისტი თუ ჩოგბურთის მოყვარული შტეფის ფიგურის მთავარ ღირსებად სწორედ მის ფეხებს მიიჩნევს; სხვათა შორის, ამ აზრს თვით ბრუკ შილდსიც კი იზიარებს: ამბობენ, რომ მალიბუში, მას სახლში, მაცივრის კარზე, გერმანელი ჩოგბურთელი ქალის დიდი პლაკატი აქვს გაკრული; 4. შტეფის ხელგაშლილობა, რაც გერმანელებისთვის ესოდენ უჩვეულოა: გაცნობიდან მხოლოდ ნახევარი წლის განმავლობაში, მან ანდრესათვის რამდენიმე ძვირფასი კოსტიუმის და უფრო მეტი პერანგის და ჰალსტუხის მირთმევა მოასწრო, და ეს მაშინ, როდესაც ბრუკ შილდსმა აგასისთან 15-თვიანი თანაცხოვრების მანძილზე, ქმარს მხოლოდ ერთხელ უძღვნა საჩუქარი – ოქროსკალმიანი საწერკალამი; 5. მისი სიყვარული ბავშვებისადმი: ყველაზე მეტად შტეფი თურმე ანდრესაგან ბავშვის გაჩენაზე ოცნებობდა; ამით იგი არსებითად განსხვავდება შილდსისაგან, რომლისთვისაც ცხოვრებაში ყოველთვის ყველაზე მთავარი, კარიერა და ფიგურის შენარჩუნება იყო; 6. შტეფის უანგარობა: გრაფი ერთადერთი იყო აგასის იმ მრავალრიცხოვან მეგობარ გოგონათა შორის, რომელიც მისი ქონებრივი მდგომარეობისადმი ინტერესს არ იჩენდა. იმავე შილდსისაგან განსხვავებით, რომელიც ძვირად ღირებული საყიდლებისათვის ყოველთვის ქმრის საკრედიტო ბარათს იყენებდა, შტეფი გრაფი საკუთარი ფულით ვაჭრობას ამჯობინებს; 7. მისი სიცოცხლისუნარიანობა; დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, გრაფი კორტზე „უაზროდ გატარებული წლების“ კომპენსირებას ცდილობს და სიცოცხლისაგან ყველა სიამოვნების მიღება სურს; 8. მისი კოცნა: „ჯერ კიდევ არ შევხვედრივარ არც ერთ ქალს, რომელსაც ისეთი ტკბილი ტუჩები ჰქონოდეს, როგორიც შტეფის აქვს“; 9. ჩოგბურთის თამაშის უნარი: შტეფის სახით ხომ ანდრემ შესანიშნავი სპარინგ-პარტნიორი შეიძინა; 10. დაბოლოს, ყველაზე მთავარი: ხუთი ათასი მილი, რომელიც შტეფის, გერმანიაში მცხოვრები თავისი მშობლებისაგან აშორებს... აგასის პირველმა ქორწინებამ ხომ კრახი იმის გამოც განიცადა, რომ ბრუკ შილდსის დედა უხეშად ერეოდა ახალდაქორწინებული წყვილის ურთიერთობებში. ამჯერად კი, ჩოგბურთის ვარსკვლავთა ოჯახსა და შტეფის მშობლებს შორის, ატლანტის ოკეანე და ტრადიციული გერმანული სიძუნწეა, რომლის გამოც გრაფები ქალიშვილს მხოლოდ კვარტალში ერთხელ თუ მოინახულებენ ხოლმე.

ალბათ ამ ათი მიზეზის გაცნობის შემდეგ, ყველასათვის ნათელი გახდება, თუ რატომ შეუყვარდა აგასის შტეფი გრაფი. 2001 წლის ოქტომბერში კი, ლას-ვეგასში ანდრემ მასზე იქორწინა კიდეც. ქორწილში ჩოგბურთის ვარსკვლავებმა მხოლოდ უახლოესი ადამიანები დაპატიჟეს. „ალბათ მე შტეფი გრაფში უპირველეს ყოვლისა, მიზიდავს მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი – როგორც ერთი დიდი მოგზაურობისადმი... აღფრთოვანებული ვარ ცხოვრებისეულ პრობლემებთან მისი ბრძოლის უნარით. ყველას უნდა, რომ ბედნიერი იყოს, მაგრამ ბედნიერების ძიებისას ძალიან ცოტა ადამიანი ახერხებს საკუთარი „მე“-ს შენარჩუნებას. მე მივხვდი, რომ შინაგან სიმშვიდეს მხოლოდ ის ინარჩუნებს, ვინც, როგორც პიროვნება იზრდება. ეს თვისება სწორედ შტეფისათვის არის დამახასიათებელი. მე მას ხშირად ვაკვირდები, თუნდაც მაშინ, როდესაც რესტორანში ვიმყოფებით, ან კიდევ მაშინ, როდესაც შტეფი ტელეფონზე საუბრობს. ის ყოველთვის იღიმება, სიმშვიდეს ასხივებს, თავისი შინაგანი ძალის დემონსტრირებას ახდენს“, – ამბობს ანდრე აგასი მეუღლის შესახებ, რომელიც თავის ქმარს უპირველეს ყოვლისა, ასევე მისი ადამიანური თვისებების გამო აფასებს.

2001 წლის დეკემბერში, ანდრესა და შტეფის ვაჟიშვილი შეეძინათ. იმ დღემდე აგასი აცხადებდა, რომ მას ხუთი შვილის ყოლა სურდა, მაგრამ შემდეგ, გეგმა შეცვალა. „ახლა, ექვსი შვილის ყოლა მსურს“, – განაცხადა ბედნიერმა ანდრემ, რომელსაც ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ უზრუნველად იცხოვროს ცოლ-შვილთან ერთად. ამასთან, ჩოგბურთის ლას-ვეგასელმა ვარსკვლავმა ისიც იცის, რომ ადრე თუ გვიან, მას აქტიურ სპორტთან გამომშვიდობება მოუწევს. „მადლობა ღმერთს იმისათვის, რომ ჯერჯერობით, შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში ვარ, – ამბობს ანდრე. – ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე ვარ, თუმცა ვიცი: ბოლოს და ბოლოს, სპორტთან დამშვიდობება მაინც მომიწევს. ასე რომ, როდესაც დრო მექნება, ფილოსოფიისა და რელიგიის შესწავლას დავიწყებ. ეს სწორედ ის არის, რაც მე ძალიან მაინტერესებს, თუმცა დღეს, მაინც ვერ ვიტყვი ზუსტად, თუ როდის წავალ დიდი ჩოგბურთიდან“. ■

ლაილა ალიმ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა



ლეგენდარული მუჰამედ ალის ქალიშვილმა, ლაილა ალიმ სუპერსაშუალო წონით კატეგორიაში კრივის საერთაშორისო ასოციაციის (IBA) ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. ლაილამ ორთაბრძოლის მეოთხე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მარი ენ ალმაგელი დაამარცხა. თავად მუჰამედ ალი, რომელიც ამჟამად მიჩიგანში იმყოფება, ავადმყოფობის გამო, მატჩს არ დასწრებია. ეს ლაილას პირველი ორთაბრძოლა იყო ლუისვილში, სადაც მამამისი 1940-50 წლებში ცხოვრობდა. სწორედ ამიტომ მაყურებელი გულმხურვალედ ქომაგობდა მას. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ლაილა ალისათვის ეს უკვე მე-14 მოგებული ორთაბრძოლა იყო, რომელთაგან 11-ში მან გამარჯვებას ნოკაუტით მიაღწია. ■

კემპი ნარკომანობაში ამხილეს

„ორლანდო მეჯიქის“ ფორვარდს, შონ კემპს NBA-ს ხელმძღვანელობამ მატჩებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვა. გარდა ამისა, კალათბურთელი ხელფასსაც ვეღარ მიიღებს. ამის მიზეზი კი, ის გახდა, რომ კემპი უკვე მესამედ ამხილეს ნარკოტიკების მოხმარებაში. გადაწყვეტილება გასული სამშაბათიდან შევიდა ძალაში და ის მანამდე დარჩება ძალაში, სანამ „ორლანდო მეჯიქის“ მოთამაშე მკურნალობის სრულყოფილ კურსს არ გაივლის. კემპმა ორშაბათს გუნდთან ერთად ივარჯიშა, ხოლო სამშაბათს დილით, მოთელვაშიც მონაწილეობდა, მაგრამ შუადღისას, მას ტელეფონით „ორლანდო მეჯიქის“ გენერალური მენეჯერი, ჯონ გებრიელი დაუკავშირდა, რომელმაც კალათბურთელს მისი დისკვალიფიკაციის შესახებ აცნობა. გებრიელის თქმით, კემპი ძალიან აღელვებულა, როდესაც სასჯელის შესახებ შეუტყვია. ერთი წლის წინ, როცა კემპი „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერზის“ ღირსებას იცავდა, ნარკოტიკების მოხმარებისათვის ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რის გამოც თავისი 12,77-მილიონიანი ჰონორარიდან, 141.889 ათასი დოლარით იზარალა. „ორლანდო მეჯიქის“ ფორვარდმა, რომელიც ამჟამად 33 წლისაა, 2000-01 წლების სეზონშიც 8 მატჩი გამოტოვა, როდესაც ნარკოლოგიურ დისპანსერში დაიწყო მკურნალობა. იმის გამო, რომ მან მკურნალობის სურვილი თავად გამოთქვა, დისკვალიფიკაცია აღარ შეხებია. NBA-ში მოქმედი კანონის თანახმად, კოკაინის, ლსდ-სა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისათვის კალათბურთელებს ლიგიდან რიცხავენ, თუმცა ორი წლის შემდეგ, მათ რეაბილიტაციის უფლება ეძლევათ. NBA-ს, კლუბებისა და მოთამაშეთა ასოციაციის ხელმძღვანელობას იმ ტესტებისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ეკრძალებათ, რომელსაც კალათბურთელები გადიან. ამ ორგანიზაციებს მხოლოდ მოთამაშეთა დისკვალიფიკაციის ან ლიგიდან გარიცხვის შესახებ შეუძლიათ განცხადებების გაკეთება. ■

ჩინეთში მექრთა-მეობამ იმძლავრა

ჩინეთში საფეხბურთო ეროვნულ ჩემპიონატში მექრთამეობის აღმოსაფხვრელად მკაცრ ზომებს მიმართეს. მაგალითად, ამას წინათ, პეკინში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი, რომელზეც არბიტრს ქრთამის აღებისთვის ასამართლებდნენ. იან პინ გონს პეკინის საოლქო სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა იმის გამო მიუსაჯა, რომ იგი მატჩებში ამა თუ იმ გუნდის დასახმარებლად ქრთამს იღებდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ამ გზით პინ გონს 45 ათასი ამერიკული დოლარი უშოვია. გაცნობებთ, რომ ჩინეთში საფეხბურთო მსაჯთა საქმეების გამოძიება ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო. ჯერჯერობით კი, განსასჯელის სკამზე 10 ეჭვმიტანილიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა. ამასთანავე, სასამართლოზე არ გამოუაშკარავებიათ იმ გუნდების ვინაობა, რომელიც გარიგებებში მონაწილეობდა. პინ გონს სასამართლოზე დანაშაული უღიარებია და მოუნანიებია, რის გამოც სასჯელი „შეუმსუბუქეს“. აქვე მკითხველს ვაცნობებთ, რომ ჩინეთში ღრმად აქვს ფესვი გადგმული კორუფციასა და მექრთამეობას – არა მარტო ფეხბურთში, არამედ ბიზნესსა და სხვა სფეროებშიც. დამნაშავეებს კი, ხშირად სიკვდილითაც სჯიან. ■

ეემერს ზათხულში გაასამართლებენ

NBA-ს კლუბის, „საკრამენტო კინგზის“ ლიდერი, კრის უებერი ივლისში სასამართლოს წინაშე წარდგება, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მთავარი მოწმე უკვე გარდაცვლილია. 69 წლის ფრედ მარტინი, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაიღუპა, წარსულში მიჩიგანის უნივერსიტეტისათვის კალათბურთელთა მიზიდვით იყო დაკავებული. სწორედ ამ უნივერსიტეტში სწავლობდა „საკრამენტო კინგზის“ მომავალი მოთამაშე. იმ მოტივით, რომ სასამართლო მას სასჯელს შეუმსუბუქებდა, სიკვდილამდე მარტინმა აღიარა, რომ უებერსა და კიდევ რამდენიმე არაპროფესიონალ მოთამაშეს 616.000 დოლარი გადაუხადა. მარტინმა ის თანხაც კი დააკონკრეტა, რომელიც კრის უებერს გადასცა: 280.000 დოლარი. მოთამაშეთა ჰონორარებისთვის თანხებს მარტინი არალეგალური ლატარიის საშუალებით შოულობდა. თავად კალათბურთელი უარყოფს, რომ ოდესმე მარტინისაგან რაიმე თანხა მიუღია. შარშან სექტემბერში კრისი, მამამისი და დეიდამისი ყლბი ჩვენების მიცემაშიც ამხილეს. ■

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-53, 1-8



ქალური ინფუიცია

ანუ ჯიბეში ოქროები

რუსუდან ბერიძე

მოსკოვში წასვლამდე, ნინი დიტოსთვის ნიტას ჩვენებას ვერაფრით ახერხებს. ამით გაღიზიანებული დიტო მას ტელეფონში საყვედურებით აავსებს, ბოლოს, შეკამათდებიან კიდეც და ნინი დიტოს ტელეფონს გაუთიშავს.

მარი გოგი გორგილაძესთან შეხვედრას ყველანაირად არიდებს თავს, მაგრამ რეჟისორი მას ქუჩაში ჩაუსაფრდება, მაინც დაიმარტოხელებს და სალაპარაკოდ კაფეში დაპატიჟებს.

მარისთან საუბრისას, გოგი გორგილაძე ნინის მოსკოვში წასვლისა და ნიტას შინ დატოვების ამბავს შეიტყობს და კმაყოფილებისგან სახე გაებადრება. მაგრამ მალე, ვიღაც ახმახი წამოადგებათ თავზე, რომელიც მარტო მას კი არა, მარისაც გვარიანად დააფეთებს. მარი მიხვდება, რომ რეჟისორი ბნელ საქმეებშია გარეული და ვიღაცის დიდი ვალიც აქვს, მაგრამ არაფერს შეიმჩნევს და თითქმის სიტყვის უთქმელად ემშვიდობება.

ნინის და ცოტნეს მოსკოვში გამგზავრების პირველივე დღეს, მარის მობილურზე, რომელიც მას ნინმ დაუტოვა, დიტო დარეკავს. იმ მომენტში, მარის, ნიტა ეზოში სათამაშოდ ჰყავს გაყვანილი. მარი მას, ნინის დედას დაუტოვებს და თავად, დიტოსთან სალაპარაკოდ, სახლში შებრუნდება. უკან გამოსულ მარის, ნიტა ეზოში აღარ ხვდება...

დაფეთებულმა მარიმ ჯერ ეზო შემოირბინა, შემდეგ კი ჭიშკარს ეცა და დაიკივლა:

— შოთა, გვიშველე!

მანქანის ქვეშ გაშხლართული მძღოლი სასწრაფოდ გამოძვრა:

— რა იყო, მარი, რა მოხდა?

— ნიტა დავკარგეთ... — ძლივსღა წაილუღლუღა, ჭიშკარზე მომაკვდავი ჩიტივით ჩამოკიდებულმა მარიმ და თავი უმწეოდ ჩაქინდრა.

— როგორ თუ დაკარგეთ?! — შეიცხადა შოთამ. — წელან ეზოში არ იყო?

— იყო, მაგრამ აღარ არის. უკვალოდ გაქრა, დაიკარგა... — აქვითინდა მარი.

— გადავირევი და ეგაა: ეს წუთია, ჭიშკართან მოირბინა და აღარ მეშვებოდა — შოთა, მანდ რას აკეთებ? მალე გამოძვერი და დედიკოსთან წამიყვანე, მოსკოვის გზა ხომ იციო... — დაბნეულად ჩაილაპარაკა შოთამ.

— ჰო, ამ დილით მეც მეკითხებოდა — ჩვენს ქუჩაზე რომ „მარშრუტკა“ დადის, დედიკოსთან თუ ჩამიყვანსო? იქნებ, მართლა აქვე, გაჩერებაზე გაგვეპარა? — წყალწაღებულივით ხავსს ჩაეჭიდა მარი.

— ჭიშკრის ხმა არ გამიგონია... — მაზუთიანი ხელები სასწრაფოდ ტილოზე შეიწმინდა შოთამ და საგანგებოდ ჩაკეტილი ჭიშკარი მაინც გულმოდგინედ მოსინჯა. — რა ვქნათ ახლა, სად ვეძებოთ ბავშვი?..

მარიმ და შოთამ ახლომახლო ქუჩები და კორპუსების ეზოები წამში შემოირბინეს, შემდეგ სადარბაზოებსა და კერძო სახლების ეზოებშიც შეიხედეს, მაგრამ ნიტას კვალს ვერსად მიაგნეს და საბოლოოდ იმედგადაწურულები, ისევ შინ მობრუნდნენ.

ჭიშკართან სახეშეშლილი ნათელა დახვდათ. ის გულში რაღაცას იხუტებდა.

— რა მოხდა?! — მისცვივდნენ მას მარი და შოთა.

თვალცრემლიანმა ქალმა ნიტას ცალი ფეხსაცმელი გაუწოდა მარის.

— ეს ხომ ნიტას სანდალია! — შეჰკივლა მარიმ. — სად იპოვეთ?

— მოგიკვდეს უტვინო ბებო! ჩემი მარგალიტო, სადა ხარ? ვინ მომტაცა შენი თავი?! — თავისთვის ამოილუღლუღა ნინის დედამ.

— როგორ თუ მოიტაცეს?! ვინ გითხრათ? სად ნახეთ ეს ფეხსაცმელი? — ისევ ჩაეკითხა გულგახეთქილი მარი.

— ეზოში, ღობის ძირას ეგდო. ეტყობა, ვიღაც იქიდან გადმოძვრა და ჩემი ანგელოზი მოიპარა...

მარი მაშინვე ეზოში შევარდა და შოთაც უკან მიჰყვა. ნათელამ ორივე, სახლის უკან, ღობესთან მიიყვანა... იმ ადგილზე, სადაც მას ნიტას ფეხსაცმელი ეპოვა, ვიღაცას, თითქოს საგანგებოდ მოეთელა მოლი და რამდენიმე ყვავილიც ზედ მიეყოლებინა...

— ღმერთო! — მოლზე უმწეოდ ჩაიკეცა მარი და თავი აკანკალებულ ხელებში ჩარგო. — ვის დასჭირდა ნინის ასე გამწარება?! — შემდეგ თავი ისევ ასწია და ცრემლიანი თვალები შეანათა შოთას: სასწრაფოდ პოლიციას უნდა შევატყობინოთ ყველაფერი!

— პოლიციას, თორემ... — ხელი ჩაიქნია შოთამ. — შენ პოლიციის ნაპოვნი, ერთი ადამიანი მაინც თუ გინახავს?!

— არა... არ მინახავს, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ვიღონოთ?

— მაშინ, მოდი ჯერ საავადმყოფოები შემოვიაროთ. იქნებ, ნიტა მართლაც, გარეთ გაგვეპარა და...

— საავადმყოფოები თუ მორგები?! — გულზე ხელი იტაცა მარიმ. — დაამთავრე, რისი თქმა გინდოდა!

— მოიცა, რა, მარი, ისტერიკები არ გინდა! — უკან დაიხია შოთამ.

— კარგი! — სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა მარი. — დაქოქე მანქანა და წავიდეთ.

ის იყო, შოთამ ჭიშკრისკენ ნაბიჯი წადგა, რომ სახლში ტელეფონი აწკრიალდა. ზარის ხმაზე სამივე, ქანდაკებასავით გაშეშდა.

— ვაიმე, შვილო!.. — ამოიკვნესა შემდეგ ნათელამ. — ნამდვილად ნინი რეკავს... რა უნდა ვუთხრათ, რა?!.

მარი მაშინვე სახლში შევარდა.

— მოიცა, მარი! — დაედევნა შოთა. — კარგად მოიფიქრე, მართლა რა უნდა უთხრა!

— უკვე მოვიფიქრე, — უპასუხა მარიმ, — ნინი ქალაქის ტელეფონზე არ დარეკავდა. ვიღაც სხვაა, — ამის შემდეგ, მარიმ ყურმილი აიღო და რამდენადაც შეეძლო, მშვიდად ჩასძახა:

— გისმენთ.

— ძალიან კარგია, რომ მისმენ! — გაისმა ყურმილში უცნობი მამაკაცის ხმა. — შენ ნინი გრძელიშვილის დაქალი ხარ, ხომ?

— დიახ... თქვენ ვინ ბრძანდებით?.. ნამდვილად ვერ გიცანით... — დაიბნა მარი.

— არცაა საჭირო... ყურადღებით მომისმინე: ბავშვი ჩვენთანაა. იცოდე, პოლიციას არაფერი შეატყობინოთ, თორემ ცოცხალს ვეღარ ნახავთ!

— ვინა ხართ? — იკივლა მარიმ და შოთას და ნათელას შეშინებული თვალებით გადახედა. — ბავშვს რას ერჩით?! მე მითხარით, რა გინდათ? რას ითხოვთ ჩვენგან?!

— შენ რაც გითხარი, ის გააკეთე, დანარ-

ჩენზე ბავშვის დედას მოველაპარაკებით... — უპასუხა უცნობმა მარის და ყურმილი დაუკიდა.

— ვინ იყო? რა უნდოდა? — ნათელა და შოთა მაშინვე მარის მისცვივდნენ.

— არ ვიცი, ვინ იყო. დამემუქრა: ნიტა ჩვენთან არის და თუ პოლიციას რამეს შეატყობინებთ, ცოცხალს ველარ ნახავთო... — აქვითინდა მარი. — აღარ შემიძლია, ცოტაც და გული გამისკდება!

— სულ ეგ გითხრა? — მაინც არ მოეშვა შოთა.

— არა. ნინიც ახსენა — დანარჩენზე იმას მოველაპარაკებითო...

— მოგიკვდეს, შვილო, დედა! ეს რა დღეში ჩაგაგდე! — თავში ხელი გამეტებით წაიშინა ნათელამ და შოთას რომ დროზე არ გაეჩერებინა, ალბათ ჭაღარა თმასაც სულ ბღუჯა-ბღუჯა დაიგლეჯდა.

— ეტყობა, დიდ ფულს მოსთხოვენ, — დაასკვნა შოთამ თავისთვის და შემდეგ მარის მიუბრუნდა: — ნინი ხომ არ გავაფრთხილოთ?

— არა, ნინი — არა! — ხელები გაასავსავა მარიმ. — მაშინვე გული გაუსკდება!

— ცოტნეს მაინც არ დავურეკოთ? მიდი, დაურეკე, იქნებ, რამე ჭკვიანური მაგან მაინც გვირჩიოს...

— მაგრამ შემთხვევით რომ ნინიმ აიღოს ყურმილი? — ისევ თვალებად იქცა მარი.

— თუ ეგრე მოხდა, მაგრად დადექი და რაც შეიძლება მშვიდად ელაპარაკე, — დაარიგა შოთამ. — აბა, რა ვქნათ? ხომ იცი, ახლა, ცოტნეს გარდა, ჩვენი პატრონი არავინაა...

მარიმ ტელეფონის ყურმილი ხელის კანკალით აიღო და ცოტნეს მობილურის ნომერი აკრიბა.

— ალო, — გაისმა ყურმილში ცოტნეს მოღლილი, მაგრამ მაინც საკმაოდ კმაყოფილი ხმა.

— ბატონო ცოტნე, მე ვარ... მარი ვარ... — ძლივს ამოილუღლუღა მარიმ.

— ჰო, გისმენ, ჩემო მარი.

— ბატონო ცოტნე, ნინიც თქვენ გვერდითაა?

— არა, საბაზანოშია. ეს წუთია, რაც ფესტივალის გახსნიდან დავბრუნდით. ნინი დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა... კარგია, რომ დარეკე, რას შვრებით? უჩვენოდ როგორა ხართ?

— ბატონო ცოტნე, — დაიწყო ისევ მარიმ, მაგრამ ხმა აუკანკალდა და ტირილიც მოერია.

— რა იყო, მარი? რაღაც არ მომწონს შენი ხმა... — თავადაც აღელვება დაეტყო ცოტნეს.

— ბატონო ცოტნე! გემუდარებით, ჯერ ნინის არაფერი უთხრათ... ნიტა... ნიტა მოგვტაცეს...

— როგორ თუ მოგტაცეს? სად იყო ბავშვი?.. ვისთან?..

— ბებიამისთან... ეზოში თამაშობდა... შოთაც იქვე იყო, ჭიშკართან, მანქანას აკეთებდა...

— შენ?

— მე-ე?.. — დაიბნა მარი.

— ჰო, შენ! შენ სადღა იყავი?! სამმა ადამიანმა ერთ ბავშვს როგორ ვერ მოუარეთ?!

— მე ჩემმა დამ დამირეკა, — იცრუა მარიმ, — სულ ორი წუთი თუ ვილაპარაკე... ეზოში რომ გავედი, ნათელას სკამზე ჩამოსძინებოდა, ნიტა კი აღარსად ჩანდა...

— წესიერად მოძებნეთ?.. ხომ იცით, რა ეშმაკი ვინმეა! იქნებ, სადმე დაგემალათ?! — ხავსს მოეჭიდა ცოტნე.

— არა, ბატონო ცოტნე, უკვე დაგვირეკეს...

— ვინ დაგირეკათ?

— ვიღაც უცნობმა. ასე მითხრა, ბავშვი ჩვენთან არის, იცოდეთ, პოლიციას არ შეატყობინოთ, თორემ ცოცხალს ველარ ნახავთო... — ისევ სლუკუნი აუტყდა მარის.

— ფული არ უთხოვიათ? — ნერვიულობისგან ხმა თითქმის ჩაუწყდა ცოტნეს.

— ჩემთვის — არა. დანარჩენზე დედას მოველაპარაკებითო... ბატონო ცოტნე, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? დავრეკოთ პოლიციაში თუ?..

— არც იფიქროთ! — იყვირა უცბად ცოტნემ და შემდეგ, თითქმის ჩურჩულით დაუმატა: — მისმინე, მარი, მგონი, ნინი უკვე გამოდის... როგორც კი მომენტს მოვიხელთებ, დაგირეკავ...

— ბატონო ცოტნე, ხომ შეიძლება, იმათ ნინის მობილურის ნომერიც ჰქონდეთ? — საკუთარი შეშფოთება სასწრაფოდ გაუზიარა მარიმ.

— არა მგონია... ნინიმ ხომ აქ წამოსვლის წინ, აპარატთან ერთად ნომერიც გამოიცვალა. თუ დარეკავენ, ალბათ ისევ ჩემთან და პასუხსაც მე გავცემ, — უთხრა ცოტნემ და ტელეფონი გათიშა.

მარის ერთხანს, ისევ ხელში ეჭირა ყურმილი, შემდეგ თავის ადგილზე დააბრუნა და ტახტზე მოწყვეტით ჩამოჯდა.

— რაო, რა გითხრა? — მაშინვე ეცა შოთა.

— თავზარი დაეცა. პოლიციაში დარეკვა არ გაბედოთო... ვეცდები, რაიმე მოვიფიქრო და დაგირეკავთო...

— ჩემმა შვილმა ხომ არაფერი გაიგო? — ამოიკვნესა ნათელამ.

— არა. ჯერ არაფერი... — ამოიოხრა მარიმ და თავი ხელებში ჩარგო.

უცბად, ტახტის კუთხეში მიგდებულმა მობილურმა დარეკა.

— ახლა კი ნამდვილად ნინი რეკავს... — აქვითინდა ნინის დედა. — რა უნდა ვუთხრათ? რით ვანუგეშოთ?

მარიმ ტუჩზე საჩვენებელი თითი მიიდო და ნათელას ანიშნა — გაჩუმდიო, — შემდეგ, აპარატი აიღო და ყურმილში, რამდენადაც შეეძლო, მშვიდად ჩასძახა:

— ალო!

— ნინი გრძელიშვილს ველაპარაკები? — მოესმა მარის ყურმილში ისევ იმ უცნობის ხმა.

— არა, ნინი არა ვარ... მარი ვარ... — უპასუხა უცნობს მარიმ.

— კი, მაგრამ ეს ხომ მისი მობილურია? — ხმაზე აშკარა გაოცება დაეტყო უცნობს.

— დიახ, მაგრამ მოსკოვში წასვლის წინ, მე დამიტოვა...

ყურმილში ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— ესე იგი, ისევ შენთან მოვხვდი... — ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო უცნობმა. — ძალიან, ძალიან ცუდი...

— გემუდარებით, ბავშვს არაფერი დაუშავოთ! — ხმა აუკანკალდა მარის. — ნინი არაფერზე დაიხევს უკან, ყველა თქვენს მოთხოვნას შეასრულებს...

— არ შეასრულებს და თავს დააბრალოს! — დაიქადნა უცნობმა და ყურმილი დაკიდა.

— მეტი აღარ შემიძლია! — იკივლა მარიმ და ტახტისკენ მოისროლა მობილური. თუმცა უცბად, ისევ დასწვდა და ხელის კანკალით აკრიბა ნომერი.

— დიტო, გვიშველეთ, ნიტა მოგვტაცეს! — ჩასძახა მან ყურმილში და ტახტის საზურგეს გონწასული მიესვენა...

შოთა და ნათელა ჯერ კიდევ ძლივ-ძლივობით მოსულიერებულ მარის დასტრიალებდნენ, როცა ჭიშკართან მანქანა გაჩერდა და რამდენიმე წუთის შემდეგ, ეზოში ორი მამაკაცი შემოვიდა. მათგან ერთი სპეციალურ ყავარჯნებს დაყრდნობოდა და გატანჯულ სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმა ტკივილს აყენებდა. მეორე, მისთვის ხელის შეშველებას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა... როგორც კი სახლს მიუახლოვდნენ, შოთა მაშინვე კარში ჩადგა და გზა გადაუღობა:

— ვინა ხართ და რა გინდათ? — უკმეხად ჰკითხა მან.

— ჩვენ... მე მარიმ დამირეკა... — აშკარად დაიბნა ხელჯოხიანი. — სად არის მარი?

— აქა ვარ, დიტო, შემოდით, — ძლივს ამოიკვნესა მარიმ. — შოთა, შემოუშვი, — გამოსძახა მან მძღოლს.

შოთა განზე გადგა და მამაკაცები სასტუმრო ოთახში შევიდნენ. მარიმ მაშინვე იცნო გიორგი, შემდეგ ცრემლიანი თვალები მეორეს შეანათა:

— დიტო, გემუდარებით — გვიშველეთ რამე...

გაფითრებული დიტო შოთას მიერ შეთავაზებულ სკამზე ძლივს ჩამოჯდა:

— როგორ მოხდა ყველაფერი? — თითქოს გულიც თან ამოაყოლაო, ისე იკითხა დიტომ.

მარიმ მას ყველაფერი სლუკუნ-სლუკუ-

ნით უამბო. დიტოს ჯერ მიტკლისფერი დაედო და ცოტა ხანს მდუმარედ იჯდა, შემდეგ კი, ისევ მარის მიუბრუნდა:

— ნინის ხომ ბავშვიც თან უნდა წაეყვანა, რატომღა დატოვა?

— ცოტნემ... ბატონმა ცოტნემ გადააფიქრებინა: ტყუილად დაიღლება და გაწვალდებაო...

— მერე, მე რატომ არაფერი მითხრა?

— არ ვიცი... — მხრები უმწეოდ აიჩჩა მარიმ. — მე მეგონა, თქვენც იცოდით...

— არაფერიც არ ვიცოდი... რაო, იმ ახვარმა, რამდენი მოითხოვა?

— ვინ? — კითხვა უცბად ვერ გაიგო მარიმ.

— ვინც დაგირეკათ... ბავშვის გამტაცებელმა...

— ა-ა... ჩემთვის ფულზე არაფერი უთქვამს, დედამისს დაველაპარაკებიო.

— ნინიმ უკვე იცის?

— არა, მარტო ცოტნემ.

— ცოტნე არ მაინტერესებს. გამტაცებელმა რა გითხრათ — კიდევ როდის დავრეკავო?

— ამაზე არაფერი უთქვამს...

გაოგნებული შოთა და ნათელა ხან დიტოს და გიორგის აკვირდებოდნენ, ხანაც — მარის.

— მარი, შვილო, ეს... ეს კაცი ვინ არის? — ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა ნინის დედამ, რომელმაც დიტო ვიღაც ძალიან ახლობელ და საყვარელ ადამიანს კი მიამსგავსა, მაგრამ ვის — ჯერ მაინც ვერაფრით მიმხვდარიყო...

— ნიტას მამაა... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მარიმ და შემდეგ, დამნაშავესავით შეხედა დიტოს: — დიტო, ქალბატონი ნათელა, ნინის დედაა. მან თქვენ შესახებ არაფერი იცის... ნინის და ჩემ გარდა, ჯერ, საერთოდ, არავინ არაფერი იცის...

ნათელა კიდევ ერთხელ დააშტერდა დიტოს და ხმამაღლა აქვითინდა:

— ნიტა, შვილო, ბებო კი დაგიმიწდეს! სულ მთლად მამის ასლი არ ყოფილხარ?!.

დიტოს ნერვიულობისგან სახეზე ყველა კუნთი ერთად აუთამაშდა. მაგრამ შემდეგ, თავს მაინც მოერია და განაგრძო:

— როგორც კი გაიგებთ, რამდენს ითხოვენ, მაშინვე შემატყობინეთ. ფულს მე ვიშოვი...

დიტოს ეს სიტყვები ბოლომდე დამთავრებული არც ჰქონდა, რომ მობილურმა ისევ დარეკა. ღონემიხდილმა მარიმ ყურმილი ძლივსღა აიღო:

— გისმენთ...

— გეტყობა, ძალიან ცუდად!.. — გაისმა ყურმილში ისევ იმ უცნობის გაბრაზებული ხმა. — ხომ გაგაფრთხილე — პოლიციაში დარეკვა არ გაბედო-მეთქი...

— რომელ პოლიციაში?!. მე არსადაც არ დამირეკავს! — შეიცხადა მარიმ.

— აბა, ის ტიპები ვინ არიან, ახლა რომ თქვენთან მოშავდნენ?

— ესენი... ესენი ნინის ახლობლები არიან... უბრალოდ, ისე... სტუმრად მოვიდნენ... აბა, ფეხმოტეხილი პოლიციელი ხომ არ მოვიდოდა საქმეზე? — დიტოს თვალებით საშველად უხმო სულ მთლად გამტკნარებულმა მარიმ.

დიტომ ხელი გაიშვირა — ტელეფონი მომაწოდეო, — და როგორც კი ყურმილი ყურზე მიიდო, მაშინვე ღრიალით ჩასძახა:

— რა გინდა, შე ახვარო, აღარ იტყვი, რამდენს ითხოვ?!. მე დიტო ვარ რჩეულიშვილი, ბავშვის მამა ვარ და გაფრთხილებ — ჩემს შვილს თავზე ერთი ბეწვიც არ შეერხეს, თორემ საფლავიდან ამოგიღებ, შენი!..

უცნობმა ყურმილი სასწრაფოდ დაკიდა.

ერთიანად აცახცახებულ დიტოს გიორგიმ მხარზე ხელი დაადო და თან დანანებით ჩაილაპარაკა:

— „შენი", არ უნდა გეთქვა, მაგან საქმე არ გაართულოს...

— რაღა უნდა გაართულოს, მე მაგათი დედა... — სული ძლივს მოითქვა დიტომ.

— რა და... თუმცა, მოვეშვათ მკითხაობას... — აზრი აღარ დაასრულა გიორგიმ. — იცი, რა, დიტო, მოდი მე განყოფილებაში შევირბენ, იქნებ, ჩემი არხებით რამე გავარკვიო.

— თქვენ... თქვენ პოლიციაში ხომ არ მუშაობთ? — ჰკითხა გიორგის, დაფეთებულმა მარიმ.

— დაახლოებით... — უპასუხა გიორგიმ და ტახტის საზურგეზე მისვენებულ ქალს საკმაოდ გულმოდგინედ დააკვირდა.

— გემუდარებით... არ გინდათ... ხომ გითხარით, გამტაცებლებმა თავიდანვე გაგვაფრთხილეს — პოლიციას არაფერი შეატყობინოთ, თორემ ბავშვს ცოცხალს ვეღარ ნახავთო... — თვალები ცრემლით აევსო მარის.

— პოლიცია ნამდვილად ვერაფერს გაიგებს, — დაამშვიდა გიორგიმ მარი და წასასვლელად მოემზადა. — რას იზამ — წამოხვალ? — მიუბრუნდა ის დიტოს.

— ალბათ... — ამოიოხრა დიტომ. — აბა, აქ რაღა გავაკეთო?.. ის ახვარი სანამ ახალ ინფორმაციას არ გადახარშავს, ალბათ აღარ დარეკავს...

— ეგრეა... მაშ, წავედით?!

— წავედით... — ყავარჯნები მოიმარჯვა დიტომ, შემდეგ, მარისა და ნათელას მიუბრუნდა: — ნებისმიერ დროს, როცა არ უნდა დარეკონ — მაშინვე ყველაფერი შემატყობინეთ. ახლა წავალ და ფულს ვიშოვი...

სააბაზანოდან გამოსულ ნინის, ცოტნეს გაფითრებული სახის დანახვაზე გულმა რეჩხი უყო:

— ცოტნე, რა მოხდა?

— არაფერი... რა უნდა მომხდარიყო?!. — გაღიმება სცადა ცოტნემ.

— რა ვიცი... სახეზე კი ფერი აღარ გადევს და...

— კარგი ერთი, რაღაცას ნუ მოიგონებ ხოლმე... დღეს ზომაზე მეტად დავიღალე და ალბათ ყველაფერი ამის ბრალია...

— შეიძლება... — კიდევ ერთხელ დააკვირდა ცოტნეს დაეჭვებული ნინი, სააბაზანოში ხმა მესმოდა, ვის ელაპარაკებოდი?

— მარის.

— მარის? ხომ გაგაფრთხილე — ჩემს გამოსვლამდე არ დაურეკო-მეთქი?

— არც დამირეკავს, — მშვიდად მიუგო ცოტნემ, — აქეთ დარეკა: ხომ კარგად იმგზავრეთო?

— სულ ეგ იყო?

— აბა, მეტი რა უნდა ყოფილიყო?!

— ნიტას ამბავი არ გითხრა?

— რა ამბავი? — ცოტნემ იგრძნო, ყველა ძარღვი ერთად როგორ დაეჭიმა.

— რა და — რას შვრება, უდედოდ ხომ არ მოიწყინა...

— ჰო-ო, — როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა ცოტნემ. — იცი, რომ ჯერ არც კი გახსენებიხარ?

— აბა, აბა, ეგრევე დაგიჯერე!

— თუ არ გჯერა, თავად დარეკე! — ვითომ შეაგულიანა ნინი ცოტნემ. — თუმცა, მარიმ მითხრა, ნიტას და ბებოს უკვე სძინავთო...

— არა უშავს, მაინც დავრეკავ, — ყურმილს დასწვდა ნინი.

სწორედ იმწუთას, ცოტნეს მობილურმაც დარეკა. ზარის ხმაზე ცოტნე ფეთიანივით წამოხტა, შემდეგ ტელეფონს წამოავლო ხელი და ნინის უთხრა:

— ჰოლში გავალ და ვუპასუხებ: არ მინდა, მარისთან ლაპარაკში შეგიშალო ხელი.

ნინიმ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩჩა, თქმით კი, აღარაფერი უთქვამს...

ცოტნე კი მაშინვე გარეთ გავარდა, კარი საგულდაგულოდ გაიკეტა და ტელეფონის ზარს მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა.

— ნინი გრძელიშვილი მალაპარაკეთ! — მოისმა ყურმილში მამაკაცის მბრძანებლური ხმა.

— ნინის უკვე სძინავს. ვინ კითხულობს? — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად უპასუხა ცოტნემ.

— გააღვიძეთ! სასწრაფო საქმე მაქვს!

— თქვენი საქმე ხვალამდე ვერაფრით მოიცდის? — უკან მაინც არ დაიხია ცოტნემ.

— ხვალ გვიან იქნება! შენ ალბათ ცოტნე ხარ, არა? — უცბად, შენობით ლაპარაკზე გადავიდა უცნობი.

— დიახ.

— ჰოდა, გადაეცი შენს საყვარელს, რომ თუ ორ დღეში, ორმოცდაათი ათას დოლარს არ გააჩენს, შვილს ცოცხალს ვეღარ ნახავს... — ამის შემდეგ, უცნობმა ტელეფონი გათიშა.

გაოგნებული ცოტნე ერთხანს უძრავად იდგა, შემდეგ დერეფანში ბოლთის ცემას მოჰყვა. ცოტა ხანში, ნომრის კარი გაიღო და ნინიმ გამოიხედა:

— რას შვრები? უკან შემოსვლას აღარ აპირებ? — გამოსძახა მან ცოტნეს.

დაბნეული ცოტნე სასწრაფოდ ნომერში შებრუნდა და ტახტზე ჩამოჯდა.

— მარის ელაპარაკე? — შესვლისთანავე ჰკითხა მან ნინის.

— კი.

— მერე რაო?

— ყველაფერი რიგზეა. ნიტას მართლა ეძინა, მაგრამ მარიმ მისი სუნთქვა მაინც მომასმენინა. დედაჩემსაც ველაპარაკე, ცოტა ხმა არ მომეწონა... შაკიკმა შემომიტიაო, — შემომჩივლა... შენ ვინღა დაგირეკა?

— შენ არ დაგაინტერესებს: ძველი საქმიანი პარტნიორია... პირველი ფილმი ვინც დამიფინანსა...

— კიდევ ხომ არ შემოგთავაზა რამე?

— კი, მაგრამ უარი ვუთხარი.

— სწორადაც მოქცეულხარ — აბა, საფრანგეთზე ხომ არ იტყოდი უარს... ჰო, მართლა, ბატონ ოთარს როდის ვხვდებით?

— ხვალ საღამოს.

— კონტრაქტსაც მაშინვე გააფორმებთ?

— ალბათ...

— ავანსსაც ხვალვე გამოგიწერს?

— ალბათ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა ცოტნემ. — ავანსი რაღამ გაგახსენა?

— რას ჰქვია, რამ გამახსენა?! შენ არ მითხარი — კარგა გვარიანი თანხა იქნებაო?

— ჰო, მაგრამ... მერე ჩვენ რა?.. ხომ იცი, რომ ის ფული მთლიანად მომავალი ფილმის მოსამზადებელ სამუშაოებს უნდა მოხმარდეს...

— ვიცი, ვიცი, დამშვიდდი. მე მომახმარე-მეთქი, ხომ არ მითქვამს...

დილით, ცოტნე მობილურის ზარმა გამოაფხიზლა.

— ბავშვის დედას ისევ სძინავს? — გაისმა ყურმილში მამაკაცის დამცინავი ხმა.

— ვი-ის? — უცბად აზრზე ვერ მოვიდა ცოტნე.

— ბავშვის დედას, — გაუმეორა უცნობმა, — რა ქენი — ელაპარაკე?

— ა-ა, დიახ, დიახ, ყველაფერი რიგზეა, — უპასუხა დაფეთებულმა ცოტნემ და თან, მშვიდად მძინარე ნინის გადახედა. შემდეგ ლოგინიდან სასწრაფოდ წამოხტა და საბაზანოში შეიკეტა:

— მისმინეთ. ბავშვის დედამ ჯერ არაფერი იცის. ერთ კვირაში, თბილისში ვიქნებით და ყველაფერზე მანდ მოვილაპარაკოთ...

— შენ თუ გინდა, საერთოდ ნუ ჩამოხვალ, ფული კი, ზეგ დილით ჩვენთან უნდა იყოს, თუ არა და...

— გასაგებია, მაგრამ ამხელა ფულის შოვნა ასე ადვილი ხომ არ არის?!

— კარგი ერთი, ნუ აწუწუნდი... იცი, რომ ისედაც გვარიანი „სკიდკა“ გაგიკეთეთ?

— ვერ გავიგე — რა „სკიდკაზე“ მელაპარაკებით?

— რა და სანამ შენ და შენი „ნაშა“ მანდ „ჯულაობთ“, ბავშვს ნამდვილი მამა გამოუჩნდა და ორმოცდაათსაც ის იხდის, თორემ ასევეს თქვენ „აგახვევდით“...

— ვი-ინ? ვინ გამოჩნდა?! — თითქმის დაიღრიალა ცოტნემ. მაგრამ უცნობმა ტელეფონი ისევ სასწრაფოდ გაუთიშა...

სააბაზანოდან გამოსულ ცოტნეს, ნინი ლოგინში წამომჯდარი დახვდა.

— რა მოხდა, ცოტნე? რა გაყვირებდა? ასეთი რა გითხრეს?.. ვინ გამოჩნდაო?..

გაფითრებული ცოტნე ნინის საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ორივე ხელი დაუჭირა:

— ნინი, მომისმინე — ოღონდ, ძალიან გთხოვ, არ შეგეშინდეს...

— რატომ უნდა შემეშინდეს? მოხდა რამე? — ფერი ეცვალა ნინის.

— მოხდა.

— რა?

— რა და... ნიტა...

— რა ნიტა?! ნიტას რა დაემართა?! — იკივლა ნინიმ და ლოგინიდან წამოხტომა სცადა, მაგრამ ცოტნემ ხელები მაინც არ გაუშვა.

— დამშვიდდი-მეთქი, ხომ გითხარი, არაფერიც არ დამართნია... საღ-სალამათია, მაგრამ...

— რა მაგრამ?.. მითხარი, რას მიმალავ?!

— ვიღაც ავაზაკებს გაუტაციათ და გამოსასყიდს ითხოვენ.

— რას ითხოვენ? — უცბად ვერ გაიგო ნინიმ.

— ფულს... ორმოცდაათი ათას დოლარს...

უცბად ნინიმ ისე ძალუმად გაიბრძოლა, რომ ცოტნეს ხელიდან მაინც გაუსხლტა და ფეთიანივით ფეხზე წამოხტა, მაგრამ მაშინვე უცნაურად შეტორტმანდა და გონწასული, მას ზედ დაემხო...

როდის-როდის გონს მოსულ ნინის, ცოტნემ ლოგინიდან წამოდგომა აღარ დაანება, თავადაც ისევ საწოლთან ჩამოუჯდა და დამშვიდება დაუწყო:

— ნინი, საყვარელო, დამიჯერე — ნიტა ცოცხალი და საღ-სალამათია, სანამ იმ ავაზაკებს ფულის მიღების იმედი აქვთ, ბავშვს ნამდვილად არაფერს დაუშავებენ...

— მერე?

— რა მერე?

— ფული რომ ვერ მივცეთ, მერე რას უზამენ?

— რას ჰქვია, ვერ მივცეთ?..

— აბა, ამხელა ფული ასე უცბად საიდან უნდა მოვიტანოთ?

— არ ვიცი, მაგრამ უნდა ვიშოვოთ.

— მოიცა, — უცბად სახე გაუნათდა ნინის და ცოტნეს იმედიანად შეხედა, — იქნებ, ბატონი ოთარისთვის გვეთქვა?

— კი, მაგრამ ოთარი რა შუაშია?

— როგორ თუ რა შუაშია? იმ ავანსიდან, შენ რომ უნდა გამოგიწეროს, იქნებ, ნაწილი ჩემთვის ესესხებინა... სულ-სულ ცოტა ხნით, — ტირილზე გადავიდა ნინი. — გეფიცები, ჩემს სახლს გავყიდი თუ არა, მაშინვე დავუბრუნებ... ხომ იცი, რომ რაც ფული მქონდა, მაგ სახლის ყიდვასა და მოწყობას მოვახმარე და ახლა თითქმის არაფერი მაბადია...

— ნინი, გესმის, რას მთხოვ? — დაიბნა ცოტნე. — ჯერ ერთი, ის ფული, მთლიანად ორმოცდაათი ათასი არ იქნება და მერე, მას პირად სარგებლობაში ხომ არ მაძლევენ?.. ყოველი ცენტი წინასწარვე ექნებათ აღრიცხული...

— მაშ, შენ ჩემი შვილის სიცოცხლეს, შენი მომავალი ფილმი გირჩევნია?.. — ცრემლიანი თვალები დააკვესა გაცოფებულმა ნინიმ.

— ნინი, ძალიან გთხოვ... — განაგრძო ცოტნემ.

— რას მთხოვ, რას? — უკივლა ნინიმ. — ნიტა რომ შენი ნამდვილი შვილი ყოფილიყო, მაშინ ხომ არ ილაპარაკებდი ასე?!

— ნიტა ყოველთვის ჩემს ნამდვილ შვილად მიმაჩნდა, სანამ არ გავიგე, რომ მას ნამდვილი მამა გამოსჩენია, რომლის არსებობასაც ასე გულმოდგინედ მიმალავდი...

გაგრძელება იქნება

ბრუკ შილდსი

ჰოლივუდის ამოუხსნელი საიდუმლო

ჯინომსახიობი და მოდელი ბრუკ შილდსი საოცარი, იდუმალებით მოცული ქალია. ერთი მხრივ, მას იცნობს ყველა, ვისაც ზედაპირული წარმოდგენა მაინც აქვს ამერიკულ ჯინოზე, მეორე მხრივ – იშვიათად ვინმე თუ გაიხსენებს ფილმებს მისი მონაწილეობით, გარდა „ცისფერი ლაგუნისა", სადაც ბრუკმა ჯერ ჯიდევ თხუთმეტი წლის ასაკში ითამაშა. მას შეეძლო, რომ თავისი თაობის ყველაზე პოპულარული და მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე მსახიობი გამხდარიყო. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, ჰოლივუდის ერთ-ერთი ვარსკვლავიც ჯი არ გახდა.

ბრუკ შილდსი კომერციულ რეკლამაში პირველად, 11 თვის ასაკში გადაიღეს! იგი პოდიუმზე დედასთან – 20 წლის მსახიობ და მოდელ ტერი შილდსთან ერთად გამოჩნდა. სამი წლის ბრუკი კი, კალვინ კლაინის ჯინსს უკეთებდა რეკლამას. მაღალი და არაჩვეულებრივი აღნაგობის გოგონა, 12 წლისა უკვე ტოპ-მოდელი გახლდათ. ყმაწვილი მზეთუნახავი პოდიუმზე რეჟისორმა ლუი მალმა შეამჩნია და 1978 წელს „მშვენიერი ბავშვის" გადაღებებზე მიიწვია.

ძალაუფლების მოყვარულმა, ძლიერი ნებისყოფისა და ცოტა არ იყოს, აგრესიულმა ტერი შილდსმა, რომელიც გოგონას მენეჯერი გახლდათ, გადაწყვიტა, რომ ბრუკი აუცილებლად გახდებოდა კინოვარსკვლავი. „მზრუნველი" დედა იმანაც კი არ შეაშფოთა, რომ მის 12 წლის გოგონას მცირეწლოვანი მეძავის როლს სთავაზობდნენ. საეჭვო სცენებში შიშველი ბრუკის ეკრანებზე გამოჩენას დიდი სკანდალი მოჰყვა: საზოგადოებამ და მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა პორნოგრაფიის წინააღმდეგ გაილაშქრეს. საბოლოოდ, ამან ფილმს არნახული რეკლამა გაუწია, გოგონაზე კი, როგორც ამერიკის სექს-სიმბოლოზე, ისე ალაპარაკდნენ...

ბრუკ კრისტა შილდსი 1965 წლის 31 მაისს ნიუ-იორკში დაიბადა. გოგონა უმამოდ იზრდებოდა, იგი ჯერ კიდევ ორი თვის იყო, როცა მამამისმა – ფრენკ შილდსმა ოჯახი მიატოვა. ერთი ხანობა ტერი ბევრს სვამდა და გოგონას ფაქტობრივად ყურადღებას არ აქცევდა. სწორედ ამიტომაა, რომ როცა ბრუკი თავის ბავშვობას იხსენებს ხოლმე, იგი გრიმის ოსტატებზე, დალაქებსა და ორ ძიძაზე საუბრობს, რომლებიც მისი აღზრდით იყვნენ დაკავებულნი. ბრუკი ძიძებს „ნათლიდედებად" მოიხსენიებს, მიუხედავად მათი სქესისა: ჰენკი და რიჩარდი გეები იყვნენ. ბრუკს ისინი ძალიან უყვარდა და ბავშვობის დროინდელ ფოტოსურათებზე გოგონა ხან ერთი „ძიძის" მუხლებზეა მოკალათებული და ხან – მეორის. ბრუკის გარშემო ბავშვობიდანვე უამრავი გეი და ლესბოსელი ტრიალებდა. იგი მონაწილეობდა მათ შოუპროგრამებში, ხშირად სტუმრობდა სექსუალური უმცირესობების ბარებსა და კაფეებს. ყოველივე ამან, მოზარდი გოგონას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, საკმაოდ უარყოფითი გავლენა მოახდინა.

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით, მას პიროვნების გაორება აქვს. ერთხელ მან განაცხადა, რომ მას ძალზედ ხიბლავს სექსუალური თავგადასავლები: „მიმაჩნია, რომ ყოველთვის უნდა აკეთო ის, რაც გინდა. თუ ლამაზი და სექსუალური ხარ და გსურს, რომ ღამე მამაკაცთან ან ქალთან გაატარო, უნდა გააკეთო ეს". მსახიობი დარწმუნებულია, რომ თითოეული ადამიანი ორი ნაწილისაგან შედგება. „თუმცა, შინაგანი შიშის გამო, რომელსაც ადამიანი თავისი მეორე „მეს" წინაშე განიცდის, იგი ცდილობს, სახალხოდ მხოლოდ ერთი – დადებითი მხარე წარმოაჩინოს", – განაცხადა ბრუკ

შილდსმა.

სულ სხვა აზრისაა ამ საკითხთან დაკავშირებით ბევერლი-ჰილზის ფსიქიატრი, დოქტორი კეროლ ლიბერმანი: „მისი გამონათქვამებისა თუ ქმედებებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, არაორდინარულმა ბავშვობამ ბრუკის ჩამოუყალიბებელ ფსიქიკაზე უდიდესი ზეგავლენა იქონია. მის სულში ღრმა იარები გაჩნდა, რომელიც დღემდე არ აძლევს მას მოსვენებას. გარკვეულწილად ამაში დედამისიცაა დამნაშავე, რომელიც მცირეწლოვან გოგონას აიძულებდა, რომ სექსუალური იმიჯი ჰქონოდა. უარესიც – იგი ექსპლუატაციას უწევდა პატარა ბრუკის ბუნებრივ სილამაზეს“.

ტერი შილდსი ცდილობდა, გაეკონტროლებინა ქალიშვილის ცხოვრება. იგი ყოველ მის ნაბიჯს უთვალთვალებდა, მის პირად ცხოვრებაში ერეოდა და მთელ მის საქმეებსაც თავადვე წარმართავდა. ბრუკისადმი ისედაც მოჭარბებული ყურადღების კიდევ უფრო გასაღვივებლად, ტერიმ უცნაური ნაბიჯი გადადგა – დედამ მისი ქალწულობა დააზღვია და განაცხადა, რომ სექსოფილური გარეგნობისა და გარყვნილი გოგონას კინოამპლუის მიღმა, ბრუკს მამაკაცებთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა. „ცისფერი ლაგუნის“ გადაღებების დროსაც, ბრუკს ისე ჰქონდა თმა სხეულზე მიწებებული, რომ მისი პატარა, მაგრამ უკვე მაცდური მკერდისათვის თვალი არავის მოეკრა. მაგრამ ამ ფილმში მონაწილეობის შემდეგ, 15 წლის გოგონას, სექს-სიმბოლოს იმიჯი კიდევ უფრო განუმტკიცდა.

ერთი წლის მერე, ბრუკი ფრანკო ძეფირელიმ „უსასრულო სიყვარულში“ გადაიღო და მსახიობი 80-იანი წლების „სახედ“ იქცა. მომხიბლავი, გადაკალმული თვალ-წარბის მქონე ბრუკის ფოტოსურათები ყველაზე პრესტიჟული ჟურნალების ყდებს ამშვენებდა.

ბუნებამ ბრუკ შილდსი არა მარტო გარეგნობით, არამედ მახვილი გონებითაც უხვად დააჯილდოვა. მას მოჰბეზრდა დედის მიერ მისთვის შერჩეული გზით სიარული და დამოუკიდებლად მოქმედება გადაწყვიტა. 1983 წელს მან პრინსტონის უნივერსიტეტში ჩააბარა და წარმატებითაც დაამთავრა იგი: ბრუკმა ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხიც მიიღო და ფრანგული ენის პედაგოგის დიპლომიც.

31 წლის ასაკში ბრუკმა დედას კვლავ გაუწია წინააღმდეგობა: მას მოჰბეზრდა სახალხოდ უკარება ქალწულის როლის თამაში და გათხოვება გადაწყვიტა. მისი თაყვანისმცემლების რიგს ეკუთვნოდნენ მსოფლიოში ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ (იმხანად): მონაკოს უფლისწული ალბერტი, ინგლისის უფლისწული ედუარდი, იორდანიის უფლისწული ტალილი, იაპონიის უფლისწული ხირო ნარუხიტო. ტერი შილდსიც მიიჩნევდა, რომ მისი გოგონასთვის მხოლოდ ცისფერსისხლიანი საქმრო იყო შესაფერისი. მაგრამ ბრუკმა უპირატესობა ჩოგბურთელ ანდრე აგასის მიანიჭა. დედა ქალიშვილის არჩევანს სასტიკად შეეწინააღმდეგა: აგასი ხომ ცისფერსისხლიანი კი არა, ნამდვილი ფრანგიც არ იყო – მამამისი ირანელია. ტერის არც ანდრეს გარეგნობა აკმაყოფილებდა – გრძელთმიანი (იმხანად ჩოგბურთელი ასე გამოიყურებოდა) და საყურიანი აგასი დიდად არც კეთილშობილური მანერებით გამოირჩეოდა, მაგრამ ბრუკმა თავისი გაიტანა და ორწლიანი რომანის შემდეგ, 1997 წლის აპრილში მათი ქორწილი შედგა.

ბევრი ამ ქორწინებას საკმაოდ უცნაურად მიიჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ წყვილს ძალიანაც უყვარდა ერთმანეთი, ისინი წელიწადში მხოლოდ რამდენიმე კვირას ატარებდნენ ერთად და ისიც საკმაოდ იშვიათად ხვდებოდნენ ურთიერთს, ვინაიდან, ცოლ-ქმარს საოცრად განსხვავებული ცხოვრების რიტმი ჰქონდა: ბრუკი ბავშვობიდანვე ადრე დაწოლასა და სისხამ დილით ადგომას იყო მიჩვეული, რადგან ცხრა საათისთვის უკვე გადასაღებ მოედანზე უნდა ყოფილიყო. აგასი კი ასპროცენტიანი ჭოტი გახლდათ. ბოლოს და ბოლოს, ორი წლის თავზე 1999 წლის აპრილში ცოლ-ქმარი გაიყარა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ტერი შილდსის მტკიცებისა, რომ მისი გოგონა ქალწულობას მეუღლისათვის ინახავდა, ბრუკის პირველი მამაკაცი ანდრე აგასი არ ყოფილა. „გლობში“ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ცნობილი გახდა, რომ ეს კაცი დევიდ ჰანკსი გახლდათ, რომელიც ბრუკმა ჯერ კიდევ პრინსტონში სწავლის დროს გაიცნო. „ჩვენ

სამი წლის მანძილზე ვხვდებოდით ერთმანეთს, – წერს მსახიობი. – მე ყურებამდე შეყვარებული ვიყავი მასზე. იგი ჩემი პირველი მამაკაცი გახლდათ!“ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, შეყვარებულები ერთმანეთს დაშორდნენ.

მართალია თუ არა ეს, არავინ იცის, თუმცა, ზოგიერთი ჟურნალისტის მტკიცებით, ბრუკ შილდსი ანდამატივით იზიდავდა ცნობილ მამაკაცებს. ფილმში – „ციებ-ცხელება შაბათ საღამოს“, საკმაოდ ახალგაზრდა ბრუკის პარტნიორი 27 წლის ჯონ ტრავოლტა გახლდათ: „იგი, ჩემთან შედარებით ასაკით უფროსი, პირველი მამაკაცი გახლდათ ჩემს ცხოვრებაში“. დაახლოებით იმავე პერიოდში მსახიობი შოუბიზნესის კიდევ ერთ ვარსკვლავს, მაიკლ ჯექსონს ხვდებოდა. „ჩემს სასიყვარულო თავგადასავლებს შორის, მაიკი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ეპიზოდია“, – ღიმილით იხსენებს შილდსი. თავის დროზე, ნუშისთვალება მზეთუნახავმა მსახიობ ლაიამ ნისონისა და ჯონ ფ. კენედი-უმცროსის ყურადღებაც მიიქცია.

ქმართან გაყრის პროცესმა საკმაოდ მშვიდ ატმოსფეროში ჩაიარა, ყოფილ მეუღლეებს დღესაც ძალზედ მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ბრუკი ანდრეს ემადლიერება კიდეც, ვინაიდან სწორედ მასთან ქორწინება დაეხმარა მამასთან ურთიერთობის აღდგენაში. მანამდე მამის სახლიდან წასვლით განაწყენებული მსახიობი, ფრენკ შილდსს საერთოდ არ ნახულობდა.

გაყრის შემდეგ, ბრუკს პროფესიულ

ასპარეზზე საკმაოდ წარმატებული პერიოდი დაეწყო. მას ხშირად იწვევდნენ მსხვილბიუჯეტიან ფილმებში სათამაშოდ. წარმატების მიუხედავად, მსახიობი მარტოობას ძალზედ მტკივნეულად განიცდიდა, იგი ოცნებობდა ოჯახზე – ქმარსა და შვილებზე. მისი ოცნების მამაკაცი – მწერალი, პროდიუსერი და სცენარისტი კრის ჰენჩი აღმოჩნდა. ისინი ფილმის გადაღებებზე შეხვდნენ ერთმანეთს. მსახიობი კრისს მანამდეც იცნობდა, მაგრამ როცა უფრო დაახლოვდნენ, ბრუკი მიხვდა, რომ იგი ღვთის საჩუქარი იყო.

კრისმა ბრუკს მექსიკაში რომანტიკული მოგზაურობისას სთხოვა ხელი და თანხმობაც მიიღო. წყვილმა 2001 წლის აპრილში იქორწინა და მაისის ბოლოს, შვილს ელოდება.

იმისათვის, რომ ყოველთვის ფორმაში იყოს, ბრუკი აერობიკის ვარჯიშებსაც ასრულებს და არც ჰანტელებით ვარჯიშზე ამბობს უარს. გამოსასვლელ დღეებში კი ველოსიპედით გადის ქალაქგარეთ. თავისუფალ დროს, თავის საყვარელ ჯინსსა და სპორტულ მაისურში გამოწყობილი მსახიობი, ძაღლს პარკში ასეირნებს. საღამოებს ცოლ-ქმარი უფრო ხშირად შინ, ბუხრის პირას ატარებს, სადაც ხან ჯაზის მოსმენით იქცევს თავს, ხანაც კარგი წიგნის კითხვით. თავად ბრუკ შილდსმაც უკვე ორი წიგნი გამოსცა: „წიგნი ბრუკზე“ და „საკუთარ თავზე“. იგი არც მამას ივიწყებს და მასთან პალმ-ბიჩში საკმაოდ ხშირად ჩადის, სადაც სიამოვნებით ურთიერთობს თავის ოთხ ნახევარდასთან (მამამისის შვილებთან მეორე ქორწინებიდან). ბრუკი ქველმოქმედებასაც საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს, იგი ავადმყოფ ბავშვებს ეხმარება. 2003 წლის მარტში მსახიობი მონაწილეობას მიიღებს ცნობილი პიროვნებების ფეხსაცმელების აუქციონში, რომლიდან შემოსული თანხაც ობოლი ბავშვების დახმარების ფონდში გადაირიცხება. ■

კორტნი ლავმა პირადი მეთვალყურე დაიქირავა

ამერიკელმა მომღერალმა კორტნი ლავმა პირადი მეთვალყურე დაიქირავა, რომელიც ზრუნავს იმაზე, რომ მან ნარკოტიკი არ მიიღოს. კურტ კობეინის ქვრივმა კომენტარი გააკეთა მის გარემოცვაში ახალი ადამიანის გამოჩენასთან დაკავშირებით: „იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც გაფუჭებულ როკ-ვარსკვლავებთან ერთად მოგზაურობს, რათა მათ თავი არ შეიქციონ ნარკოტიკებით“, – განაცხადა მან. პროფესიონალი მეთვალყურე 38 წლის მომღერლის გვერდით 24 საათის განმავლობაში იმყოფება. თუმცა, Peoplenews-ის მიმომხილველების აზრით, ახალი პერსონალის გამოჩენამ კორტნის ახირებულობას ბევრი ვერაფერი მოუხერხა. მაგალითად, იანვარში ლავი ლონდონში დააპატიმრეს, რადგან მან თვითმფრინავის ბორტზე სასტიკი სკანდალი მოაწყო (იგი ლოს-ანჯელესიდან ბრიტანეთის დედაქალაქში „ვირჯინ აირლაინის“ კომპანიის თვითმფრინავით მიფრინავდა). მომღერალი კინაღამ ფიზიკურად შეეხო ბორტგამცილებელს, როცა მან მის თერაპევტს უფლება არ მისცა, რომ კორტნის გვერდით, პირველი კლასის სალონში დამჯდარიყო. იმყოფებოდა თუ არა იმ დღეს ლავი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ – უცნობია. თუმცა, ამას წინათ, როკ-ვარსკვლავმა განაცხადა, რომ „ყოველი ამერიკელი ქალი სედატიურ პრეპარატ ჰანახს მოიხმარს“; ყველაში ალბათ მომღერალმა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი და შოუბიზნესის წარმომადგენელი სხვა ქალბატონები იგულისხმა. ■

ჯულიანა მურს ჰოლივუდის მოსქმის პოლიტიკა არ მოსწონს

პირველად, კინოს არსებობის ისტორიაში, ჯულიანა მური ერთდროულად მთავარი და მეორეხარისხოვანი როლების („სამოთხიდან შორს“ და „საათი“) საუკეთესო შემსრულებლის „ოსკარის“ ნომინაციაზეა წარდგენილი. როგორც აღმოჩნდა, მსახიობი უკმაყოფილოა ჰოლივუდში გამეფებული ტენდენციის გამო, რაც იმაში გამოიხატება, რომ „ოცნებების ფაბრიკის“ ბოსები წმინდა წყლის ბოევიკების გადაღებაზე გადავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „ფსიქოლოგიურ“ ფილმებს შედარებით ნაკლები შემოსავალი მოაქვს, მისი აზრით, პრობლემა ეს როდია. საქმე ის არის, რომ შემოსავლების ნაკლებობას არც ამ ტიპის სურათები უჩივიან,უბრალოდ, „ფსიქოლოგიურ“ ფილმებს მოგება გარკვეული ხნის შემდეგ მოაქვს, ბოსები კი „სწრაფ შემოსავლებს“ ელტვიან. მსახიობის თქმით, ამჟამად ჰოლივუდში აქცენტი 18-24 წლის ახალგაზრდა ყმაწვილების გემოვნებაზეა გადატანილი, რომლებიც მთელ მსოფლიოში ჩხუბებს, ბრძოლებსა და სპეცეფექტების მეშვეობით შექმნილ სცენებს დიდი სიამოვნებით უყურებენ. ასეთი ფილმების სანახავად, ხშირ შემთხვევაში, მათ თარგმანიც კი არ სჭირდებათ ხოლმე. თავად მური ასეთ პროექტებში მონაწილეობას არ აპირებს: იგი 42 წლისაა და სურს, რომ ეკრანზე ისეთი პერსონაჟები განასახიეროს, რომლებიც ნორმალური, ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობენ. ■

სერენა უილიამსის თრიად პიკანტური ფოტო ჟურნალის ყდაზე გამოჩნდა

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ამერიკელი სერენა უილიამსი თაყვანისმცემლებს ახალ ამპლუაში მოევლინა – „დიდი მუზარადის“ ტურნირის ხუთგზის გამარჯვებულმა, ამჯერად ფოტომოდელობა სცადა. ჟურნალ Sports Illustrated-ის ყდაზე მისი ფრიად პიკანტური ფოტო გამოჩნდა, სადაც შავკანიანი ჩოგბურთელი „ანა კლაინის“ თეთრ საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი იწონებდა თავს. ჟურნალის იმავე ნომერში გერმანელი ჩოგბურთელის, ტომ ჰაასის ფოტოსურათიც გამოქვეყნდა. თუ ანა კურნიკოვას თაყვანისმცემლები უკვე შეეჩვივნენ ამ როლში საკუთარი კერპის ხილვას, სერენა უილიამსის გულშემატკივართათვის ფოტომოდელის ამპლუაში ჩოგბურთელის გამოჩენა სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. ჟურნალის მკითხველებიც გულგრილნი არ დარჩენილან გამოქვეყნებული ფოტოსურათისადმი და შესაძლოა, ამერიკელი ჩოგბურთელის ფოტოები კვლავაც გამოჩნდეს პერიოდული გამოცემის ფურცლებზე. დავძენთ მხოლოდ ერთს, რომ პირველი ჩოგბურთელი, რომლის დებიუტიც ამ ასპარეზზე შედგა, შტეფი გრაფი გახლდათ. ■

ვენსან კასელი ფილმის პრემიერას თავად დაესწრება

20 მარტს ეკრანებზე გამოვა მოულოდნელი, ნერვული და ღვარძლიანი ფილმი – „ამოიკითხე ტუჩების მოძრაობით“. პრემიერას დაესწრება მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებელი, ცნობილი ფრანგი მსახიობი (მონიკა ბელუჩის ყოფილი ქმარი), ვენსან კასელი. იგი მონაწილეობდა ფილმებში: „სიძულვილი“, „მგლის საძმო“, „შეუქცეველი“, „ანგარიშსწორება“, „მეწამული მდინარეები“ და „იუბილარი“. კანის ფესტივალზე ყოფნისას, ვენსან კასელმა მისი შემოქმედების ამ უმნიშვნელოვანესი ფილმის მაყურებლისათვის წარდგენის სურვილი თავად გამოთქვა. ფილმი ბერლინალე-2002-ის ოფიციალური პროგრამა „პანორამის“ მონაწილეა. ამასთან ფილმს მოპოვებული აქვს ევროპის კინოაკადემიის ისეთი მნიშვნელოვანი ჯილდოები, როგორიცაა: „საუკეთესო სცენარი“ – 2002 და „ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი“ – 2002. ■

სტინგი წამში 1,6 დოლარს გამოიმუშავებს!

სტინგმა უკან ჩამოიტოვა ელტონ ჯონი და მიკ ჯაგერი და დიდი ბრიტანეთის, რიგით მეორე, ყველაზე მდიდარი მუსიკოსი გახდა. მომღერლის გასული წლის შემოსავალმა წამში 1,6 დოლარი შეადგინა! 320 მლნ დოლარის მფლობელი სტინგი, სიმდიდრით მხოლოდ პოლ მაკარტნის ჩამორჩება. რაც შეეხება ელტონ ჯონსა და მიკ ჯაგერს, ისინი „მხოლოდ“ 265 მლნ-ს სჯერდებიან. ამას წინათ, 51 წლის სტინგმა ბოლო რვა თვის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით, დეკლარაცია შეავსო, სადაც მითითებულია, რომ მომღერალს მისმა კომპანიამ – Steerpike, ხელფასის სახით ამ ხნის მანძილზე 40 მლნ დოლარი გადაუხადა. საერთო ჯამში კი, მისი ქონება 320 მლნ დოლარს შეადგენს, რაც სულაც არ უნდა იყოს ცუდი მერძევის შვილისათვის.

სტინგის შემოსავლების უმთავრეს წყაროს მისი საზღვარგარეთული ტურნეებიდან და ადრე გამოშვებული ალბომებიდან შემოსული თანხა შეადგენს. რადიოეთერში შესრულებულ მხოლოდ ერთ სიმღერას – Every Breath You Take – მისთვის დღეში 1.600 დოლარი მოაქვს. ■

რუბრიკა მოამგეადა ნანა ცომაიამ

Roxette–ის ვოკალისტი სასამართლოში ჩიჟილს აპირებს

შვედური დუეტის Roxette-ის ვოკალისტი, მარი ფრედრიკსონი გაზეთ – Expressen-ის რედაქციას სასამართლოთი ემუქრება. ამას წინათ, ყოველდღიური გამოცემის ფურცლებზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, სადაც იუწყებოდნენ, რომ ექიმებმა მომღერალს კიდევ ერთი სიმსივნე აღმოუჩინეს. შარშან სექტემბერში ფრედრიკსონს გაუკეთდა ოპერაცია, ექიმებმა მას თავიდან სიმსივნე ამოჭკვეთეს. ჟურნალისტი ირწმუნებოდა, რომ ოპერაციამ უშედეგოდ ჩაიარა და სიმსივნე კვლავ პროგრესირებს. პუბლიკაციით აღშფოთებული მომღერლის ადვოკატმა რედაქციას ოფიციალური განცხადებით მიმართა, სადაც პროტესტს გამოთქვამდა მისი კლიენტის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. „გაზეთმა ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კანონი დაარღვია“, – განაცხადა მან. მისი თქმით, გაზეთმა შესაძლოა, სასამართლო პროცესი თავიდან აიცილოს, თუკი იგი ოფიციალურად ბოდიშს მოუხდის მარი ფრედრიკსონს და ამ წერილს პირველ გვერდზე გამოაქვეყნებს. ამასთან ადვოკატი რედაქციას მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 59 ათას დოლარს სთხოვს, რომლის გადარიცხვასაც ფრედრიკსონი შვედეთის ონკოლოგიურ დაავადებათა კვლევის ცენტრში აპირებს.

თავის მხრივ, გაზეთის რედაქტორმა განაცხადა, რომ ამ პუბლიკაციით მათ მარი ფრედრიკსონისათვის შეურაცხყოფის მიყენება გუნებაშიც არ გაუვლიათ. „თუკი იგი მიიჩნევს, რომ ზედმეტი დავწერეთ და მეტისმეტად მივუახლოვდით სიმართლეს, ჩვენ გულწრფელად ვწუხვართ ამის გამო“, – განაცხადა ოტო შებერგმა. ■

Ferrari Challenge Stradale

Ferrari: ჯიდევ ერთი სიახლე

უმაღლესი კლასის სპორტული ავტომობილებით განთქმული, იტალიური ფირმა „ფერარი“ მარტის პირველ ნახევარში დაგეგმილ, ჟენევის ავტოსალონზე წარმოადგენს მოდელს Challenge Stradale, რომელიც 8-ცილინდრიანი, V ტიპის ბენზინის ძრავათი იქნება აღჭურვილი. კომპანიის კონსტრუქტორებს ჯერ არ გამოუმზურებიათ ამ აგრეგატის ჩქაროსნული და დინამიკური მახასიათებლები, თუმცა ირწმუნებიან, რომ ისინი გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე მოდელს – 360 Modena-ს ამავე ტიპის ძრავას აქვს. ამ უკანასკნელის მაჩვენებლები კი ასეთია: სამუშაო მოცულობა – 3586 კუბური სანტიმეტრი, 5 სარქველი თითოეულ ცილინდრზე, 400 ცხ.ძ. სიმძლავრე, მაქსიმალური სიჩქარე – 295 კმ/სთ, 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების დრო – 4,5 წმ.

Challenge Stradale-ს, 360-ე სერიასთან შედარებით ნაკლები წონით გამოირჩევა, აგრეთვე გაუმჯობესებული საკიდარი, გაზრდილი საიმედოობის მქონე მუხრუჭების სისტემა და ძარის აეროდინამიკა ექნება. ახალ მოდელზე გადაცემათა გადართვა, საჭეზე მოთავსებული, მომცრო ზომის ბერკეტებით იქნება შესაძლებელი.

Challenge Stradale-ს პირველი ეგზემპლარების გაყიდვა ივნისისთვისაა დაგეგმილი. საბოლოო ფასი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ მარკეტინგის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ის დაახლოებით 170.000 ევროს მიაღწევს. არადა, თვით კონცერნ „ფიატში“, რომელშიც სტრუქტურულად შედის „ფერარი“, სიტუაცია საკმაოდ გაურკვეველია: საპატიო პრეზიდენტის, ჯოვანი ანიელის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანაში კვლავ აქტიურად ალაპარაკდნენ იტალიური საავტომობილო ფლაგმანის მომავლის თაობაზე, რომელიც ბოლო დროს დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. განხილვის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს „ფიატის“ კომპლექსიდან საავტომობილო წარმოების გამოყვანის საკითხი. სადღეისოდ კონცერნი, სამრეწველო საწარმოების, ენერგეტიკული ობიექტების და აგრეთვე ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების რთულ კონგლომერატს წარმოადგენს. ყველანაირი ბიზნესი, რომელიც ავტომანქანების წარმოებასთან არ არის დაკავშირებული, მომგებიანია. გამონაკლისს „ფერარი“ წარმოადგენს. მაგრამ პატარა ქალაქ მოდენაში მდებარე, მომცრო ფირმის მესვეურებს აღშფოთების საფუძველი მაინც არა აქვთ: მისი წარმოების მანქანები მყარი მოთხოვნილებით სარგებლობს სხვადასხვა ქვეყანაში, ზოგიერთ მოდელზე კი, რიგებში მრავალი თვით ადრეც ეწერებიან. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საავტომობილო „ფიატს“ კორპორაცია „ჯენერალ მოტორსი“ შეიძენს (დარგის ექსპერტები ბოლო დროს, ხშირად ლაპარაკობენ ამ ვარიანტზე), „ფერარის“ მარკა მხოლოდ შენაძენი იქნება ამერიკული ავტოგიგანტისთვის. ■

Ferrari 575 M Maranello

Ferrari Enzo

ხომელი მოდელები გაიაფდება

Jaguar XJ Executive

BMW 520i

Lancia Y Cosmopolitan

წლეულს, ბევრი ცნობილი საავტომობილო მოდელი მოიხსნება წარმოებიდან. ახალი ავტომობილები, რომელიც მათ შეცვლის, არა მარტო ტექნიკურად უფრო სრულყოფილი, არამედ უფრო ძვირიც იქნება. ევროპელი დილერებისთვის, მალე ცხელი პერიოდი დაიწყება: მათ თავიანთი სალონების სადემონსტრაციო დარბაზების გათავისუფლება მოუწევთ, რათა ახალი მანქანებისთვის გაამზადონ ადგილი.

როგორც ცნობილია, წარმოებიდან მოხსნილი პროდუქცია დასავლეთში ჩვეულებრივ, საკმაოდ შეღავათიანად იყიდება. მომხმარებელი ხშირად, საჩუქრად იღებს, მაგალითად, კონდიციონერს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, 500-800 ევრო ღირდა; ზოგიერთ ეგზემპლარზე კი, მყიდველთა მიზიდვის მიზნით, დაშტამპულის ნაცვლად, ახალ საბორბლე დისკებსაც აყენებენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქმე ეხება სრულიად ახალ ავტომობილებს, რომელსაც მწარმოებლის გარანტიაც ახლავს.

უახლოეს მომავალში, უფრო კონკრეტულად – წლევანდელ შემოდგომაზე, ერთერთი ასეთი მოდელი, BMW-ს მე-500 სერია იქნება: მისი „მემკვიდრე“ ხომ სექტემბერში, ფრანკფურტის ავტოსალონზე წარდგება მნახველთა წინაშე. ამიტომაც, გერმანელი ექსპერტების ვარაუდით, „500“-ზე დაწესებულმა შეღავათმა 10%-იც კი შეიძლება შეადგინოს. გერმანიის უმსხვილესი ჟურნალი უტო იღდ თავის მკითხველებს ურჩევს, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ BMW 520i-ს, რომელიც ამჟამად, ქვეყანაში 32.600 ევრო ღირს.

2003 წელს შეწყდება აგრეთვე პრესტიჟული Jaguar XJ-ის წარმოება. ამ მანქანას 1968 წლიდან უშვებდნენ, თანაც არაერთხელ განუახლებიათ კიდეც. ახლანდელი ვერსია – 8-ცილინდრიანი, 4-ლიტრიანი, V ტიპის ძრავათი აღჭურვილი XJ 1997 წელს გამოვიდა დღის სინათლე. ძვირად ღირებული სალონისა და უმაღლესი ტექნიკური საიმედოობის მიუხედავად, სპეციალისტების აზრით, შეღავათმა ამ მანქანაზე 18%-მდეც კი შეიძლება მიაღწიოს. მოდელი Jaguar XJ Executive 4.0 ახლა, 63.810 ევრო ღირს.

წარმოებიდან მოსახსნელ მოდელებს შორისაა აგრეთვე მოხდენილი საქალაქო მანქანა – Lancia Y, რომელიც მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობს. სექტემბერში მის ადგილს გაცილებით ხალვათი, კომფორტული და უსაფრთხო ავტომანქანა დაიკავებს. ამის შედეგად, Lancia Y 20 %-ით შეიძლება გაიაფდეს. სპეციალისტები მომხმარებლებს ურჩევენ, ყურადღება მიაპყრონ კომპლექტაციას ჩოსმოპოლიტან, რომელიც 1,2 ლ-იანი, 60 ცხ.ძ-იანი ძრავათია აღჭურვილი და კონდიციონერი და ტყავის სალონი ახლავს. Cosmopolitan-ის ახლანდელი ფასი 13.500 ევროს შეადგენს. ■

ამერიკაში ახალ მოგზაურობათა მოლოდინში...

ბუნებრივია, ახალს არაფერს ვამბობ — ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ცხოვრებაში რაიმე მოვლენის დასრულების შემდეგ, აუცილებლად იწყება ახალი. როგორ იწყება — კარგად თუ ცუდად, ამას ვერავინ განსაზღვრავს, აუცილებლად იწყება და მორჩა!..

დამთავრდა ამერიკაში ჩემი ცხოვრების ერთი მონაკვეთიც — ამ ქვეყანასთან პირველი შეხვედრის, პირველი შეხებისა და განცდათა ნაზავი... თითქოს აბობოქრებულ ზღვის ტალღებში თავის გადარჩენას ვცდილობდი და ნაპირზე კიდევ საკუთარი ადგილის პოვნას. არ ვიცი, როგორ შევძელი ჩემი შესაძლებლობების დემონსტრირება, მაგრამ ბედით ასე თუ ისე კმაყოფილი ვიყავი. თანაც მომდევნო ეტაპი, ჩემი ამერიკული მოგზაურობისა მართლაც მოგზაურობა იყო... თუ პირველ თვეებში ხშირად ვიცვლიდი და ათასგვარ სამუშაოს ვასრულებდი, ეს პრობლემა ახლა წარსულს ჩაჰბარდა.

ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — პროფესიონალი მძღოლის ამერიკული მოწმობა მედო ჯიბეში. ამ მოწმობამ ავეჯის გადაზიდვის კომპანიაში მიმიყვანა... ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიწევდა ავეჯის გადატანა და რაც მთავარია, დავდიოდი სატვირთო ავტომობილით შტატიდან შტატში, რისთვისაც მშვენიერ ჯამაგირს მიხდიდნენ და, რაც მთავარია, საშუალება მეძლეოდა კიდევ უფრო ახლოს გავცნობოდი ამ მართლაც გასაოცარ და ანდამატურ ამერიკას, თანაც არა როგორც ტურისტი, არამედ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, მომდევნო ნომრიდან ერთად მოვივლით ამერიკის შეერთებული შტატების არაერთ ქალაქსა თუ დასახლებას... ბოლოს და ბოლოს, ჩემი დიდი ხნის ოცნებასაც ეწერა ასრულება — ამერიკაში მარტო მძღოლის კი არა, მოგზაურის სტატუსიც შევიძინე.

მანამდე კი...

ნიას ისევ არ ესმის ქართველების...

დეიდა სვეტას დაკრძალვის შემდეგ, მე და დიმამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი რიტმით განვაგრძეთ ცხოვრება.

სატვირთო მანქანის მართვის მოწმობა კი მქონდა ხელთ, მაგრამ სასურველ სამუშაოს ვეძებდი, მინდოდა, ახლა მაინც მეგრძნო თავი სრულფასოვან მოქალაქედ. ამიტომ, სანამ სამსახურს მოვძებნიდი, თავისუფალ დროს დიმა ბაზელთან ერთად შრომის ბირჟაზეც მივდიოდი. ხშირად ერთად ვბრუნდებოდით შინ, უფრო ხშირად კი — ცალ-ცალკე. ჩვენი კეთილი მოხუცი დიასახლისის გარდაცვალებამ, რა თქმა უნდა, გული დაგვწყვიტა, მაგრამ თუ ასე იმოქმედებდა, ნამდვილად არ მოველოდით. ეს რუსი ქალბატონი, თითქოს რაღაც უხილავი ძაფებით სამშობლოსთან გვაკავშირებდა. დროდადრო მოძალებული ნოსტალგია სწორედ დეიდა სვეტას წყალობით ხდებოდა ადვილი გადასატანი... ახლა კი, ჩვენგან გაუცნობიერებლად ნოსტალგიას ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული ტკივილიც დაემატა.



დიმაც შეიცვალა. საღამოობით მიუჯდებოდა ტელევიზორს, უყურებდა და არც უყურებდა... არც ჩემთან ლაპარაკის (მით უმეტეს, კამათის) ხალისი ჰქონდა. ერთ-ორ სიტყვას გადავუგდებდით ერთმანეთს მოვალეობის მოხდის მიზნით და ეგ იყო და ეგ.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, ისიც „აღმოვაჩინე", რომ შინ თითქმის არაფერს ვჭამდით. მაცივარში ხელუხლებლად ეწყო პროდუქტი.

— დიმა, შენ რა, არაფერი გიჭამია? — ვკითხე ერთხელაც მეგობარს, როცა მაცივრის კარი გამოვაღე (ჭამას არც მე ვაპირებდი, წვენი ავიღე მხოლოდ).

— რაღაც არ მშია, კაკო! — უხალისოდ მიპასუხა.

— კი მაგრამ, სამუშაოზე ვინ გაგიმასპინძლდა?

— პიცერიაში ვიყავი... — მითხრა და თან განზე გაიხედა, თვალი ამარიდა.

— გუშინაც იქ იყავი?

— ე-ე! მე რომ აქ დაკითხვას მიწყობ, შენ თვითონ რატომ არაფერს მიირთმევ? — „შეტევაზე" გადმოვიდა დიმა.

— ვინ მოგახსენა, რომ არაფერს მივირთმევ? — გავიოცე.

— სამი დღეა სამზარეულოში არც კი შესულხარ...

დიმა მართალი იყო. თითქოს რაღაც უხილავი ძალა მაკავებდა და სამზარეულოში არ მიშვებდა. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ იქ არაფერი მესაქმებოდა, უბრალოდ, უფლება არ მქონდა დეიდა სვეტას სამფლობელოში რაიმე ამერია...

— ისე, კაკო, მეც შენსავით ვარ. რატომღაც მგონია, რომ უფლება არა მაქვს, რაიმეს ხელი შევახო... — თითქოს, ჩემი ფიქრები გააგრძელა დიმამ.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მე და დიმამ ძალიან ახლობელ ადამიანად აღვიქვით დეიდა სვეტა და მისი ამ ქვეყნიდან წასვლა ჩვენთვის არცთუ ისე იოლი გადასატანი აღმოჩნდა. არადა, მანამდე რომ ვინმეს ეთქვა, ერთი მოხუცი კეთილი დიასახლისი მყავდა და მისმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მომაყენაო, ალბათ გამეცინებოდა... არაფრით დავიჯერებდი...

ასე გადიოდა დღეები. მე და დიმა კი ისევ გაურკვეველ ვითარებაში ვიყავით. ისევ დეიდა სვეტას ბინაში ვცხოვრობდით და არ ვიცოდით, რა გველოდა — აქ დავრჩენილიყავით თუ ახალი თავშესაფარი მოგვეძებნა. უბრალოდ, ვისხედით და მოვლენების შემდგომ განვითარებას ველოდით.

მეექვსე თუ მეშვიდე დღეს ნატაშამ და მისმა ამერიკელმა მეუღლემ, ნიკმა მოგვაკითხეს. ნიკი ისე გადაგვეხვია, ლამის დავიჯერე, რომ ამ აყლაყუდა, ქერა ამერიკელს ჩვენზე უსაყვარლესი დედამი-



წის ზურგზე არავინ ეგულებოდა. თვალები ეშმაკურად უციმციმებდა და აშკარა იყო, რაღაც სასიამოვნოს თქმას აპირებდა; უფრო მეტიც: ცხადი იყო ამერიკელს ჩვენთვის სიურპრიზი ჰქონდა მომზადებული...

ნიკმა შინაურებივით მოგვიკითხა, მერე სავარძელში დიდკაცურად მოკალათდა და ნატაშას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. თავის მხრივ, ნატაშამ მე ჩამიკრა თვალი და სასადილო ოთახში გვარიანად მძიმე ყუთი შემომატანინა.

რამდენიმე წუთში სახელდახელო, მაგრამ ნამდვილი სადღესასწაულო სუფრა გაიშალა, რომლის ფინალური აკორდი საგანგებოდ შეფუთული ბოთლების გახსნა გახლდათ. მაგიდაზე ქართულ-ინგლისური წარწერებით დამშვენებული „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“ გაჩნდა — ორ-ორი ბოთლი! ნამდვილად არ იყო ადვილი ემოციების დაფარვა. ჩვენმა აღფრთოვანებამ ნიკი ლამის გააგიჟა. აშკარად ეტყობოდა, რომ გულით უნდოდა ჩვენთვის სიამოვნების მონიჭება.

მოკლედ, სუფრა ეშხში შევიდა. თამადად ნიკი ავირჩიეთ. ლამის უაქცენტოდ გამოთქვამდა სიტყვა „თამადას“ და მჭევრმეტყველების გუნებაზეც დამდგარიყო... ნატაშაც აღფრთოვანებული იყო ჩვენი დაძმაკაცებით. თანაც ისიც სიამოვნებით წრუპავდა „ხვანჭკარას“.

კარგა შექეიფიანებულები რომ ვიყავით, ნატაშამ მე და დიმას გამოგვიცხადა:

— ბიჭებო, მინდა დედაჩემის ბინის შესახებ მოგელაპარაკოთ. ნიკი ისეა თქვენით აღფრთოვანებული, რომ უნდა ყველაფერი თქვენ დაგიტოვოთ...

ვერ მივხვდით, ნატაშას ამით რისი თქმა უნდოდა.

— დედაჩემის ზოგიერთ ნივთს წავიღებ. იმას, რაც ჩემთვის ძვირფასია... ავეჯს და დანარჩენ ნივთებს აქ დავტოვებთ. ბინას არ ჩავაბარებთ. ნიკი სახლის მეპატრონესთან ქირავნობის ხელშეკრულებას თქვენ სახელზე გადააფორმებს... — ამ განცხადებამ მე და დიმა ერთბაშად გაგვაოცა და გაგვახარა კიდეც. ორივეს შეგვეტყო აღფრთოვანება. ასეთ კარგ და ამავე დროს ხელსაყრელ წინადადებას ძნელად თუ შემოგვთავაზებდა ვინმე, თანაც ამერიკაში! სამთოახიანი, გაკრიალებული, ავეჯით მოწყობილი ბინა ჩვენ განკარგულებაში გადმოდიოდა და თანაც საკმაოდ იაფად... თითქოს უნდა გაგვხარებოდა და დაუფიქრებლად დავთანხმებულიყავით, მაგრამ... მე და დიმამ ერთმანეთს გადავხედეთ. მივხვდით, რომ პასუხი ორივეს მზად გვქონდა...

სუფრასთან სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხმის ამოღებას პირველი ვერც მე ვბედავდი და ვერც დიმა. ნიკი ხან მე გადმომხედავდა, ხან — დიმას. დარწმუნებული იყო, რომ მათ მიერ შემოთავაზებული წინადადება ჩვენთვის ძალზე ხელსაყრელი იყო და ვერ გაერკვია, რა გვემართებოდა. მისი ღიმილიანი, საზეიმო გამომეტყველება გაოცებასაც გამოხატავდა. ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა...

— იცით, ძალიან მადლიერები ვართ, მაგრამ თქვენს წინადადებას ვერ მივიღებთ... — როგორც იქნა, ამოვღერღე და დანაშაულზე წასწრებული ონავარივით, თავი ჩავღუნე. — რამე მოხდა? უკეთესი შემოთავაზება გაქვთ? იქნებ რაიმე გაწყენინეთ? — ამდენ კითხვას მართლაც არ ველოდით ნიკისგან.

— არა, არა! რას ამბობთ, ასეთი რამ გულშიც არ გაივლოთ... — ლამის ერთდროულად ვუპასუხეთ მე და დიმამ, თითქოს ერთმანეთს თავის მართლებაში ვეჯიბრებოდით...

— ცუდ ვარიანტს არ გთავაზობთ. ნიუ-იორკში, ავეჯიანი ბინის დაქირავება, თანაც ძალიან იაფად, სახუმარო საქმე როდია... — დაიწყო ნიკმა სიტუაციის ახსნა.

— ვიცით, და ძალიან მადლიერებიც ვართ ამ კეთილი შემოთავაზებისთვის, მაგრამ არ შეგვიძლია... ჩვენ ძალიან შევეჩვიეთ დეიდა სვეტას, ახლობელი ადამიანივით გვიყვარდა... აქ კიდევ, ამ ბინაში, თითოეული ნივთი მას გვაგონებს... — დიმა შეეცადა, ჩვენი უარის გასამართლებლად მტკიცე არგუმენტი „მოეძებნა“ (თუმცა, ეს ხომ მართლაც ასე იყო!).

დიმას სიტყვებზე ნატაშას ცრემლი წასკდა. სუფრიდან წამოვარდა და გვერდით ოთახში გავიდა. ნიკიც მეუღლეს გაჰყვა.

— კაკო, უხეშად ხომ არ გამოგვივიდა? ნამდვილად არ მინდა, ამ კეთილ ხალხს ვაწყენინოთ... — საწყალობლად შემომხედა დიმამ.

— რას ვიზამთ, დიმა, შენ ხომ ნიკს სიმართლე უთხარი. ხომ არაფერი დაგიმალავს. რა ვქნათ, მართლაც გაგვიჭირდება ამ ბინაში ცხოვრება... — ვუპასუხე და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ასე ვისხედით 10-15 წუთი და ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია — ორივე საკუთარ ფიქრებში ვიყავით ჩაძირულნი.

ამასობაში, ნატაშა და ნიკიც შემოვიდნენ. ნატაშას მშვენიერ ცისფერ თვალებს ისევ ეტყობოდა ცრემლის კვალი, თუმცა მომხიბვლელი ღიმილით ცდილობდა წუხილის დაფარვას. არც ნიკი გახლდათ უკეთეს დღეში.

— იცით, ბიჭებო, ბოლომდე მაინც ვერ გაგიგეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგები ხართ, თანაც გულწრფელები და ერთგულები. ეტყობა, უფრო ახლოს უნდა გაგიცნოთ, რომ თქვენს ხასიათს ჩავწვდე... ნატაშამ ძალიან ბევრი რამ მიამბო ქართველებისა და საქართველოს შესახებ. იმდენად ბევრი, რომ ვიეჭვიანე კიდეც, ვინმე ქართველზე ხომ არ იყო შეყვარებული-მეთქი (აქ ნიკმა გულწრფელად გაიღიმა)... — ლაპარაკობდა ნიკი და ვგრძნობდით, რომ აქ, ამ გადასაკარგ ამერიკაშიც შესაძლებელი ყოფილა ადამიანურ ტკივილებს ერთმანეთისთვის სრულიად უცხონიც კი ნამდვილ მეგო-

ბრებად ექცია...

— გმადლობთ, ნიკ... მაგრამ ჩვენ სხვაგვარად არ შეგვიძლია... — ეს დიმა იყო.

— და მაინც, მე მინდა სულ მცირე რამით მაინც დაგეხმაროთ. მინდა, რომ ხელი შეგიწყოთ, თუნდაც სამსახურის მოძებნაში! — არა და არ ცხრებოდა ამერიკელი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ იგი მანამდე არ მოისვენებდა, სანამ რაიმე, თუნდაც მცირედ დახმარებას მაინც არ გაგვიწევდა.

— აი, შენ, აკაკი, ახლა რას აპირებ, სად გინდა, რომ იმუშაო? — გადმომხედა აღელვებულმა ნიკმა.

— ამჯერად მართლაც არაფერი მიშავს. პროფესიონალი მძღოლის მართვის მოწმობა უკვე ავიღე ამერიკაში. ამ დღეებში რომელიმე ტრაილერზე ვაპირებ მუშაობის დაწყებას, რამდენიმე საინტერესო ვარიანტი მაქვს და დაიწყება ჩემთვის ძალზედ საოცნებო მოგზაურობა ამერიკის შტატებში. რომ იცოდეთ, რა ძალიან მიყვარს მოგზაურობა... — ერთბაშად ნიკისთვის გულის გადაშლის ხასიათზე მოვედი.

— მოგზაურობა გიყვარს და ტრაილერით აპირებ ამერიკის შტატების მოვლას? ასეთი რამ პირველად მესმის, მაგრამ ვხვდები, რომ ქართველები არაორდინარული ხალხი ხართ. ტრაილერზე იმუშავებ და თან ახალ ქალაქებს დაათვალიერებ, ახალ ადამიანებს გაიცნობ... ამას ხომ მოფიქრება უნდა, აი, ეს მესმის! — აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ნიკი.

— ჰო, გამოცდა კარგად ჩავაბარე ამერიკელებს, არა მგონია, სამუშაოს დაწყებისას პრობლემები შემექმნას...

— მეც ასე ვფიქრობ. ვფიქრობ კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ შენგან ჩინებული მძღოლი დადგება. მე უბრალოდ, თანაგრძნობ. რადგანაც ვიცი, რომ მძიმე სატვირთო ავტომანქანების მძღოლები თვეობით არიან სახლს მოშორებულნი... დავიჯერო, სახლი, ახლობლები არ მოგენატრება? — ფილოსოფოსობის ხასიათზე დადგა ნიკი, თუმცა კი, ძალზე გულახდილიც იყო.

— როგორ გითხრა, ნიკ! ამერიკაში ბევრი არავინ მყავს. ამჯერად ერთი დიმაა ჩემ გვერდით და არა მგონია, ერთი ან ორი თვე ვერ გაძლოს უჩემოდ. ხოლო ვინც მე მიყვარს და მართლა მელოდება, ჩემგან შორს არის... უფრო სწორად, შორს არიან... ნიუ-იორკში ვიქნები თუ ვაშინგტონში, ისინი ჩემგან მაინც შორს იქნებიან, მათ უამისოდაც ვენატრები... ასე რომ, ჩემი ხანგრძლივი სამოგზაურო ტურნეებით არაფერი შეიცვლება... — ნაძალადევად გავუღიმე სუფრის წევრებს.

— აუ, სულ დამავიწყდა, რომ შენი და დიმას ახლობლები აქ არ არიან... ისე, ყოველთვის მიკვირდა ემიგრანტების. როგორ ახერხებთ ცოლ-შვილის, ახლობლების დატოვებას, აქ ჩამოსვლას და მათ გარეშე თვეების და წლების განმავლობაში ყოფნას?!. — მსგავსი შეკითხვა ჩემთვისაც ხშირად დაუსვამთ. მეც ხშირად გავღიზიანებულვარ და უხეშადაც მიპასუხია, მაგრამ ახლა ნიკი ისეთი გულახდილი იყო და ისეთი გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით მისვამდა შეკითხვას, რომ უხეშად ნამდვილად ვერ ვუპასუხებდი.

— ეჰ, ჩემო ნიკ, როცა შენს ქვეყანაში სამუშაო არა გაქვს და ცოლ-შვილისთვის კვირაში ერთხელაც ვერ ყიდულობ ტკბილეულს, აღარაფერს ვამბობ ხორცზე, ამერიკაში კი არა, კოსმოსშიც რომ შემოგთავაზონ, იქაც წახვალ, მარტოობასაც შეეგუები და... — აქ კი აღარ მეყო ჩემი ენთუზიაზმი და გავჩერდი.

— არა, მე ნამდვილად ვერ შევძლებდი ამას. ჩემი ნატაშა რომ ორი დღე მაინც ვერ ვნახო, ალბათ მოვკვდები (თქვა და ნატაშა ისე ჩაიხუტა, თითქოს სადაცაა, უნდა დაშორდესო)... ისე, ვერ გამიგია, რას აკეთებს თქვენი მთავრობა, რატომ არ ზრუნავს თქვენზე. როგორ შეიძლება, კაცს ერთი კი არა, რამდენიმე სპეციალობა ჰქონდეს, მუშაობა უყვარდეს და სამუშაო ვერ იშოვოს!.. — არ ცხრებოდა ნიკი.

მე კი ვიცოდი, ჩვენი მთავრობა ვისზე და რაზე (და რისთვის) ზრუნავს, მაგრამ ნიკს ამას ვერაფრით ავუხსნიდი. დიმას გადავხედე, ვანიშნე, რას გაჩუმებულხარ, შენ მაინც მიშველე რამე-მეთქი.

— ახლა ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე ყველაფერი შეიცვლება. სხვათა შორის, თქვენი პრეზიდენტიც აპირებს დაგვეხმაროს. ასე რომ, შენ დარდი ნუ გექნება, ჩვენი მთავრობა მალე იზრუნებს ჩვენზე. — გადაჭრა დიმამ პრობლემა, თუმცა კიდევ კარგი, ნიკს არ შეუმჩნევია ჩემი მეგობრის „ნასწავლი“ მანერები. დიმას საკუთარი სიტყვებისა ნამდვილად არ სჯეროდა (არც მე, რა თქმა უნდა!).

— და თქვენც ალბათ დაბრუნდებით, ხომ საქართველოში?

— აუცილებლად, აუცილებლად დავბრუნდებით! — გაზეპირებულივით წამოვიძახეთ ერთდროულად.

— ძალიან კარგი! ასეც უნდა იყოს, მაგრამ მე, მე რაში დაგეხმაროთ. დიმა, შენ რაღას აპირებ, სად გინდა მუშაობა? — ახლა დიმას მიუბრუნდა ნიკი.

— რა ვქნა, ხელში რაც ჩამივარდება, იმას ვაკეთებ. პროფესიით კი დიზაინერი ვარ, მხატვრობაც შემიძლია... — თავისი ცოდნა გამოამზეურა დიმამ.

— მე მანჰეტენზე მყავს მეგობარი, რომელსაც მსხვილ არქიტექტურულ კომპანიაში დიდი თანამდებობა აქვს. ხვალვე დავურეკავ და შენ შესახებ ვთხოვ. ვნახოთ, იქნებ ბედმა გაგიღიმოს და თავისთან აგიყვანოს სამუშაოზე... — კეთილად გაიღიმა ნიკმა, კმაყოფილმა იმით, რომ რაღაცით მაინც შეძლებდა ჩვენთვის დახმარების გაწევას.

...ნიკმა გამოყვანილ ფუჟერებში ბლანტი ქინძმარაული ჩამოასხა. არასოდეს დამილევია ასეთი სიამოვნებით ქართული ღვინო, ჩემი, ჩემი სამშობლოს ღვინო... და იყო ბევრი დაპირება, ოპტიმისტური განწყობა. ყველაფერი იოლად დასაძლევი და გადასალახი გვეჩვენებოდა... გვიხაროდა. ჩვენი სიხარული გაამერიკელებულ მშვენიერ რუსის ქალსაც გადასდებოდა და მის ამერიკელ ქმარსაც...

წასვლისას ნიკი გულითადად დაგვემშვიდობა და დაგვაიმედა:

— ბიჭებო, რა თქმა უნდა, თქვენი ცხოვრება თქვენივე სურვილის მიხედვით უნდა ააწყოთ. მართალია, ჩვენ ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან, მაგრამ მერწმუნეთ, მეც თქვენსავით კეთილი გული მაქვს. ამიტომ მჯერა, რომ სიკეთე არასოდეს იკარგება. იცოდეთ, რომ აქ, ამერიკაში ცხოვრობს ადამიანი, რომლის იმედიც ყოველთვის შეიძლება გქონდეთ. და ეს ადამიანი მე ვარ, მე და ჩემი ნატაშა (ნატაშა გაოცებული მიჰკვროდა ქმარს მკერდზე, თითქოს მასში რაღაც ახალი და განუმეორებელი თვისება აღმოეჩინა)... ნებისმიერ დროს შეგვაწუხეთ, როგორც შეგვეძლება, ისე ამოგიდგებით მხარში... — თქვა ეს და ნატაშასთან ერთად ბრუკლინის ქუჩებს გაუყვა.

... ორიოდე დღეში მე და დიმამ ჩვენი ბარგი-ბარხანა ავიკიდეთ და იქვე, სამიოდე კვარტალის იქით მცხოვრებ ქართველებთან გადავსახლდით. მართალია, ისეთი გაკრიალებული და კომფორტული ბინა არ იყო, როგორიც დეიდა სვეტასი, მაგრამ აქ თავს უფრო მშვიდად ვგრძნობდით.

ნიკმაც არ დაივიწყა დანაპირები, თავის არქიტექტორ მეგობარს დაუკავშირდა მანჰეტენზე და ახლა დიმას იბარებდნენ მის კომპანიაში. მეც გამიმართლა, ავეჯის გადამზიდავი ერთ-ერთი კომპანია ავირჩიე და...

ახლა ჩემი და დიმას ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყებოდა, ეტაპი საინტერესო შეხვედრების, მოგზაურობების და შთამბეჭდავი მოვლენებისა, რომლითაც აღსავსეა ყოველი მოგზაურობა. ■

მარიკა თხელიძე და ჯგუფი „დე ფაზი", ვანიკო თარხნიშვილის „თანხლებით"



მარიკა თხელიძის შემოქმედებაში ახალი ეტაპი იწყება. ამის შესახებ შევიტყვეთ „აჭარა მიუზიკ-ჰოლის" იტალიურ რესტორანში მოწყობილ პრესკონფერენციაზე, ნორჩი მომღერლის უახლოესი წრის წარმომადგენლებისაგან: მარიკას იმიჯმეიკერის ბაკურ ბაკურაძის, რეჟისორ ბასა ფოცხიშვილის, მუსიკალური ხელმძღვანელის, რუსუდან ბახტაძის, სიმღერების არანჟირების ავტორის, ნიკა მემანიშვილის, მუსიკისმცოდნე მაია დათუნაშვილისა და მარიკას ახალი პროდიუსერის — ვანიკო თარხნიშვილისაგან. როგორც თავად „ტუსოვკების მამამ" — ვანიკო თარხნიშვილმა გვითხრა, მარიკას „სუპერ უ-ქულესი ნიუსი" (უ-ქულესი ე.ი. უმაგრესი) ის არის, რომ ამიერიდან, ვანიკო, მარიკას ნებისმიერ უცხოურ პროექტს გაუწევს პროდიუსერობას.

ერთი თვის შემდეგ, თხელიძე ვირჯინიის შტატში მიეგზავრება, სადაც „ამერიკული ინგლისურის" შესწავლის სამთვიან კურსებს გაივლის. მოგვიანებით, უფრო კონკრეტულად — შემოდგომისთვის, მომღერალი დაიწყებს რეპეტიციებს ნიუ-იორკში, სადაც ბროდვეის მიუზიკლში — „მეფე ლომი" სიმბას როლზეა დამტკიცებული. გარდა ამისა, მარიკა წერს დუეტს სოსო თოლორაიასთან. მუსიკა კოტე ნიშნიანიძეს ეკუთვნის, ტექსტი — კოტე ყუბანეიშვილს. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა კოტე სიმღერისთვის ტექსტს დაწერს. კლიპის რეჟისორად ბასა ფოცხიშვილი მოგვევლინა. ამჟამად, ამერიკელი პროდიუსერების დაკვეთითაც იწერება სიმღერა. მუსიკის ავტორი ლილიკო ნემსაძეა, ტექსტის კი — ბიბი კვაჭაძე. ამ სიმღერაზე კლიპის გადაღების ხარჯებს ამერიკული მხარე გაიღებს.

და კიდევ ერთი, სადღეისოდ მთავარი სიახლე: 5 მარტს, გაიმართება ჯგუფ „დე ფაზის" კონცერტი. პროექტს წარმოადგენენ: „აჭარა მიუზიკ-ჰოლი" და ვანიკო თარხნიშვილი. თავდაპირველად, ეს პროექტი იგეგმებოდა, როგორც მარიკა თხელიძის Private party და მარიკასგან მალულად მზადდებოდა. „ფართის" მთავარ მონაწილედ უკვე ჯგუფი Monte fiori იყო დამტკიცებული, როდესაც ვანიკო თარხნიშვილმა „დე ფაზისგან" მიიღო წინადადება. ჯგუფი მას სთავაზობდა თავისი ახალი ალბომის პროდიუსერობას. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ კონცერტზე „დე ფაზი" ახალ სიმღერებთან ერთად, ქართველი მსმენელისთვის უფრო ნაცნობ და მისაღებ, ძველ ჰიტებსაც შეასრულებს. ორგანიზატორის თქმით, კონცერტი ვიდეოეფექტებზე იქნება აგებული. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ვანიკომ კომენტარისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ის მოგვახსენა, რომ პროექტი „ბინუსში წავა"... ■

სილამაზის სალონების ახალი გილდია და გვული — როგორც ესტეტიკის მთავარი აქსესუარი...

„თეატრალური სარდაფის" კლუბში „გაერთიანებული მეწარმეების" მიერ დაფუძნებული, „სილამაზისა და ესთეტიკის გილდიის" პრეზენტაცია შედგა. გილდიის მთავარი მიზანია, საქართველოში საპარიკმახერო და ესთეტიკური ხელოვნების დონის ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი გათანაბრება, ასევე სილამაზისა და ესთეტიკის სფეროში არსებული ლიცენზიებისა და საგადასახადო სისტემისა და ესთეტიკის სფეროში არსებული პრობლემების დარეგულირება. გილდიაში გაწევრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ამ მომენტისთვის, გილდიაში უკვე 35-40 სალონია გაერთიანებული.

გილდია მიზნად ისახავს აგრეთვე კონკურსებისა და შოუპროგრამების ორგანიზებას და შემდგომში, კონკურსებში გამარჯვებულების საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გაგზავნას. საამისოდ გილდია დაუკავშირდა საფრანგეთში არსებულ, „მსოფლიო პარიკმახერთა ორგანიზაციას", რომელმაც თანამშრომლობის მზადყოფნა გამოხატა და მხარდაჭერას ჰპირდება მას.

პრეზენტაციაზე ახალგაზრდა დიზაინერებმა თავიანთი კოსტიუმები წარმოადგინეს. განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია წითელ კაბაში გამოწყობილმა მანეკენმა, რომლის კოსტიუმის მთავარი აქსესუარი, მხრებზე შემოხვეული ცოცხალი გველი იყო. რას განიცდიდა ამ დროს თავად მანეკენი, ვერ გეტყვით, მაგრამ პუბლიკის რეაქცია ერთგვაროვანი იყო... პრეზენტაცია ახალგაზრდა მომღერლებმა: თაკო ნიბლაძემ, ქეთი გომართელმა და „ზუზუმ" დაასრულეს. ■

ნდობის ტელეფონი
ჯონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
822 009 005

„ქაფი", „ჯეოსელი",
„შეგაკომი" — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

მოამგადა ლიკა ლუბენეცმა

მარიკა თხელიძე და ჯგუფი „დე ფაზი", ვანიკო თარხნიშვილის „თანხლებით"



მარიკა თხელიძის შემოქმედებაში ახალი ეტაპი იწყება. ამის შესახებ შევიტყვეთ „აჭარა მიუზიკ-ჰოლის" იტალიურ რესტორანში მოწყობილ პრესკონფერენციაზე, ნორჩი მომღერლის უახლოესი წრის წარმომადგენლებისაგან: მარიკას იმიჯმეიკერის ბაკურ ბაკურაძის, რეჟისორ ბასა ფოცხიშვილის, მუსიკალური ხელმძღვანელის, რუსუდან ბახტაძის, სიმღერების არანჟირების ავტორის, ნიკა მემანიშვილის, მუსიკისმცოდნე მაია დათუნაშვილისა და მარიკას ახალი პროდიუსერის — ვანიკო თარხნიშვილისაგან. როგორც თავად „ტუსოვკების მამამ" — ვანიკო თარხნიშვილმა გვითხრა, მარიკას „სუპერ უ-ქულესი ნიუსი" (უ-ქულესი ე.ი. უმაგრესი) ის არის, რომ ამიერიდან, ვანიკო, მარიკას ნებისმიერ უცხოურ პროექტს გაუწევს პროდიუსერობას.

ერთი თვის შემდეგ, თხელიძე ვირჯინიის შტატში მიეგზავრება, სადაც „ამერიკული ინგლისურის" შესწავლის სამთვიან კურსებს გაივლის. მოგვიანებით, უფრო კონკრეტულად — შემოდგომისთვის, მომღერალი დაიწყებს რეპეტიციებს ნიუ-იორკში, სადაც ბროდვეის მიუზიკლში — „მეფე ლომი" სიმბას როლზეა დამტკიცებული. გარდა ამისა, მარიკა წერს დუეტს სოსო თოლორაიასთან. მუსიკა კოტე ნიშნიანიძეს ეკუთვნის, ტექსტი — კოტე ყუბანეიშვილს. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა კოტე სიმღერისთვის ტექსტს დაწერს. კლიპის რეჟისორად ბასა ფოცხიშვილი მოგვევლინა. ამჟამად, ამერიკელი პროდიუსერების დაკვეთითაც იწერება სიმღერა. მუსიკის ავტორი ლილიკო ნემსაძეა, ტექსტის კი — ბიბი კვაჭაძე. ამ სიმღერაზე კლიპის გადაღების ხარჯებს ამერიკული მხარე გაიღებს.

და კიდევ ერთი, სადღეისოდ მთავარი სიახლე: 5 მარტს, გაიმართება ჯგუფ „დე ფაზის" კონცერტი. პროექტს წარმოადგენენ: „აჭარა მიუზიკ-ჰოლი" და ვანიკო თარხნიშვილი. თავდაპირველად, ეს პროექტი იგეგმებოდა, როგორც მარიკა თხელიძის Private party და მარიკასგან მალულად მზადდებოდა. „ფართის" მთავარ მონაწილედ უკვე ჯგუფი Monte fiori იყო დამტკიცებული, როდესაც ვანიკო თარხნიშვილმა „დე ფაზისგან" მიიღო წინადადება. ჯგუფი მას სთავაზობდა თავისი ახალი ალბომის პროდიუსერობას. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ კონცერტზე „დე ფაზი" ახალ სიმღერებთან ერთად, ქართველი მსმენელისთვის უფრო ნაცნობ და მისაღებ, ძველ ჰიტებსაც შეასრულებს. ორგანიზატორის თქმით, კონცერტი ვიდეოეფექტებზე იქნება აგებული. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ვანიკომ კომენტარისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ის მოგვახსენა, რომ პროექტი „ბინუსში წავა"... ■

სილამაზის სალონების ახალი გილდია და გვული — როგორც ესტეტიკის მთავარი აქსესუარი...

„თეატრალური სარდაფის" კლუბში „გაერთიანებული მეწარმეების" მიერ დაფუძნებული, „სილამაზისა და ესთეტიკის გილდიის" პრეზენტაცია შედგა. გილდიის მთავარი მიზანია, საქართველოში საპარიკმახერო და ესთეტიკური ხელოვნების დონის ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი გათანაბრება, ასევე სილამაზისა და ესთეტიკის სფეროში არსებული ლიცენზიებისა და საგადასახადო სისტემისა და ესთეტიკის სფეროში არსებული პრობლემების დარეგულირება. გილდიაში გაწევრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ამ მომენტისთვის, გილდიაში უკვე 35-40 სალონია გაერთიანებული.

გილდია მიზნად ისახავს აგრეთვე კონკურსებისა და შოუპროგრამების ორგანიზებას და შემდგომში, კონკურსებში გამარჯვებულების საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გაგზავნას. საამისოდ გილდია დაუკავშირდა საფრანგეთში არსებულ, „მსოფლიო პარიკმახერთა ორგანიზაციას", რომელმაც თანამშრომლობის მზადყოფნა გამოხატა და მხარდაჭერას ჰპირდება მას.

პრეზენტაციაზე ახალგაზრდა დიზაინერებმა თავიანთი კოსტიუმები წარმოადგინეს. განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია წითელ კაბაში გამოწყობილმა მანეკენმა, რომლის კოსტიუმის მთავარი აქსესუარი, მხრებზე შემოხვეული ცოცხალი გველი იყო. რას განიცდიდა ამ დროს თავად მანეკენი, ვერ გეტყვით, მაგრამ პუბლიკის რეაქცია ერთგვაროვანი იყო... პრეზენტაცია ახალგაზრდა მომღერლებმა: თაკო ნიბლაძემ, ქეთი გომართელმა და „ზუზუმ" დაასრულეს. ■

ნდობის ტელეფონი
ჯონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
822 009 005

„ქაფი", „ჯეოსელი",
„შეგაკომი" — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

მოამგადა ლიკა ლუბენეცმა

დაკარგული ვიტამინების ძიებაში



რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

გამოზამთრებულ ხილსა და ბოსტნეულში ვიტამინები თითქმის აღარ არის. ვიტამინების ის მარაგი კი, რომელიც ზამთრისათვის გვქონდა, ჩვენმა ორგანიზმმა უკვე დახარჯა გრიპთან და შემოდგომა-ზამთრის სხვა ინფექციებთან ბრძოლაში. დგება ჰიპოვიტამინოზის (ვიტამინების ნაკლებობის) დამღლელი პერიოდი. როგორ დავხვდეთ მას?

ამა თუ იმ ვიტამინის დეფიციტზე ორგანიზმში გარეგნობისა და სხვადასხვა სიმპტომის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. სისუსტე, თავბრუს ხვევა, დაღლილობის შეგრძნება, ხშირი გაცივება — C ვიტამინის (ასკორბინის მჟავის) უკმარისობის უტყუარი ნიშნებია; კანის სიმშრალე, ფრჩხილების მტვრევა, უფერული თმა — A ვიტამინის (რეტინოლის) ნაკლებობას ახასიათებს; ძილის დარღვევა, მომატებული აღგზნებადობა, მადის დაკარგვა — B6 (პირადოქსინის) ნაკლებობა; კუნთების სისუსტე, ქოშინი და გულის ფრიალი კი B1 ვიტამინის (თიამინის) დეფიციტზე მოწმობს.

რისკის ჯგუფში იმყოფებიან ბავშვები და მოხუცები. პატარებს იმუნიტეტი ჯერ არ გამომუშავებიათ, ხოლო მოხუცებს — უკვე დაუქვეითდათ. რთული პერიოდი დგება ქრონიკული დაავადებების (კუჭის წყლულის, ჰიპერტონიის, რევმატიზმის, შაქრიანი დიაბეტის, ბრონქული ასთმის) მქონე ადამიანთათვის. ამინდის მკვეთრი ცვალებადობა და ვიტამინების დეფიციტი პირველ რიგში, ორგანიზმის სუსტ ადგილს „ურტყამს“ ხოლმე. როგორ გავზარდოთ დამცავი ძალები?

ნუ გადაიტვირთავთ თავს

შრომითი გმირობა ზაფხულისათვის შემოინახეთ. ახლა მეტი დაისვენეთ, ისეირნეთ: ყოველდღე, ქუჩაში 2-3 საათი მაინც გაატარეთ.

ძილს ნუ მოიკლებთ

დასაძინებლად დაწექით ერთი საათით უფრო ადრე მაინც, ვიდრე ზაფხულსა და შემოდგომაზე წვებოდით. ღამით ფანჯარა ოდნავ გაღებული დატოვეთ: საძინებელში არ უნდა ცხელოდეს.

ნუ დაივიწყებთ ვიტამინთა კომპლექსებს

საუკეთესოა ის, რომელიც კარგადაა ბალანსირებული და შეიცავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ყველა ვიტამინს იმ დოზებით, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება რეკომენდებულ დღეღამურ დოზებს (არც მეტი უნდა იყოს და არც ნაკლები). თუ არსებობს მიკროელემენტთა დამატებით მიღების საჭიროება, რეკომენდებულია მათი ცალკე მიღება. მშვენიერი საშუალებაა მცენარეული ადაპტოგენები (ელეუტეროკოკის, ჟენ-შენის მზა ექსტრაქტები). მათი მიღება საჭიროა ჭამამდე 15-30 წუთით ადრე, 2-3-ჯერ დღეში. ვიტამინებს კი უმეტესად, ჭამის შემდეგ იღებენ.

ვიტამინური ნაყენი თავად შეგიძლიათ დაამზადოთ

გარეცხეთ 20 გ ასკილის ნაყოფი ცივ წყალში, დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი და ადუღეთ თავდახურული 10 წთ ნელ ცეცხლზე. დადგით თბილ ადგილას 4-6 საათი. გაწურეთ, დაამატეთ შაქარი, თაფლი ან ნებისმიერი ხილის ვაჟინი გემოვნებით. სვით ნახევარი ჭიქა 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

გახდომა ზაფხულისათვის გადადეთ

ამ პერიოდში დიეტური ექსპერიმენტების ჩატარება დაუშვებელია. ნაკლებად ჭამეთ რაფინირებული პროდუქტები (მაკარონი, თეთრი პური) და მეტი — ხილ-ბოსტნეული, განსაკუთებით ის, რომელიც თქვენივე კლიმატურ ზონაში მოდის. სისტემატურად მიირთვით კომბოსტოს სალათები: კომბოსტოში შემავალი ტარტრონის მჟავა ამუხრუჭებს ნახშირწყლებიდან ცხიმების წარმოქმნის პროცესს და ამდენად, ეს პროდუქტი კარგად აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას.

სასარგებლოა ხახვი, ნიორი და ვაშლი

გირჩევთ, ხახვი და ნიორი უმად მიირთვათ, ხოლო ვაშლი, პირიქით — შემწვარია უკეთესი.

■



რკინის ადამიანი

ჩვენი საკვების ძირითადი კომპონენტების — ცილების, ციმებისა და ნახშირწყლების შესახებ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ექიმებმა იცოდნენ. შემდგომ მათ ვიტამინებიც დაემატა. თუმცა, ეს ოთხი კომპონენტი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, საზოგადოება მას მიეჩვია. მინერალები, მაკრო და მიკროელემენტები შედარებით გვიან გახდა ცნობილი.

ძნელია, მაგრამ საჭირო

ალბათ ყველას გსმენიათ ორგანიზმისთვის რკინის აუცილებლობაზე. მისი დეფიციტი და მასთან დაკავშირებული ანემია (სისხლნაკლებობა) ძალზედ გავრცელებული პათოლოგიაა. რკინას ყოველთვიურად კარგავენ ქალები მენსტრუ-

ალურ სისხლთან ერთად. რკინის ნაკლებობა აქვთ იმ მამაკაცებსაც, რომლებსაც მძიმე ფიზიკური შრომა უწევთ; მოხუცები არ იღებენ საკმაო რაოდენობის რკინას და თანაც ცუდად ითვისებენ მას.

ადამიანს საკვებიდან დღეში საშუალოდ 1,5 მგ რკინის მიღება ესაჭიროება. ეს თითქოს ბევრი არ არის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ორგანიზმი მიღებული რკინის მხოლოდ 10%-ს ითვისებს, ამიტომ მისი დღეღამური დოზა ავტომატურად, 15 მგ-მდე იზრდება. 100 გ ქათმის ხორცი ან მოხარშული თევზი მხოლოდ 1 მგ რკინას შეიცავს, ამდენივეს – ერთი კონა მწვანილი. არსებობს რკინით მდიდარი პროდუქტებიც, მაგალითად – 200 გ ქათმის ღვიძლი უზრუნველყოფს ორგანიზმს მინერალის დღეღამური დოზით, მაგრამ რომელი ჩვენგანი ჭამს ყოველდღიურად 200 გ ღვიძლს?

ამდენად, 15 მგ რკინის მოპოვება ყოველდღე, მარტივი ამოცანა არ გახლავთ. დიეტოლოგები კი გვირჩევენ, ეს ელემენტი მაინცდამაინც საკვებიდან მივიღოთ. სხვა მინერალები შეგიძლიათ აბების სახით სვათ, მაგრამ რკინა ეცადეთ, ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტებიდან აითვისოთ:

100 გ პროდუქტი	რკინის რ-ბა
ქათმის ღვიძლი	7,2
პიბორჩხალის ხორცი	6,0
ძროხის ღვიძლი (შემწვარი)	5,3
სოიას მარცვლები	4,5
ისპანახი	3,2
ძროხის ხორცი	3,0
შემწვარი კარტოფილი	2,8
მზესუმზირა (1/4 ჭიქა)	2,4
ინდაური	2,0
სკუმბრია	1,4
არაქისი (1/4 ჭიქა)	1,2
შავი ქლიავი (1/2 ჭიქა)	1,2
ქიშმიში (1/4 ჭიქა)	1,0

რითია ცუდი „რკინის აბები"

ამერიკაში ხორბლის, მაკარონის, ბურღულეულის მწარმოებლებს ავალდებულებენ, რომ თავიანთი პროდუქცია რკინით გაამდიდრონ. მაგრამ ეს, როგორც აღმოჩნდა, პრობლემას ვერ ხსნის: 25-დან 50%-მდე ახალგაზრდა ქალებს აქვთ ამ მინერალის მეტ-ნაკლებად გამოხატული დეფიციტი.

სააფთიაქო სახით გამოსული რკინა არაერთგვაროვანია. იგი შედის პოლივიტამინთა შემადგენლობაშიც, მაგრამ ეს პოლივიტამინები შეიცავს რკინის ანტაგონისტებსაც, რომელიც აქვეითებს რკინის შეწოვას ორგანიზმში. ანემიების დროს დანიშნული რკინის პრეპარატები კი, პოტენციურად მაღალი ტოქსიკურობით ხასიათდება – რკინის ჭარბი რაოდენობა ორგანიზმისათვის ისევე საშიშია, როგორც ნაკლებობა. თუ საკვებიდან შეუძლებელია ჭარბი რკინის ათვისება, პრეპარატების მიღებისას ეს ადვილად შეიძლება მოხდეს.

ჩვენი მეგობარი და მტერი – რკინა

რკინა აქტიურად მონაწილეობს სისხლში ჟანგბადის ტრანსპორტირებაში – ეს მისი მთავარი ფუნქციაა. მაგრამ ის ქიმიური თავისებურება, რაც მას ჟანგბადის გადამტანად ხდის, თავისუფალი რადიკალის ანალოგადაც აქცევს. ამიტომ ზედმეტი, „უმუშევარი" რკინა ორგანიზმში უშუალო საფრთხეს ქმნის – კერძოდ, „ჟანგავს" ქოლესტერინს და იქმნება არტერიის დახშობის საშიშროება. ერთ-ერთი უახლესი ვერსიის თანახმად, რკინის გარკვეული რაოდენობის სისტემატური კარგვა სისხლთან ერთად, ათეროსკლეროზისა და ინფარქტისგან იცავს ქალის ორგანიზმს.

მაგრამ თუ თქვენ არ იღებთ საკმაო რაოდენობით რკინას, მისი უკმარისობა დაგემართებათ. დაბალი ჰემოგლობინის ყველაზე მეტად მახასიათებელი ნიშანია სიცივისადმი მომატებული მგრძნობელობა, გაყინული ხელ-ფეხი, ხშირი გაცივება. ასე რომ, თუ მსგავსი ნიშნები გაწუხებთ, მაინც გაიკეთეთ სისხლის ანალიზი.

როგორ ვიკვებოთ

ამრიგად მიზანი ნათელია: საკვებიდან დღეში 15 მგ რკინა უნდა მივიღოთ, მაგრამ ეს არც ისე მარტივია. თურმე ზოგიერთი პროდუქტი „ცუდ მეზობლობას" უწევს ერთურთს.

- კალციუმით მდიდარი საკვები მკვეთრად აქვეითებს რკინის ათვისებას. ამიტომ ანემიის დროს, უნდა შეიზღუდოს რძე და რძის პროდუქტები დროებით მაინც, ვიდრე ჰემოგლობინის დონე არ აიწევს. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ რკინა და კალციუმიანი პროდუქტები სხვადასხვა დროს მიიღეთ. ასევე არ არის რეკომენდებული რკინისა და კალციუმის პრეპარატების ერთდროული მიღება.
- რკინის ათვისებას აქვეითებს ჩაი და ყავა. ნუ დალევთ მათ ჭამის დროს ან ჭამის შემდეგ.
- ეცადეთ C ვიტამინი ყოველი ჭამის დროს მიიღოთ. ამისათვის სვით ფორთოხლის წვენი, საჭმელს დაამატეთ ლიმონის წვენი, მიირთვით კომბოსტოს მწნილი, ტკბილი წიწაკა, ხახვი, მწვანილი.
- ხორბლისა და სხვა მარცვლეულის ფიტატები იკავშირებს რკინას და ხელს უშლის მის შეწოვას. ამიტომ ხორცი უპუროდ უნდა ჭამოთ.
- სოიაში ბევრი რკინაა, მაგრამ მისი ცილები აქვეითებს მინერალის შეწოვას, ამიტომ ეს პროდუქტი არ წარმოადგენს რკინის კარგ წყაროს. ■

როცა თავბრუ გეხვევა

ალბათ ყველას გამოგიცდიათ თავბრუს ხვევის შეგრძნება. ყველაფერი ბრუნავს და ტრიალებს შენ გარშემო სუსტად ხარ, გულიც გერევა და თავს ძალიან ცუდად გრძნობ. ამ სიმპტომს აუცილებლად სჭირდება მკურნალობა, მაგრამ როგორი?

„სენსორული კონფლიქტი"

თუ გაქვთ ტრიალის ან ქანაობის (მაღლა ასვლისა და ჩავარდნის) უსიამოვნო შეგრძნება, წონასწორობისა და სივრცეში ორიენტაციის შეგრძნებათა მოშლა, თქვენ ნამდვილად თავბრუ გეხვევათ. საკმაოდ ხშირად, ამას სიფერმკრთალე, მომატებული ოფლიანობა, გამძაფრებული წყურვილის გრძნობა, გულისრევა და პირღებინებაც ემატება. თავბრუს ხვევის მწვავე შეტევის დროს, ადამიანს შიშისა და პანიკის განცდა აქვს. თავბრუს ხვევის ხანგრძლივობა ვარირებს რამდენიმე წუთიდან, რამდენიმე საათამდე და დღემდეც კი. თავბრუს ხვევის განმეორებითი შეტევები იმდენად ფიტავს ადამიანს, რომ იგი მთლიანად კარგავს შრომისუნარიანობას.

ჭეშმარიტი თავბრუს ხვევა არ უნდა აგვერიოს არამყარ სიარულში, რომელიც მოხუცებისთვისაა დამახასიათებელი. ამასთან, თავბრუს ხვევა შესაძლოა, დაკავშირებული იყოს დაბერების პროცესთან და გრძნობის ორგანოების ფუნქციათა ასაკობრივ დაქვეითებასთან. შემთხვევითი არ არის, რომ 60 წელს გადაცილებულ პაციენტთაგან ყოველი მეოთხე უჩივის თავბრუს ხვევას.

თავბრუს ხვევა წარმოიქმნება მაშინ, როცა ადამიანის სხვადასხვა სენსორული ორგანოდან (თვალი, კუნთები, ლაბირინთი, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატი და სხვა) ცენტრალურ ნერვულ სისტემაში წამოსული ინფორმაცია განსხვავებულია „მოსალოდნელისაგან" (ფიზიოლოგიურისაგან), რის შედეგადაც იწყება ე.წ. „სენსორული კონფლიქტი", რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას თავბრუს ხვევა წარმოადგენს. სენსორული სისტმის ნატიფი მუშაობის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ორგანოს, — ლაბირინთის (შიდა ყურის) გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ნერვული სისტემის დაავადებებმა, ჰორმონულმა და ნეიროვეგეტაციურმა დარღვევებმა და სხვა.

ყველაფერი ბრუნავს და ტრიალებს

თავბრუს ხვევა შიდაყურის პათოლოგიის შედეგად განვითარებული ვესტიბულური სისტემის (სხეულის წონასწორობის შენარჩუნების, მდებარეობისა და მოძრაობის აღქმის სისტემა) დარღვევის პირველი ნიშანია. გარდა ამისა, იგი შესაძლოა, ნევროლოგიური დაავადებების, ჰიპოგლიკემიის (დაბალი შაქარი) პირველი ნიშანი იყოს, ან თან ახლდეს გულის რიტმის დარღვევას, ოსტეოქონდროზს და სხვა მრავალ სნეულებას.

სპეციალისტები თავბრუს ხვევის ორ კატეგორიას გამოყოფენ: პერიფერიულს და ცენტრალურს. ცენტრალური თავბრუს ხვევა ხშირად, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევის, ქალა-ტვინის ტრავმის, გაფანტული სკლეროზის, შაკიკის, ღეროვანი ენცეფალიტის და ტვინის სხვა იმ დაავადებების შედეგად ვითარდება, რომელიც პათოლოგიურ პროცესში ვესტიბულურ აპარატს „ჩაითრევს" ხოლმე.

პერიფერიული თავბრუს ხვევა კი შეიძლება გამოწვეული იყოს ლაბირინთის (შიდაყურის) ფუნქციის დარღვევით, რაც თავის მხრივ, შუა და შიდა ყურის ბაქტერიული ან ვირუსული ანთების, ქალა-ტვინის ტრავმის, სმენის ნერვის სიმსივნის, აუტოიმუნური დაავადებების შედეგი შეიძლება იყოს. თავბრუს ხვევას იწვევს ზოგიერთი პრეპარატის მიღებაც (ოტოტოქსიკური ანტიბიოტიკები, ზოგიერთი ანტიარითმიული საშუალება, ტრანკვილიზატორები, ეპილეფსიის საწინააღმდეგო პრეპარატები და სხვა).

მენიერის დაავადება

შიდაყურის პათოლოგიით გამოწვეულ თავბრუს ხვევის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს „ლაბირინთის წყალმანკი" ანუ მენიერის დაავადება, რომელიც მოსახლეობის 0,2%-ს აღენიშნება. მისი განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს ემოციური ან ფიზიკური სტრესი.

თავბრუს ხვევა ამ დაავადების დროს ყველაზე დრამატული სიმპტომია. იგი შეიძლება გრძელდებოდეს საათების ან დღეების განმავლობაში და იმდენად ძლიერი იყოს, რომ ადამიანი ვერ დგება საწოლიდან, გულისრევის შეგრძნება და პირღებინება კი ძალას აცლის მას. დაავადების სხვა ნიშნებია: სმენის დაქვეითება, ხმაური ყურებში, ყურების დაგუბების შეგრძნება. დროული მკურნალობის გარეშე შეიძლება სიყრუე განვითარდეს.

თავბრუს ხვევა ზოგჯერ გრიპის ან მწვავე რესპირატორული დაავადების გართულებასაც წარმოადგენს. ასეთ დროს თქვენ იგრძნობთ წონასწორობის დარღვევას და უეცარ თავბრუს ხვევას.

ცალკე ჯგუფია ფსიქოგენური თავბრუს ხვევები, რომლის საფუძველსაც ფობიები (შიშები) ან დეპრესიული დარღვევები წარმოადგენს.

ვის მივმართოთ

თავბრუს ხვევის დიაგნოსტირება და მკურნალობა ექიმი-ნევროპათოლოგის ან ოტონევროლოგის (ვესტიბულური დარღვევების სპეციალისტი) კომპეტენციაა. ადამიანს აუცილებლად ესაჭიროება ექიმის დახმარება, თუ:

- აქვს მძიმე თავბრუს ხვევა, რომელიც შრომისუუნარობას იწვევს.
- თუ თავბრუს ხვევა მეორდება ან გრძელდება რამდენიმე დღის განმავლობაში.
- თუ აქვს სხვა ვესტიბულური დარღვევა, მიუხედავად იმისა, ახლავს თუ არა მას თან თავბრუს ხვევა.
- თუ აქვს სმენის დაქვეითება.
- თუ აქვს თვალის უჩვეულო მოძრაობები.
- თუ აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის თანმდევი დარღვევები.

კვლევის თანამედროვე მეთოდები საშუალებას იძლევა, დადგინდეს თავბრუს ხვევის გამომწვევი მიზეზი 90%-იანი სიზუსტით. მკურნალობა კი დაავადების ხასიათსა და სტადიაზეა დამოკიდებუ-

ლი. გამოიყენება სხვადასხვა სახის მედიკამენტი (ღებინების ცენტრის დამთრგუნველი, ანტიჰისტამინური, კალციუმის ანტაგონისტები, საძილე და სხვა). ჩვენს აფთიაქებში ამჟამად იყიდება ასეთი დანიშნულების შემდეგი პრეპარატები: ციკლიზინი, დიმენჰიდრინატი, პრომეტაზინი, ცინარიზინი, კავინტონი, ტანაკანი, ბეტასერკი და სხვა.

სპეციალური ვესტიბულური რეაბილიტაცია მოიცავს სამ ძირითად მიდგომას: ფსიქოლოგიურს, ფიზიოთერაპიულს და ფარმაკოლოგიურს. ფიზიოთერაპია გულისხმობს თავის, ტანის, მხედველობით-ვესტიბულური აპარატების, პოზისა და წონასწორობის კონტროლის სპეციალურ ვარჯიშებს, რომელიც უნდა შესრულდეს დღეში რამდენჯერმე, რამდენიმე კვირის განმავლობაში და შემთხვევათა 80%-ში ავადმყოფებს ეხსნებათ თავბრუს ხვევა.

ფსიქოლოგიური თანადგომა თავბრუსხვევიან ავადმყოფს ეხმარება სიტუაციის გაგებასა და კონტროლირებაში, პანიკისა და დეპრესიის დაძლევაში. ფარმაკოთერაპიის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი პრეპარატი (ტრანკვილიზატორები, ანტიდეპრესანტები, ნეიროლეპტიკები და ნარკოტიკული ნივთიერებები) ხანგრძლივი მიღებისას თავად იწვევს თავბრუს ხვევას.

თავბრუს ხვევის მქონე ზოგიერთი ავადმყოფი ქირურგიულ მკურნალობას საჭიროებს, მაგალითად — სმენის ნერვის სიმსივნის დროს, ან მძიმედ მიმდინარე მენიერის დაავადების დროს. ■

სოია სასარგებლო პროდუქტია

მედიკოსთა აზრით, სოია ყველა ადამიანმა უნდა შეიტანოს კვების რაციონში, რადგან იგი ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პროდუქტია.

სოია შეიცავს 40%-მდე ცილას, უჯერ ცხიმოვან მჟავებს, ვიტამინებს, მინერალებს და ბალასტურ ნივთიერებებს. იგი საერთოდ არ შეიცავს ცხიმსა და ქოლესტერინს. მასში შემავალი პროტეინი წმენდს სისხლძარღვებს ქოლესტერინისაგან და საუკეთესო საშუალებაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. სოია რეკომენდებულია აგრეთვე ღვიძლის, თირკმელკენჭოვანი, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებების პროფილაქტიკისათვის. იგი ამაგრებს ძვლებს და ხელს უშლის ოსტეოპოროზის (ძვლების სიმყიფის) განვითარებას, რადგანაც შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომელიც ხელს უწყობს ძვლებისათვის აუცილებელი კალციუმის შენარჩუნებას. მასში შემავალი ნივთიერებები ხსნის ყოველგვარ უსიამოვნებებს მენოპაუზის (კლიმაქსის) დროს.

სოიაში შედის ვიტამინები: A, K, B2, P, PP და ლეციტინი, რომელიც აღადგენს ნერვული ქსოვილის განურჩევლად ყველა უჯრედს და სტაბილურს ხდის ტვინის ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა აზროვნება, მეხსიერება, კონცენტრაცია, ინფორმაციის ათვისება.

კოსმეტოლოგები გვირჩევენ, რაც შეიძლება ხშირად მივიღოთ იგი, რადგანაც მას შესწევს უნარი, აღადგინოს შემაერთებელი ქსოვილის კოლაგენური ბოჭკოები, რის შედეგადაც კანი უფრო მკვრივი ხდება და ინარჩუნებს ჯანსაღ ფერს.

სოია ერთადერთი პარკოსანია, რომელსაც შეუძლია მთლიანად შეცვალოს ადამიანის რაციონში ხორცი. მისი უპირატესობა ისიცაა, რომ სხვა ცილებისაგან განსხვავებით, სოიის ცილებს ორგანიზმი მთლიანად ითვისებს. ამ პროდუქტისაგან ამზადებენ: სოიის რძეს, ყველს, პურს, ცხიმს, ფქვილს და სხვა. ■

მედიცინის სიახლეები

რუსეთში ორგანოების კლონირებას იწყებენ

ურალის სამედიცინო აკადემიის ბაზაზე შეიქმნა თერაპიული კლონირების ლაბორატორია, სადაც სულ მალე, ექსპერიმენტები ჩატარდება. სპეციალისტები ლაბორატორიაში აპირებენ ადამიანის უჯრედების, ქსოვილებისა და ორგანოების გაზრდას.

თავის მომავალ სამეცნიერო მიღწევებს ურალელი ექიმები პრაქტიკულ მედიცინაში დანერგავენ.

ადამიანის ახალი ორგანოები მისივე ღეროვანი უჯრედებისაგან უნდა გაზარდონ და შემდგომში განუკურნებელი თერაპიული დაავადებების სამკურნალოდ უნდა გამოიყენონ. თერაპიული კლონირების დროს, პაციენტის დიფერენცირებული უჯრედის ბირთვი, თავსდება კვერცხუჯრედში, საიდანაც წინასწარ ამოღებულ იქნა ბირთვი. ამის შედეგად გაზრდილი ბლასტოცისტისაგან, შემდგომში პაციენტისათვის საჭირო ქსოვილი რეკონსტრუირდება. რადგანაც უჯრედის დონორი თვით პაციენტია, ამ მეთოდით შექმნილი ორგანო გენეტიკურად შეთავსებადი იქნება და იმუნური სისტემის „ჩამოცილების“ რეაქცია მოსალოდნელი არ არის.

რეზინის ხელთათმანები შიდსის ვირუსს ატარებს

აღმოჩნდა, რომ დღემდე ნებისმიერი ინფექციისათვის გაუმტარ დამცავ საშუალებად მიჩნეული რეზინის ხელთათმანები სინამდვილეში არ ყოფილა კარგი იზოლატორი. თურმე საშუალოდ ყოველი მესამე მათგანი ატარებს შიდსის ვირუსს. ეს უსიამოვნო ფაქტი ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს. თუმცა დასნებოვნების საშიშროება მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ადამიანს ხელზე აქვს ღია ჭრილობა ან ნაკაწრი, და იგი შეეხება შიდსით ინფიცირებული ადამიანის სისხლს.

ქირურგები ერიდებიან ოპერაციის ჩატარებას მაშინ, როცა ხელებზე ჭრილობები აქვთ. მაგრამ სხვა პროფესიის წარმომადგენლებს რეალური საფრთხე ემუქრებათ. ■

წყალი – ქალის ბუნებრივი სტიქია



წყალი რომ ქალის სტიქიაა, ამაზე ჯერ კიდევ ძველი ჩინელი ფილოსოფოსები წერდნენ. მართლაც, წყალში ნებისმიერი ქალი თევზივით გრძნობს თავს. მათაც კი, ვინც ცურვა საერთოდ არ იციან, წყლის პროცედურები ძალიან უყვართ: გამამხნევებელი შხაპი, დაღლილობის მოსახსნელად აბაზანის მიღება, ჯაკუზი, შარკო, ცხელი ორთქლის აბანოს შემდეგ, გრილ აუზში ჩასვლა და სხვა. ფსიქოლოგების აზრით, წყალი ადამიანის ნერვულ სისტემაზე საოცრად სასიკეთო ზეგავლენას ახდენს. გაიხსენეთ, საით ილტვით ქვეშეცნეულად, როცა თავს შებოჭილად გრძნობთ, აღელვებული, შეშინებული, ან განაწყენებული ხართ? მართალია, საბაზანო ოთახისაკენ მიგიწევთ გული! წყლის ჭავლს, თითქოსდა თან მიაქვს მთელი თქვენი უსიამოვნება, მღელვარება და შიში; თბილი წყალი სასიამოვნოდ გელამუნებათ და დაძაბული სხეულისა და კუნთების მოდუნებაში გეხმარებათ... ამასთან წყლის ჯადოსნურ პრიზმაში დანახული ნებისმიერი ქალის სხეული საოცრად მომხიბლავად გამოიყურება. ცნობილია ისიც, რომ ბევრი დაავადება (მაგალითად, ნევროზები) ადამიანს მხოლოდ იმიტომ უყალიბდება, რომ იგი გამუდმებით დაძაბულია. წყალში კი, ეს შინაგანი „ცენზორი“ დადუმებულია და თქვენ საკუთარ თავს სრულად მოდუნების საშუალება უნდა მისცეთ.

წყალში განხორციელებული სასიყვარულო თამაშები ძველთაგანვე უღვივებდა ადამიანს წარმოსახვის უნარს. წყალი ასე მხოლოდ ჩვეულებრივ მოკვდავთა ფანტაზიაზე როდი მოქმედებდა. გაიხსენეთ, რამდენი დიდებული ტილო, ლექსი თუ ფილმია მიძღვნილი წყლის სტიქიაში განხორციელებული სასიყვარულო თამაშებისადმი (მაგალითად, „ცისფერი ლაგუნა“, „პლაჟი“). თუმცა „წყლის ეროტიკის“ სანახავად კინოში წასვლა სულაც არ არის აუცილებელი. საკმარისია, ზაფხულის თბილ საღამოს ზღვის ან მდინარის ნაპირას გაისეირნოთ და შეყვარებულ წყვილებს დააკვირდეთ; ან კიდევ უკეთესი, საკუთარ პარტნიორთან ერთად, თავად მიიღოთ სასიყვარულო თამაშებში მონაწილეობა. სექსი თამაშის ელემენტების გარეშე, უხალისო და მოსაწყენია, წყლის სტიქია კი, თითქოს თავად განაწყობს სათამაშოდ პარტნიორებს, რაც სასიყვარულო აქტს საოცარ სიმძაფრესა და პიკანტურობას სძენს. სულაც არ არის გასაკვირი, რომ სწორედ სააბაზანო ოთახში განეწყობიან ხოლმე წყვილები ეროტიკული თამაშებისადმი. წყლის პროცედურების მიღებისას ადამიანებს შინაგანი დაძაბულობა და შიშები ეხსნებათ. ამიტომაა, რომ უამრავი ქალი, რომელიც ჩვეულებრივ, განათებულ გარემოში სასიყვარულო აქტის ჩატარებას უფრთხის, ამ კომპლექსს იოლად სძლევს წყლის პროცედურების მიღებისას. ასე რომ, მიიღეთ წყლის პროცედურები და გათავისუფლდით კომპლექსებისაგან.

ინფორმაცია

ყურადღება: სექსი ორგანიზმის გაუწყლოებას უწყობს ხელს!

ხანგრძლივი სასიყვარულო აქტის შემდეგ, შესაძლოა, თავის ტკივილი, გადაღლილობის შეგრძნება და მოთენთილობა დაგეუფლოთ. ეს კი ორგანიზმის გაუწყლოების გამო ხდება. ინგლისელმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ნახევარსაათიანი სქესობრივი აქტის დროს, ადამიანი იმდენივე ენერგიას ხარჯავს, რამდენსაც ხუთკილომეტრიან დისტანციაზე სირბილისას. მიუხედავად ამისა, სქესობრივი აქტის შემდეგ, მხოლოდ 42% სვამს წყალს, მაშინ, როცა სირბილის შემდეგ, მორბენალთა 96% სულ იოლად ხვდება იმას, რომ ორგანიზმს დაკარგული ტენის აღდგენა ესაჭიროება და ვარჯიშის შემდეგ ეწაფება წყალს. ■



საუნის მოუყვარელთ დიდი სიფრთხილე მართებთ

სამედიცინო ფსიქოლოგიის სფეროს მკვლევარი, გერმანელი მეცნიერი, ზიგფრიდ ლერლი ირწმუნება, რომ საუნაში ხშირად სიარული... დაჩლუნგებას უწყობს ხელს. ხანგრძლივი კვლევისა და უამრავი მასალის შესწავლის შედეგად, ლერლმა დაასკვნა, რომ საუნიდან გამოსულ ადამიანს, ტვინის ფუნქციის სრულყოფილად აღსადგენად, სულ ცოტა 24 საათი მაინც სჭირდება. გარდა ამისა, მეცნიერის მტკიცებით, სიჩლუნგის გამომწვევია: ორგანიზმის გაუწყლოება, ნახშირწყლების უკმარისობა, სიბნელეში ხშირად ყოფნა და კისერზე შემოჭერილი, ვიწროყელიანი პერანგების ტარება. ტვინის ფუნქციურობის მაღალ დონეზე შესანარჩუნებლად, ლერლის რეკომენდაციით, აუცილებელია: წყლის ჭარბად მიღება და სისტემატური ფიზიკური დატვირთვა. ■



მეფე ღმრთისა-გან სვიანი
გრიმ-ალდების სამფლო-ბელო
ბაღის მაკრატე-ლი
მამა-პაპური წეს-ჩვეულება
ირლანდია საკუთარ ენაზე
ძვ. ინდური ეპიკური პოემა
კოსმოსური კვლევის ნაც. სამსრთ. აშშ-ში
ავადმყო-ფური მიდრე-კილება
შოტ-ლანდიელი კინომსახ-იობი
თბილისის ლოკომოტივის ფეხბურთელთა მწვრთნელი
თანხმობა ესპანურად
უმაღლესი სამეცნიერო დაწესე-ბულება
„სოფლის პტიოსნება“ (კომპოზი-ტორი)
აბრევია-ტურა დენის ელემენტზე
ამერიკელი მომღერა-ლი ... ჰიუსტონი
ჭიდაობის ილეთი ... ფეროუ
დიღის პირველი საქმიანი გარიგება
სასჯელი წესების დარღვევი-სთვის
რიგითი სამხედრო მოსამსახ-ურე
„სიკვდილი აფრის ქვეშ“ (ინგ. მწერალი)
„ბიდერბეკ ტრიან“ (სერიალის პერსონაჟი)
ფესტივალებ-ის ქალაქ სიერანგეთში
ირანის ფულის ერთეული
ლ ტოლსტოი „... კარენინა“
ტარზე მიბმული დაწნული თასმა
მეფის დატყვევება ჭადრაკში
... ბეარძოტი ... ფერარი
აირი მნათ რეკლამებ-ში
სითხის ჩასასხმე-ლი ღრუ კონუსი
პოლიტიკ. ან ეკონომკ ბრძოლის ხერხი
ხალისი-ანი დროის გატარება
ერთი-ანობა
გნსტფფილი ანრეის გამოქმ-შეპრისპრეა
NBA-ს ჩემპიონი „ლოს-ანჯელეს ...“
გასაყიდი საგანი აუქ-ციონზე
სპორტუ-ლი ჯილდო
საჰაერო ბრძოლის ოსტატი
ინგლისე-ლი მწერალი ივლინ ...
ყურტი მაკლსლენის შესრულებით
შეადგინა რამაზ ალანიამ

მე-19 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ბ; 4-ბ.

კვირის (3 – 9 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

თევზები – 20/II-20/III

თქვენმა მიმზიდველობამ და მომხიბვლელობამ შესაძლოა, პრობლემებიც შეგიქმნათ. მაგალითად, არ არის გამორიცხული, რომ მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის, ისეთი მაღალანაზღაურებადი სამსახური შემოგთავაზონ, რომლისაც არაფერი გაგეგებათ... სიყვარულში კი, წარმატება გარანტირებული გაქვთ.

ვერძი – 21/III-20/IV



საქმეში გაგიმართლებთ. ინტუიცია სწორ გადაწყვეტილებებს მიგაღებინებთ და ყველა ჩანფიქრის განხორციელებასაც წარმატებით გაართმევთ თავს. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ უმნიშვნელო და მოკლევადიან პროექტებს ეხება. შორს მიმავალი მიზნების დასახვისგან კი, ჯერჯერობით თავი უნდა შეიკავოთ.

კურო – 21/IV-21/V

კვირის დასაწყისში, მხოლოდ მეხსიერებას ნუ დაეყრდნობით: ჩაიწერეთ ყველაფერი, რაც დაგეგმილი გაქვთ და გულდასმით შეამოწმეთ ხელმოსაწერი დოკუმენტები. ძალზედ დაძაბული დღეები გელით. ფრთხილად იყავით, რაიმე მნიშვნელოვან საქმეში შეცდომა არ დაუშვათ.

მარიხვები – 22/V-21/VI

მშვიდი კვირაც რომ გქონდეთ, შინ მაინც ვერ მოისვენებთ. ადამიანებთან ურთიერთობისკენ ლტოლვის გამო, სამსახურში მისვლა და კოლეგებთან შეხვედრაც კი, დღესასწაულად გადაგექცევათ – რომ აღარაფერი ვთქვათ საქმიან მოლაპარაკებებსა და ელიტურ ღონისძიებებზე.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

კვირის დასაწყისში, შესაძლოა, მხურვალე თაყვანისმცემელი ან გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ, რომლის წყალობითაც, ძალზედ სასიამოვნო დღეებს გაატარებთ. მაგრამ ბედნიერებით დიდხანს ვერ დატკბებით – პარასკევს, შეიძლება, ოჯახში მოგივიდეთ კონფლიქტი.

ლომი – 23/VII-23/VIII



საკმაოდ მშვიდი კვირა გელით, რომლის ერთადერთი ნაკლი – თქვენი სულსწრაფობაა. ნუ აჩქარდებით, თორემ ხუთშაბათსა და პარასკევს უსიამოვნებას ვერ ასცდებით. სიდინჯე გამოიჩინეთ და წარმატებასაც მალე მიაღწევთ და ბედი აუცილებლად გაგიღიმებთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

საკმაოდ უცნაურ სიტუაციაში აღმოჩნდებით: ერთი მხრივ – საქმეში წარმატება, დამსახურებული წახალისება და საგრძნობი მოგება გელით, მეორე მხრივ – იმ ადამიანების უნიათოდ შენიღბული შური, ვინც ყოველივე ამას ვერ მიაღწია. მოთმინება გმართებთ!

სასწორი – 24/IX-23/X



თუ დიდი ხანია, ვერა და ვერ გადაჭერით რომელიღაც რთული პრობლემა, სჯობს, თავს მოერიოთ და აღარ გადადოთ მისი მოგვარება. კვირის პირველი ნახევარი საუკეთესო დროა ყველანაირი დაბრკოლების გადასალახავად. თუ ამას შეძლებთ, უქმეებში სასიამოვნო დასვენება გელით.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

როგორც წესი, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულები დიდი შრომისმოყვარეობით არ გამოირჩევიან. მაგრამ ნებისმიერ წესს ხომ გამონაკლისი აქვს და თქვენც ამ კვირაში, ძალზედ ნაყოფიერად იშრომებთ – მაშინაც კი, როცა თქვენგან ამას არ მოელიან.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

რომელიღაც რთულ, სერიოზულ პრობლემას მოაგვარებთ. შესაძლოა, ამხილოთ და გააუნებელყოთ არაკეთილმოსურნე კოლეგა, რაშიც, სხვათა შორის, დაგეხმარებიან ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები, რომელთაც თქვენს სამსახურთან არანაირი შეხება არა აქვთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ენერგიის მოზღვავებას გრძნობთ, რის გამოც, შესაძლოა, ნაჩქარევი გადაწყვეტილებები მიიღოთ და ზედმეტი პრობლემები შეუქმნათ საკუთარ თავსაც და გარშემომყოფებსაც. მხოლოდ ოთხშაბათისთვის შეძლებთ ამ ენერგიის გონივრულად გამოყენებას და უქმე დღეებისთვის, სასიამოვნო შედეგებს მიიღებთ.

მერწყული – 21/I-19/II

შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავების პერიოდი გაქვთ. ისეთ ნიჭსა და შესაძლებლობებს გამოამჟღავნებთ, რომლის შესახებაც აქამდე, წარმოდგენაც კი არ გქონდათ. თქვენი უსაზღვრო ფანტაზია და საოცარი გამჭრიახობა აღაფრთოვანებს, როგორც ახლობლებსა და მეგობრებს, ისე არაკეთილმოსურნეებსაც.

იცნობთ თუ არა საწინააღმდეგო სქესის ფსიქოლოგიას?

1) ქალი ყოველთვის უარესი ხელმძღვანელია, ვიდრე მამაკაცი.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

2) ქალებს უფრო ადვილად უცივდებათ ყელი, ვიდრე მამაკაცებს.
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

3) ქალები უფრო მეტად ცდილობენ ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ვიდრე მამაკაცები.
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

4) მამაკაცის ტვინი მოცულობითა და ზომით ქალის ტვინზე დიდია.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

5) ქალები ხშირად, მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე, ვიდრე მამაკაცები.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

6) ქალები მამაკაცებზე მეტად არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

7) მამაკაცები უფრო ცრუმორწმუნენი არიან, ვიდრე ქალები.
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

8) ქალებს მამაკაცებზე ხშირად ემართებათ კუჭ-ნაწლავის დაავადებები.
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

9) მამაკაცები სამსახურებრივ მოვალეობებს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან, ვიდრე ქალები.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

10) მამაკაცები უფრო პირდაპირები და გულახდილები არიან, ვიდრე ქალები.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

11) სტატისტიკის თანახმად, ქალები უფრო ხშირად იკლავენ თავს, ვიდრე მამაკაცები.
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

12) გენიოსებს შორის, მამაკაცები მეტნი არიან, ვიდრე ქალები.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

13) მამაკაცებს უფრო მშვიდად სძინავთ, ვიდრე ქალებს.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

14) მამაკაცებს სულ სხვაგვარად ესმით იუმორი, ვიდრე ქალებს.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

15) მამაკაცებს უფრო უჭირთ ტკივილის ატანა, ვიდრე ქალებს.
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

16) მწვავე სიტუაციებში მამაკაცები უფრო სწრაფად რეაგირებენ, ვიდრე ქალები.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

17) მამაკაცებს უფრო უჭირთ დიეტის დაცვა, ვიდრე ქალებს.
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

18) მამაკაცები ქალებზე უფრო ეგოისტები არიან.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

19) მამაკაცები უფრო ადვილად აღწევენ წარმატებას, ვიდრე ქალები.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

20) მამაკაცები ქალებში ყველაზე მეტად, ბუნებრივ სილამაზეს აფასებენ.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

22) ქალებს ძლიერი ინტუიცია აქვთ, მამაკაცებს კი — ანალიტიკური აზროვნება ახასიათებთ.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

23) მამაკაცები ცდილობენ, საქმეში უფრო ღრმად გაერკვნენ, ქალები კი, საქმის არსს ზედაპირულად ეცნობიან.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

24) ქალებს ხასიათის ცვალებადობა და მერყეობა ახასიათებთ, მამაკაცებს კი — სიჯიუტე.
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

25) მამაკაცები უფრო ცნობისმოყვარენი არიან, ვიდრე ქალები.
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

დაანჯამეთ ქულები

0-8 ქულა: საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ფსიქოლოგია თქვენთვის სრულიად ამოუცნობი რამ არის. ის კი არა და, საკუთარი სქესის წარმომადგენელთა უმეტესობის ფსიქოლოგიასაც კი არ იცნობთ კარგად. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ გარშემომყოფთა ქმედებებისადმი და ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოების გადახედვასაც ნუ დაიზარებთ.

9-16 ქულა: საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა გაგება არ გიჭირთ, მაგრამ რთულ სიტუაციებში იბნევით. ადამიანის ფსიქოლოგიაში კარგად არ ხართ ჩახედული და ამიტომ, უცხო ადამიანებთან ურთიერთობა შედარებით გიჭირთ.

17-25 ქულა: ადამიანი თქვენთვის გადაშლილი წიგნია. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ფსიქოლოგიაში ნამდვილი ექსპერტი ხართ. ადამიანების ისე კარგად გესმით, რომ წესით, არც სამსახურში და მით უმეტეს, არც ოჯახში პრობლემები არ უნდა გქონდეთ.

კომპიუტერის მაუსი თითების ანაბეჭდების სკანერით

იაპონურმა კომპანიამ – Personal Media თითების ანაბეჭდების სკანერით აღჭურვილი, ახალი ოპტიკური მაუსი PMC Fingerprint Scanner Mouse წარუდგინა მომხმარებელს. ახალი მაუსი Microsoft Windows 98 SE, ME, 2000 ან XP საოპერაციო სისტემებით აღჭურვილი კომპიუტერებისთვის არის განკუთვნილი. მაუსში არსებული თითების ანაბეჭდების წამკითხავი სკანერი, კომპიუტერში ჩაწერილ მონაცემებთან უნებართვოდ შეღწევას გამორიცხავს. მწარმოებელი ფირმის განცხადებით, თითების ანაბეჭდების ამოცნობისას, შეცდომის ალბათობა ერთი პროცენტის მეათედს არ აღემატება.

ახალი ოპტიკური მაუსი უკვე გამოჩნდა იაპონიის სავაჭრო ქსელში, მისი საორიენტაციო ფასია 20.000 იაპონური იენა (დაახლოებით 169 აშშ დოლარი). ■

„მაკდონალდსი" სექსუალურ დისკრიმინაციაში დაადანაშაულეს

შვედურმა სარეკლამო ასოციაციამ „მაკდონალდსს" სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის პროპაგანდაში დასდო ბრალი. სწრაფი კვების რესტორნების საქვეყნოდ ცნობილი ქსელი იმაში დაადანაშაულეს, რომ მის ერთ-ერთ სარეკლამო რგოლში ქალი სამსახურში მიმავალი ქმრისთვის საუზმეს ამზადებდა, რაც შვედური ასოციაციის აზრით, სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის გამოვლინების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს, რადგანაც რეკლამაში მამაკაცი „სუსტი და უძლური არსების" შთაბეჭდილებას ტოვებს...

„მაკდონალდსის" შვედურ წარმომადგენლობას მომხდართან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. ■

შემთხვევით გატაცებული... გვამი

ლოს-ანჯელესში მცხოვრები, 30 წლის ხუან პრესიადო პოლიციამ საგზაო წესების უმნიშვნელო დარღვევისათვის გააჩერა და ამდენად, სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ არა მარტო გატაცებული მანქანის საჭეს ეჯდა, არამედ ამ მანქანის უკანა სავარძელზე გარდაცვლილი ადამიანის ცხედარი იყო მოთავსებული. გამტაცებლის თქმით, მან კი შეამჩნია, რომ მანქანაში ვიღაც კაცი იჯდა, მაგრამ ის უგონოდ მთვრალი ეგონა და ამიტომ, მასთან ერთად მანქანის წაყვანა გადაწყვიტა... პოლიციამ პრესიადოს დაუჯერა და მას მხოლოდ ავტომანქანის ქურდობაში წაუყენა ბრალი.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, გარდაცვლილ მამაკაცზე, შელდონ სმიტზე, მისი ცოლის განცხადების საფუძველზე, ძებნა იყო გამოცხადებული, რადგანაც ის საქმიანი მივლინების შემდეგ, შინ აღარ დაბრუნებულა. კრიმინალისტების აზრით, 53 წლის სმიტი, რომელსაც გული აწუხებდა, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ■

ენთუზიასტი გამომგონებლის ჰატარა შედევრი

მათ შორისაც კი, ვისაც ჰქონდა ვენეციის ხილვის ბედნიერება, ბევრი ვერ დაიკვეხნის იმით, რომ ამ ქალაქის ქუჩებში ავტომობილით გაუვლია. ეს ბედნიერება საკუთარ თავს არ მოაკლო ვენეციის მკვიდრმა, ლივიო დე მარჩიმ, რომელმაც თავისი საყვარელი მანქანის – „ფერარის" ფორმის ნავი ააგო. სახელგანთქმული ავტომობილის ზუსტი ასლი მთლიანად ხის მასალისგანაა დამზადებული და მასში არც ერთი ლურსმანი არ არის გამოყენებული. შთამომავლობით მოქანდაკე ლივიოს არაერთხელ გამოუტანია მსგავსი ნამუშევრები საზოგადოების სამსჯავროზე. მაგალითად, მის ნამუშევრებს შორისაა ხის „იაგუარი" და „ფოლკსვაგენი". ■

აშშ-ის საბჭოლო ავანგარდში ჩვეულებრივი ქათმები იქნებიან

ერაყის სტრატეგიულ პოზიციებზე თავდასხმის შემთხვევაში, აშშ-ის საბრძოლო ქვედანაყოფთა რიგებში ქათმებიც იქნებიან. პენტაგონთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ამ გადაწყვეტილების მიღება, ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების საფრთხემ განაპირობა. აშშ-ის სამხედრო დაზვერვის ცნობით, სადამ ჰუსეინმა გასცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, ამერიკელების მიერ ერაყელთა შენაერთების ალყაში მოქცევის შემთხვევაში, მეთაურებმა გამოიყენონ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი. ამერიკულმა მხარემ ეს მუქარა იმდენად სერიოზულად მიიღო, რომ ზოგიერთმა საბრძოლო ქვედანაყოფმა მიიღო ბრძანება, სუპერთანამედროვე დეტექტორებთან ერთად, ბრძოლაში ცოცხალი ქათმები გაიყოლოს: როგორც ცნობილია, ფრინველები განსაკუთრებულად მგრძნობიარენი არიან მომწამვლელი ნივთიერებების მიმართ, და ამგვარი საფრთხის ადრეულ ეტაპზე გამოვლენის ყველაზე სრულყოფილ საშუალებად შეიძლება მიჩნიოთ. ■

ფოტოკოლაჟები



განსხვავებული ჟურნალი

665/6 -60

TV-პროგრამა
24.02-2.03 2003 წ.

მანქანების გაგაცვება სქესის შეცვლის მიზნით

ჩემი ოჯახი

№8(21) ფასი 60 თ.

50

რას ახსენებს ქვემოდან
გიორგი ქანდელაკს
მეუღლე

44

გრძნობდა თუ არა
მეუღლის დაკარგვას
ნინო ჟურგაბაშვილი

48

ამბები, რომლებშიც
ნიკო გომელაური
ვერ გაერკვა

დიდი აღმასვლა ბიძინა ივანიშვილის ცხოვრებაში

ანუ რითი დაიწყო ყველაფერი

აქამდე უცნობი საოჯახო ფოტოები